N41 (540) 14/X-20/X-2010

ფასი 1 ლარი

# გზა



## ქართული პროზის საგანძური

ტომი №33

დემნა შენგელაია

შეგიძლიათ შეიძინოთ „გზის" ამ ნომერთან ერთად!

წიგნი და „გზა" ერთად 4 ლარი ღირს

შემდეგი ტომი

იაკობ გოგებაშვილი

უნდა თუ არა სიყვარულს მალვა

„მეუღლე არასდროს დამავიწყდება"...

რას აპროტესტებს ირინა ონაშვილი

„ის ყოველთვის ინტერესდება ჩემი საქმიანობით"...

„შეყვარებული უფრო თბილი და მხიარული ვარ"...

**თემა** შვილის მკვლელი დედები



არასასურველი ორსულობა და განწირული პატარები




განუმეორებელი მოვლენა



წმინდა ნიკოლოზის ტაძარში მომხდარი სასწაულები

მამა ბესარიონი: „არაერთხელ მიგრძნია მისი წყალობა"...



რატომ ტირის სოფო ხალვაშის შვილი „ივანანაზე"

ISSN 1987 - 5029

## როგორ დავიცვათ თავი გრიპისგან

www.britishcentre.ge

# BRITISH CENTRE

## ირინა ონაშვილი:



„პირველივე გაკვეთილიდან მივხვდი, რომ ზუსტად იქ მოვხვდი, სადაც საჭირო იყო. საოცრად კარგი გარემოა, თბილი ატმოსფერო, ამასთან ერთად უმაღლეს დონეზეა დისციპლინა. ძალიან ხშირად მიწევს უცხოელ მეგობრებთან ურთიერთობა და ვატყობ, რომ ჩემი ინგლისური საოცრად დაიხვეწა. კომპლექსი არასდროს მქონია და რა დონეზეც ვიცოდი, ისე ვლაპარაკობდი, მაგრამ ახლა უკვე ვამაყობ ჩემი ინგლისურით. აუცილებლად ვაპირებ სწავლის გაგრძელებას ბრიტანულ ცენტრში და ამ დონეზე არ გავჩერდები".

## ლელა მებურიშვილი:



„ბრიტანულ ცენტრში ენას კი არ გასწავლიან, აგალაპარაკებენო, მითხრეს და ეს სწორედ, ის იყო, რაც მე მჭირდებოდა. აღმოვაჩინე, რომ ბრიტანულ ცენტრში ინგლისური ენის მასწავლებლები, მოქმედი ლექტორები გადიან ენის შემსწავლელ მაღალ საფეხურებს, იმისთვის, რომ უფრო დახელოვდნენ და დახვეწონ თავიანთი ცოდნა. ერთი სიტყვით, მოვედი და დავრჩი. თვე-ნახევარია დავდივარ და ინგლისურად ლაპარაკის ყველანაირი კომპლექსი მომეხსნა".

**რუსთაველის 36; ტელ: 933 878; 989 999; 934 000**
**აღმაშენებლის 189; ტელ: 941 111; 952 222**
**ფალიაშვილის 60; ტელ: 221 915**
**პეკინის 9; ტელ: 332 557; 514 143**

www.britishcentre.ge



განახლებული რესტორანი თეთრი სახლი

გეპატიჟებათ ღირსშესანიშნავი თარიღისა და სადღესასწაულო ღონისძიებების აღსანიშნავად.




- გამორჩეული ქართულ - ევროპული სამზარეულო
- სასიამოვნო და კომფორტული გარემო
- მაღალი ხარისხის მომსახურება – დაბალი ფასები
- ცოცხალი მუსიკა

ღიაა ყოველდღე
11:00 –სთ-დან.

**მალე**
რესტორნის მეორე სართულზე გაიხსნება საბავშვო და თინეიჯერული სადღესასწაულო ცენტრი

მის: მტკვრის მარცხენა სანაპირო, ტელ:.479567, 893907733, 899104344

№41 (540)
14 - 20 ოქტომბერი, 2010 წ.
ფასი 1 ლარი

■ მინიატიურები 5
„თანამედროვე საუბარი“
■ ქრელი მსოფლიო 6
■ ფაქტი და კომენტარი 7
■ წარმატება 9
■ მადლი 12
■ სცენის მიღმა 18
რა შეცვალა კონკურსებმა სოფო ხალვაშის ცხოვრებაში
■ პირადი ცხოვრება 20
პირველ პაემანზე ატირებული ეთერ კაკულია
■ ამპლუა 22
ირინა ონაშვილის წარმატების ფორმულა და ოჯახური იდილია
■ ვარსკვლავები 24
■ თემა 26
შვილის მკვლელი დედები
■ კრიმინალი 29
ლოტკინზე მომხდარი მკვლელობა და შეურაცხყოფილი დაზარალებულები
■ საზღვრებს მიღმა 31
ქართველი ქირურგის მოგზაურობა, ინდონეზიური „შავი ოქრო“ და მშობლიური მიწის ყივილი
■ სულის სიმტკიცე 33
„ყველაზე გრძელი და ცხელი“ ანუ პლაჟის კოლორიტის ეშმაკობები
■ მოდელი 34
ბიკინიში მოცეკვავე მოდელებს პარტნიორობას სკამები უწევდნენ
■ ისტორიის ლაბირინთები 36
გიორგი XI და მისი ბედისწერა
■ ოსტატი 39
ექსპერიმენტები ხელოვნებაში და რიყის ქვებისგან შექმნილი მოზაიკა

## ქვეყანა




# წრფელი გულით გაკეთებული საჩუქარი

„ამდენი ბაიკერი ერთად არასოდეს მინახავს. თქვენ არ იცით, როგორ გაგვიხარდა, როცა გავიგეთ, ჩვენთან უნდა მოსულიყვნენ! მთელი კვირაა, რაც მათ ველოდებით. თავს ძალიან მხნედ ვგრძნობ. როცა ვსეირნობდით, ხალხი თვალს ვერ გვაშორებდა“.

7

## სახე




# პირველ პაემანზე ატირებული ეთერ კაკულია

„როცა ამბობენ, 15 წლისა გავთხოვდიო, ჭკუაზე არა ვარ ხოლმე, — ამ ასაკში როგორ უნდა გათხოვდე?! მოწონების და სიყვარულის „ამბავი“ უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში გავაცნობიერე“.

18



## ცხოვრება

# შვილის მკვლელი დედები



შვილისთვის თავგანწირული ბევრი დედის შესახებ გვსმენია. მაგალითისთვის, „ოთარაანთ ქვრივის“ გახსენებაც კმარა, მაგრამ ალბათ, თითოეულ თქვენგანს ბევრი ისეთი ამბავიც გაუგონია, როდესაც ამა თუ იმ მიზეზის გამო, დედა საკუთარ შვილს თავიდან იშორებს და კლავს.

26

# „სიყვარულმა კოჭლი და ბრმა არ იცის“



„რატომ გგონია, რომ ფიზიკური ნაკლი უბედურებაა? შენი დის საქმე მაშინ იქნებოდა ცუდად, ცუდ ადამიანს რომ გადაჰყროდა. დამიჯერე, კოჭლიც შეიძლება, კარგი ადამიანი იყოს. და კიდევ, გახსოვდეს, არავინ იცის, ხვალ რა გველის“.

76

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

■ საკითხავი ქალებისათვის 40
მარტოობა თუ მუდმივი საფრთხის ქვეშ ყოფნა?
■ ანტიდეპრესანტი 42
■ ავტო 42
■ ეს სამყაროა 44
■ ტაძარი 46
გაშავებული კადნიერი მარჯვენა,
ხანძარში გადარჩენილი ხატი და წმინდა
ქალწულის ნებით დაარსებული სავანე...
■ ფავორიტები 48
რაული — „რეალის“ ცოცხალი ლეგენდა
■ ჯანმრთელობა 51
■ კვალი 54
„ვეფხისტყაოსნის“ თარგმნით
დახვრეტას გადარჩენილი
■ მისია 56
შვილების სახელზე აშენებული ტაძრები
■ თინეიჯერული პონტები 59
პრობლემა, რომელიც ახალგაზრდებს
დაოჯახებაში უშლის ხელს
■ წვეთი პოეზია 62
■ სახსოვარი 63
■ პროზა 64
დემნა შენგელაია. ბათა ქექია (ნაწყვეტი)
■ ფანტასტიკური დეტექტივი 66
რუსუდან ბერიძე. ინტერვიუ
მიცვალებულთან (გაგრძელება)
■ რომანი 70
სვეტა კვარაცხელია. რომანტიკა
თუ დანაშაული?! (გაგრძელება)
■ მინირომანი 74
მხოლოდ მსუბუქი ფლირტი
■ გზავნილები 76
■ ყველა ერთისათვის
„სიყვარულმა კოჭლი და ბრმა არ იცის“
■ მობილი-ზაცია 82
■ მოზაიკა 88
■ საზრდო 90
■ ერუდიტი 92
■ გასართობი 94
■ ასტროლოგია 96
■ სკანვორდი 97
■ საფირმო კროსვორდი 98

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: **ზურაბ აბაშიძე**
მთ. რედაქტორის მოადგილეები: **ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია**
პასუხისმგებელი რედაქტორი: **მარი ჯაფარიძე**
მენეჯერი: **მათე კბილაძე**

დიზაინი: **ნანა გიგოლაშვილი**
კომპიუტერული უზრუნველყოფა: **ირმა ლიპარტელიანი, რეზო თხილიშვილი**
მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. #49
ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza.fantazia@gmail.com
რეკლამა „გზაში“: 37-78-07; 38-78-70.

## სამყარო



# ექსპერიმენტები ხელოვნებაში

„სახლის ქვეშ სარდაფი მქონდა, სადაც პატარა, გამოსაწვავი ღუმელი მედგა. ექსპერიმენტებს დიდი ხნის განმავლობაში ვატარებდი და როგორც იქნა, საბოლოო შედეგამდე მივედი“.

36

## ადამიანი



# „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნით დახვრეტას გადარჩენილი

შალვა ნუცუბიძე პოლიტიკაში თავის ერს შეჰყვა — თავისუფლების გაუნელებელი მნატვრელი იყო და დანახვა არავისი უნდოდა, ვინც მისი სამშობლოს თავისუფლებას ფეხი დაადგა, მათ შორის — სტალინისა.

54

## ბიბლუსი



# ბათა ქექია

გზა სულის საქმელია და აბა, ერთი თქვენ თვითონ მითხარით, რას ემსგავსებოდა ჩვენი სიცოცხლე, სიარული რომ არ გვცოდნოდა, გზა ადამიანს სიარულით რომ არ გაეკვალა? ეს გზა ჩვენი ფიქრებია, ჩვენი აზრები და გარჯილობა, ზოგი მიწას ხნავს, ზოგი რკინას ჭედავს, ზოგი ქალაქს აშენებს, ზოგი წიგნსა წერს და ზოგიც ოცნებობს, ცხოვრებას ყველა თავისი ნაოცნებარით, თავისი ნაფიქრით ამკობს.

62

## ტაიმ-აუტი



# მსოფლიოს უნიკალური სასტუმროები

ფიჯიზე მსოფლიოს უნიკალური სასტუმრო წყალქვეშაა აშენებული. ნომრებიდან შეგიძლიათ, თევზებს დააკვირდეთ.

88

# „თანამედროვე საუბარი"



**შესავლის ნაცვლად** გასულ უქმეებზე რუსთავ-ქალაქობა იყო, ამ თვეში თბილის-ქალაქობა იქნება, მერე კიდევ რამე „ქალაქობა" და ეს ძალიანაც კარგია! არავის გეგონოთ, რადგან ამ ამბებით ვიწყებ, ამაზე ვაპირებდე „პროვოკატორობას", პირიქით — ძალიანაც მომხრე ვარ ყველანაირი ზეიმისა და დღესასწაულის, მით უმეტეს ახლა, როდესაც ქვეყანაში ყველა პრობლემა მოგვარებულია და მართლაც, საზეიმოდ გვაქვს საქმე...



მაგრამ სწორედ ამ „ღონისძიების" (ყოველთვის მომწონდა ეს სიტყვა — „ღონის ძიება") ხარისხზე ვღელავ: რახან ღონე იძიე, ბარემ ხარისხიანად იძიე, რაღა!.. რას ვგულისხმობ და, ტომას ანდერსი იცით, ვინ არის? პენსიაში გასული გერმანული პოპჯგუფის — „მოდერნ თოქინგის" სოლისტია და მიუხედავად იმისა, რომ „მოდერნ თოქინგ" თანამედროვე საუბარს ნიშნავს, მაინც ერთობ არქაულად გამოიყურებოდა კაცურად თმაგაკრეჭილი თომას ანდერსი (ისე, რა ხდება ამ გერმანიაში — ანდერსი „დაკაცდა" და საგარეო საქმეთა მინისტრი პირიქით, გათხოვდა... გადაირევი კაცი) და მე დაახლოებით ის ფრაზა მიტრიალებდა ენის წვერზე, რაც ამ ოცდახუთი წლის წინ, ჯეელობისას, ჩვენს „დინამოს" რომ „ერხეოდა", მოსკოვიდან გუნდის გასაძლიერებლად რომ ვალერი გაზაევი ჩამოიყვანეს და იმან რომ პირველსავე თამაშზე „ჩაისვარა", მაშინ რომ სამოცდაათი ათასი კაცი ერთხმად ვღრიალებდით: „შენი აქ ჩამომყვანის..." (ფრაზის დასასრულებლად სრულ თავისუფლებას გაძლევთ).

„ზატო", ახალი პარტია შეიქმნა (თუ როგორ ითქმის? დაარსდა? დაფუძნდა? აღმოცენდა? იშვა? ჩამოყალიბდა? დაინერგა?..), თანაც „ქართული პარტია" ჰქვია! გიხაროდენ! გილოცავთ! ოღონდ ერთზე მწყდება გული — ეროსი კიწმარიშვილი რომ ტელებიზნესიდან წავიდა (მართლა, ეროსიზე გამახსენდა — თომას ანდერსის ჩამოყვანას, ეროს რამაზოტი მაინც ჩამოეყვანათ... არა უშავს, ხაშურ-ქალაქობაზე ჩამოიყვანენ); ეკეთებინა თავისი საკეთებელი, მაგ ახალ პარტიას კი იმ დონის პოლიტიკოსები ჩაუდგნენ სათავეში (ხომ არ მეშლება, კუკავა ხომ მანდ არის?), რომ ისედაც მიხედავდნენ საქმეს...

ხანდახან რომ ვწუწუნებ ხოლმე, — არაფერი მომხდარა და რა დავწერო-მეთქი, ახლა ნამდვილად ვერ ვიტყვი მაგას, რადგან ყველაფერი იყო: მიშას და პირველკლასელების საუბრიდან დაწყებული, ბათუმში რომ ოქტომბრის ბოლო ყველაზე კარგი დრო ყოფილა დასასვენებლად — მაგ რეკლამით გაგრძელებული და მესტიაში „მშრალი კანონის" შემოღებით დამთავრებული... მაგრამ ტატო ბარათაშვილს დავესესხები და, — „ქართველსა გულმან როგორ გამიძლოს", რომ ჩვენი დროის უდიდესი ვარსკვლავთმრიცხველის, ბატონი ცაგარელის ის სიტყვები, რომელმაც რადიო „პალიტრის" ეთერში „გააჟღერა" (ეს „გააჟღერაც" მაგარია, „ღონისძიების" არ იყოს), განსაკუთრებით არ აღვნიშნო: მიშაო, სააკაშვილიო, პრეზიდენტიო, ოღონდ სანამ პრეზიდენტი გახდებოდაო და სანამ იუსტიციის მინისტრი გახდებოდაო, მოკლედ — ხალხი ბნელი რომ იყო, მაშინ ეგეც ბნელი იყოო, არ იცოდა დამამშვიდებელი წამლების არსებობა და ეკლესიაში გამოალოცვინაო!..

აურა გააწმენდინა, ა-ურაო... ჰოდა, იმის მერე, სულ „ურაურას" ვიძახით მაგასთან ერთად...

ჰო, ბოლო „ურა" პირველკლასელებთან ერთად იძახა თავის ყოფილ სკოლაში — შეამოწმა ამ ერთი თვის განმავლობაში როგორ აითვისეს ბავშვებმა ნეთბუკთან მუშაობა. შედეგმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა — ხუთი წლის პატარები ეკრანზე თითქმის ყველა ასოს ცნობენ (ხელით ანუ კალმით რომ არც ერთი ასოს წერა არ შეუძლიათ, ეგ არაფერი, ასეთი ტემპით თუ ვიარეთ, აღარც დასჭირდებათ)! თქვენთან, ჩიკაგოში თუ აქვთ პირველკლასელებს ასეთი ტექნიკაო? — „ოპტომ" ჩამოყვანილი მასწავლებლებიდან ერთ-ერთს ჰკითხა (იქ იყო ისიც, იცინოდა). — არაო, — იმან და ისიც დასძინა: — საიდან ამდენი საშუალება ჩიკაგოში, შაშკინი ჩვენ არ გვყავს და „იმპორტული" ინგლისურის მასწავლებლები (რომლებიც კვირაში თითო გაკვეთილს უტარებენ თითო კლასს) და ნეთბუკები საიდან გვექნებაო?..

მართლაც, საიდან მაგათ ნეთბუკები? აკი თქვა პრეზიდენტმა, არ ექცევა იქ ამხელა ყურადღება კომპიუტერიზაციასო... თანაც, რად გვინდა ყველაფერზე მიშას დამოწმება (ისედაც უამრავი საქმე აქვს იმ კაცს), მთელმა მსოფლიომ ნახა, მაგათ პრეზიდენტს რომ წიგნი ესროლეს კვირას, წინასაარჩევნო შეხვედრაზე, აქ კი დაიწყება საარჩევნო ციებ-ცხელება და აგერ ნახავთ, — თუ არ წავიდეს ერთმანეთის „გაძუყვნა" ლეპტოპებით თუ „ქეისებით". მე შენ გეტყვი და, ცოტა გვექნება ან დაგვენანება — ერთი ლარის დედაც არ ვატირე?! „კომპიუტერი 1 ლარად" — ასეთი რამ მართლა არ ახსოვს არც ჩიკაგოს და არც ლონდონს! როგორც ადრე ვიყავით ყველაზე „უმაღლესგანათლებულდიპლომიანი" ერი და ახლაც პირველ ადგილზე ვართ მსოფლიოში „ერთ სულ ტაქსისტზე" დიპლომების რაოდენობით, ასევე ვიქნებით ორ-სამ წელიწადში პირველ ადგილზე — „ერთ სულ" მექისეზე ან მენაგვეზე „მაუსების" რაოდენობით!

მსოფლიოში პირველი... ევროპაში ყველაზე დიდი... პოსტსაბჭოთა სივრცეში ყველაზე გრძელი... ვაი, ჩვენს პატრონს!..

**P.S.** მესტიაში შემოღებული „მშრალი კანონი" რომ ვახსენე წელან, სულაც არ მიხუმრია — რაღაც „ლენტაგასაჭრელ" ობიექტს აშენებენ თურმე და 18 ოქტომბრამდე რომ მოესწროს, იქაურ საგადასახადოს ყველა მაღაზია ჩამოუვლია და ალკოჰოლიანი ყველაფერი (ლუდიც) აულაგებინებია. ჟურნალისტების კითხვაზე კი უპასუხიათ, მუშებისავე სიკეთისთვის ვაკეთებთ ამასო! ასეა, მათი სიკეთისთვის... ამ ბოლო დროს, პომიდორი მწყინს ნაღვლის ბუშტზე და თუ გაიგეს, აკრძალავენ ალბათ (ჩემი სიკეთისთვის)...

კიდევ, წნევა მიწევს ხოლმე, ნერვები რომ მეშლება და გითხრათ, რაზე მეშლება ნერვები? ჩამოვთვალო? აკრძალავთ ყველას და ყველაფერს „ჩემი სიკეთისთვის"?..

P.P.S. **მაინც მიყვარს ამერიკელები — მოხერხებული და ორიგინალური ხალხია: ობამას რომ წიგნი სტყორცნეს, ზუსტად იმ შეხვედრაზე, გამოხტა ვიღაც ტიტველი კაცი და პრეზიდენტის წინ გაიკუნტრუშ-გამოიკუნტრუშა! თურმე მავანი მილიარდერისთვის სანაძლეო მოუგია ამით, ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროს ალალად მოგებული... ჰოდა, მიყვარს-მეთქი ეს ქვეყანა — ისეთი პრეზიდენტიც კი, როგორიც ობამაა, რაღაცაში გამოადგა იმ კაცს...**

*პროვოკატორი*

ავტორს შეგიძლიათ, დაუკავშირდეთ ელფოსტით:
provokatori67@gmail.com

# საქართველომ რუსეთს „უჩქმიტა“

„საქართველომ რუსეთს ჩრდილოეთ კავკასიაზე უჩქმიტა“, — ამ სათაურით აქვეყნებს სტატიას რუსული გაზეთი „კომსომოლსკაია პრავდა“. სტატიაში ლაპარაკია ქართული მხარის მიერ ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებთან სავიზო რეჟიმის გამარტივებაზე. „ქართული მხარის გადაწყვეტილება აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში რუსების უვიზოდ გადაადგილებას უკავშირდება. ამ ქმედებაში არის ერთი დეტალი, რაც ამ ინიციატივის მომზადებისას ქართულმა დიპლომატიამ გაითვალისწინა, მაგრამ არ უთქვამს, — ეს არის იმ ბოევიკების თავისუფალი როტაცია, რომლებიც, რუსეთის სპეცსამსახურების ცნობით, ათეულობით წელია, საქართველოში არიან ბაზირებული და სწორედ საქართველოს გავლით ხვდებიან დასავლეთის ქვეყნებში“, — წერს „კომსომოლსკაია პრავდა“. ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების მოქალაქეებისთვის საქართველოში უვიზო რეჟიმი 13 ოქტომბრიდან ამოქმედდება. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის, ნინო კალანდაძის განმარტებით, გადაწყვეტილების მთავარი მიზანი — სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციაა. კერძოდ, ლარსის სასაზღვრო პუნქტის გახსნის შემდეგ, ჩეჩნეთის, ინგუშეთის, ჩრდილოეთ ოსეთის, დაღესტნის, ყაბარდო-ბალყარეთის, ყარაჩაეთ-ჩერქეზეთისა და ადიღეს რესპუბლიკების მოქალაქეებს გარკვეული სიძნელეები შეექმნათ, რადგან მათ საქართველოს ვიზის მისაღებად მოსკოვში ჩასვლა უწევდათ. „ერთ-ერთი მიზეზი ისიც გახლავთ, რომ გვსურს, მეზობელ ხალხებთან ტრადიციული ურთიერთობები აღვადგინოთ. გარდა ამისა, ამ ქვეყნის მოქალაქეებს სურთ, ქართულ უნივერსიტეტებში მიიღონ განათლება“, — აღნიშნა კალანდაძემ. ■

# უხელო პიანისტმა კონკურსში გაიმარჯვა



ჩინელი ლიუ ვეი, რომელმაც ორივე ხელი 10 წლის ასაკში დაკარგა, ტელეშოუს — „ჩინეთი ეძებს ტალანტებს“ — ფინალისტი გახდა. ვეი ფორტეპიანოზე ფეხის თითებით უკრავს. იგი ამჟამად 23 წლისაა და თავისი ნიჭის წყალობით, ყველაზე სახელგანთქმული, კონკურსის ფინალისტი გახდა. აღსანიშნავია ისიც, რომ გოგონა სხვის დაუხმარებლად იცვამს, ჭამს, კბილებს იხეხავს, კომპიუტერით სარგებლობს. ■

# ბედნიერების მქადაგებელმა თავი მოიკლა

ცნობილმა სამხრეთკორეელმა ტელეწამყვანმა და ბედნიერების შესახებ 20 წიგნის ავტორმა, 63 წლის იუნ ხიმ, 72 წლის მეუღლესთან ერთად, თავი მოიკლა. იუნ ხის მეტსახელად, „ბედნიერების მქადაგებელს“ უწოდებდნენ, რადგან თანამემამულეებს მუდამ საკუთარ თავთან და გარე სამყაროსთან ჰარმონიაში ცხოვრებისა და სიცოცხლით ტკბობისკენ მოუწოდებდა. მწერალმა დატოვა წერილი, რომელშიც იტყობინება, რომ 2 წლის წინ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდა, ის ფილტვებისა და გულის დაავადებით იტანჯებოდა. ■



# ბარაკ ობამას შიშველმა მამაკაცმა ესროლა

აშშ-ის პრეზიდენტს ფილადელფიაში, დემოკრატიული პარტიის მხარდამჭერებთან გამართულ შეხვედრაზე წიგნი ესროლეს. წიგნმა პრეზიდენტს იმ დროს „ჩაუქროლა“, როდესაც ის მომხრეებს ესალმებოდა.



წიგნის სროლა ფილადელფიაში გამართული შეხვედრის ერთადერთი უცნაური ფაქტი როდი იყო. პრეზიდენტის სანახავად მისულ მოქალაქეთა შორის ერთ-ერთი მამაკაცი შიშველი გამოცხადდა. სამართალდამცველებმა მისი სიშიშვლის დასაფარავად, ობამას მხარდასაჭერად დამზადებული პლაკატი გამოიყენეს. გამოძიების ვერსიით, მანამდე პრეზიდენტს წიგნი სწორედ ამ მამაკაცმა ესროლა. ■



# რუსეთის არმია გასაბერი ტექნიკით შეიარაღდა

მალე რუსეთის არმიაში გასაბერი იარაღი გამოჩნდება. გეგმის თანახმად, საზენიტო-სარაკეტო კომპლექსებისა და სარაკეტო დანადგარების შენიღბულმა მაკეტებმა მტერი შეცდომაში უნდა შეიყვანოს. ჯერ კიდევ შარშან გაზაფხულზე გავრცელდა ინფორმაცია, რომ რუსეთის არმია გასაბერი ტექნიკით კარგა ხანია, მარაგდებოდა. მაშინ საუბარი იყო ტანკების მულაჟებზე, რომლის ნამდვილისგან გარჩევა 100 მეტრის მანძილიდანაც კი შეუძლებელია. რუსი სამხედროების თქმით, რადიოლოკაციური, სითბური და ინფრაწითელი დიაპაზონის ღამის ხედვის აპარატებში გასაბერი ტექნიკა ისე აღიქმება, როგორც ნამდვილი და შედეგად, მოწინააღმდეგე შეცდომაში შეჰყავს. გასაბერი ტექნიკის პოზიციებზე გადატანა ძალზე მარტივია — მაგალითად, ტანკის მაკეტის გასაბერად 4 წუთი საკმარისია. როგორც ჩანს, რუსული არმია საბჭოთა ეპოქის ტრადიციების ერთგული რჩება: ცნობილია, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს საბჭოთა მეომრები ფანერის ტანკებს აწყობდნენ, რითაც გერმანული მზვერავი-თვითმფრინავების ყურადღებას იპყრობდნენ... ■

გამოყენებულია ინტერნეტპორტალ ambebi.ge-ს მასალები

რუბრიკა მოამზადა
ხათუნა ბახტურიძემ



# ქვეყანა

## ქვეყნის გადარჩენისთვის მზრუნველნი თუ ფულიანი უსაქმურები?..

*ხათუნა ბახტურიძე*

**საქართველოში კიდევ ერთი ახალი ოპოზიციური პოლიტიკური ორგანიზაცია — „ქართული პარტია“ შეიქმნა. ახალი გაერთიანების ლიდერები ირაკლი ოქრუაშვილი, ლევან გაჩეჩილაძე, კოკა გუნცაძე, სოზარ სუბარი და ეროსი კიწმარიშვილი არიან. როგორც პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, სოზარ სუბარი ამბობს, მისი შექმნის უმთავრესი მიზანი — საქართველოს დაშლისა და ნგრევის პროცესის შეჩერებაა. მისი თქმით, ახალი პარტიის მესვეურთა შეხედულებით, კეთილდღეობაზე ორიენტირებული სახელმწიფო 3 უმთავრეს პრინციპს უნდა ეფუძნებოდეს. ესენია: თვითმყოფადობა, უსაფრთხოება და პროგრესი. რამდენად ენდობიან ახალი პოლიტიკური პარტიის ლიდერებს და დაუჭერენ თუ არ მხარს მათ მიერ წამოყენებულ ინიციატივებს მოქალაქეები? — ამ კითხვაზე პასუხის გაცემა საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლებს ვთხოვეთ.**

**მანანა გულიაშვილი,** *პედაგოგი:*

— თავიდან ირაკლი ოქრუაშვილის ძალიან მჯეროდა, მაგრამ შემდეგ ისეთი ნაბიჯები გადადგა, რომ აშკარა გახდა, ის ქვეყანაზე კი არა, მხოლოდ საკუთარ ჯიბეზე ზრუნავდა. ამ პარტიაში მხოლოდ იმ ადამიანებმა მოიყარეს თავი, რომლებიც ხელისუფლებაზე პირადი ინტერესებიდან გამომდინარე არიან განაწყენებულნი. არა მგონია, მათი მიზანი საქართველოს დაშლისა და ნგრევის შეჩერების სურვილი იყოს; დარწმუნებული ვარ, ისინი საკუთარი კეთილდღეობისთვის იბრძვიან.

**— ოქრუაშვილის მიერ გადადგმულმა რომელმა ნაბიჯმა დაგარწმუნათ, რომ ის მხოლოდ საკუთარ ჯიბეზე ზრუნავდა?**

— იცით, როდესაც ოქრუაშვილი ხელისუფლებამ კორუფციაში დაადანაშაულა, არ დავიჯერე, მეგონა, ამას მისი დისკრედიტაციის მიზნით აკეთებდა; მაგრამ მერე ამ კაცმა საქართველოს წინააღმდეგ ისეთი განცხადებები გააკეთა, მივხვდი, ქვეყნის ბედი საერთოდ არ აწუხებდა და მინისტრის თანამდებობა მხოლოდ საკუთარი ამბიციების დასაკმაყოფილებლად უნდოდა.

**ლალი ბაზალი,** *იურისტი:*

— ჩემი აზრით, საქართველოში მორიგი „უსაქმურთა პარტია“ შეიქმნა. ძალიან მიკვირს, რომ ირაკლი ოქრუაშვილის, ლევან გაჩეჩილაძის, კოკა გუნცაძისა და ეროსი კიწმარიშვილის გვერდით სოზარ სუბარი დადგა: ის ერთადერთია მათ შორის, ვინც თანამდებობაზე ყოფნის დროს მართლა აკეთებდა საქმეს და ქვეყანაზე გული შესტკიოდა. ალბათ შეცდომაში შეიყვანეს... ოქრუაშვილის, გაჩეჩილაძისა და გუნცაძისთვის ეს მერამდენე პარტიაა, არავინ იცის. აქამდე არაფერი გაუკეთებიათ, აწი რას გააკეთებენ?.. უბრალოდ, დრო და ფული თავზე საყრელად აქვთ და აღარ იციან, რა ქნან. ძალიან არ მომეწონა, როდესაც თქვეს, — ხელისუფლების შესაცვლელად ყველაფერს გავაკეთებთო. მმართველ ძალასთან ბრძოლის ხერხებს შორის, ქუჩის აქციები და შეიარაღებული დაპირისპირებაც განიხილეს. არა მგონია, მათ დაძახილზე ხალხი ქუჩაში გამოვიდეს და იარაღი აიღოს ხელში.

**კახა იაკობაშვილი,** *მშენებელი:*

— როგორც იქნა, ირაკლი ოქრუაშვილი ამოძრავდა. დიდი ხანია, ველოდი, რომ რაიმე სერიოზულ ნაბიჯს გადადგამდა. დარწმუნებული ვარ, ის ხალხის აყოლიებასაც შეძლებს და მიძინებულ ოპოზიციასაც გამოაღვიძებს. ქართველებს არ გვეკადრება მონური მორჩილება. რაც უნდა გააკეთოს ხელისუფლებამ, წინააღმდეგობას აღარავინ უწევს, მორჩილად გვაქვს თავი დახრილი. ოქრუაშვილი თავმოყვარე და შეუპოვარი კაცია, გაჩეჩილაძეც მებრძოლი ბიჭია, გუნცაძეც; აი, კიწმარიშვილის კი რა მოგახსენოთ, მის საქმიანობას ნაკლებად ვიცნობ.




**— თუ საპროტესტო აქციებს მოაწყობენ, მონაწილეობას მიიღებთ?**

— აუცილებლად. მე ყველა საპროტესტო აქციაში მიმიღია მონაწილეობა, რაც კი საქართველოში მოწყობილა, იმიტომ, რომ არც ერთი ხელისუფლება არ მომწონდა. კომუნისტების წინააღმდეგაც გამოვდიოდი, გამსახურდიას, შევარდნაძის და სააკაშვილისაც. მთელი ცხოვრება აქციებზე მაქვს გატარებული.

**— აბა, ოქრუაშვილი რომ მოვიდეს ხელისუფლებაში, მაშინაც უკმაყოფილო იქნებით...**

— ადვილი შესაძლებელია, ასეც იყოს. ბევრი ჩემი მეგობარი და ნათესავი ამბობს, რომ მოსწყინდა გამუდმებით საპროტესტო აქციებსა და მიტინგებზე სიარული. მე მათ სულ ვედავები: რას ჰქვია, მოსწყინდა?! ეს გართობა და თამაში ხომ არ არის! რამდენი პრეზიდენტიც არ მოგვეწონება, იმდენი უნდა შევცვალოთ, რომ ახალ მმართველს იმედი არ ჰქონდეს, უსამართლობა შერჩება. პრეზიდენტს ხალხის შიში უნდა ჰქონდეს!..

**გია ხელაშვილი,** *სტუდენტი:*

— მე მგონია, რომ ახალ პარტიაში ხელისუფლებაზე დაბოღმილი ხალხი შეიკრიბა. გუნცაძე არასდროს იყო რამის გამკეთებელი, ოქრუაშვილმა „თავდაცვა" ისე დაანგრია, რომ მტერიც ვერ იზამდა ამას. გაჩეჩილაძე რაც არის, 26 მაისის შემდეგ გამოჩნდა... კიწმარიშვილს ეს ხელისუფლება ძალიან მოსწონდა, სანამ ტელევიზიას წაართმევდნენ. მაგათ შორის მხოლოდ სუბარია ისეთი, ვისაც ჭკუა მოეკითხება და ვისი ნდობაც შეიძლება. ვერ ვხვდები, მაგ „სასტავში" როგორ მოხვდა. არა მგონია, მხოლოდ მაგ ერთი კაცის ხათრით, ქუჩაში ხალხის გამოყვანა მოახერხონ. ამ ახალი პარტიის მიერ მოწყობილ საპროტესტო აქციებზე მხოლოდ თავიანთი აქტივისტები თუ მივლენ.

**ლალი საგაშვილი,** *მქერავი:*

— ჯოჯოხეთს ერთი მაშხალალა აკლია, ნეტავ ნოღაიდელი რატომ არ მიიწვიეს თავიანთ გუნდში?.. ალბათ ის ჯერ პუტინისა და მედვედევისგან იღებს ინსტრუქციებს და მოგვიანებით შეუერთდება... ნეტავ თავს რატომ იმასხარავებენ?! ვინ დაუჭერს მაგათ მხარს?.. ოქრუაშვილი კრიმინალია; ჩემი მეუღლე მისი მინისტრობის დროს მსახურობდა ქართულ არმიაში და მშვენივრად ვიცი მაგის შავბნელი საქმეები: ბიუჯეტიდან გამოყოფილი მილიონებით გაფუჭებულ ტანკებსა და დაჟანგულ ტყვიებს ყიდულობდა. მინისტრობის დროს ამას აკეთებდა და ქვეყნის ხელისუფლებაში რომ მოვიდეს, ხომ წარმოგიდგენიათ, რას იზამს? შეიძლება, მაშინვე რუსეთს მიგვყიდოს.

**ნანა ფარცვანია,** *ექიმი:*

— ახალ პარტიაში შეკრებილმა ადამიანებმა საკმაოდ ვრცელი პოლიტიკური გზა განვლეს, შეცდომაც ბევრი დაუშვეს და გამოცდილებაც ბევრი დააგროვეს. საკმაოდ ჭკვიანი ადამიანები არიან. იმედი მაქვს, გაითვალისწინებენ, როგორც თავიანთ, ისე სხვა ოპოზიციონერი ლიდერების შეცდომებს და რაღაც ღირებულს გააკეთებენ. კარგი იქნება, თუ დანარჩენი ოპოზიციის შემოერთებასაც მოახერხებენ და საერთო ძალით იბრძოლებენ ხელისუფლების შესაცვლელად.

**ნიკა მალაზონია,** *ეკონომისტი:*

— გამიჭირდება იმ ადამიანების ნდობა, რომლებიც ფულისთვის ყველაფერზე არიან წამსვლელები. ლევან გაჩეჩილაძემ არაერთხელ გაგვიცრუა იმედი, უამრავი ხალხი გამოგვიყვანა ქუჩაში, წვიმაში, ქარში გვატარა და მერე სახლში გაგვიშვა. ეგ არაფრის გამკეთებელია. ოქრუაშვილმა რა უნდა გააკეთოს, ვერ ვხვდები, — კაცი ძებნილად არის გამოცხადებული... რაც უნდა დამანამუსონ, მაგათ გამო ქუჩაში არ გამოვალ. ნამდვილად არ მომწონს სააკაშვილის ხელისუფლება, ძალიან ბევრი პრეტენზია მაქვს მოქმედი პრეზიდენტის მიმართ, მაგრამ არც ოპოზიციაში მეგულება მასზე უკეთესი. ადრე კიდევ მჯეროდა ვიღაც-ვიღაცების, მაგრამ ახლა აღარავის იმედი არა მაქვს. თუ ოპოზიციაში ახალი სახეები გამოჩნდებიან და რაიმე რეალურს შემოგვთავაზებენ, იმათ ნამდვილად გავყვები საპროტესტო აქციაზეც და ხელისუფლების დასამხობადაც...

**გოჩა ლაცაბიძე,** *უმუშევარი:*

— მჯერა თუ არა ახალი პოლიტიკური პარტიის ლიდერების?.. ვისი უნდა დავიჯერო — ოქრუაშვილის, რომელმაც საკუთარი პარტია მიატოვა?.. გაჩეჩილაძის, რომელმაც ათასობით ადამიანი უაზროდ ატარა საპროტესტო აქციებზე და მერე სახლში გაუშვა?.. კოკა გუნცაძესა და კიწმარიშვილზე აღარაფერს ვიტყვი — მაგათ სერიოზულად არც აღვიქვამ. აი, სოზარ სუბარის კი გამკვირვებია, რა!..

**ნანული სორდია,** *ბიოლოგი:*

— იმედი მაქვს, რომ ახალი პოლიტიკური პარტია ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვან ცვლილებებს შეიტანს. ქვეყანაში აღარაფერი ხდება, ყველა თავისთვის არის შეყუჟული, ქვეყანა კი თავზე გვემხობა. ხომ გაგიგონიათ — „დამდგარ წყალში ბაყაყები დაიბუდებენო". ვიცი, ამ ახალი პარტიის ლიდერებმა, ისევე, როგორც სხვა ოპოზიციონერებმა, უამრავი შეცდომა დაუშვეს, მაგრამ შეცდომებს ის არ უშვებს, ვინც არაფერს აკეთებს. ბოლოს და ბოლოს, იმის საშუალება მაინც მოგვეცემა, რომ აქციებზე სიტყვით გამოვიდეთ და გული მოვიფხანოთ.

**— „დამდგარ წყალში ბაყაყები დაიბუდებენო", — ამ სიტყვების ავტორმა ისიც თქვა, — „ფხანა ქეცმა იცისო"...**

— გინდათ, ქეცი დაარქვით და გინდათ, სხვა რამე, შინ ჯდომით არაფერი გამოვა. საპროტესტო აქციების მოწყობით ჩვენს ხელისუფლებას იმას მაინც გავაგებინებთ, რომ მათი ტყუილების არ გვჯერა და მშვენივრად ვხვდებით, რასაც აკეთებენ. ■



# რატომ არ შეასრულა ხელისუფლებამ დადებული პირობა?

## „ხაბურძანიამ მომილოცა, ვერაფერი ვუთხარი — ისიც ჩემსავით ელოდა გათავისუფლებას"...

**ეროვნული გამოცდების ციებ-ცხელებამ ჩაიარა. ზოგს გაუმართლა, ზოგს — არა. განსაკუთრებით, ციხეში მყოფი ის არასრულწლოვანი ბიჭები ღელავდნენ, რომლებსაც გამოცდების ჩაბარებით, თავისუფლებაში დაბრუნების ერთადერთი შანსი ეძლეოდათ. ისინი ოცნებობდნენ იმ დღეზე, როცა სტუდენტობის სიხარულს ეზიარებოდნენ და უკან დარჩებოდათ პატიმრობის მძიმე წლები...**

თეა ხურცილავა

*სხვა ახალგაზრდებისგან განსხვავებით, 9 აბიტურიენტი ბიჭი გამოცდებზე ბადრაგის თანხლებით მიჰყავდათ; მერე ისევ გისოსებს მიღმა აბრუნებდნენ და ისინიც მორიგი გამოცდისთვის ემზადებოდნენ. ჯერ კიდევ პენიტენციარულ სისტემაში დიმიტრი შაშკინის მუშაობის დროს გამოცხადდა, რომ იმ ახალგაზრდებს, ვინც ეროვნულ გამოცდებს ჩააბარებდნენ, საპატიმროდან გაათავისუფლებდნენ. პატიმარმა ბიჭებმაც საამისოდ მზადება დაიწყეს. ილიას სახელობის უნივერსიტეტის ლექტორები სისტემატურად დადიოდნენ ავჭალის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში და 12 პატიმარს ამზადებდნენ. დღეს ამ დაწესებულებაში 150-მდე არასრულწლოვანი სხვადასხვა დანაშაულისთვის იხდის სასჯელს. მათ იქ სკოლის დამთავრების საშუალებაც აქვთ, მსურველები იქვე ხელობასაც ეუფლებიან: ხეზე კვეთას, მინანქარს, კომპიუტერის დაშლა-აწყობას და ა.შ. პატიმართა ნახევარზე მეტი 123-ე საჯარო სკოლის ატესტატს იღებს. რაც შეეხება აბიტურიენტებს, წლეულს 9-დან 7 სტუდენტი გახდა.*

*ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემდეგ ისინი უკვე იმ წუთს ელოდნენ, როცა ხელისუფლება დანაპირებს შეასრულებდა და რკინის კარს გაუღებდა. ნერვიულობდნენ მათი ოჯახის წევრებიც. დღე დღეს მისდევდა, ღამე — ღამეს, მაგრამ პასუხი არა და არ ჩანდა. ბიჭები ერთმანეთს ამშვიდებდნენ, იმედის ნაპერწკალს ებღაუჭებოდნენ... 16 სექტემბერს მხოლოდ 3 პატიმარ სტუდენტს გაუმართლა: ლევან დუმბაძე, რატი დარბაიძე და მერაბ მინდელი პრეზიდენტმა შეიწყალა. სამწუხაროდ, 4 ახალგაზრდა — გიორგი ზერეკიძე, ლაშა რეხვიაშვილი, ბექა გოცაძე და ვანო ხაბურძანია საპატიმროში დატოვეს. მიზეზად მათ ასაკს ასახელებენ: ბიჭებს გამოცდების შედეგების გამოცხადებამდე 18 წელი შეუსრულდათ და სხვა დაწესებულებაში — სრულწლოვან პატიმრებთან გადაიყვანეს. ოჯახის წევრებმა თითქმის ყველა ინსტანციას მიმართეს, მაგრამ უშედეგოდ. მათ პრობაციის ეროვნულ ბიუროსაც მიმართეს განცხადებით, — იქნებ პირობითი მსჯავრით სასჯელის შეცვლა მომხდარიყო, მაგრამ ვერც იქიდან მიიღეს პასუხი. დღემდე არ იციან, თუ რატომ დაზარალდნენ მათი შვილები და ხელისუფლებამ მოცემული პირობა რატომ არ შეასრულა.*

ქვეყანა

*უსამართლობის განცდა რომ ექნებათ იმედგაცრუებულ პატიმრებს, უდავოა. საკითხავია, ეს ფაქტი ცუდად ხომ არ იმოქმედებს გამოსწორების გზაზე დამდგარ ბიჭებზე, რომლებიც დიდი მონდომებით სწავლობდნენ, გათავისუფლების მოლოდინში. დღეს მათ მშობლებს ჟურნალისტებთან საუბარი არ სურთ, ყველამ ინტერვიუზე უარი გვითხრა. ფაქტია, დღემდე იმედს არ კარგავენ. ახლა მათი იმედი, საპატრიარქოს დახმარებაა — სთხოვეს, ეშუამდგომლა პრეზიდენტის წინაშე. ამჟამად თითოეული მათგანის საქმეს საპატრიარქოს იურიდიული სამსახური სწავლობს და საბოლოოდ რა შედეგს მივიღებთ, ეს უახლოეს დღეებში გახდება ცნობილი.*

*ვანო ხაბურძანია და ბექა გოცაძე ილია ჭავჭავაძის უნივერსიტეტის სტუდენტები გახდნენ. ისინი ყაჩაღობისთვის იხდიან სასჯელს. ბექას წელიწად-ნახევარი აქვს დარჩენილი, ხოლო ვანოს — ცოტა ნაკლები. რაც შეეხება გიორგი ზერეკიძეს, თავის დროზე მისი დაკავება საკმაოდ ხმაურიანი იყო. იგი განზრახ მკვლელობის მცდელობის ბრალდებით გაასამართლეს და 7 წელი მიუსაჯეს. თავად მსჯავრდადებული წარდგენილ ბრალდებაში თავს დამნაშავედ არ ცნობდა. სკოლის მოსწავლეებიც კი მართავდნენ მის მხარდასაჭერად აქციებს, მერე ამ საქმემ ლამის პოლიტიკური სახეც კი მიიღო, პრესაში ბევრი იწერებოდა... მოგვიანებით ზერეკიძეს 2*





რატი და ლევანი მინისტრ დიმიტრი შაშკინთან შეხვედრისას

*წელი ჩამოაკლდა და ციხეში უკვე თითქმის 5 წელი გაატარა და ახლა გათავისუფლებას სულ 3 თვე აშორებს. გიორგი შავი ზღვის უნივერსიტეტში სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე ჩაირიცხა, მაგრამ ეს 3 თვე მას რატომღაც არ აპატიეს და არ შეიწყალეს. გასტუდენტებული ბიჭებიდან ყველაზე მძიმე სასჯელი ლაშა რეხვიაშვილს აქვს — მკვლელობისთვის გასამართლებულს, 7 წელი აქვს დარჩენილი; ამჟამად, რუსთავის დაწესებულებაშია გადაყვანილი.*

*გათავისუფლებული ბიჭები უკვე სტუდენტურ მერხებს მიუსხდნენ. ამბობენ, რომ ეს მათთვის დიდი სტიმულია და მთელი შემართებით ისწავლიან.*

*პირველად ლევან დუმბაძეს ვესტუმრე. სახლში მამა და ულამაზესი დაიკო დამხვდნენ. ლევანი კი ინგლისურის მასწავლებელთან იყო წასული, ამიტომ მოცდა მომიხდა... ლევან დუმბაძე 16 წლის იყო, როცა მშობლიურ ბათუმში, სხეულის დაზიანების ბრალდებით დააკავეს და 5 წელი მიუსაჯეს. ციხეში თითქმის 2 წელი გაატარა; გათავისუფლებამდე 3 წელზე მეტი ჰქონდა დარჩენილი. საბედნიეროდ, შეიწყალეს.*

**ლევან დუმბაძე:**

— ბათუმის ციხიდან ავჭალის დაწესებულებაში რომ გადმოვედი, ბავშვები უკვე ემზადებოდნენ ეროვნული გამოცდებისთვის. სწორედ მაშინ შევიტყვე, თავისუფლებაზე გასვლის შანსი რომ მეძლეოდა. თუ სტუდენტი გავხდებოდი, ჩადენილ დანაშაულსაც ხომ გამოვისყიდდი?!. მათ მეც შევუერთდი. ილიას უნივერსიტეტის ლექტორები გვამზადებდნენ. ბიზნესის მართვა ავირჩიე, ბავშვობიდან მიზიდავდა და ამ სფეროში წარმომიდგენია ჩემი თავი. ფსიქოლოგიურად მძიმე იყო, როცა გარეთ ბადრაგს გავყავდით, მაგრამ ვფიქრობდი, რომ შემეძლო, ასე მეშველა ჩემი თავისთვის. დასაკარგი დრო არ მქონდა. მთელი მონდომებით ვმეცადინეობდი. გარეთ რომ ვყოფილიყავი, ალბათ ასეთი მობილიზებული არ ვიქნებოდი. ისე, არც დაკავებამდე ვყოფილვარ ცუდი მოსწავლე. მშობლები ზღვრულ ფარგლებში მაკონტროლებდნენ კიდეც, განსაკუთრებით — მამა, მაგრამ გაუგებრობა მოხდა და ბიჭი დავჭერი. როცა პატარა ხარ, შედეგზე არ ფიქრობ.

— **ალბათ ყველაზე მძიმე იყო, როცა საკანში აღმოჩნდი და რკინის კარი მოგიხურეს...**

— მაშინ მომავლის იმედი დავკარგე. ბუნებით, დეპრესიული ადამიანი არა ვარ, მაგრამ ჩადენილის გამო საკუთარ თავზე ძალიან განაწყენებული ვიყავი... წელიწადი და 6 თვე ციხეში გავატარე. ერთგვარი ცხოვრებისეული გამოცდილება მივიღე, ძალიან შევიცვალე. შეიძლება ითქვას, უფრო წინდახედული გავხდი, ცხოვრების მიმართ შეხედულება შემეცვალა. ახლა ვხვდები, რომ დასაკარგი დრო ნამდვილად არ მაქვს. არაფრის ხალისი არ მქონდა; ახლა ცხოვრებას აზრი მიეცა და ვიცი, უნდა ვისწავლო და ჩემი საქციელი, სწავლით გამოვისყიდო... ავჭალის დაწესებულებაში ყოფნა უკეთესი იყო, რადგან იქ საკანში არ ხარ გამოკეტილი, შეგიძლია, ეზოში გაიარო, თუ გინდა — ისწავლი, წაიკითხავ ლიტერატურას, თუ თამაშის ხასიათზე ხარ — სტადიონზე ითამაშებ, ივარჯიშებ. ბავშვობიდან სპორტს მივდევდი, 10 წელი კალათბურთს ვთამაშობდი; დაჭერის შემდეგ ძალაუნებურად მომიწია სპორტისთვის თავის დანებებამ. სხვა ბავშვები ძალიან მგულშემატკივრობდნენ. ბევრს გაუჩნდა სწავლის სურვილი. ყველა ჩვენგანს გამოსვლის იმედი ჰქონდა. ბოლოს, თითის ანაბეჭდების ასაღებად რომ წამიყვანეს, მივხვდი — გამიშვებდნენ... ძალიან მძიმე იყო გამოცდების ჩაბარების შემდეგ ლოდინი. არასრულწლოვანთა დაწესებულებაში ბოლოს, მე და რატი დარბაიძე ვიყავით დარჩენილები, სხვებს 18 წელი შეუსრულდათ და ქსანში გადაიყვანეს... გარეთ რომ გამოვედი, ეიფორიაში ვიყავი, მაგრამ საბოლოოდ ადაპტაცია არ გამჭირვებია, წარმოდგენილი მქონდა ჩემი შემდგომი ცხოვრება. გახარებული ოჯახის წევრები, ახლობლები და მეგობრები დამხვდნენ, ყველა მილოცავდა.

— **ლევან, უნივერსიტეტში პირველი დღე როგორი იყო?**

— ისეთი შეგრძნება მქონდა, როგორიც სკოლაში, როცა პირველ კლასში შევედი... კავკასიის ბიზნესის აკადემიურ ცენტრში ვსწავლობ. ლექციებზე ვარ დღის პირველ ნახევარში, მერე ინგლისურზე მივდივარ, რადგან უცხო ენის ცოდნა აუცილებელია. მადლობას ვუხდი მასწავლებლებს: ციხეში ჩვენთან 123-ე სკოლის დირექტორი მოდიოდა. გაკვეთილები გვიტარდებოდა და ატესტატის მისაღებად, ჩვეულებრივი გამოცდები ჩავაბარეთ.

***მერაბ მინდელი** ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციების ფაკულტეტზე ჩაირიცხა. 15 წლის იყო, როცა ყაჩაღობის ბრალდებით, თელავში დააკავეს. 4 წელი და 8 თვე მიუსაჯეს. სასჯელის ნახევარი მოიხადა და ვადაზე ადრე გათავისუფლება ალბათ ისედაც ეკუთვნოდა. მერაბი რედაქციაში ლექციების შემდეგ გვესტუმრა და გულახდილად მესაუბრა:*

— ძალიან მძიმე იყო, როცა ხელბორკილები დამადეს და საკანში აღმოვჩნდი. მეგონა, ამას ვერასდროს შევეგუებოდი. ოჯახს მოვწყდი, სულ სხვა სამყაროში აღმოვჩნდი. ძალიან ცუდად ვიყავი, ცხოვრების გზას ვერ ვხედავდი. ციხეში სულ სხვა გარემოა: ზიხარ 4-კაციან საკანში, შენს თანატოლებთან ერთად, გარე სამყაროს მოწყვეტილი და ბევრს ფიქრობ შენს ცხოვრებაზე, იმაზე, რაც მოხდა, და გამოსავალს ველარ პოულობ. მაგრამ თურმე ყველაფერს ეჩვევა ადამიანი. მეც შევეჩვიე. ისე, ძალიან შევიცვალე... ტელევიზორი გვქონდა, გადაცემებს ვუყურებდით, ვკითხულობდით წიგნებს ან ვსაუბრობდით, ერთმანეთს ჩვენ-



რატი დარბაიძე



ლევან დუმბაძე



მერაბ მინდელი

ჩვენს ტკივილს ვუზიარებდით... მერე — ზონაში, ავჭალის არასრულწლოვანთა დაწესებულებაში გადამიყვანეს. იქ 2 წელი და 3 თვე გავატარე. ციხისგან განსხვავებული გარემოა — ეზოში გასვლა შეგიძლია, უფრო თავისუფლად ხარ; ეზოში ტაძარია, სადაც ლოცვა და სულიერი სიმშვიდის შენარჩუნება შეგიძლია. იმ ტაძრის სტიქაროსანი ვიყავი. მამა ტარიელი მოდიოდა და ჩვენზე ზრუნავდა; წირვა-ლოცვას ვესწრებოდით და ეს ძალიან გვეხმარებოდა. თავიდან, იქ ეკლესია არ იყო, უბრალოდ, ოთახში პატარა სამლოცველო გვქონდა მოწყობილი და იქ ვლოცულობდით, მამა ტარიელი კი აღსარებას იბარებდა. პატრიარქის ლოცვა-კურთხევით, ტაძრის მშენებლობა დაიწყო და ყველამ გავიხარეთ. ტაძრის დიდი ნაწილი, ფაქტობრივად, ჩვენი ხელით ავაშენეთ არასრულწლოვანმა პატიმრებმა მამა ტარიელის დახმარებით, მერე კი სპეციალისტები შემოიყვანეს და მათ დაასრულეს. საოცრად მოკლე დროში, 6 თვეში აშენდა. მერე კათოლიკოს-პატრიარქმა ეკლესია აკურთხა. როცა სტიქაროსნად მაკურთხეს, დიდი სიხარული იყო ჩემთვის. მორწმუნე ვიყავი, მაგრამ იქ უფრო გამიძლიერდა უფლის რწმენა. ბექა გოცაძეც სტიქაროსანია... როცა შევიტყვეთ, გათავისუფლების შანსი გვქონდა, თუ ეროვნულ გამოცდებს ჩავაბარებდით, ეს ჩვენთვის დიდი სტიმული იყო. მეათე კლასში ვიყავი, როცა დამაკავეს, და ბუნებრივია, სკოლაში აღარ მივლია. ის დაკარგული დრო გამოცდების ჩაბარებით ავინაზღაურე. შიდა გამოცდებიც არანაკლებ რთული იყო... უნივერსიტეტის ლექტორები იმისთვისაც გვამზადებდნენ — როცა გამოცდებზე გაგვიყვანდნენ, აბიტურიენტთა უამრავი გულშემატკივრის დანახვას ჩვენში მძიმე ემოცია არ გამოეწვია და მთელი ყურადღება საგამოცდო საკითხებზე გადაგვეტანა. თავისებური განცდაა — ფიქრობ, რა უნდა ქნა, რომ ჩაიჭრა?.. ამ დროს მაქსიმუმს აკეთებ... ვიცოდით, ჩვენი ოჯახის წევრებიც იქ ტრიალებდნენ, მაგრამ მათ ვერ ვხედავდით; სხვა შესასვლელით შევყავდით, ხელბორკილების გარეშე... ყველაზე მძიმე მაინც, შედეგების მოლოდინი იყო: ნელ-ნელა ვიგებდით თითოეული გამოცდის პასუხს და ერთმანეთს ვულოცავდით; მერე — ჩარიცხვის მოლოდინი და ბოლოს — გათავისუფლების გაუსაძლისი ლოდინი. ეს საშინელებაა, არ იცი, რა გელის, დარჩები თუ გარეთ გახვალ. ერთმანეთს ვამხნევებდით. ამასობაში 18 წელი შემისრულდა და სხვებთან ერთად, ქსანში გადამიყვანეს. ბუნებრივია, ყველას გარეთ გასვლის იმედი გვქონდა. ძალიან ცუდია, ის 4 ბიჭი რომ დატოვეს, ამაზე გული მწყდება. გეგმებს ვაწყობდით — გარეთ გასვლის შემდეგ როგორ ვისწავლიდით, როგორ მოვიქცეოდით.

**— რა რეაქცია ჰქონდათ იმ ბიჭებს, როცა გაიგეს, რომ თქვენ გიშვებდნენ და ისინი რჩებოდნენ?**

— ტელევიზიით გამოცხადდა, რომ 3 ბავშვს მინისტრმა შაშკინმა პრეზიდენტთან უშუამდგომლა. ეს ჩემს მეგობარს, ვანო ხაბურძანიას მოუსმენია; გვარებიც გამოუცხადებიათ. მითხრა, — შენ გაგიშვებენო. მეორე დღეს, თითის ანაბეჭდების ასაღებად დამიბარეს. მაინც ვერ ვაცნობიერებდი, რომ შეიძლებოდა გავეთავისუფლებინეთ... კოლონიის უფროსმა სტუდენტობა და გათავისუფლება მომილოცა. გამოსვლამდე ვანო ხაბურძანიამ მომილოცა, — კარგია, შენ მაინც რომ გადიხარო... ვერაფერი ვუთხარი, რა უნდა მეთქვა?! — ისიც ხომ ჩემსავით ელოდა გათავისუფლებას!.. აქეთ მამშვიდებდა, — არა უშავს, მე ისევ გავაგრძელებ სწავლას და კიდევ ჩავაბარებო. ბუნებრივია, გული დასწყდებოდა, მაგრამ მაგრად იდგა, არ შეიმჩნია. ძალიან ძნელია, როცა მოლოდინი გაქვს და ამ დროს არ გათავისუფლებენ. ძალიან მინდა, ისინიც შეიწყალონ. ხომ შეიძლება, ამან მათზე ცუდად იმოქმედოს და ყველაფერზე გული აუცრუვდეთ?! ხომ იყო მოცემული პირობა, რომ ყველას გაათავისუფლებდნენ!..

**— რა შეგძინა იქ გატარებულმა წლებმა?**

— იქ გატარებულმა წლებმა ცხოვრებაში სწორი გზა მაპოვნინა. ახლა უნდა ვისწავლო. ქუჩაში მანამდეც არ ვყოფილვარ, უბრალოდ, სწავლაზე მეტად, სპორტს მივდევდი — ფეხბურთს ვთამაშობდი. ციხეშიც მოდიოდა მწვრთნელი და გვავარჯიშებდა. ახლა მთლიანად სწავლაზე გადავერთე. რომ გამოვედი, პირდაპირ უნივერსიტეტში მივედი, რეგისტრაცია რომ გამევლო: დრო არ ითმენდა — მეორე დღეს ვადა იწურებოდა. მერე კახეთში წავედი. გაოგნებული ვიყავი — სახლში ყველა ახლობელი დამხვდა, მილოცავდა... სიხარულისგან ვერ ვლაპარაკობდი...

**— ჯგუფელები როგორ შეგხვდნენ?**

— ბევრს ვფიქრობდი იმაზეც — ყოფილ პატიმარს უნივერსიტეტში ჯგუფელები რა თვალით შემომხედავდნენ... საბედნიეროდ, ყველაფერმა კარგად ჩაიარა, ჩვეულებრივად მიმიღეს. ზოგმა იცის, პატიმარი რომ ვიყავი; ყველას არ ვეუბნები — რა საჭიროა?!. ვცდილობ, ის წლები მეც დავივიწყო. ყველაზე მძიმე პერიოდი გამოვიარე.



**— მერაბ, როგორც ვიცი, სასულიერო აკადემიაში გინდოდა ჩაბარება; რატომ გადაიფიქრე?**

— მართლაც მინდოდა ჩაბარება, მაგრამ დროში ვერ ჩავეტიე: ციხიდან გვიან გავთავისუფლდი და საბუთების შეტანა დამაგვიანდა. მაგრამ ვიმეცადინებ და მომავალ წელს იქაც აუცილებლად ჩავაბარებ, ამ სურვილს ავისრულებ, მით უმეტეს, კათოლიკოს-პატრიარქისგან კურთხევა მაქვს მიღებული. რამდენიმე პატიმარი ცოტა ხნით ადრე, მის უწმინდესობასთან ვიყავით; მაშინ მოახსენა მოძღვარმა ჩემი სურვილი და პატრიარქმაც კურთხევა მომცა. უწმინდესთან შეხვედრის დღე ყველაზე მნიშვნელოვანია ჩემს ცხოვრებაში. დაგვლოცა... ვერ გადმოგცემთ, ეს რა ემოცია იყო; თავი სამოთხეში მეგონა, სულიერად დავმშვიდდი... ჯვრები გვაჩუქა, სუფრასთანაც მიგვიწვია, კოლონიის ბავშვებთან ფული და ტკბილეული გაგვატანა...

***რატი დარბაიძე*** *ახალციხის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტზე სწავლობს. რატიც 16 წლის იყო, როცა ყაჩაღობის მუხლით დააკავეს. საპატიმროში წელიწად-ნახევარი გაატარა; 3 წელი და ერთი თვე ჰქონდა მოსახდელი, როცა შეიწყალეს. რატი ამჟამად ახალციხეშია, ამიტომ მას ტელეფონით ვესაუბრე.*

**— რატი, პირველ რიგში, გათავისუფლებასა და სტუდენტობას გილოცავთ!**

— გმადლობთ. ძალიან გახარებული ვიყავი, როცა ციხის კედლები დავტოვე, — ამის აღწერა შეუძლებელია. ყველაფერს სხვა თვალით შევხედე... გამოცდების ჩაბარების შემდეგ ლოდინი მოგვიხდა; არ ვიცოდით, რა იქნებოდა; სიმართლე გითხრათ, ბოლოს იმედიც გადაწურული მქონდა. თავიდანვე გადავწყვიტე, მესწავლა და შანსი არ გამეშვა ხელიდან. სწავლისთვის ყველანაირი პირობა გვქონდა — გვყავდა პედაგოგები, გვქონდა საჭირო ლიტერატურა... გამიმართლა — სტუდენტი გავხდი, შემიწყალეს და სწავლას შევუდექი.

**— ჯგუფელები როგორ შეგხვდნენ?**

— ჯგუფელებმა იციან, რომ ციხეში ვიყავი, მაგრამ ცუდი თვალით არავინ მიყურებს. ახლა მთლიანად ჩართული ვარ ლექციებში და ბევრი მეცადინეობა მიწევს. ძალიან მძიმე იყო დაკავების პერიოდი, მერე შევეჩვიე გარემოს... გარეთ გამოსულიც, პირველ დღეს შოკში ვიყავი, არ ვიცოდი, რა გამეკეთებინა... ციხესთან მშობლები დამხვდნენ... ოთხი ბიჭი დარჩა იქ... გამოსვლის დროს ისინი არ მინახავს. ვფიქრობ, მათ უსამართლოდ მოექცნენ. ალბათ სწორი იქნებოდა, ისინიც გამოეშვათ. მათაც ხომ ყველაფერი გააკეთეს — ბევრი იმეცადინეს და სტუდენტები გახდნენ... ■



# წრფელი გულით გაკეთებული საჩუქარი და ბავშვთა სახლის გახარებული აღსაზრდელები



**ქართველი ბაიკერები წყნეთის ბავშვთა სახლის ბინადართ ესტუმრნენ და ერთი ლამაზი დღე უსახსოვრეს. ვახო შენგელია და გოგიტა ადუაშვილი დიდი ხნის განმავლობაში გეგმავდნენ პატარების მონახულებას. შეკრიბეს მოხალისე მეგობრები, შეაგროვეს თანხა და საჩუქრებითა და ტკბილეულით ხელდამშვენებულებმა ერთი „მარშრუტკა" გაავსეს.**

ელენე ბასილიძე

*კვირადღეს რესპუბლიკის მოედანზე ოცდაათამდე ბაიკერმა მოიყარა თავი. გამვლელები ინტერესს ვერ ფარავდნენ — ამდენი მოტომოყვარული თუ იქნებოდა ქალაქში, ვერც წარმოვიდგენდითო, — ამბობდნენ... დათქმულ დროს ყველა ბაიკერი ადგილზე იყო. მიუხედავად იმისა, რომ მოტოციკლით მგზავრობა მერჩივნა, კეთილგონიერება გამოვიჩინე, ჟურნალისტებისთვის განკუთვნილ მანქანაში მოვთავსდი და მსვლელობაც დაიწყო. თავდაპირველად ჩვენს მანქანას რუსთაველის გამზირზე ბაიკერების ესკორტი მიაცილებდა. მერე სიჩქარეს უმატეს და ჩემი მცდელობა — მათთვის მანქანის ფანჯრიდან ფოტოები გადამეღო — ჩაიფუშა. მოტომოყვარულები ჭავჭავაძის გამზირზე ლამის სინათლის სიჩქარით მიქროდნენ, მანქანებს ოსტატურად გვერდს უქცევდნენ და მათ ისე ჩამოვრჩით, ფოტოკამერით მხოლოდ ბაიკერების ნახვით აღფრთოვანებული გამვლელების სახეებსღა ვაფიქსირებდი.*

*წყნეთში, ბავშვთა სახლის ჭიშკრის გაღება და პატარების შემოგებება ერთი იყო. ისინი ბაიკერებს მოუთმენლად ელოდნენ და ჟრიამულით შემოეხვივნენ ფერად-ფერად მოტოციკლებს. საჩუქრებსა და ტკბილეულზე მეტად, მოტოციკლების ნახვა გაუხარდათ. ერთი სული ჰქონდათ, მათზე აბობღებულიყვნენ...*

*საჩუქრების დარიგების შემდეგ, ბაიკერებმა პატარები მოტოციკლებზე შემოისვეს და წყნეთის ქუჩებში გაასეირნეს. ამ ბავშვების გაცისკროვნებული სახეები კიდევ დიდხანს არ ამოვა ჩვენი გონებიდანო, — ამბობდნენ მათზე არანაკლებ გახარებული ბაიკერები. როცა პატარებმა მოტოციკლებით სეირნობით გული იჯერეს, მათი შთაბეჭდილებების ჩაწერა მოვახერხე.*



ანა ხელაია

**გიორგი დარბაისელი,** *8 წლის:*

— ნახე, რამხელა სათამაშო მომიტანეს (*დიდ ფუმფულა კურდღელს მიჩვენებს. — ავტ.*)!.. როცა მოტოციკლზე დავჯექი, თავიდან ძალიან შემეშინდა, მაგრამ მერე გავთამამდი (*ღიმის*). დიდი რომ გავიზრდები, დიდ


(მარცხნიდან) გოგიტა ადუაშვილი და ვახტანგ შენგელია

შავ მოტოს ვიყიდი — ისეთს, რომელსაც 2 სავარძელი ექნება და ყველას, ვისაც მოესურვება, გავასეირნებ ხოლმე. თან ჩემს შეყვარებულსაც ვატარებ აქეთ-იქით. არ მინდა, ეს ბაიკერები წავიდნენ, მათთან ერთად კარგად გავერთობოდით (*იღიმის*).

**ანა ხელაია,** *14 წლის:*

— ამდენი ბაიკერი ერთად არასოდეს მინახავს. თქვენ არ იცით, როგორ გაგვიხარდა, როცა გავიგეთ, ჩვენთან უნდა მოსულიყვნენ! მთელი კვირაა, რაც მათ ველოდებით. თავს ძალიან მხნედ ვგრძნობ. როცა ვსეირნობდით, ხალხი თვალს ვერ გვაშორებდა (*იცინის*). დარწმუნებული ვარ, მათაც უნდოდათ ჩვენს ადგილზე ყოფნა.

— **შევიტყვე, რომ ძალიან სპორტული გოგონა ხარ...**

— კი, სპორტი ძალიან მიყვარს და დღეიდან მოტოსპორტის მოყვარულიც გავხდები. მე ვახოს მოტოციკლზე ვიჯექი. ვახო ძალიან მხიარული და საყვარელი ადამიანია... მინდა, ხშირად მოგვინახულონ და გაგვამხიარულონ. მათი სტუმრობა ყოველთვის გაგვახარებს. მინდა, ჩვენი გახარებისთვის მადლობა გადავუხადო და წარმატებები ვუსურვო.


ბავშვთა სახლის დირექტორი მაგდა კოტრიკაძე

**მაგდა კოტრიკაძე,** *ბავშვთა სახლის დირექტორი:*

— როცა გავიგეთ, რომ ბიჭები ჩამოსვლას აპირებდნენ, ძალიან გამიხარდა. დღეს განსაკუთრებული დღეა, რომელიც პატარებს არასოდეს დაავიწყდებათ. ჩვენთან უამრავი აქცია ტარდება. მოდიან თბილისიდან, მოინახულებენ და ასაჩუქრებენ ხოლმე. მაგრამ დღევანდელი დღე სრულიად განსხვავებული იყო, მეტი ადრენალინი, სიხარული და განსაკუთრებული გრძნობა ახლდა. ძალიან სასიამოვნოა იმის განცდა, რომ ადამიანები მოვალეობის მოხდის მიზნით კი არ აკეთებენ რამეს, არამედ წრფელი გულით ცდილობენ გაახარონ ბავშვები.

— **დღეს თვის საუკეთესო მოსწავლე და სპორტული მოზარდი გამოავლინეთ, რომელთაც საზეიმოდ გადაეცით საჩუქრები...**

— კი. ბაიკერებთან საუბრისას გადავწყვიტეთ, რომ ორი განსაკუთრებით ყოჩაღი და აქტიური ბავშვი გამოგვევლინა. მსგავსი წამახალისებელი ღონისძიებები პატარებს საკუთარ მომავალზე დააფიქრებს — დაინახავენ, რომ თუ კარგად ისწავლიან და თავს გამოიჩენენ, ეს მათი წარმატების საწინდარი იქნება. მათ იციან, რომ თუ კარგად მოიქცევიან, ისწავლიან და ბევრ წიგნს წაიკითხავენ, ბიჭები კვლავაც ჩამოვლენ და მათთან ერთად ისეირნებენ... წუხელ თითქმის მთელი ღამე არ ეძინათ. მთელი კვირის განმავლობაში მეკითხებოდნენ, — მალე მოვა კვირადღეო? (*იცინის*). ნატრობდნენ, რომ დღეს კარგი ამინდი ყოფილიყო...

**ვახტანგ შენგელია,** *საიტის — mymoto.ge — ერთ-ერთი დამფუძნებელი:*

— დიდი ხნის განმავლობაში ვგეგმავდით, რომ წყნეთის ბავშვთა სახლის აღსაზრდელებისთვის საქველმოქმედო აქცია მოგვეწყო. გადავწყვიტეთ, რომ ეს ერთჯერადი აქცია არ იქნება. პატარებს ხშირად ვესტუმრებით და გავამხიარულებთ. გვინდა, არა მხოლოდ წყნეთის ბავშვთა სახლი, არამედ საქართველოს ყველა ბავშვთა სახლი მოვიაროთ.

— **როგორ მოახერხეთ 30 ბაიკერის შეკრება?**

— სხვათა შორის, დიდი წვალება და ხვეწნა არ დაგვჭირვებია. როგორც კი დავწერეთ საიტზე, რომ აქციის ჩატარებას ვაპირებდით, ბაიკერები მაშინვე გამოგვეხმაურნენ. თითოეულმა მათგანმა გარკვეული თანხა გაიღო, რომ მცირე საჩუქარი და ტკბილეული გვეყიდა. პატარებთან ერთად დღეს ისე გავერთეთ და გავიხარეთ, დარწმუნებული ვარ, მომავალში, აქციაში მონაწილე ბაიკერების რიცხვი გაიზრდება და ბავშვთა სახლს გაცილებით მეტნი ვეწვევით (*იღიმის*).


პატარებს ხშირად ვესტუმრებით და გავამხიარულებთ

— **როგორც შევიტყვე, საუკეთესო მოსწავლეებსა და სპორტის მოყვარულ ბავშვებს შესაძლებლო-**



**ბა მიეცემათ, თქვენთან ერთად იმოგზაურონ კიდეც...**

— მართალია, ხუთი ყველაზე წარჩინებული და დამჯერი ბავშვი ჩვენთან ერთად სამდღიან ტურში, ზღვაზე ან მთაში წამოვა... რაც მთავარია, ჩვენი დაპირება მათ სტიმულს მისცემს, გაცილებით უკეთესები იყვნენ.

— **უახლოეს მომავალში კიდევ რა ღონისძიებას გეგმავთ?**

— წელს ბათუმში „ბაიკ ფესტივალი“ ჩავატარეთ, სადაც უამრავი ქართველი, თურქი, სომეხი და უკრაინელი ბაიკერი მონაწილეობდა. გაისად უფრო მასშტაბურ ფესტივალს ჩავატარებთ და დაახლოებით 1000-1500 მოტომრბოლელს ვუმასპინძლებთ საქართველოში (*იღიმის*). ოქტომბრის ბოლოს კი გორში, სეზონის დახურვისადმი მიძღვნილ ფესტივალს ჩავატარებთ, სადაც საქართველოს ყველა კუთხის წარმომადგენელი ბაიკერი მიიღებს მონაწილეობას (*იღიმის*).

**გოგიტა ადუაშვილი,** *საიტის ერთ-ერთი დამფუძნებელი:*

— მოტომოყვარულები ყოველდღე, საღამოობით ვიკრიბებით და მთელი დღის განმავლობაში დაგროვილ დაღლილობას სეირნობით ვიხსნით. ერთ დღესაც გადავწყვიტეთ, მივსულიყავით წყნეთის ბავშვთა სახლში და პატარები გაგვეხალისებინა. როგორც ჩემთვის იყო ბავშვობაში მოტოციკლი საოცნებო ტრანსპორტი, დარწმუნებული ვიყავი, ამ ბავშვებსაც ეყვარებოდათ და მართალიც აღმოვჩნდი. კარგი იქნება, თუ მეტი ბაიკერი მიიღებს მონაწილეობას მსგავს აქციაში. მე ძალიან ვისიამოვნე დღეს და ალბათ პატარებიც კმაყოფილები იყვნენ. მათ სახეებს ვერასოდეს დავივიწყებ, ისეთი ბედნიერი თვალებით შემოგვცქეროდნენ!.. იმ გრძნობას, რომელიც დღეს განვიცადე, რომელიმე შეჯიბრებაზე პირველი ადგილის დაკავების დროს განცდილ სიხარულს შევადარებდი (*იღიმის*).

— **შეეცადეთ, რამდენიმე სიტყვით მომიყვეთ, როგორია ბაიკერის ცხოვრება...**

— ჩვენს თავს ბაიკერებს ვერ ვუწოდებთ, უფრო — მოტომოყვარულები ვართ. მე ექიმი გახლავართ, ზოგი — ბანკის თანამშრომელია, ზოგი — ბუღალტერი, ზოგსაც საკუთარი ბიზნესი აქვს, ხოლო ყველას მოტოციკლის სიყვარული გვაერთიანებს. ჩვენს კლუბში გაწევრებულ თითქმის ყველა ბაიკერს მეუღლე და შვილები ჰყავს. ხშირად გვირეკავენ სამოდელო სააგენტოებიდან და მოდელებთან ერთად ფოტოების გადაღებას გვთხოვენ... ხოლო როცა ჩვენი მეუღლეები ხან ტელევიზიით და ხანაც ფოტოებით ამ კადრებს ნახულობენ, ცუდ დღეში ვცვივდებით (*იცინის*)...

*მას შემდეგ, რაც თბილისში ჩამოსულებმა ბაიკერებთან ინტერვიუ ჩავწერე და რედაქციაში წამოსვლა გადავწყვიტე, აღმოჩნდა, რომ მანამდე არ მომცემდნენ წამოსვლის უფლებას, სანამ მათთან ერთად მოტოციკლით არ ვისეირნებდი. ასე რომ, კეთილმა ბაიკერებმა ბავშვობის ოცნება მეც ამისრულეს და ბოლოს, ესკორტით რედაქციამდეც მომაცილეს.* ■
















# მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების მუდმივმოქმედი აქცია გრძელდება



„ავერსი" გისურვებთ ჯანმრთელობას და [illegible]!

WWW.AVERSI.GE

# სიყვარული სხვადასხვა ასაკში და დაუვიწყარი პირველი მეუღლე

## „ამ თემაზე თქვენთან საუბარს არ ვაპირებ...“

**სიყვარული ისეთი ამოუწურავი თემაა, ამ საკითხზე საუბარი ალბათ არც ერთ ადამიანს არ ჰბეზრდება, თუმცა, ასე თუ ისე, გამონაკლისებიც არსებობს. გადავწყვიტე, საზოგადოებისთვის ცნობილ ადამიანებს საკუთარ გრძნობებსა და დაუვიწყარ სიყვარულზე გავსაუბრებოდი. ჯაბა კილაძეს რომ დავუკავშირდი და ჩვენი საუბრის თემა ვამცნე, ბევრი იცინა, — რა დროს სიყვარულიაო?! — მითხრა, მაგრამ მერე, შეკითხვებზე მაინც მიპასუხა...**

*ნათია ჟივიძე*



**— თუ იცით, რა არის სიყვარული და როგორი ხდები ადამიანი, როცა შეყვარებული ხარ?**

**ჯაბა კილაძე,** *მსახიობი:*

— გადასარევი!..

**— რაში გამოიხატება შენი „გადასარევობა“?**

— უფრო მხიარული ვარ, რომანტიკული, თბილი და ყურადღებიანი. საერთოდ, ეს ძალზე პირადული თემაა და ამაზე საჯაროდ საუბარი არ მსურს.

**ნინო ჩხეიძე,** *მომღერალი:*

— როცა შეყვარებული ვარ, ისეთივე ვხდები, როგორიც ყველა სხვა ადამიანი: თბილი, ხალისიანი, საქმიანი... მინდა, ბევრი რამ მოვასწრო და უამრავი კარგი საქმე გავაკეთო. ისე კი „სიყვარულია“ — ქმარი, შვილი, მეგობარი...

**თამთა გოგუაძე,** *მომღერალი:*

— ეს ისეთი გრძნობაა, რომელიც ყველა ადამიანმა უნდა გამოცადოს. როცა შეყვარებული ვარ, თავს კარგად ვგრძნობ. ბედნიერი ვარ და თვალები მიბრწყინავს.

**— ახლა არ გიბრწყინავს თვალები?**

— როგორ არა, მაგრამ ამჟამად ეს ჩემი შვილის — ლუკას დამსახურებაა. წელს პირველად წავიდა სკოლაში და ამით ძალიან ბედნიერი ვარ.

**ნოდიკო ტატიშვილი,** *მომღერალი:*

— სიყვარული რა არის, ნამდვილად არ ვიცი — უბრალოდ, ის ვიცი, რას ვგრძნობ, როცა შეყვარებული ვარ.

**— მაინც რას გრძნობ?**

— მონატრებას, სითბოს. ამ დროს აბსოლუტურად განსხვავებული ადამიანი ვხდები. როცა ვხედავ იმ ადამიანს, ვინც მიყვარს, თავს ბედნიერად ვგრძნობ და რომც არ ვხედავდე, თუ ვიცი, რომ სადღაც საყვარელი ადამიანი მყავს, ეს ძალზე მახარებს. სიყვარულს ასე, სიტყვებით ვერ გადმოვცემ, ეს რაღაც განსაკუთრებული და აბსტრაქტულია.

**— ძალზე გამოცდილი ადამიანივით საუბრობ.**

— იმიტომ, რომ მყვარებია და კარგად ვიცი, ეს რაც არის.

**თიკო სადუნიშვილი,** *ტელეწამყვანი:*

— ბოლო პერიოდში შეყვარებული ნამდვილად არ ვყოფილვარ...

**— აღარ გახსოვს, როგორი იყავი შეყვარებულობის დროს?**

— (*იცინის*). როგორ არ მახსოვს?! ახლა ამ საკითხზე წუწუნს ნამდვილად არ ვაპირებ. ვერ გეტყვი, — რა დროს ჩემი სიყვარულია-მეთქი?! — უბრალოდ, ახლა სიყვარულისთვის არ მცალია, რადგან, როცა შეყვარებული ვარ, საქმეს ჩემი ყურადღების 50%-ს ვუთმობ და ერთ ამდენს — სიყვარულს. შესაბამისად, ორივე ერთად, „ხარისხიანად“ არ გამოდის. ახლა კი უამრავი საქმე მაქვს და ნამდვილად არ მინდა, რომ ამ დროს ვინმე შემიყვარდეს და ყურადღება გამეფანტოს. საერთოდ კი, დიზაინერები ამბობენ, — როცა ქალი შეყვარებულია, ის დანარჩენებისგან გამოირჩევა: კარგად აცვია, ლამაზად გამოიყურება, თვალები უბრწყინავსო...





**— შენ ყოველთვის კარგად გაცვია და კარგადაც გამოიყურები...**

— (*იცინის*) წარმოიდგინე, ახლა რომ ასეთი ვარ, შეყვარებული როგორი ვიქნები. ჰოლივუდიდან შემეხმიანებიან, — მანდ რა გინდა ასეთ ლამაზ ქალს, ჩვენთან ჩამოდიო!..

**— ეთანხმებით თუ არა გამოთქმას: „სიყვარულსა მალვა უნდა, ვითა ცხენსა ნაპარავსაო“?..**

**ჯაბა კილაძე:**

— ეს იმდენად დიდი გრძნობაა, რომ არანაირ ჩარჩოში არ ჯდება. მგონი, ამით ყველაფერია ნათქვამი.

**ნინო ჩხეიძე:**

— ამ მოსაზრებას არ ვეთანხმები. როცა ადამიანი მიყვარს, არ მესმის, ეს რატომ უნდა დავმალო?! საკუთარ გრძნობებზე ყოველთვის ღიად ვსაუბრობ.

**თამთა გოგუაძე:**

— თავიდან ჯობს, ეს გრძნობა ყველასგან დამალო, რათა რომელიმე მოცლილმა ადამიანმა თქვენს ურთიერთობაში ცხვირი არ ჩაყოს; მერე, როცა ოჯახს შექმნი, რა თქმა უნდა, ამ ამბავს სხვებიც გაიგებენ. თუმცა მგონია, რომ ის მოცლილი ადამიანები არც მაშინ დაიზარებენ სხვის ურთიერთობაში ცხვირის ჩაყოფას.

**— სიყვარულს სიმღერით გამოხატავ?**

— არა, ჩემს გრძნობებს საქციელით გამოვხატავ. მგონია, რომ ცარიელი სიტყვები საჭირო არ არის; მთავარია, საყვარელმა ადამიანმა თავისი გრძნობები საკუთარი საქციელით გამოხატოს.

**— როცა გეუბნებიან სიტყვას — „მიყვარხარ“, ამას შენთვის მნიშვნელობა არა აქვს?**

— როგორ არა?! „მიყვარხარ“ — საყვარელმა ადამიანმა უნდა მითხრას; მაგრამ დამერწმუნე, რომ სიტყვებს ზოგჯერ ფასი ეკარგება.

რუბრიკის გაგრძელება იხ. გვ. 91


„კვირის პალიტრის" კოლექცია
„დიდი მხატვრები"
რუბენსი
11-იდან – 18 ოქტომბრამდე
ფასი 15 ლარი

# სახე

# რა შეცვალა კონკურსებმა სოფო ხალვაშის ცხოვრებაში

## „ქეთევანის აღზრდაში ოჯახის ყველა წევრი მეხმარება“

**სოფო ხალვაშის კარიერა ფაქტობრივად, მაყურებლის თვალწინ აეწყო. მას ბედმა გაუღიმა და ბათუმში გაზრდილი გოგონა თბილისში არაერთ სერიოზულ კონკურსსა თუ პროექტში მოხვდა, რამაც მთელი მისი ცხოვრება საუკეთესოსკენ შეცვალა. მალე სოფო განსხვავებულ ამპლუაში, საქსოფონით წარდგება მსმენელის წინაშე.**



*თამთა დადეშელი*

— ძალიან პატარა ვიყავი, როცა სიმღერა დავიწყე. მაშინ სოსო პავლიაშვილის „თენდება“ ძალიან პოპულარული იყო და შუაღამისას რომ დავიწყებდი სიმღერას, მეზობლებს ვაღვიძებდი (*იცინის*). როცა 3 წლის გავხდი, დედამ მუსიკალურ ტექნიკუმთან არსებულ ექსპერიმენტულ სკოლაში მიმიყვანა. ფაქტობრივად, ტექნიკუმის პროგრამას გვასწავლიდნენ, ვიქტორინებიც ტარდებოდა. სოლო მომღერალი არასდროს ვყოფილვარ. სტუდიაში ძირითადად, კლასიკურ მუსიკას გვასწავლიდნენ. საფორტეპიანო ტექნიკუმი მაქვს დამთავრებული და ჩასაბერ ინსტრუმენტ ჰობოიზეც ვუკრავდი. კონცერტები წელიწადში ორჯერ გვქონდა, ვმღეროდით და ვცეკვავდით კიდეც... მოგვიანებით, მე და ჩემმა მეგობრებმა ჯგუფი „თენსი“ ჩამოვაყალიბეთ. ამ ჯგუფს სახელი ჩვენი სახელების ინიციალების მიხედვით — თამუნა თოფურიძე, ანა ქასრაშვილი, ნინო ადეიშვილი და მე — დავარქვით. მაშინ სიმღერებს ანა გვიწერდა და სხვათა შორის, დღემდე მიწერს. იმ პერიოდში ბათუმში ბავშვთა ოპერა არსებობდა და ჩვენ გასაქანს არ გვაძლევდნენ, მხოლოდ არამასშტაბურ კონცერტებში ვმონაწილეობდით და ამის გამო გული გვწყდებოდა. სხვათა შორის, გოგონებს ორკესტრიც გვქონდა. სასწავლებელში ყველა ჩვენგანი 2-2 ინსტრუმენტს სწავლობდა და ვხატავდით კიდეც. ყველაფერს თამაშით გვასწავლიდნენ, იქ მისვლა ჩემთვის დიდი დღესასწაული იყო. ერთხელ ჩემმა პედაგოგმა, ხათუნა მანაგაძემ გაიხსენა: ერთ ზამთარს, დიდთოვლობის გამო, ყველა დაწესებულება მცირე დროით დაიკეტა. როცა დავბრუნდით, პატარა ნაფეხურები ვნახეთო — ჩვენ ვიყავით მისულები (*იცინის*). თბილისშიც ბევრ საფორტეპიანო კონკურსზე გამოვსულვარ. 2003 წელს მე და ნინომ დუეტების საერთაშორისო საფორტეპიანო კონკურსზე მეორე ადგილი დავიკავეთ.

— **როგორ მოხვდით „ნუცას სკოლაში“?**

— „ნუცას სკოლა“ პირველი სატელევიზიო კონკურსი იყო, სადაც ანუშკამ (ქასრაშვილი) ისე გაგზავნა ჩემი მონაცემები, რომ ჩემთვის არაფერი უთქვამს და როცა დამირეკეს, ძალიან გამიკვირდა. 2004 წელს მოგეხსენებათ, ბათუმში რთული სიტუაცია იყო და ძლივს ჩამოვაღწიე თბილისამდე, რათა კასტინგზე მივსულიყავი.

— **მართალია, ტელეპროექტები მომღერლების წარმატებას უწყობს ხელს, მაგრამ თქვენს შემთხვევაში, გადამწყვეტი მაინც „იურმალის“, მოგვიანებით კი „ევროვიზიის“ კონკურსში მონაწილეობა იყო...**

— „იურმალაზე“ „ნუცას სკოლელების“ მონაცემები „ტელეიმედმა“ გაგზავნა, მაგრამ პირველ ცდაზე ვერ მოვხვდი. იმ წელს ნინი შერმადინი გავიდა და ძალიან კარგადაც წარდგა. სამაგიეროდ, მეორე ცდაზე გამიმართლა. იმ პერიოდში ძალიან დატვირთული ვიყავით, ყოველდღე, დილიდან საღამომდე რეპეტიციები გვქონდა. სხვათა შორის, ალექსანდრ რევზინი რომ არ ყოფილიყო, ალბათ, ვერაფერს გავხდებოდი, რადგანაც საკუთარ თავში ვიყავი ჩაკეტილი და მან შეძლო ჩემი „გახსნა“. როდესაც კონკურსზე გადიხარ, თუ საკუთარ თავში დარწმუნებული არა ხარ, წარმატებას ვერ მიაღწევ. როცა სცენაზე გავდიოდი, გაქცევა მინდოდა — პირველად გამოვდიოდი ამდენი მსმენელის წინაშე, თანაც ჟიურის იქვე უნდა შევეფასებინე და ამიტომაც ვნერვიულობდი... იურმალიდან დაბრუნებულს საქართველოში აბსოლუტურად სხვა გარემო დამხვდა — ყველა თბილად მხვდებოდა, ჩემს ცხოვრებაში ყოველდღე რაღაც საინტერესო ხდებოდა. რაც შეეხება „ევროვიზიას“, ძალიან მიხარია, ამ კონკუსრზე საქართველოს სახელით პირველად მე რომ გავედი. სხვათა შორის, როცა იქ წავედი, უკვე ორსულად ვიყავი.

— **თქვენს ოჯახზეც ვისაუბროთ...**

— იურმალიდან ჩამოსვლის შემდეგ გავთხოვდი, მერე გოგონა შემე-

ძინა. მოკლედ, ჩემს ცხოვრებაში ყველაფერი უცებ შეიცვალა. ქეთევანი უკვე ორწელიწად-ნახევრისაა. მიშა რუსეთში გავიცანი, მაგრამ იქ ყოფნისას ვერც წარმოვიდგენდი, თუ ჩვენ შორის რაიმე სერიოზული მოხდებოდა. მალე მიშა საქართველოში ჩამოვიდა და ერთ თვეში ჯვარი დავიწერეთ... დანარჩენს ჩემთვის დავიტოვებ. პირადი ცხოვრების აფიშირება არ მიყვარს; არსებობს რაღაცები, რაც გინდა, მხოლოდ შენი იყოს (*იღიმის*).

**— პატარა ქეთევანს თუ აქვს სიმღერის ნიჭი?**

— კი, მღერის. სხვათა შორის, მინორული სიმღერები არ უყვარს, „იავნანაზეც“ კი ტირის, „ბაბილინას“ ვერ უყურებს, ძილისპირულებს ვერ იტანს, რადგან გული უჩუყდება ხოლმე. სამაგიეროდ, მხიარულ სიმღერებზე გიჟდება. სტუდიაში ბევრი DVD გვაქვს და რომ ჩავრთავთ, ზის და უყურებს. ბობი მაკფერენი მოსწონს. ვფიქრობ, გემოვნებიანი მსმენელი გაიზრდება.

**— პატარის აღზრდაში ვინ გეხმარებათ?**

— საქართველოში შოუბიზნესი ისე არ არის განვითარებული, რომ ყოველდღიურად დატვირთულები ვიყოთ. შეიძლება, 1 თვე „გადარბენები“ მქონდეს, მეორე თვეში კი უქმად ვიყო. ამიტომაც, ოჯახისა და საქმიანობის ერთმანეთთან შეთავსება არ მიჭირს... ქეთევანის აღზრდაში ოჯახის ყველა წევრი მეხმარება. მეუბნებიან, — შენი საქმე აკეთე და სხვა არაფერზე იდარდოო, მაგრამ მე არ მიყვარს, როცა შვილს სხვა მიზრდის, ამიტომ, როგორც კი დროს ვიხელთებ, სახლში მივდივარ. სხვათა შორის, ძიძაც მყავს.

**— ერთგულ მსმენელს რაიმე სიურპრიზს ხომ არ უმზადებთ?**

— ამჟამად ჩემს სტუდიაში ვმუშაობ, სადაც ჭაბუკა ამირანაშვილის ერთი სიმღერა ჩავწერე. ეს არის ჯაზის სტილში გაკეთებული კომპოზიცია, ოღონდ — „ლაითი“ და მხიარული. ბავშვობიდან მინდოდა, საქსოფონზე დაკვრა მესწავლა და ეს ოცნებაც ავისრულე. ჰოდა, ახალ ნამუშევარში, სიმღერის პარალელურად, საქსოფონზეც ვუკრავ. სხვათა შორის, ამ სიმღერის ქართული ტექსტი დეფის ანუ დავით გოგიბედაშვილს ეკუთვნის, ინგლისური — ირაკლი ბერიძეს.

**— ეი. ამ სიმღერის ორ ვარიანტს აკეთებთ?**

— დიახ და უახლოეს თვეებში ქართულ ვარიანტზე კლიპსაც გადავიღებთ.

**— სხვა ახალ სიმღერაზე თუ მუშაობთ?**

— დიახ, ანუშკას 2-3 სიმღერაზე ვმუშაობ.

**— საზღვარგარეთ თუ გაქვთ მიწვევები?**

— კი, ბოლოს მაგალითად, გერმანიასა და ისრაელში ვიყავი, სადაც სტადიონზე ვიმღერეთ. სხვათა შორის, საქართველოდან ამ კონცერტზე მე, დუეტი „ჯორჯია“, ნინი შერმადინი და ნოდიკო ტატიშვილი ვიყავით მიწვეულები. და კიდევ, თვის ბოლოს შეიძლება, კონცერტი ბათუმშიც გავმართოთ. ■



# განუმეორებელი მოვლენა

MEDALPIA
INGA NIZHARADZE

ადამიანს ყოველთვის უძნელდება დაუჯერებლის დაჯერება. სხვის მონათხრობს ეჭვის თვალით უყურებს ხოლმე, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ეს მონათხრობი მედიცინას ეხება.

ინგა ნიჟარაძის სახელი გაგონილი მქონდა, მაგრამ დიდად არ დავფიქრებულვარ და არც ყურადღება მიმიქცევია, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ არ დამჭირვებია.

კაცი ბჭობდაო, სწორედ ამაზეა ნათქვამი.

ერთხელ მეც დამჭირდა. პირველად სწორედ მაშინ მივედი და თავიდანვე უცნაურ სამყაროში აღმოვჩნდი.

ჯერ მისმა პირდაპირობამ გამაკვირვა, ექიმების მიკიბულ-მოკიბულ საუბარს მიჩვეულს, რომლებიც თავადაც იბნეოდნენ, მეც მაბნევდნენ და გამუდმებით გაკვეთა-გაჭრისკენ ეჭირათ თვალი, ასეთმა დამოკიდებულებამ კიდევ უფრო დამიმძიმა გუნება. მერე მივხვდი, ისევ ჩემთვის და ჩემი ვაჟისთვის კეთდებოდა ეს ყოველივე. ჯობს თავიდანვე იცოდე რა გელის, მაშინ გაჭირვების გადალახვა გაცილებით ადვილი ხდება. მოკლედ, უნდა გვემკურნალა, დროის დაკარგვა აღარ შეიძლებოდა.

სწორედ აქედან დაიწყო სასწაული. ჩემ თვალწინ იძერწებოდა ჩემი შვილის ხერხემალი, ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევდა ინგა წინ და ჩვენც მივყვებოდით როგორც შეგვეძლო. ხარჯავდა უამრავ დროს, კიდევ უფრო მეტ ენერგიას, ამ ენერგიით ჩვენც გვმუხტავდა და იმედს გვიღვივებდა.

ფუჭ იმედს არასოდეს იძლევა. საკუთარ სახელს უფრთხილდება, თუმცა რამდენადაც ვიცი, სხვები ცდილობენ მისი სახელის გამოყენებას და ხშირად აკრძალულ ხერხებსაც კი მიმართავენ. მისთვის საწყენია ასეთი დამოკიდებულება, მაგრამ კაცი, რომ დაფიქრდეს, ბუნებრივია. ინგა ხომ ბრენდია, ბრენდის მითვისებას და გაყალბებას ხომ ყველა ცდილობს.

ერთხელ მაინც მიდით ინგასთან, არა სამკურნალოდ, ისე უბრალოდ, როგორც დადიხართ კარგი ფილმისა თუ სპექტაკლის სანახავად. მერწმუნეთ, არასოდეს დაგავიწყდებათ ეს განუმეორებელი მოვლენა, სახელად ინგა ნიჟარაძე.

თქვენც ადვილად დაიჯერებთ დაუჯერებელს.

გმადლობთ, ინგა.

***ლაშა იმედაშვილი,***
***თბილისის საკრებულოს წევრი***

**ინგა ნიჟარაძის საკონტაქტო ტელეფონებია:** 899 55 68 71; 31 66 58
**ვებ-გვერდი:** www.medalpia.ge

# პირველ პაემანზე ატირებული ეთერ კაკულია და გასტროლებზე გაცვლილი ოჯახი



**ყველაზე „ოპტიმისტურ“ ქალბატონს — მომღერალ ეთერ კაკულიას სურს, მხიარული ოჯახი ჰყავდეს: 6-ოთახიანი ბინა მაქვს და მინდა, ჩემს ვაჟს ექვსივე ოთახში ცოლ-შვილი ჰყავდეს, მე კი როიალთან დავჯდები და ვიმღერებო, — ღიმილით აღნიშნა ქალ-ბატონმა ეთერმა, რომელმაც ცხადია, იხუმრა. მართალია, თავად მეუღლე არ ჰყავს, მაგრამ მიაჩნია, რომ აუცილებელია, ყველა ქალს გვერდით მამაკაცი ჰყავდეს. ამიტომ ქალბა-ტონებს ურჩევს, — გათხოვდითო!..**

*ეთო ყორღანაშვილი*

— ახლახან 5 წლის ბიჭს ვკითხე: შეყვარებული გყავს-მეთქი? მიპასუხა: კი, მარინა ჰქვიაო. საბავშვო ბაღში — შეყვარებული?! დღეს სხვანაირი ბავშვები, სხვანაირი ახალგაზრდები არიან. საპირისპირო სქესის წარმომადგენლების მხრიდან ჩემ მიმართ ინტერესი სკოლაში ვიგრძენი. სხვათა შორის, ძალიან სიმპათიური გოგო ვიყავი. ახლაც ასეთი ვარ, მაგრამ ახალგაზრდობა მაინც სულ სხვაა. ძალიან ლამაზი ფეხები მქონდა — „ლარები“! სკოლაში სწავლის პერიოდიდანვე ძალიან ბევრი თაყვანისმცემელი მყავდა. რომ გითხრა, ვინმე მომწონდა-მეთქი, მოგატყუებ. „გამეტიჩრებული“ გოგო ვიყავი: ჩემს თაყვანისმცემლებს „გამარჯობას“ ვეტყოდი და ამაყად გავივლიდი ხოლმე. არადა, ბუნებით ასეთი არა ვარ — უბრალოდ, მათთან ასეთი იერის მიღება მომწონდა, იცი?

**— ბიჭები თქვენდამი ყურადღებას როგორ გამოხატავდნენ?**

— ჩემი კლასელები — იშვიათად, თაყვანისმცემლები პარალელური კლასებიდან უფრო მყავდნენ. ჩემი კლასის კართან ჩამწკრივდებოდნენ და ცალი თვალით მიყურებდნენ. სკოლის ბუფეტის კატლეტზე ვგიჟდებოდი — ცარიელი პური და მწვანილი იყო! დედაჩემი შინ კატლეტს ხორცით მიკეთებდა, მაგრამ არ ვჭამდი — აი, ისეთი კატლეტი მინდა, სკოლაში რომ აკეთებენ-მეთქი (*იცინის*)! ბუფეტში რომ შევდიოდი, გამყიდველი მომაძახებდა: ეთერ, გადახდილია, გენაცვალეო! მერე ვარკვევდი, კატლეტის ფული ვინ გადამიხადა, მაგრამ ვერ ვიგებდი — არ „კონკრეტდებოდნენ“.

**— კი თქვით, თავი ამაყად მეჭირაო, მაგრამ გულის სიღრმეში არავინ მოგწონდათ?**

— ეტყობა, მოწონების, სიყვარულის გრძნობას ვერ ვაცნობიერებდი.

**— საკლასო ოთახის კართან ჩამწკრივებული ბიჭების გამო, მასწავლებლები შენიშვნას ხომ არ გაძლევდნენ?**

— არა, არა, ძალიან კარგად აღზრდილი მოსწავლეები იყვნენ. ბიძაჩემი სკოლის დირექტორი გახლდათ. ეს ორმეტრიანი კაცი რომ გამოივლიდა, მეც და ჩემი თაყვანისმცემლებიც კედელზე აკრულები ვიყავით — გვეშინოდა. ბიძაჩემი მათ ეტყოდა, — კარგი ბიჭები ხართო, მერე მე მომიბრუნდებოდა, — შენც კარგი გოგო ხარო (*იცინის*)...

**— სერიოზული გრძნობა პირველად როდის გეწვიათ?**

— მაინტერესებს, სკოლის ასაკში ადამიანები სიყვარულის გრძნობას აცნობიერებენ?.. როცა ამბობენ, 15 წლისა გავთხოვდიო, ჭკუაზე არა ვარ ხოლმე, — ამ ასაკში როგორ უნდა გათხოვდე?! მოწონების და სიყვარულის „ამბავი“ უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში გავაცნობიერე. ერთი პიროვნება მართლა ძალიან მომწონდა. ისიც სტუდენტი იყო, ოღონდ — სხვა ფაკულტეტის.



მშობლები ყოველთვის ხელს მიწყობდნენ, რომ გასტროლებზე მევლო



ჩემს თაყვანისმცემლებს „გამარჯობას“ ვეტყოდი და ამაყად გავივლიდი

**— თქვენი ურთიერთობა როგორ აეწყო?**

— რასაკვირველია, არ „დაგვირგვინდა“, მაგრამ კინოში, თეატრში, კონცერტზე ერთად მივდიოდით ხოლმე... თუ უფალს არ უნდა, არაფერი გამოვა. ის ბიჭი ძალიან მომწონდა, მაგრამ ასე მოხდა...

**— მოგწონდათ, მაგრამ არ გიყვარდათ?**

— „მიყვარდა“ იმას ნიშნავს, რომ მინდოდა, ყოველდღე მენახა. შეიძლება ითქვას, ჩემი პირველი სიყვარული იყო. ძალიან სიმპათიური და საყვარელი კაცია. ახლა მას თავისი ოჯახი აქვს, მე — ჩემი. როცა ვხვდები, ორივე ლოყაზე ვკოცნი, რადგან ეს ადამიანი მიყვარდა. ბოლო დროს არ მინახავს...

**— შეგიძლიათ, მასთან პირველი პაემანი გაიხსენოთ?**

— პირველ პაემანზე ცირკში წავედით (*იცინის*). ისე ვიტირე!..

**— რატომ?**

— ძალიან მშიშარა ვარ: აკრობატი ზემოთ რომ ავიდა, ვიფიქრე, — არ ჩამოვარდეს-მეთქი და ცრემლები წამომივიდა. — ნუ ტირი, არ ჩამოვარდებაო, — შეყვარებულმა დამამშვიდა. მაშინ სტუდენტებს მანქანა იშვიათად ჰყავდათ. ამიტომ ტროლეიბუსში ჩავსხედით და ცირკში ისე წავედით (*იცინის*)... სანამ გავთხოვდებოდი, მშობლები ყოველთვის ხელს მიწყობდნენ, რომ გასტროლებზე მევლო. შემდეგ ისეთ კაცს გავყევი ცოლად, რომელსაც ჩემამდე ცოლ-შვილი ჰყავდა. სხვათა შორის, ეს ცუდი რამეა — ცოლშვილიან კაცთან ურთიერთობა არასოდეს არ უნდა გააბა.

**— როგორ გაიცანით ერთმანეთი?**

— ჩვეულებრივად: თბილისში, მეგობრის წვეულებაზე შევხვდით — მთელი ცხოვრება ბანკეტებზე დავდივარ... მის მიმართ თავიდანვე „სხვანაირად“ ვერ განვეწ-




ყე, მაგრამ ეტყობა, მას ჩემი სიყვარული გულში „ჩაუვარდა“. რამდენიმე წლის შემდეგ, ჩვენი ურთიერთობა ოჯახის შექმნით დავაგვირგვინეთ. იმ დროს უკვე ცოლს გაშორებული იყო. მისთვის მეორე ცოლი ვიყავი, ჩემთვის კი — პირველი ქმარი იყო. მერე ჩვენი სიყვარულის ნაყოფი — ჩვენი ვაჟი გაჩნდა, რომელიც ფანატიკურად მიყვარს: ულამაზესი ბავშვი იყო, ხუჭუჭა თმა ჰქონდა, რომელსაც არ ვაჭრიდი. ამის გამო, ყველას გოგო ეგონა. გასტროლებზე რომ მივდიოდი, ვტიროდი, რადგან ბავშვი უნდა დამეტოვებინა. მეუღლე ხელისგულზე მატარებდა. მახსოვს, ერთხელ მოსკოვში გასტროლებზე გამიშვა — 2 დღით მივდიოდი. თვითმფრინავიდან რომ ჩავედი, ჩემი ქმარი ყვავილების დიდი თაიგულით ხელში დავინახე! ასეთ რაღაცებს მიკეთებდა — ამიტომ „დამაბა“ (*იცინის*)!

— **როცა გაიცანით, იცოდით, რომ ოჯახი ჰქონდა?**

— კი, ვიცოდი და შეცდომა დავუშვი. სხვები ასეთ რაღაცებს ყურადღებას არ აქცევენ, მაგრამ მისი პირველი ცოლის გამო, მე ძალიან განვიცდიდი.

— **მეუღლე ასაკით თქვენზე უფროსი იყო?**

— კი, რეზო ჩემზე ბევრად უფროსი იყო.

— **თქვენს ურთიერთობაზე ახლობლებს როგორი რეაქცია ჰქონდათ?**

— ცუდი: მშობლები, ჩემი ძმა ჩვენი ურთიერთობის წინააღმდეგი იყვნენ.

— **მხარში არავინ ამოგიდგათ?**

— არა. შემდეგ მამაჩემი ცოტათი მოლბა, დედაჩემი კი ბოლომდე წინააღმდეგი იყო. ჩემი ძმაც საშინლად უკმაყოფილო იყო. კარგი გოგო გახლდით და საჭირო არ იყო, მაინცდამაინც შვილებიან კაცს გავყოლოდი ცოლად. მე და ჩემმა ქმარმა მართლაც კარგი წლები ერთად გავიარეთ, მაგრამ იცი, რა მოხდა?.. გასტროლებზე ველარ მივდიოდი, რის გამოც ჩემი ქმარი შემძულდა: გასტროლებზე მეუღლე არ მიშვებდა! მთელი თვით შინიდან რომელი ქმარი გაგიშვებს?! მოკლედ, ჩემი ქმარი ისე შემძულდა, რომ დავცილდი! სიმღერამ „გადამძლია“.

— **ასეთი გადაწყვეტილების მიღება არ გაგიჭირდათ?**

— ძალიან გამიჭირდა. სხვათა შორის, საბრალომ ჩვენი ოჯახის დანგრევა ისე განიცადა, რომ მახსოვს — ინფარქტმა დაარტყა. მერე კი გამოჯანმრთელდა, მაგრამ შარშან გარდაიცვალა. ერთმანეთთან ბოლო წუთამდე მეგობრული ურთიერთობა გვქონდა... ქმართან განქორწინება რომ გადავწყვიტე, ვუთხარი: შენ ისევ შენს ცოლ-შვილთან უნდა დაბრუნდე-მეთქი! ყოფილ ცოლ-შვილთან რომ დაბრუნდა, გამიხარდა. 1 კვირაში ციმბირში გასტროლებზე გავემგზავრე — როგორც მერცხალი, ისე „მივფრინავდი“! თავისუფალი, ბედნიერი, ლაღი ვიყავი!..

— **თქვენი ასეთი საქციელი არასოდეს გინანიათ?**

— ჩემს შვილს მამა უყვარდა. ამიტომ მერე ჩემი საქციელი ვინანე — ბიჭს მამა სჭირდება. შერიგებაზე არც მიფიქრია: ბევრი კონცერტი, გასტროლი მქონდა და საქმეზე გადავერთე. როგორც აღვნიშნე, ერთმანეთთან მეგობრული ურთიერთობა შევინარჩუნეთ. მეორედ გათხოვებაზე არასოდეს მიფიქრია. ახლა სამჯერ თხოვდებიან — 3 ქმარი მოდაშია. ცნობადი სახეები თავიანთ მეორე ნახევრებზე მეუბნებიან ხოლმე: ქალბატონო ეთერ, ეს ჩემი მესამე ქმარია, გაიცანით, რაო! 3 ქმარზე ნაკლები არავის აღარ უნდა!

— **ალბათ პირველი იმედგაცრუების გამო აღარ იფიქრეთ გათხოვებაზე, არა?**

— ჩემს შვილსა და ჩემს საქმიანობაზე გადავერთე. მეორედ, მესამედ გათხოვება ვერ წარმომიდგენია, რა ვქნა!.. ჩემს შვილსაც ისე ვუყვარვარ, რომ მასაც ვერ წარმოუდგენია — ერთ დღეს მამინაცვალი მოვუყვანო. ამას ვერც გავაკეთებ. ყველას თავისი ცხოვრება, თავისი შეხედულება აქვს...

— **მეუღლესთან დაშორების შემდეგ არავინ გყვარებიათ?**

— არა, არა!

— **...მაგრამ თაყვანისმცემლები გეყოლებოდათ ალბათ.**

— აბა, რა! იმდენი ლექსი მოუძღვნიათ (*იცინის*)!.. ხელოვან ადამიანს თაყვანისმცემელი ყოველთვის ჰყავს, სხვაგვარად არ შეიძლება.

— **თქვენი ყურადღების მისაქცევად თაყვანისმცემლებს ყველაზე ორიგინალური რა გაუკეთებიათ?**

— ყველაფერი კი არ მახსოვს, რაღაცები მავიწყდება ხოლმე!.. ამასთან დაკავშირებით, ჩემი მეგობრები მოგიყვებოდნენ — ჩემ შესახებ მათ უფრო მეტი იციან... დასაძინებლად რომ ვწვები და ვფიქრობ, მაშინ მახსენდება ხოლმე სასიამოვნო რაღაცები.

— **მაშინ მითხარით — თქვენი სასცენო პარტნიორების, მაგალითად — ნიკო ჯადუგიშვილის მიმართ „სხვანაირი“ გრძნობა არასოდეს გაგჩენიათ?**

— ნიკოს ისეთი საოცარი ხმა ჰქონდა, რომ ერთხელ მასთან დუეტის ჩაწერისას დამავიწყდა, რა უნდა მემღერა — ნიკოს მოსმენაში გავერთე! არაჩვეულებრივი პიროვნებაა, რომელიც ახლა ძალიან ავადაა... რობერტ ბარძიმაშვილთან, ბესო კალანდაძესთანაც მქონდა დუეტები. ვერც კი წარმომიდგენია, რომ მათთვის „სხვა თვალით“ შემეხედა ან მათ — ჩემთვის! მე ასეთი არა ვარ, რა ვქნა?!

— **ყველაფრის თავიდან დაწყება რომ შეგეძლოთ, პირად ცხოვრებასთან დაკავშირებით, რაიმეს შეცვლიდით?**

— საერთოდ, მიმაჩნია, რომ ყველა ქალს გვერდით მეუღლე უნდა ჰყავდეს — ეს აუცილებელია! უცხოელების რა მომწონს, იცი?.. ფულს რომ აგროვებენ და მოხუცებულობაშიც კი მოგზაურობენ. ჩემს ასაკში მეუღლე უნდა მყავდეს.

— **ამას განიცდით?**

— არა, რადგან მე აბსოლუტურად დამოუკიდებელი ქალი ვარ. ჩემი თავი ისეთი მომწონს, როგორიც ვარ: მილიონერი არა ვარ, მაგრამ ყველაფერი მაქვს, რაც მინდა. დღემდე ვმღერი, კონცერტებზე დღემდე მიწვევენ... ჩემს ასაკში ასეთი შემთხვევა იშვიათია. პრინციპში, სულ რაღაც „33“ წლის ვარ ჯერ (*იღიმის*)... ■





# ირინა ონაშვილის წარმატების ფორმულა და ოჯახური იდილია



## რას შეეგუა „მის საქართველო“

**ახლაც თვალწინ მიდგას 2003 წლის ოპერის თეატრის სცენა, რომელზეც საქართველოში პირველად ჩატარდა „მის საქართველოს“ შესარჩევი კონკურსი. დარბაზი სავსე იყო მაყურებლით, მათ შორის, ქართველი ვარსკვლავები ჭარბობდნენ. ყველანი რაღაც ახლის მოლოდინში იყვნენ... კომპეტენტურმა ჟიურიმ, რომლის შემადგენლობაში, როგორც მახსოვს, მაკა ასათიანიც იყო, ლამაზი გოგონა — „მის საქართველო 2003“ გამოავლინა. „მისი“, რომელიც იმ მშვენიერ გოგონებს შორის საუკეთესოდ ცნეს — ირინა ონაშვილი აღმოჩნდა. ირინამ იმთავითვე საყოველთაო მოწონება დაიმსახურა. მისი სილამაზით საზოგადოება მოიხიბლა. ეს ფაქტი ახალგაზრდა მოდელის კარიერაში უდიდესი წარმატება იყო. ის „მის მსოფლიოზეც“ ოცეულში მოხვდა...**

ლალი ფაცია

*მას მერე 8 წელი გავიდა. აღნიშნული კონკურსი ჩვენში კვლავაც ტარდება, მაგრამ ირინა, როგორც პირველი და ყველაზე ლამაზი „მისი“, არავის ავიწყდება... ამჟამად ის დამწყები მოდელების აღზრდით არის დაკავებული — სამოდელო სააგენტოში პატარა გოგონებს საკუთარ გამოცდილებას უზიარებს...*

— **მოდი, გავიხსენოთ, როგორ ვითარდებოდა ყველაფერი. შენს ბავშვობაზე არასდროს გვისაუბრია. როგორი ბავშვი იყავი და სკოლაში როგორ სწავლობდი?**

— ბავშვობაში ძალიან ცელქი გახლდით, ეზოში ჩემი გამოჩენა არავის უხაროდა, რადგანაც ყველას ვაწვალებდი... მიყვარდა არტისტობა, სულ მიკროფონით ხელში დავრბოდი... რაც მთავარია, მიხაროდა, რომ ბავშვი ვიყავი და არ ვნატრობდი იმას, როდის გავიზრდებოდი, ასაკი როდის მომემატებოდა (*იცინის*). ყველა მანებივრებდა და მეფერებოდა, რადგანაც, როგორც მეუბნებიან, — ძალიან ლამაზი, საყვარელი, კონტაქტური და მოსიყვარულე იყავიო. რაც შეეხება სწავლას, შეიძლება ითქვას, რომ კარგად ვსწავლობდი; თან, ისეთ სკოლაში დავდიოდი, შეუძლებელი იყო, იქ არ გესწავლა. ჩვენი სკოლა სწავლების მაღალი ხარისხითა და დისციპლინით გამოირჩეოდა. მაგრამ მახსოვს, რომ ჩემი „მეგობარი“ — სიზარმაცე ხშირად მახსენებდა თავს, რასაც მასწავლებლები მსაყვედურობდნენ.

— **ბავშვობაში რაზე ოცნებობდი?**

— ყოველთვის მომღერლობაზე ვოცნებობდი. პოდიუმი, შეიძლება ითქვას, ჩემს ცხოვრებაში დაუგეგმავად შემოიჭრა: ერთხელ სკოლაში ერთ-ერთი სამოდელო სააგენტოს წარმომადგენლები გვეწვივნენ და თავიანთი სტუდიისთვის შემარჩიეს. მეც გამიხარდა, სიამოვნებით დავთანხმდი, თუმცა მაშინ ამ სფეროს შესახებ ბევრი არაფერი ვიცოდი, რადგან სულ რაღაც 13 წლის ვიყავი.

— **მოდელობის სურვილი რეალურად როდის გაგიჩნდა?**

— როგორც კი დავიწყე სამოდელო საქმიანობა, რასაც მცირე წარმატებაც მოჰყვა (ვგულისხმობ კლიპებსა და სარეკლამო რგოლებსა და ჩვენებებში მონაწილეობას), მაშინვე გამიჩნდა ინტერესი და სურვილი, რომ უფრო მეტისთვის მიმეღწია. მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისში ხდებოდა; შემდეგ, როცა უკვე გავაანალიზე, რომ მოდელობა ჩემი მხოლოდ გატაცება ან ჰობი უნდა ყოფილიყო, უარი ვთქვი მოდის სფეროში მიღებულ სერიოზულ შემოთავაზებებზე; სწავლა ვარჩიე და უმაღლეს სასწავლებელში ჩავაბარე.

— **პირველი სერიოზული წარმატება ამ სფეროში ალბათ „მის საქართველოში“ გამარჯვება იყო, არა?**

— მაგ კონკურსში მონაწილეობა დედაჩემის დაჟინებული თხოვნით გადავწყვიტე. ძალიან უნდოდა, რომ ოდესმე მაინც მიმეღო მონაწილეობა ისეთ კონკურსში, სადაც არ დამჩაგრავდნენ და ობიექტურად შემაფასებდნენ. ჰოდა, ამ იმედით გადავწყვიტე, აღნიშნულ კონკურსზე ჩემი განაცხადი შემეტანა.

— **მერე, ამით შენი ცხოვრების რა მონაკვეთი დაიწყო?**

— ამ დროს, დიდ წარმატებას ჩემში შინაგანი ცვლილებებიც მოჰყვა (ცხოვრების ერთი საფეხურიდან მეორეზე გადავინაცვლე; ამას ჩემმა ასაკმაც შეუწყო ხელი). გამარჯვების შემდეგ ჩემთვის საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობა გართულდა, რადგანაც მგზავრების მზერა ჩემკენ იყო მომართული; ყოველი მეორე ადამიანი ქუჩაში მაჩერებდა და თავის შთაბეჭდილებებს მიზიარებდა იმის შესახებ, თუ როგორი კარგი გოგო ვიყავი. ეს ერთგვარად, სასიამოვნოც იყო, მაგრამ ამავე დროს, დისკომფორტსაც მიქმნიდა... თუმცა თანდათან ყველაფერს შევეჩვიე...

— **ვიცი, რომ სწავლა-განათლებას ბევრ დროსა და ენერგიას ანდომებდი და დღესაც სწავლობ. როგორ ფიქრობ — სწორად აირჩიე პროფესია**



ბავშვობაში ძალიან ცელქი გახლდით

**(იურისტობას ვგულისხმობ)?**

— ვერ ვიტყვი, რომ სწორად ავირჩიე. თუმცა იურისპრუდენციის ცოდნა ნებისმიერ საქმიანობაში მეხმარება და ალბათ მომავალშიც გამომადგება. ამჟამად კავკასიის უნივერსიტეტში, კერძოდ კი მედიასკოლაში მაგისტრატურის კურსს გავდივარ; პიარის სპეციალობას ვეუფლები. მიმაჩნია, რომ საზოგადოებასთან ურთიერთობა ყველაზე მეტად მეადვილება.

**— ცნობილია, რომ ერთ-ერთი ჟურნალის რედაქტორიც იყავი. არადა, პროფესიით ჟურნალისტი არ ხარ; როგორ ფიქრობ — რედაქტორობა მაინცდამაინც შენ რატომ მოგანდეს?**

— მართალია, პროფესიით ჟურნალისტი არა ვარ... ჟურნალი, რომელშიც ვმუშაობდი, აღარ გამოდის და ამიტომ ჩემი რედაქტორობა დასრულდა კიდეც. მაგრამ შესანიშნავად მახსენდება იქ მუშაობის პერიოდი. მგონი, უინტერესო არ უნდა იყოს „გლამურული“ ჟურნალის რედაქტორობა... როდესაც სარედაქციო ჯგუფმა მუშაობა დავიწყეთ, არანაირი გამოცდილება არ მქონდა. როგორც რედაქტორი, ჟურნალის ახალ ნომრებთან ერთად ვიხვეწებოდი, პროფესიონალურად ვიზრდებოდი; სულ მქონდა სტიმული, უკეთ მეკეთებინა საქმე. ამასთან, რედაქტორის სვეტიც სულ უფრო უკეთესი წასაკითხი ხდებოდა (*იღიმება*). ახლაც სიამოვნებით ვიმუშავებდი ისეთი ტიპის ჟურნალში, რადგანაც მასზე მუშაობის პროცესში ბევრი კარგი რამ ვისწავლე.



ადამიანის წარმატებაში მნიშვნელოვან როლს მისი პირადი ცხოვრება თამაშობს

**— როგორც ვიცი, სამოდელო სააგენტო „ფეშენ შარმის“ დირექტორიც ხარ, არა?**

— ჯერჯერობით მხოლოდ ამ სამოდელო სააგენტოში მუშაობით ვარ დაკავებული, დირექტორი გახლავართ (აქვე დავამატებ, რომ ლალი ტოტიკაშვილი ისევ დაგვიბრუნდა და ჩვენს საქმიანობას სრული შემადგენლობით ვაგრძელებთ). გოგონებთან — ჩემს კოლეგებთან ურთიერთობა მართლაც რომ სასიამოვნოა. დამწყებ მოდელებს დაუნანებლად ვუზიარებთ საკუთარ გამოცდილებას და მათ სწორ გზაზე ვაყენებთ...



დამწყებ მოდელებს დაუნანებლად ვუზიარებთ საკუთარ გამოცდილებას

**— მოდელობას თავი რომ დაანებე, არ ნანობ?**

— მართალია, დღეს მოდელი აღარა ვარ, მაგრამ ისევ სამოდელო სფეროში ვმუშაობ. თუმცა, შემოთავაზება რომ მივიღო, რომელიმე სერიოზული კომპანიის სარეკლამო რგოლისთვის ან ფოტოსესიაში მონაწილეობისთვის, სიამოვნებით დავთანხმდები.

**— რა არის შენთვის საქმეში სტიმულის მომცემი და აქვე გვითხარი — როგორია შენი წარმატების ფორმულა?**

— ჩემს ცხოვრებაში წარმატება თავისით მოვიდა, ამისთვის დიდი ძალისხმევა არ დამჭირვებია. ამჟამად კი, საქმეში წარმატების მისაღწევად, სტიმულისმომცემი — ჩემი მეუღლეა. თუკი ადრე მიმაჩნდა, რომ წარმატებული კარიერისთვის სულაც არ იყო საჭირო, გქონოდა წარმატებული პირადი ცხოვრება, ახლა მივხვდი, რომ თავს ვიტყუებდი. ადამიანის წარმატებაში მნიშვნელოვან როლს მისი პირადი ცხოვრება თამაშობს.

**— მეუღლეს — ბატონ ლადო ვარძელაშვილს (სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა მინისტრი) შენს სამსახურებრივ პრობლემებზე თუ ესაუბრები?**

— ის ყოველთვის ინტერესდება ჩემი საქმიანობით. შესაბამისად, მეც ყოველთვის ვეკითხები რჩევას და ისიც მარიგებს, რაც ძალზე სასიამოვნოა. თავადაც სულ მთხოვს, რომ ვკითხო ხოლმე, როგორ მიდის მისი საქმიანობა და აზრიც გავუზიარო. ჩვენ-ჩვენი შეხედულებების ურთიერთგაზიარება ჩემთვის ძალიან საინტერესო პროცესია. ზოგჯერ იმდენი ხანი გვისაუბრია, რომ თავზე როგორ დაგვთენებია, ვერც კი გაგვიგია.

**— მისგან რაიმე აკრძალვები ხომ არ გაქვს?**

— არავითარი. აკრძალვები რომ მქონდეს, ასეთი ტიპის ცხოვრებას ვერ შევეგუებოდი. ის იმდენად კარგად მიცნობს, რომ დარწმუნებული ვარ, არც დასჭირდება, მსგავსი რამ ჩემ მიმართ გამოიჩინოს.

**— ახალგაზრდა წარმატებული ადამიანები (ამ შემთხვევაში, თქვენ — შენ და შენი მეუღლე), თავისუფალ დროს როგორ ერთობიან და ისვენებენ?**

— თავისუფალი დრო... ამ ფრაზაზე ცოტა გამეცინა (*იღიმება*): ლადოს თითქმის არასდროს აქვს თავისუფალი დრო... საღამოს, როდესაც ის სამსახურიდან შინ ბრუნდება, ძირითადად, დასვენება ურჩევნია. ამიტომ, ვირჩევთ ისეთ გარემოს, სადაც ის დაისვენებს; ხან მეგობრებთან ერთად ურჩევნია ყოფნა, ხანაც — ოჯახურ გარემოში...

**— წლევანდელი ცხელი ზაფხული როგორ გაატარეთ?**

— წლევანდელი ზაფხული დასვენების მხრივ, ვერ დავგეგმეთ, რადგანაც ლადო ახალ სამსახურს (*მხარის გუბერნატორობის შემდეგ, ის მინისტრი გახდა. — ავტ.*) ახალი ძალებით შეეჭიდა. მაგრამ როდესაც სამსახურებრივ საქმეზე ქვეყნის ფარგლებს გარეთ გასვლა უწევს, შეძლებისდაგვარად, მეც თან მივყვები. ახლახან ძიუდოს მსოფლიოს ჩემპიონატზე, ტოკიოში ვიყავით წასული.

**— ის, რომ მეუღლეს დატვირთული სამუშაო გრაფიკი აქვს და ხშირად არა აქვს თავისუფალი დრო, ძნელი შესაგუებელი ხომ არ არის შენთვის?**

— კი, ცოტა ძნელია. ამიტომ ხანდახან ვაპროტესტებ კიდეც, მაგრამ არაფერი გამომდის, ამიტომ ვცდილობ, შევეგუო (*იღიმება*).

**— სამომავლოდ რა გეგმები გაქვს?**

— ბევრი გეგმა მაქვს. თუმცა არ მიმაჩნია სწორად, მათზე ნაადრევად ვისაუბრო. მგონი, ყველაფერზე ისედაც ვრცლად ვილაპარაკე. ■

# შარლიზ ტერონს მახინჯების თამაში უყვარს



შარლიზის შესახებ ცუდს არავინ არაფერს ამბობს — მის სამსახიობო ხელოვნებას მუდამ აქებენ, აქტიურ საქველმოქმედო საქმიანობაში „წყალქვეშა დინებებს“ არავის ეძებს... აბა, ვის შეუძლია მასზე აუგის თქმა მაშინ, როდესაც ქალბატონებსაც კი იდეალად მიაჩნიათ!

შარლიზ ტერონი ჭეშმარიტი ქალია: სახის დახვეწილი ნაკვთები, პროფესიონალი ბალერინის სხეული, უზადო ყოფაქცევა და შეულახავი რეპუტაცია... ეს ქალბატონი ჭურჭელსაც კი „მესამე საბალეტო პოზიციაში“ მდგომი რეცხავს. მის შესახებ ვერავინ იტყვის — ფატალური ქალიაო, თუმცა მის ცხოვრებაში „ბოროტმა ბედისწერამ“ დიდი როლი ითამაშა.

უღრუბლო ბავშვობა ნამდვილად არ ჰქონდა. შარლიზი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში, იოჰანესბურგის მახლობლად მდებარე პატარა ქალაქ ბენონის სირაქლემების ფერმაში გაიზარდა. 2 წლის იყო, როდესაც დახრჩობას ბეწვზე გადაურჩა, 9 წლის ასაკში უკვე ტრაქტორს მართავდა, 13 წლისა, მამის ალკოჰოლიზმის გამო, ინტერნატში აღმოჩნდა, ხოლო 15 წლის ასაკში იმის მომსწრე გახდა, რომ დედამ, თავდაცვის მიზნით, იარაღიდან გასროლით, მამა სიცოცხლეს გამოასალმა. შარლიზი 16 წლის იყო, როდესაც ხაზი გადაუსვა საბალეტო კარიერას, რომელსაც 12 წელი მიუძღვნა. ანგელოზისსახიანი, ჯოჯოხეთური წარსულის მქონე 19 წლის გოგონა ლოს-ანჯელესში ძალზე მცირე თანხით ჩავიდა.

ბანკში ფულის გამოსატანად მისულ შარლიზს პერსონალთან უთანხმოება მოუვიდა, რომლის დროსაც აგენტ ჯონ კროსბის ყურადღება მიიპყრო. მალე მოდელი გახდა, 20 წლისამ კი სტივენ კინგის რომანის მიხედვით გადაღებულ ფილმში — „სიმინდის შვილები“ პირველი ეპიზოდური როლი ითამაშა. ორიოდე წელიწადში შარლიზ ტერონმა მის ბიოგრაფიაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა. სურათში — „ეშმაკის ადვოკატი“ პატივმოყვარე იურისტის მეუღლის სახე შექმნა. სწორედ ამ ფილმის გადაღებების დროს გააგიჟა ალ პაჩინოს საკრამენტულმა ფრაზამ — პატივმოყვარეობა ჩემი ყველაზე საყვარელი ცოდვააო, — რასაც შარლიზს ვერავინ დააბრალებს.

მას უინტერესო საეკრანო სახე არასდროს შეუქმნია: ფილმში — „ასტრონავტის ცოლი“ მისი გმირი ერთგული და ძლიერი ქალია; სურათში — „მძლავრი ჯო იანგი“ — ამაღელვებელი და მგრძნობიარე ქალი; „მეღვინეთა წესებში“ — მომხიბვლელი და მარტოსული, „ტკბილ ნოემბერში“ — ნაზი და შეშლილი, სურათში — „თავი ღრუბლებში“ — თავქარიანი და საბედისწერო, მაგრამ კინოაკადემიკოსებს ზოგჯერ სწორედ ის მოსწონთ, რაც ყველაზე უარესია... ნიკოლ კიდმანის შემთხვევაშიც ხომ სწორედ ასე მოხდა: მსახიობმა სანუკვარი მოოქროვილი ქანდაკება მხოლოდ მას შემდეგ მიიღო, რაც გენიალური, მაგრამ ნაკლებად მიმზიდველი მწერალი ქალის — ვირჯინია ვულფის სახე შექმნა. შარლიზს სხვადასხვა ინტერვიუში არაერთხელ უთქვამს, რომ მაყურებელს მისი გარეგნული სილამაზე სამსახიობო ნიჭის შეფასებაში ხელს უშლის. 2004 წელს მსახიობი ჭეშმარიტად ლამაზი ადამიანებისთვის დამახასიათებელ „თვითგანადგურებაზე“ წავიდა — ფილმში „მონსტრი“ მკვლელ მეძავად გარდაისახა და როლის შესაქმნელად, 13,5 კილოგრამი მოიმატა წონაში. გრიმის სქელი ფენის ქვეშ ისევ ანგელოზი იმალებოდა, რომლის დანახვას „მონსტრის“ თითოეული მაყურებელი ამაოდ ცდილობდა. სამაგიეროდ, კინოაკადემიკოსები კმაყოფილნი დარჩნენ. სხვათა შორის, 2012 წელს ნიკოლ კიდმანსა და შარლიზ ტერონს ფილმ-



ისთვის — „დანიელი ქალი“ — გარეგნობის დამახინჯება კიდევ ერთხელ მოუწევთ. კიდმანი ამ სურათში ტრანსსექსუალს განასახიერებს, შარლის ტერონი კი — მის შეყვარებულს. მსახიობის თაყვანისმცემლებმა შესაძლოა, კიდევ ერთ შოკს ველარ გაუძლონ და მეორედ მოსვლა სანატრელი გაუხდეთ...

შარლის ტერონის მომავალ როლებს შორის, ნაკლებად ამბიციური პროექტებიც მოიძებნება. 2003 წელს გადაღებული ფილმის სიკველში — „ძარცვა იტალიურად 2“ — შარლიზი კიდევ ერთხელ ითამაშებს მარკ უოლბერგთან










და ჯეისონ სტეტჰემთან ერთად; მონაწილეობას მიიღებს ფილმში — „შეშლილი მაქსი IV“, რომლის წინა სამმა ნაწილმა მელ გიბსონს სახელი და დიდება მოუტანა. მართალია, ამ ფილმების პრემიერამდე საკმაო დრო რჩება, მაგრამ შარლიზი ჩრდილში არ დარჩება.

ცოტა ხნის წინ მაყურებელმა საყვარელი მსახიობი ჯგუფის — The Killers — წევრ ბრენდონ ფლაუერსის კლიპში მორიგ უჩვეულო ამპლუაში იხილა. მისი პერსონაჟი ლარა კროფტისა და უმა თურმანის გმირს („მოკალი ბილი“) ერთდროულად გვაგონებს. სამურაის ხმლით შეიარაღებული, ტუჩებზე სისხლშემხმარი შარლიზი შეყვარებულს მრავალი გასაჭირიდან გამოიხსნის. ბრენდონ ფლაუერსისთვის ეს პირველი სოლო ვიდეოა, 14 სექტემბერს კი მისი სოლო ალბომი — ლამინგო გამოვიდა. ბრენდონ ფლაუერსს აშკარად გაუმართლა — ამ საქმეში შარლიზ ტერონის მხარდაჭერა მუსიკალური ოლიმპის ღმერთების კურთხევაზე მეტად ფასობს.

შარლიზი აქტიურ საქველმოქმედო საქმიანობას ეწევა. საკუთარი ფონდის — Africa Outreach Project გარდა, რომელიც სამხრეთაფრიკელ ახალგაზრდებს ეხმარება, სალმა ჰაიეკთან ერთად, მაროკოელი ქალების დახმარებას ცდილობს, შონ პენთან ერთად, სექსუალურ უმცირესობათა უფლებებს იცავს, იბრძვის აბორტის აკრძალვის წინააღმდეგ, კუნძულ ჰაიტის მოსახლეობის დასახმარებლად ტელემარათონში მონაწილეობს და ეს ჩამონათვალი სრული არ არის. შარლიზ ტერონი საქველმოქმედო აქტიურობით ჯოლი-პიტის, ბონოსა და ოპრა უინფრის მოღვაწეობასაც კი აჭარბებს. სკანდალურ ახალ ამბებში შარლიზის სახელი არასდროს მოხვდება. პაპარაცებს მსახიობი საცვლების გარეშე არასდროს გამოუჭერიათ, ფილმის რეკლამისა და ტაბლოიდებში მოხვედრის მიზნით რომანს არავისთან გააჩაღებს, პირადი ცხოვრების აფიშირებას თავს არიდებს, სასტუმროების ნომრებს არ არბევს და რაიმე დამოკიდებულებისგან განკურნება არ სჭირდება. მსახიობ სტიუარტ ტაუნდსენთან ცხრაწლიან ურთიერთობას არ მალავს, 2010 წლის იანვარში მათი დაშორების მიზეზის შესახებ კი დღემდე არაფერს ამბობს. შარლიზი იმდენად იდეალური ქალია, რომ ავტომობილის მართვის დროს ჭარბი სიჩქარითაც კი არასდროს უვლია.

ნუთუ სამხრეთაფრიკულ მზეს ლაქები არა აქვს?!. — იკითხავს მავანი. იქნებ ეს ფაქტი გამოდგეს: ერთხელ დაინახეს, კიანუ რივზს რომ კოცნიდა, მაგრამ არავინ იცის, რომანი აქვთ თუ უბრალოდ, კოცნის თვითმხილველნი მეგობრების ემოციური გამომშვიდობების მომსწრენი გახდნენ. ეს პიარი ნამდვილად არ იყო, მაგრამ რა იყო სინამდვილეში?..

შარლიზი ამაყი და ზოგჯერ „იკბინება“. მაგალითად, ფეხბურთის 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის კენჭისყრაზე, საფრანგეთის ბურთულა ამოიღო, ხმამაღლა წარმოთქვა — „ირლანდია“ და ამით საფრანგეთის ნაკრების უპატიოსნო თამაშზე მიანიშნა, რომლის შედეგადაც, ირლანდიელები ფინალური ტურნირის მიღმა დარჩნენ... ფიფას მესვეურები ჰოლივუდის ვარსკვლავის ამ გამოხდომას არ ელოდნენ და აღნიშნული ეპიზოდი ეთერში არ გაუშვეს...

შარლიზი გულახდილად ამბობს, რომ მოთმინების უნარი არა აქვს; არ მალავს, რომ მარტოობის, უხეშობისა და სიბერის შიში აქვს; არც იმას მალავს, რომ ფიცხი ხასიათი აქვს... მაგრამ აბა, დავფიქრდეთ — რა მოხდებოდა, 19 წლის შარლიზს ბანკში სკანდალი რომ არ აეტეხა და ის აგენტ ჯონ კროსბის არ შეენიშნა?.. ასე რომ, სკანდალი, სულ მცირე დოზით, სასარგებლოც კია!..

■



# რა ღირს ლინდსი ლოხანის თავისუფლება



სექტემბრის დამლევს ციხის საკანში გამომწყვდეულმა კინოვარსკვლავმა ლინდსი ლოხანმა პატიმრობის მეორე დღეს გირაოდ 300 ათასი დოლარი გადაიხადა და ციხე დატოვა. საგულისხმოა, რომ მსახიობს თავისუფლება ყოველ ჯერზე 100 ათასი დოლარით მეტი უჯდება. სკანდალებით სახელგანთქმული ვარსკვლავის რიგით მესამე პატიმრობა პირობითი სასჯელის რეჟიმის დარღვევას უკავშირდება. მან 2007 წელს ნასვამ მდგომარეობაში ავტომობილის მართვის გამო მისჯილი 4-წლიანი პირობითი პატიმრობის პერიოდში ვერაფრით დაიოკა სურვილები: ბოლო ხანებამდე, ასე თუ ისე, წესიერად იქცეოდა, მაგრამ გაზაფხულიდან მოყოლებული, სასამართლოს მიერ დაწესებულ პირობებს მუდმივად არღვევდა, ალკოჰოლზე დამოკიდებულ პირთა მეცადინეობებს არ ესწრებოდა, სისხლში ალკოჰოლის შემცველობის დონის განმსაზღვრელ ტესტებს დროულად არ იტარებდა... მორიგი გამოხდომის შემდეგ, ლინდსის ფეხზე სპეციალური სამაჯურის ტარება დაეკისრა, რომელსაც მის სისხლში ალკოჰოლის შემცველობა უნდა გაეკონტროლებინა, მაგრამ ეს საშუალებაც არ აღმოჩნდა საკმარისი და მსახიობი MTV Movie Awards-ის წვეულებაზე „ჩავარდა“. მისი სამაჯური ამოქმედდა, რაც იმის ნიშანი იყო, რომ ლინდსიმ სასამართლოს გადაწყვეტილება არად ჩააგდო და სასმელი მიირთვა. 21 სექტემბერს, მას შემდგომ, რაც ნარკოტიკებსა და ალკოჰოლზე ჩატარებულმა ტესტმა დადებითი შედეგი უჩვენა, კალიფორნიის სასამართლომ ლინდსი ლოხანის დაპატიმრების ახალი ორდერი გასცა.

მსახიობს გაუმართლა — კალიფორნიის შტატი, სადაც ეს დრამატული მოვლენები განვითარდა, ძალზე ლმობიერი კანონებით გამოირჩევა, რომელიც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის მსგავსი დანაშაულის შემთხვევაში, სასამართლოს ბრალდებულის გირაოთი გათავისუფლებას ავალდებულებს, ოღონდ თითოეული ახალი დანაშაულის შემთხვევაში, გირაო 100 ათასი დოლარით იზრდება. ასე რომ, 2010 წლის ივნისში ლინდსიმ 200 ათასი გადაიხადა, ამჯერად კი თავისუფლების მოპოვება უკვე 300 ათასი დოლარი დაუჯდა. ციხიდან გამოსული იძულებულია, კვლავ ანტიალკოჰოლური სამაჯური ატაროს, მაგრამ საეჭვოა, რომ თავზე ხელაღებული ვარსკვლავი ამან შეაჩეროს, რადგან როგორც ჩანს, წინა პატიმრობებმა და იძულებითმა მკურნალობამ სასურველი შედეგი არ გამოიღო... ლინდსი ვალდებულია, 22 ოქტომბერს სასამართლოში კვლავ გამოცხადდეს, სადაც მისი მომავალი ბედის შესახებ იმსჯელებენ.

■

*რუბრიკა მოამზადა*
***ნატო მანჯავიძემ***

# შვილის მკვლელი დედები

## არასასიამოვნო ორსულობა და საყვარლის გამო განწირული პატარები

**შვილისთვის თავგანწირული ბევრი დედის შესახებ გვსმენია. მაგალითისთვის, „ოთარაანთ ქვრივის“ გახსენებაც კმარა, მაგრამ ალბათ, თითოეულ თქვენგანს ბევრი ისეთი ამბავიც გაუგონია, როდესაც ამა თუ იმ მიზეზის გამო, დედა საკუთარ შვილს თავიდან იშორებს და კლავს.**

*მარი ჯაფარიძე*




### არასასურველი პატარები

2010 წლის გაზაფხულზე ნიდერლანდებში, ფრისლანდიის პროვინციაში მცხოვრები 30 წლის ქალი 3 შვილის მკვლელობის გამო დააპატიმრეს. მას შვილების ცხედრები სხვენზე, ჩემოდნებში ჰქონდა შენახული. პოლიციის ვარაუდით, ბავშვები 2002-2010 წლებშია დახოცილი. სამართალდამცავებმა დამნაშავე, მეზობლის საჩივრის საფუძველზე დააკავეს, რომელმაც განაცხადა, რომ ქალი რამდენჯერმე იყო ფეხმძიმედ, ბავშვები კი შინ არ მოუყვანია. დაკავებული თავდაპირველად ამბობდა, რომ ჩვილები გააშვილა, მაგრამ გამომძიებელს ამის დამადასტურებელი საბუთები ვერ წარმოუდგინა. ბოლოს გამოტყდა, რომ შვილები სხვენში „ჰყავდა“. ჩხრეკისას პოლიციელებმა 3 ჩემოდანი აღმოაჩინეს, რომლებშიც ბავშვების გვამები იყო შენახული... დამნაშავემ არ დაასახელა მიზეზი, რის გამოც საკუთარი შვილები სიცოცხლეს გამოასალმა.

2010 წლის ზაფხულში საინფორმაციო საშუალებებმა გაავრცელეს ინფორმაცია ფრანგი ცოლ-ქმრის — დომინიკ და მარტინ კოტრეს საცხოვრებელი სახლის ეზოში აღმოჩენილი 8 ჩვილის ცხედრის შესახებ. ცხედრები სახლის ახალმა მეპატრონეებმა შემთხვევით აღმოაჩინეს: მათ ეზოში აუზის გაკეთება გადაწყვიტეს, რისთვისაც მუშები დაიქირავეს და ორმოს ამოთხრას შეუდგნენ. 2 ბავშვის ჩონჩხს სწორედ მუშები გადააწყდნენ. დიასახლისმა მაშინვე პოლიცია გამოიძახა. სამართალდამცავებმა სხვადასხვა ხელსაწყოსა და ძაღლის დახმარებით ეზოში კიდევ 6 ბავშვის ჩონჩხს მიაგნეს. დედამ დანაშაული აღიარა და განაცხადა, რომ ბავშვებს დაბადებისთანავე ახრჩობდა, შემდეგ ეზოში მარხავდა და ამ ყველაფერს ქმრისგან მალულად სჩადიოდა. აღმოჩნდა, რომ ქმარს მეუღლის ორსულობის შესახებაც არაფერი სცოდნია. დედა შვილების მკვლელობის მიზეზს არ ასახელებს.

მიმდინარე წელს, ასევე საფრანგეთში, 15-წლიანი პატიმრობა შეუფარდეს 38 წლის ქალს, რომელმაც 6 პირმშო გამოასალმა სიცოცხლეს, მათი გვამები კი ცელოფნის ტომრებით, სარდაფში ჰქონდა გადამალული. 2009 წელს კი კვლავ ფრანგი, ვერონიკა კურჟო 3 შვილის მკვლელობის გამო გაასამართლეს. მას 2 შვილის გვამი მაცივრის საყინულეში ჰქონდა გადამალული და დაკითხვის დროს აღიარა, რომ მესამე შვილიც მოკლა, მისი გვამი კი დაწვა. „შვილები არ მჭირდებოდა, რადგან არ მინდოდა იმ ქალებს დავმსგავსებოდი, რომლებსაც საკუთარი თავის მისახედავად დრო არა აქვთ და გამუდმებით ტირიან, ბუზღუნებენ“, — განაცხადა მან სასამართლო პროცესზე.

რამდენიმე მაგალითის მოყვანა ქართული სინამდვილიდანაც შეიძლება. როგორც ფსიქოლოგი **თამარ იოსელიანი** ამბობს, — დედების მხოლოდ მცირე ნაწილს აქვს შეგნებული, რომ როდესაც აბორტს იკეთებს, ცოცხალ არსებას კლავს. „ქალებს, რომელთაც ერთი ან რამდენიმე შვილი ჰყავთ და აბორტს იკეთებენ, ავიწყდებათ, რომ სასურველ შვილებს ლამის ჩასახვის დღიდანვე ეფერებოდნენ და წამოზრდილ მუცელს სიყვარულით დასცქეროდნენ... არასასურველს კი სასიკვდილოდ უყოყმანოდ იმეტებენ. წლების შემდგომ ბევრი დედა აცნობიერებს, რომ აბორტი საკუთარი შვილის მკვლელობაა და ამის გამო დეპრესიაში ვარდება, ამ საშინელი ცოდვის მონანიებას ცდილობს“.

### „ცოდვის ნაყოფი“

არც ისე იშვიათად ვრცელდება ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ნაგვის ბუნკერში, სკვერსა თუ სხვა ადგილებში გარდაცვლილი ჩვილის სხეული იპოვეს. ხშირად, ეს ბავშვი მალული სიყვარულის ნაყოფია, რომელსაც დედა თავიდან იშორებს...

**თამარ იოსელიანი:**

— მამაკაცისგან მიტოვებული ზოგიერთი ქალი (მას დედას ვერ დავარქმევთ), იმის გამო, რომ უკანონო შვი-

ლის გაჩენით საკუთარ სახელს ჩირქი არ მოსცხოს ან შემდგომში გათხოვებაში ხელი არ შეეშალოს, საკუთარ პირმშოს სიცოცხლეს უსწრაფებს და სასიკვდილოდ იმეტებს. 9 თვე მუცლით ატარებს, ამქვეყნად მოვლენილს კი ცელოფნის პარკში დებს და სანაგვეში აგდებს. ნუთუ ამაზე მეტი სისასტიკე გსმენიათ? მე თუ მკითხავთ, ასეთი ქალები სამუდამო პატიმრობით უნდა დაისაჯონ, რათა გამუდმებით საკუთარ საქციელზე ფიქრობდნენ.

სხვათა შორის, ერთ-ერთ ასეთ დედასთან საუბრის საშუალება მომეცა. როდესაც ის ჩემთან მოიყვანეს, მეორე შვილზე იყო ფეხმძიმედ. დას შეუნიშნავს, რომ ორსული დეპრესიაში გახლდათ და რადგან მისი წარსულის შესახებ კარგად უწყოდა, შეშინებულს გადაუწყვეტია, ფსიქოლოგთან მიეყვანა, რათა იგივე არ განმეორებულიყო.

— **თუ პაციენტის უფლებებს არ დაარღვევთ, იქნებ ამ ქალის შესახებ მიამბოთ...**

— საქმე ის გახლავთ, რომ ქალი გათხოვილი იყო და 3 წლის განმავლობაში შვილი არ შესძენია. შემდეგ ქმარი უცხოეთში გაემგზავრა, თვითონ კი სხვა მამაკაცთან გააბა რომანი. როდესაც საყვარლისგან დაფეხმძიმდა, შეშფოთდა და აბორტის გაკეთება გადაწყვიტა, მაგრამ საყვარელმა სთხოვა, — ბავშვი არ მოეშორებინა მანამ, ვიდრე სქესის დადგენა იქნებოდა შესაძლებელი და თუ ბიჭი აღმოჩნდებოდა, გაეჩინა და მისთვის მიეცა. თურმე, მას 4 გოგონა ჰყავდა და ბიჭი უნდოდა, ცოლს კი ბოლო მშობიარობის შემდეგ პრობლემები შეჰქმნია და შვილის გაჩენა აღარ შეეძლო. ქალი დათანხმდა. მაშინ ორსულობის ადრეულ პერიოდში ჩანასახის სქესის დადგენას ვერ ახერხებდნენ. როდესაც გაიგეს, რომ ნაყოფი გოგონა იყო და მამაკაცმა აბორტის გაკეთება მოსთხოვა, უკვე გვიანი აღმოჩნდა და აბორტის გაკეთებაზე არც ერთი ექიმი არ დათანხმდა. ქალი იძულებული გახდა, ბავშვი დაეტოვებინა, რასაც ძალიან განიცდიდა, რადგან ეს ამბავი ქმრის ყურამდე რომ მისულიყო, მამაკაცი მიატოვებდა და უსახსროდ დარჩებოდა, ეს კი მისთვის სიკვდილის ტოლფასი იქნებოდა, რადგან უმუშევარი იყო, უცხოეთში წასული ქმრის წყალობით კი საკმაოდ ხელგაშლილად ცხოვრობდა. სხვა გზა რომ არ იყო, ბავშვის გაჩენა და გაშვილება გადაწყვიტა, მაგრამ ამ ყველაფერს ისიც დაერთო, რომ ქმარმა შეატყობინა, — რამდენიმე თვით ჩამოსვლას ვაპირებო. მისი ჩამოსვლის დრო სწორედ მშობიარობის პერიოდს ემთხვეოდა. ქალი საგონებელში ჩავარდა. ამ გასაჭირისას მისთვის ვიღაცას მშობიარობის დამაჩქარებელი საშუალება უსწავლებია და ამ ხერხით ბავშვის გაჩენა ვადაზე 3 კვირით ადრე მოახერხა. თურმე, სრულიად მარტომ, ღამის 3 საათზე იმშობიარა. მაშინვე უბანავია, ჩაუცვამს და ჯერ კიდევ ცოცხალი, მაგრამ სიკვდილის პირას მყოფი ბავშვი (ნაადრევი მშობიარობის გამო პატარას ექიმის დახმარება ესაჭიროებოდა) ცელოფანში ჩადო; რადგან თვითონაც სუსტად იყო და შორს წასვლა არ შეეძლო, სახლთან ახლოს, სკვერში დაუტოვებია. იმ დღეს საშინლად ციოდა. ბავშვი სუსტად ჩხაოდა. გამთენიისას ჩვილისთვის ძაღლს მიუგნია, რომელსაც პატრონი სკვერში ასეირნებდა. მამაკაცმა განგაში ატეხა და პოლიცია გამოიძახა. ქალს რამდენიმე ხნის შემდეგ მიაგნეს, დააპატიმრეს და 11 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. რაღა თქმა უნდა, ქმარმა მიატოვა. არ მახსოვს, სასჯელი ბოლომდე მოიხადა თუ ვადაზე ადრე გაათავისუფლეს, მაგრამ ციხიდან გამოსული მეორედ გათხოვდა. ბუნებრივია, ქმარმა მისი წარსულის შესახებ არაფერი იცოდა. ორსულობის დროს ქალს საშინელი დეპრესია დაეწყო, ისტერიკული ნევროზი ჩამოუყალიბდა, რის გამოც, ჩემი ფსიქოსეანსები უშედეგო იქნებოდა და ფსიქიატრთან გავგზავნე. ამის შემდეგ მისი ბედით არ დავინტერესებულვარ და ვერ გეტყვით, რა მოხდა მის ცხოვრებაში.

— **შემთხვევით ის ხომ არ იცით, რა ბედი ეწია სასიკვდილოდ განწირულ პატარას?**

— მის შესახებ დედამ არაფერი იცოდა. სავარაუდოდ, ალბათ მკურნალობის კურსს ჩაუტარებდნენ და ბავშვთა სახლში მიიყვანდნენ, საიდანაც რომელიმე ღვთისნიერი ოჯახი იშვილებდა და იმედი მაქვს, რომ დღეს ის გოგონა ბედნიერია. ახლა დაახლოებით, 14-15 წლის უნდა იყოს.



## „სხვა კაცს“ შეწირული შვილები

„ექვმიტანილი მარიკა გ. ცნობილ იქნას დამნაშავედ და შეეფარდოს 14 წლით თავისუფლების აღკვეთა“, — მოსამართლის ამ სიტყვებზე პატიმარს თვალებში სხივი ჩაუდგა. ის ფიქრობდა, რომ სასჯელის უმაღლეს ზომას — სიკვდილს მიუსჯიდნენ. თვალები დარბაზში მყოფთ მოავლო და ნაცნობ სახეს რომ ვერ წააწყდა, ეწყინა. მამაკაცი, რომლის თვალებსაც დარბაზში ეძებდა, რატომღაც ყველაზე ადრე წასულიყო. ბადრაგმა ქალი ვიწრო დერეფნით გაიყვანა და მანქანაში ჩასვა. გზაში საბადრაგო ავტომობილზე თავდასხმა მოხდა, მაგრამ პატიმარმა გაქცევა ვერ მოახერხა. მარიკა მიხვდა, რომ მის დახსნას გოგიტა ცდილობდა. ახლა მხოლოდ ის აღელვებდა, მისი საყვარელი მამაკაცი ცოცხალი გადარჩა თუ ბადრაგის მიერ ნასროლმა ტყვიამ იმსხვერპლა. გაქცევის მცდელობის გამო ის მკაცრი რეჟიმის კოლონიაში გადაიყვანეს და უფანჯრებო საკანში, საიმედოდ გამოკეტეს.

**რა მოხდა 2 წლით ადრე:**

მარიკა ქმარს 4 წლის გაშორებული იყო, როდესაც კრიმინალური წარსულის მქონე გოგიტა გაიცნო და მალე საყვარლებიც გახდნენ. მამაკაცმა ის თავის ბინძურ საქმეებში ჩაითრია და ქალს მოპარული ნივთების გასასაღებლად იყენებდა. ისინი თითქმის არადროს ჩხუბობდნენ, ერთმანეთი უყვარდათ და ბინძურ საქმესაც ერთად აკეთებდნენ. მამაკაცი თვალდახუჭული ენდობოდა ქალს და ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ თუ დასჭირდებოდა, მარიკა მის გამო სიცოცხლესაც გაიღებდა. ერთადერთი, რის გამოც ქალს გული სწყდებოდა, ის იყო, რომ მამაკაცი მის შვილებს არ სწყალობდა, ბავშვებს ვერ იტანდა. ჰოდა, ამიტომაც, ხშირად შვილები სოფელში, დედასთან მიჰყავდა... სიტუაცია განსაკუთრებულად მაშინ დაიძაბა, როდესაც მარიკას დედა ავად გახდა, ლოგინად ჩავარდა და ბავშვების მოვლა ველარ შეძლო, რის გამოც ქალი იძულებული გახდა, შვილები თავისთან წამოეყვანა. იმის გამო, რომ ბიჭები მასთან ცხოვრობდნენ, გოგიტასთან ურთიერთობა გაცივდა და რადგანაც მათ გამო საყვარელ მამაკაცს კარგავდა, დედამ შვილები შეიძულა. მას გამუდმებით ახსენდებოდა საყვარლის მიერ ნათქვამი: შვილები რომ არ გყავდეს, ცოლად მოგიყვანდიო. გადაწყვიტა, ბიჭები ბავშვთა სახლში ჩაებარებინა, მაგრამ გოგიტამ ამაზე უარი უთხრა: ეგ იმას არ ნიშნავს, რომ შვილები აღარ გეყოლება, უბრალოდ, ისინი სხვაგან იცხოვრებენ, როგორც აქამდე, როდესაც დედაშენთან იყვნენო. სწორედ მაშინ გაიფიქრა მარიკამ, რომ თუ შვილებს დახოცავდა, მაშინ ხელს აღარაფერი შეუშლიდა და საყვარელ მამაკაცზე იქორწინებდა... გაზაფხული იყო. დილით ბავშვები ადრე გააღვიძა, — ტყეში წავიდეთ, სოკო დავკრიფოთო. ბიჭებმა იწუწუნეს, მაგრამ ქალი არ მოეშვა და იძულებული გახდნენ, დედის ნებას დაჰყოლოდნენ. ქალმა 4 წლის ლუკა და 6



წლის თორნიკე ქალაქგარეთ, ტყეში წაიყვანა, სადაც ჯერ უმცროსი, ლუკა მიიმწყვდია ბუჩქებში და საკუთარი შარფით მოახრჩო, შემდეგ უფროსის ჯერი დადგა და ისიც გულგრილად გაგუდა. შვილების უსიცოცხლო სხეულები იქვე, თხრილში ჩაყარა, თავად კი შინ დაბრუნდა. 2 საათის შემდეგ პოლიციას დაურეკა და ბავშვების გაუჩინარების ამბავი შეატყობინა. ბიჭებს ვერსად მიაგნეს. მხოლოდ 3 თვის შემდეგ, თხრილში ჩაყრილი ბავშვების გვამები აღმოაჩინეს და დედას მათ ამოსაცნობად უხმეს... პოლიცია კარგა ხნის მანძილზე იძიებდა საქმეს და მხოლოდ 1 წლის შემდეგ დაადგინა, რომ ბავშვები საკუთარმა დედამ გამოასალმა სიცოცხლეს...

გოგიტას ბოლო წუთამდე არ მიუტოვებია საყვარელი ქალი და ციხიდან გამოსულს, ჭიშკართან თავადვე დახვდა... უკვე 3 წელია, რაც მარიკა გათავისუფლდა. ახლა ისინი ცოლ-ქმარი არიან, მაგრამ გოგიტა დაპატიმრებულია — ყაჩაღობისთვის იხდის სასჯელს.

### შურისძიება

4 წლის წინ ქალაქის გარეუბანი შემზარავმა ამბავმა შეძრა: 24 წლის ეკამ საკუთარი პირმშო — 3 წლის დათუნა მოკლა და თავიც მოიკლა.

ამ შემთხვევამდე 1 წლით ადრე ეკა ქმარს გასცილდა, რადგან მამაკაცი ცოლს ცუდად ექცეოდა, უმიზეზოდ სცემდა და ღალატობდა კიდეც. ვინაიდან ცოლ-ქმარს შორის კონფლიქტი ხშირად ხდებოდა, დედამ ეკას ურჩია, ოჯახიდან წამოსულიყო, მაგრამ მამაკაცი ამის წინააღმდეგი გახლდათ, რადგან შვილი უზომოდ უყვარდა და მის გარეშე ცხოვრება არ სურდა. თავიდან ცოლ-ქმარმა მოილაპარაკა, როცა ბავშვი მოისურვებდა, მამა მას მაშინ ნახავდა, მაგრამ შემდეგ, კაცს ბავშვთან ურთიერთობა საერთოდ აუკრძალეს. გაბრაზებულმა მამამ რამდენჯერმე შვილი ეზოდან ისე წაიყვანა, რომ ცოლყოფილს არ შეატყობინა და ეკას ემუქრებოდა, — შვილს აღარ დაგიბრუნებო, მაგრამ ამ მუქარას ვერ ასრულებდა — ყოფილი მეუღლე ეცოდებოდა და რამდენიმე დღის შემდეგ დათუნას უკან აბრუნებდა. ერთ დღეს კი ყოფილმა ცოლ-ქმარმა ქუჩაში იჩხუბა, მამაკაცმა ქალს ხელი დაარტყა. ეკამ შეურაცხყოფა ვერ აპატია და განაწყენებულმა, ქმარზე შურისძიება განიზრახა. გადაწყვიტა, მისთვის სწორედ იქ „დაერტყა“, სადაც ყველაზე მეტად ეტკინებოდა. ისარგებლა შემთხვევით და შინ მარტო მყოფმა ბავშვი აბანავა, თვითონაც მოწესრიგდა, წერილი დაწერა და ოთახში, გამოსაჩენ ადგილზე დადო, შემდეგ ნახევრად მძინარე ბავშვს მთელი მუჭი საძილე აბები დაალევინა, თავად გაცილებით დიდი დოზა მიიღო, შვილს გვერდით მიუწვა, ჩაეხუტა და თვალები დახუჭა. რამდენიმე საათის შემდეგ, შინ დაბრუნებულმა ეკას დედამ ჩახუტებული შვილისა და შვილიშვილის გვამები აღმოაჩინა. წერილი, რომელიც ეკამ დაწერა, ასეთი შინაარსის გახლდათ (*სტილი დაცულია*):

„სიცოცხლე უაზრობად გადაიქცა... მინდა გავამწარო ის ადამიანი, ვინც მე სიცოცხლე გამიმწარა. მას ყველაზე საყვარელ ადამიანს მოვუკლავ და რადგან ის ჩემთვისაც ყველაზე საყვარელი არსებაა, აღარც მე მინდა მის გარეშე ცხოვრება. მე და ჩემი შვილი სამოთხეში წავალთ. ამქვეყნიურ ჯოჯოხეთში კი იმან იწამოს, ვინც ამ ზომამდე მიმიყვანა. ყველას გემშვიდობებით“.

**თამარ იოსელიანი:**

— თქვენ მიერ აღწერილი შემთხვევები დამთრგუნველია. პირველი შემთხვევა ანუ საყვარლის გამო შვილების დახოცვა აშკარად, გადახრილი ფსიქიკის შედეგია. ეს ფსიქიატრის საქმე უფრო გახლავთ და დარწმუნებული ვარ, თუ ქალი ფსიქიატრიულ ექსპერტიზას ჩაიტარებს, მას შეურაცხადად ცნობენ. თუმცა შესაძლოა, საზოგადოებასთან ურთიერთობისას ის არავითარ ანომალიას არ ამჟღავნებდეს... მეორე შემთხვევაში კი ფსიქოლოგის ჩარევა ნამდვილად გამოიღებდა შედეგს. შესაძლოა, შემთხვევით ხმაურს, კარზე კაკუნს ან ტელეფონის ზარსაც კი დაეფრთხო ეკა და ეს საშინელება აღარ ჩაედინა. არც ისაა გამორიცხული, რომ ეკაც ფსიქიკური აშლილობის ზღვარზე იყო და შესაძლოა, შიზოფრენიის ნიშნებიც ჰქონდა. გასაგებია, რომ ადამიანმა საკუთარი თავი გაიმეტოს, მაგრამ გაუგებარია, როგორ უნდა გაწირო შვილი სასიკვდილოდ მხოლოდ იმიტომ, რომ ყოფილ ქმარზე შურისძიება გსურს? მიჭირს გავცე პასუხი კითხვას, თუ რით აიხსნება თქვენ მიერ მონათხრობ ამბებში შვილების მკვლელი დედების საქციელი.

■

# ლოტკინზე მომხდარი მკვლელობა და შეურაცხყოფილი დაზარალებულები

## „მე არავის გავუუპატიურებივარ...“

_ თეა ხურცილავა

თბილისის საქალაქო სასამართლომ ლოტკინზე მომხდარი გახმაურებული მკვლელობის საქმის განხილვა დაიწყო. შეგახსენებთ, მაშინ გამვლელებმა ავტომანქანაში ახალგაზრდა მამაკაცის გვამი იპოვეს და პოლიცია გამოიძახეს. მალე გაირკვა, რომ მოკლული 34 წლის ზაზა კაკაბაძე იყო და ისიც ითქვა, რომ იგი გაერთიანება „ალიანსი-საქართველოსთვის“ პარტიის აქტივისტი გახლდათ, მაგრამ ამ ფაქტს მოკლულის ოჯახი არ ადასტურებს. ძალოვნებმა სულ მალე ხუთი ეჭვმიტანილი პირი დააკავეს: 17 წლის ტარიელ ალიხანაშვილი, 16 წლის მარიამ მანუკიანი, 20 წლის გიორგი კიკნაძე, 28 წლის ედუარდ ეგიზაროვი და 34 წლის მამუკა მამუჩარაშვილი. მკვლელობის მოტივად შურისძიება დასახელდა. ითქვა, რომ არასრულწლოვანმა ტარიელ ალიხანაშვილმა შეყვარებულის გამო იძია შური. მან შეიტყო, რომ მისი შეყვარებული ვინმე ზაზამ გააუპატიურა და ამ პიროვნების პოვნა განიზრახა. მალე გაიგო, რომ მისი ნაცნობი, არასრულწლოვანი მარიამ მანუკიანი ზაზას იცნობდა და გოგონას დახმარებით მასთან დაკონტაქტება გადაწყვიტა. ის უცნობ პიროვნებას მარიამის ტელეფონიდან მესიჯებს სწერდა ხოლმე... ბოლოს მანუკიანმა ზაზა კაკაბაძეს შეხვედრა ხუდადოვის ქუჩაზე დაუთქვა და პაემანზე მისული საკუთარ მანქანაშივე მოკლა (საკონტროლო გასროლაც იყო ნაწარმოები). იმ პერიოდში ძალოვნებმა დაკავებულთა აღიარებითი ჩვენებებიც გაავრცელეს და სასამართლომ მათ 2-თვიანი პატიმრობა შეუფარდა. პატიმრობას მხოლოდ არასრულწლოვანი მარიამ მანუკიანი გადაურჩა — პროკურატურამ გოგონა დაინდო და ციხის ნაცვლად, 15.000-ლარიანი გირაოს შეფარდება ითხოვა. პროკურატურის ამ მოთხოვნას მანუკიანის ადვოკატები არ დაეთანხმნენ. ისინი აცხადებდნენ, რომ უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახს ამხელა თანხის გადახდა არ შეეძლო (ცნობისათვის, მანუკიანს მამა გარდაცვლილი ჰყავს, დედის კმაყოფაზეა) და 2000-ლარიან გირაოს ითხოვდნენ, მაგრამ სასამართლომ პროკურატურის მოთხოვნა დააკმაყოფილა.

მართალია, გამოძიება მკვლელობის მოტივად თავიდან შურისძიებას ასახელებდა, მაგრამ უკვე საბრალდებო დასკვნაში აღნიშნულია, რომ განზრახ მკვლელობა ყაჩაღობის გაიოლების მიზნით მოხდა. საქმის მასალების მიხედვით, არასრულწლოვანმა ტარიელ ალიხანაშვილმა და მისმა მეგობარმა გიორგი კიკნაძემ კიკნაძის მეუღლის, მარიამ მანუკიანის ნაცნობის — ზაზა კაკაბაძის დაყაჩაღება გადაწყვიტეს. ტარიელმა მარიამი მოატყუა და უთხრა: დაახლოებით 2 თვის წინ შეყვარებულისგან, რაფაელასგან შევიტყვე, რომ ზაზა კაკაბაძემ მასთან იძულებით, სექსუალური კავშირი დაამყარა და იქნებ მასთან შეხვედრაში დამეხმარო, დალაპარაკება მინდაო. მარიამმა ზაზას შეტყობინება გაუგზავნა, ამის შემდეგ კი ტარიელი კაკაბაძეს მესიჯებს თავად სწერდა და ბოლოს, გოგონას სახელით შეხვედრაც დაუთქვა. ალიხანაშვილს კაკაბაძის მოკვლა თავიდანვე განზრახული ჰქონდა — სწორედ ამ მიზნით, მან სახლიდან დაუდგენელი პირისგან შეძენილი პისტოლეტი წაიღო... 2010 წლის 28 მაისს მარიამ მანუკიანმა ტარიელისა და გიორგის ლაპარაკს მოჰკრა ყური და ისიც გაიგონა, რომ ისინი ზაზას დაყაჩაღებას აპირებდნენ. გოგონამ მეუღლეს, გიორგი კიკნაძეს ჰკითხა, — ამას რატომ აკეთებთო? მერე კი გადაწყვიტა, ზაზასთვის დაერეკა და შეხვედრაზე უარი ეთქვა, მაგრამ მეუღლის დაჟინებული თხოვნის შემდეგ დარეკვა გადაიფიქრა, მეტიც — ბიჭებს დახმარება აღუთქვა. მანუკიანი კაკაბაძეს შეხვდა, „როვერის“ ფირმის ავტომანქანაში ჩაუჯდა და ტარიელ ალიხანაშვილთან და გიორგი კიკნაძესთან წინასწარ დათქმული ადგილისკენ წაიყვანა; იქ მანქანა გააჩერებინა, რის შემდეგაც, მასთან ალიხანაშვილი მივიდა, უკანა კარი გამოაღო და ზაზა კაკაბაძეს თავში ესროლა. შეშინებული მანუკიანი მანქანიდან გადავიდა, ხოლო ტარიელმა მანქანას მოუარა, წინა კარი გამოაღო, საკონტროლო გასროლა მოახდინა, შემდეგ კი გიორგი კიკნაძესთან ერთად მანქანის ჩხრეკა დაიწყო და შემთხვევის ადგილიდან მოკლული ზაზა კაკაბაძის მობილური წამოიღეს — ასეთია ბრალდების ფაბულა.

არასრულწლოვან ტარიელ ალიხანაშვილს ყაჩაღობა, იარაღის უკანონო ტარება-შენახვა და დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობის ჩადენა ედება ბრალად. რაც შეეხება გიორგი კიკნაძეს, ის ადრე ნასამართლევია და დაკავების დროს პირობითი სასჯელი ჰქონდა. კიკნაძეს ცეცხლსასროლი იარაღის შენახვა-ტარებაში, დანაშაულის დაფარვასა და ჯგუფურად ჩადენილ ყაჩაღობაში ადანაშაულებენ. ცნობილია ისიც, რომ კიკნაძე მარიამ მანუკიანთან არარეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა... დანაშაულის ჩადენის შემდეგ ისინი ალიხანაშვილის ბინაში წავიდნენ, ღამე იქ გაათენეს, მეორე დღეს კი გიორგი კიკნაძემ მკვლელობის იარაღი წამოიღო და მარიამთან ერთად ბინის ძებნა დაიწყო. სწორედ ამ მიზნით დაურეკა მეგობარს, ედუარდ ეგიზაროვს და მოატყუა, — პოლიცია მეძებს, იქნებ ღამე შენს სახლში გამათევინოო. მეგობარმა უარი ვერ უთხრა და ცოლ-ქმარი შეიფარა. როცა მასთან მივიდნენ, გიორგიმ უთხრა, რომ ხუდადოვზე კაცი მოკლეს. კიკნაძემ




*ეგიზაროვს შარვალიც სთხოვა, რადგან მისი დასვრილი იყო, შემდეგ კი ცოლ-ქმარი მეგობრის ბინიდან წამოვიდა — ასე გაეხვა შარში ეგიზაროვი, რომელსაც დანაშაულის დაფარვაში დასდეს ბრალი. ამასთან, გამოძიება ირწმუნება, რომ მისი ბინის ჩხრეკისას ერთი ვაზნა იპოვეს და ამიტომაც, საბრძოლო მასალის შეძენა-შენახვის ბრალდებაც დაემატა.*

*მას შემდეგ, რაც ეგიზაროვის ბინიდან წამოვიდნენ, კიკნაძე და მანუკიანი ქუჩაში ნაცნობს, მამუკა მამუჩარაშვილს შეხვდნენ. კიკნაძემ მამუკას ბინის მოძებნაში დახმარება სთხოვა. მამუკა დათანხმდა, მაგრამ მანამდე, დროებით, მეზობლის ბინაში შესვლა შესთავაზა. მან მარტო მცხოვრებ მეზობელს სთხოვა, ცოლ-ქმარი შეეფარებინა. ამასობაში, მამუჩარაშვილმა შეამჩნია, რომ კიკნაძეს შარვალში იარაღი ჰქონდა დამალული. პრობლემა რომ არ შექმნოდათ, იარაღი გამოართვა და მეზობლის სახლში, ლეიბის ქვეშ შეინახა, თავად კი კიკნაძესთან და მანუკიანთან ერთად დასანაყრებლად წავიდა — სწორედ ამ დროს დააკავეს დამნაშავე წყვილი და მათთან ერთად მამუკა მამუჩარაშვილიც, რომელსაც ცეცხლსასროლი იარაღის შენახვაში ედება ბრალი. რაც შეეხება არასრულწლოვან მანუკიანს, მას ჯგუფურ ყაჩაღობაში დახმარებასა და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის — მკვლელობის დაფარვაში ედება ბრალი.*



*განსასჯელი ალიხანაშვილი მკვლელობის მოტივს არ ცვლის და ამბობს, — ამ დანაშაულის ჩადენისკენ შეყვარებულის ნათქვამმა მიბიძგაო. არასრულწლოვანს რომ მძიმე ბავშვობა ჰქონდა, ეს მისი დაკითხვის ოქმიდანაც ჩანს (სტილი დაცულია):*

„ვარკეთილში მარტო ვცხოვრობდი. მყავს მხოლოდ ერთი და, რომელიც გათხოვილია. 13 წლის ვიყავი, მამა რომ გარდამეცვალა. დედა, რომლის სახელიც არ ვიცი, გარდაცვლილა, როცა მე ორი წლის ვიყავი. 9 კლასი დავამთავრე, შემდეგ სწავლა არ გამიგრძელებია. პერიოდულად მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრების დამამუშავებელ ქარხანაში ვმუშაობდი. ნასამართლევი არ ვარ. გიორგი კიკნაძე ჩემი მეგობარია, რომელიც დაახლოებით 5-6 წლის წინ, უბანში გავიცანი. მასთან მარიამ მანუკიანი ცხოვრობდა... ერთ დღეს დედაენის ბაღთან გოგო გავიცანი და შეყვარებულები გავხდით. რაფაელა 15 წლისაა. ჩემთან ცხოვრობდა. მერე წავკამათდით და ამის გამო სახლიდან წავიდა. მას ვეძებდი, მაგრამ ვერსად მივაგენი. დაახლოებით 2 თვის წინ მითხრა, რომ ქუჩაში შემთხვევით ვინმე ზაზა კაკაბაძე გაიცნო, რომელმაც მანქანით სახლში წაიყვანა და ძალით გააუპატიურა. რაფაელას ხელებზე, ფეხებზე და სხეულის სხვადასხვა ადგილას სილურჯეები ეტყობოდა... ამ საუბრიდან 2 კვირის შემდეგ გიორგი კიკნაძესთან და მარიამ მანუკიანთან ერთად ვიყავი, როცა მარიმ ახსენა, რომ იცნობდა ზაზა კაკაბაძეს. მისი ტელეფონის ნომერიც კი ჰქონდა. მათ მოვუყევი, რაც რაფაელას გადახდა. 25 მარტს მარის ვთხოვე, მისი ტელეფონით დაემესიჯებინა ზაზასთვის და მოეხერხებინა მასთან შეხვედრა, ამ დროს მე მას სამაგიეროს გადავუხდიდი. ზაზამაც საპასუხო მესიჯი მოწერა. ამის შემდეგ გამოვართვი მარის ტელეფონი და რამდენიმე დღე ვემესიჯებოდი. საბოლოოდ შეხვედრა ხუდადოვის ქუჩაზე დავუთქვი... მე, გიორგი და მარი იქ ერთად ავედით, თან მქონდა საფანტის იარაღი, რის შესახებ გიორგი კიკნაძემ იცოდა. ჩვენ დავიმალეთ, რამდენიმე წუთში ზაზა კაკაბაძე მანქანით მოვიდა, მარი მას მანქანაში ჩაუჯდა. ამ დროს გამწვანებიდან ჩამოვედი, გიორგი ისევ იმ ადგილას იდგა. მძღოლის უკან, მარცხენა კარები გავაღე და პირდაპირ თავში ვესროლე, ამ დროს მარი მანქანიდან გადმოვიდა და გამწვანებისკენ გაიქცა, ხოლო გიორგი მანქანასთან ჩამოვიდა. მანქანას შემოვუარე, შემეშინდა არ გადარჩენილიყო, გამოვაღე წინა მარჯვენა კარები, პისტოლეტი შუბლზე მივადე და ერთხელ კიდევ ვესროლე. ამის შემდეგ მე და გიორგიმ მანქანის გაჩხრეკვა დავიწყეთ. მისი მობილური ტელეფონი და მანქანის გასაღები ავიღე და გავიქეცი. მარიც გველოდებოდა. გასაღები ბალახებში გადავაგდე. იმ ღამით სამივე ჩემთან დავრჩით, დილით მარი და გიორგი წავიდნენ, მერე მათთან საუბარი არ მქონია“.

*როგორც საქმიდან ჩანს, განსასჯელს პროცესზე ამ ვერსიის დამტკიცება გაუჭირდება, რადგან ამ ფაქტს მის მიერ დასახელებული გოგო არ ადასტურებს. მან გამოძიებას ასეთი შინაარსის ჩვენება მისცა (სტილი დაცულია):* „ვცხოვრობ დედასთან და მამინაცვალთან ერთად. 9 კლასი დავამთავრე. ორი წელია გატაცებული ვარ მუსიკის ერთ-ერთი მიმდინარეობით, გოთური მეტალით. გიტარაზე ვუკრავდი და მუსიკის მოყვარულები ოპერასთან მდებარე სკვერში ან ე.წ. დედაენის ბაღში ვიკრიბებოდით. იქ ნაცნობისგან, აჩისგან გავიცანი ტარიელ ალიხანაშვილი, მეტსახელად ტარასა. მასთან ჩვეულებრივი მეგობრული ურთიერთობა მქონდა. სამჯერ დავრჩი მის სახლში. მითხრა, რომ ვუყვარდი... ერთმანეთთან სექსუალური ურთიერთობა გვქონდა. მარტის ბოლომდე ერთად ვიყავით და მის სახლში ვცხოვრობდით. მარტის ბოლოს ვუთხარი, რომ არ მიყვარდა და ერთმანეთს უნდა დავშორებოდით, მისი სახლიდან წამოვედი. აპრილის თვეში მასთან მივედი, რომ ჩემი ნივთები წამომეღო. ვუთხარი, რომ სხვა შეყვარებული მყავდა. ტარასამ მითხრა, — ჩემს შეყვარებულს რამე თუ დაემართებოდა, ხომ არ მეწყინებოდა? ამის შემდეგ არ მინახავს და არც ტელეფონით მისაუბრია მასთან. არასდროს გავუუპატიურებივარ არავის და არც არასდროს მითქვამს ტარასასთვის მსგავსი რამ, ეს ხუმრობითაც არ მითქვამს. საერთოდ არ ვიცნობ ზაზა კაკაბაძეს. ხშირად ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ ჩემს ტელეფონზე დაურეკავთ ან მოუწერიათ უცხო ადამიანებს, მაგრამ 6 თვეა, მობილურიც არ მაქვს. ტარასასთან დაშორების შემდეგ მყავს ერთი და იგივე შეყვარებული და მასთან ვარ. ჩვენი დაშორების მიზეზი იყო, რომ უბრალოდ არ მინდოდა მასთან ყოფნა. ჩემთვის უცნობია, თუ რატომ თქვა ტარასამ, რომ მან კაკაბაძე იმიტომ მოკლა, თითქოსდა მე გამაუპატიურა. კიდევ ერთხელ ვადასტურებ, რომ მსგავსი ფაქტი არ მომხდარა...“

*ვერსიას, რომ მკვლელობა გაუპატიურების გამო მოხდა, მოკლულის ოჯახის წევრები თავიდანვე არ იზიარებდნენ, მეტიც, ისინი შეურაცხყოფილებიც კი არიან ასეთი ვერსიის გავრცელებით. ამბობენ, რომ ამით მათი ოჯახის ღირსება შეილახა, რადგან ზაზას ჰყავს მეუღლე და 2 შვილი. ოჯახის ადვოკატი, ნატალია ბეჟაშვილი კატეგორიულად არ ეთანხმება გამოძიების საბოლოო ვერსიასაც, რომ მკვლელობა ყაჩაღობის მიზნით მოხდა. მისთვის მიუღებელია ისიც, რომ დანაშაულის ერთ-ერთი მონაწილე — მარიამ მანუკიანი დღემდე თავისუფლებაშია. როგორც წესი, გირაო მას 10 დღის ვადაში უნდა გადაეხადა, მაგრამ არ გადაუხდია.*

**ნატალია ბეჟაშვილი,** *ადვოკატი:*

— გამოძიება დასრულდა, მაგრამ მკვლელობის ჩადენის მოტივი დღემდე არ დადგენილა. კვალიფიკაციაც, რომ მკვლელობა ყაჩაღობის მიზნით მოხდა, არასწორია და არც ის დადასტურდა, რომ მკვლელებმა ვიღაცის გაუპატიურე-

ბის გამო იძიეს შური. თავად მოწმე რაფაელა ამბობს, რომ ზაზა კაკაბაძეს საერთოდ არ იცნობდა.

**— როგორც ცნობილია, ზაზა კაკაბაძეს დაურეკეს და სახლიდან სწორედ ამის შემდეგ გავიდა. მანუკიანმა გაიყვანა?**

— მარიამ მანუკიანმა ზაზას შეხვედრა ხუდადოვის ტყესთან დაუთქვა. გიორგი კიკნაძე, რომელიც ამჟამად დაკავებულია, კაკაბაძის მეგობარი იყო და გოგონასაც უბრალოდ იცნობდა; მასთან სხვა ურთიერთობა არ ჰქონია.

**— მკვლელობის მოტივს რატომ არ ეთანხმებით?**

— საქმის მასალებიდან მკვლელობის მოტივი არ ჩანს. დაზარალებული მხარისთვის დღემდე უცნობია, თუ რატომ მოკლეს ზაზა. პირველ რიგში, სასამართლოზე მარიამ მანუკიანის აღმკვეთი ღონისძიების დამძიმებას მოვითხოვ. გამოძიების ეტაპზე მას ბრალი კიდევ უფრო დაუმძიმდა — დანაშაულის დაფარვასთან ერთად ჯგუფური ყაჩაღობის ხელშეწყობაში დაადანაშაულეს, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც გარეთაა. მანუკიანს გირაოს თანხა — 15.000 ლარი 10 დღის ვადაში უნდა გადაეხადა, თუმცა არ გადაუხდია. გასაგებია, ის არასრულწლოვანია, მაგრამ ისიც ხომ უნდა გავითვალისწინოთ, რომ საზოგადოებისთვის საშიშია?! ზაზა კაკაბაძის სახლიდან გაყვანა და ხუდადოვის ტყეში აყვანა სწორედ მისი დახმარებით მოხდა, სხვა შემთხვევაში მკვლელობა ვერ მოხდებოდა. არ ვიცი, რატომ არ დაუმძიმდა ბრალი მანუკიანს და ვითხოვ, ის პატიმრობაში აიყვანონ.

**— პროკურატურის მტკიცებით, სახეზეა ყაჩაღობა და მკვლელობა. ისიც ფაქტია, რომ კაკაბაძე სახლიდან გაიყვანეს. 80-ლარიანი მობილურისთვის განზრახ მკვლელობის ჩადენა ლოგიკურად მიგაჩნიათ?**

— ეს არანაირ ლოგიკაში არ ჯდება. ყაჩაღობის მიზნით მოკლეს კაცი, რის შემდეგაც 80-ლარიანი ტელეფონი წაიღეს და 20-ლარიანი კუპიურები დატოვეს? დამნაშავეებს არც ფული წაუღიათ და არც მანქანა გაუძარცვავთ. ვერ გავიგე, რა შურისძიებაზეა ლაპარაკი, როცა მკვლელობაში ბრალდებული ალიხანაშვილი ზაზა კაკაბაძეს საერთოდ არ იცნობდა, მარიამ მანუკიანმა ის შორიდან დაანახვა. მკვლელობის ჩადენის მოტივი მართლა არ ვიცით. საკვირველია ისიც, რომ მამუჩარაშვილს და ეგიზაროვს დანაშაულის დაფარვისთვის 2-თვიანი პატიმრობა შეუფარდეს, მკვლელობის თანამონაწილე მანუკიანი კი თავისუფლებაშია. ყველა ჩვენებაში წერია, რომ ზაზა სახლიდან მანუკიანმა გამოიყვანა, ხუდადოვის ტყეში აიყვანა, მაგრამ მაინც დაუსჯელია. იმედია, სასამართლო სამართლიან განაჩენს გამოიტანს.

*P.S. „გზა“ სასამართლოზე საქმის განხილვას თვალს მიადევნებს. ვნახოთ, რა განაჩენს გამოიტანს სასამართლო.*

■

# ქართველი ქირურგის მოგზაურობა, ინდონეზიური „შავი ოქრო“ და მშობლიური მიწის ყივილი

**ჩვენი რუბრიკის დღევანდელი სტუმარი არც ისე შორი გზიდან, თუმცა მაინც უცხო ქვეყნიდან, კერძოდ კი მოსკოვიდან სამშობლოში დაბრუნებული ექიმი — ზვიად შენგელია გახლავთ. ზვიადმა მოსკოვში საკმაოდ წარმატებული კარიერა მიატოვა და მშობლიურ ფესვებს დაუბრუნდა. როგორ შეხვდა მას თავისი ქვეყანა, გაუმართლდა თუ არა მოლოდინი და რას აპირებს სამომავლოდ, ამას თანდათან შევიტყობთ. ზვიადის ცხოვრება ძალზე მრავალფეროვანი და საინტერესო ამბებითაა აღსავსე, ასე რომ, ჩვენი მკითხველი ნამდვილად არ მოიწყენს. ეს ამბავი კი ზუგდიდის რაიონ სოფელ ცაიშში დაიწყო...**



*ანი აგულავა*

სწორედ ამ სოფელში დაიბადა ზვიად შენგელია 1977 წლის 27 ოქტომბერს. სკოლაც აქვე დაამთავრა. მოსწავლეობის პერიოდში იმდენად იზიდავდა სასულიერო ცხოვრება, რომ სერიოზულად ფიქრობდა ამ გზას დასდგომოდა. მშობლები არ ეწინააღმდეგებოდნენ დედისერთა ზვიადის არჩევანს, თუმცა მამამ, პროფესიით სწავლულმა აგრონომმა პოლიტიკური გაერთიანება — „მრგვალი მაგიდა-თავისუფალი საქართველოს“ წევრმა რევაზ შენგელიამ შვილს ურჩია: იქნებ ისეთი პროფესია აგერჩია, შენს ხალხს და ქვეყანასაც რომ გამოადგება, ხოლო სიკეთის კეთების ბევრი გზა არსებობსო... და ზვიადმაც საშუალო სკოლის ატესტატით ხელში, 1996 წელს თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტს მიაშურა. სტუდენტობის დროს ლათინურამერიკულმა ცეკვებმა გაიტაცა და 5 წელი რკინიგზელთა სახლში არსებულ ქორეოგრაფიულ ჯგუფში იკლავდა „წყურვილს“. გარდა ამისა, ჩვენმა რესპონდენტმა „ბრძოლა წესების გარეშეც“ მოსინჯა და ყავისფერ ქამარსაც გამოჰკრა ხელი, მაგრამ სწავლამ თანდათან მეტი დრო მოითხოვა, რის გამოც, ცეკვა-თამაში და მუშტი-კრივი წარსულს ჩაბარდა.

## რუსეთისაკენ...

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მამა — ბატონი რეზო „მრგვალი მაგიდის“ წევრი გახლდათ. მის ოჯახს ხშირად სტუმრობდნენ საქართველოს იმდროინდელი ცნობილი პოლიტიკოსები თუ საზოგადო მოღვაწეები და ჩვენი რესპონდენტი ხშირად ყოფილა მომსწრე, თუ როგორ საუბრობდნენ ზვიად გამსახურდია და მამამისი ქვეყნის საჭირბოროტო საკითხებზე. როცა ზვიადმა უნივერსიტეტში სწავლა დაასრულა, რეზო მიხვდა, რომ მისი ექიმი შვილისთვის საქართველოში სამუშაოს შოვნა იოლი არ იქნებოდა და ისიც კარგად ესმოდა, რომ უმაღლესდამთავრებულ ზვიადს კვალიფიკაციის ასამაღლებლად საზღვარგარეთ უნდა ეძია ბედი. ბატონ რეზოს სამშობლოსთან განშორება უმძიმდა, მაგრამ სხვა გზა არ იყო და მთელი ოჯახი დიდი რუსეთისაკენ მიმავალ გზას დაადგა. ზვიადმა დიპლომთან და ქართულ პასპორტთან ერთად თან გაიყოლა ალადაშვილის სახელობის ინსტიტუტში მოღვაწე პროფესორ გურამ მგალობლიშვილის სარეკომენდაციო წერილი... ასე აღმოჩნდა შენგელიების ოჯახი მოსკოვში. ზვიადმა სკლიფასოვსკის სასწრაფო დახმარების სამეცნიეროკვლევით ინსტიტუტში სწავლა მეტი მონდომებით გააგრძელა. ორდინატურის დასრულების შემდეგ მოსკოვის სამედიცინო ცენტრ „ორისში“, ქირურგად მუშაობდა, 2008 წელს კი ისევ ინსტიტუტს დაუბრუნდა. 2009 წელს პიროგოვის სახელობის ინსტიტუტში ენდოსკოპიას დაეუფლა და ამ განხრითაც იმუშავა...

## „ბაში-აჩუკი“ — ტაილანდურად

ზვიადს ძალიან უყვარს მოგზაურობა და შეიძლება ითქვას, რომ ნახევარი მსოფლიო შემოვლილი აქვს: ბალი, ინდოეთი, ტაილანდი, სინგაპური, კატარი... პირველად ტაილანდს, კერძოდ — კუნძულ პატაის ესტუმრა.

„ტაილანდში სტუმრებს დიდი პატივისცემით ეპყრობიან. პატაიში ტაქსით გავემგზავრე და მძღოლის მასპინძლობით გაოცებული დავრჩი: მან მანქანა რამდენჯერმე გააჩერა და სადილად მიმიპატიჟა“, — იხსენებს ჩვენი რესპონდენტი.

ტაილანდი თავისებური კანონების ქვეყანაა. იქ ტრადიციული სპორტის სახეობაში შეჯიბრებები პირდაპირ გზებზე იმართება. ერთ-ერთ ასეთ შეჯიბრებას ზვიადი მეგობრებთან ერთად წააწყდა და ამ უკანასკნელებმა „ბრძოლა წესების გარეშეს“ ყავისფერი ქამრის მფლობელი ძალით შეაგდეს წრეში. მოწინააღმდეგემ მისკენ ხელი გასწია თუ არა, ზვიადმა ისეთი ილეთი ჩაუტარა და დაარტყა, რომ ტაილანდელი უგონოდ გაიშხლართა, ზვიადი კი წრიდან ისე უცებ გამოტრიალდა, როგორც ერთ დროს „ბაში-აჩუკი“... იქ მყოფნი „ჯასთ მინითის“ ძახილით დაედევნენ. ქირურგს ეგონა, კიდევ ჩხუბზე მეპატიჟებიანო და უკან მიბრუნება არ სურდა... არადა, ჯილდოს გადასაცემად ეძახდნენ... ის ბიჭი კი, რომელსაც თურმე „ჯერ მისალმება არ ჰქონია დამთავრებული“ და ერთი დარტყმით უგონო მდგომარეობაში აღმოჩნდა, იმ სასტუმროს დაცვაში მუშაობდა, სადაც ზვიადი მეგობრებთან ერთად ცხოვრობდა. ერთი სიტყვით, ჩვენი „ბაშიაჩუკი“ და ტაილანდელი დაძმობილდნენ, დღესაც გულთბილ მოკითხვებს უგზავნიან ერთმანეთს.



ბოლოს ერთ-ერთ კლინიკაში მოძებნა სამსახური და ასე ვთქვათ, ლუკმაპურის ფულს შოულობს, პაციენტებიც კმაყოფილნი არიან...

## „შავი ოქრო“ და ცუღლუტი მაიმუნები

„ინდოეთში შეიძლება დაინახოთ ერთად მომავალი მანქანები, ხალხი, ძროხები, სპილოები და მაიმუნები. ეს არის ეგზოტიკური, სტუმართმოყვარე ქვეყანა“, — ამბობს ზვიადი, რომელზეც განსაკუთრებული შთაბეჭდილება ინდონეზიაში, კუნძულ ბალიზე მოგზაურობამ მოახდინა.



ზვიადი მეუღლესთან ერთად, პარკში სეირნობდა, როცა მაიმუნმა ქალბატონს ქუდი მოსტაცა

„იქ ყავის პლანტაციებია, სადაც ჩვეულებრივის გარდა, ძალიან ძვირად ღირებულ ყავასაც მოიპოვებენ (ერთი ფინჯანი ასეთი ყავა 100 დოლარი ღირს). პლანტაციაში უშვებენ ცხოველ ლუვაკს, რომელიც გარეულ კატას ჰგავს. ის მწიფე ნაყოფს მირთმევის, შემდეგ ყავის მარცვლები მის ორგანიზმში ფერმენტაციას განიცდის და როცა ცხოველი საკვების გადამუშავებას ახდენს, მკითხველთან უკაცრავად, მაგრამ მის განავალს პლანტაციის მუშები აგროვებენ, წვავენ და დარჩენილი მასისგან ყველაზე ძვირად ღირებულ ყავას ამზადებენ... ბალიზე რესტორანია, სადაც შენ თვალწინ კლავენ სამ შხამიან გველს და მის სისხლს 100-გრამიან ჭიქაში გისხამენ. ეს სითხე უსაზღვრო ენერგიას განიჭებს — „სასმელს“ ბევრი სამკურნალო თვისება აქვს. რეკომენდებულია ასეთი სასმლის სამჯერ მიღება — ამაზე შეიძლება ითქვას, „სამი დალიე, შეგერგება“. თუმცა, ამ სითხის მიღების შემდეგ დათრობისა რა მოგახსენოთ, მაგრამ სმაჭამის არაბუნებრივი სურვილი კი ნამდვილად უჩნდება ადამიანს“.

ერთხელ ზვიადი მეუღლესთან ერთად, პარკში სეირნობდა, როცა მაიმუნმა ქალბატონს ქუდი მოსტაცა. თურმე იქაური მაიმუნები გაწვრთნილები ყოფილან და გატაცებულ ნივთს მხოლოდ ბანანის სანაცვლოდ გიბრუნებენ... მაგრამ ამ „საქმეს“ ერთი ბაბანი არ ჰყოფნის: ზვიადის მეუღლეს ქუდი მხოლოდ მაშინ დაუბრუნეს, როცა ჩვენმა რესპონდენტმა მაიმუნებს მთელი ასხმა ბანანი შესთავაზა.

## დაბრუნება

პირველად საქართველოში 2004 წელს დაბრუნდა. იმდროინდელმა ჯანდაცვის მინისტრის მოადგილემ პირდაპირ ჰკითხა: ყმაწვილო, რისთვის ჩამოხვედიო?.. ერთი სიტყვით, მინისტრის მოადგილის სიტყვებიდან გამომდინარე, აშკარა იყო, რომ იმ დროისთვის მისთვის საქართველოში არავითარი პერსპექტივა არ არსებობდა და ზვიადიც უკან გაბრუნდა... რუსეთ-საქართველოს ომის პერიოდში საელჩოს წარმომადგენლები ქართველ ექიმებს სამშობლოში დაბრუნებისკენ მოუწოდებდნენ და ჰპირდებოდნენ, რომ აქ მუშაობისთვის შესაბამის პირობებს შეუქმნიდნენ. ზოგს შეიძლება, აღარც გასჩენოდა სურვილი იმ ქვეყანაში დაბრუნებისა, სადაც იმედგაცრუება ერთხელ მაინც იწვნია, მაგრამ იმ „ზოგიერთთა“ რიგს არ განეკუთვნებოდა ზვიადის მამა, რომელიც უცხო ქვეყანაში თავისი სამშობლოს სიყვარულითა და უკან დაბრუნების ურყევი რწმენით ცხოვრობდა. ზვიადის დაბრუნებაც მამის დაჟინებული მოთხოვნით მოხდა და დღეს ოჯახთან ერთად, საქართველოში ცხოვრობს...

ზვიადი მოსკოვში დაოჯახდა, მისი მეუღლეც ექიმია. მიუხედავად იმისა, რომ კარგი სპეციალისტია და საკმაოდ ძვირად ღირებულ აპარატურასაც ფლობს, საქართველოში სამსახურის მოძებნა



ზვიადი მოსკოვში დაოჯახდა, მისი მეუღლეც ექიმია

ძალიან გაუჭირდა; რამდენიმე კლინიკასა და საავადმყოფოს კი მიაკითხა, მაგრამ უარით გამოისტუმრეს.

ბოლოს ერთ-ერთ კლინიკაში მოძებნა სამსახური და ასე ვთქვათ, ლუკმაპურის ფულს შოულობს, პაციენტებიც კმაყოფილნი არიან... ჩვენს შეკითხვაზე: — ხომ არ აპირებს უკან დაბრუნებას? — ჯერჯერობით უარყოფითად პასუხობს. ■



პლანტაციაში უშვებენ ცხოველ ლუვაკს, რომელიც გარეულ კატას ჰგავს

# „ყველაზე გრძელი და ცხელი“ ანუ პლაჟის კოლორიტის ეშმაკობები

## „წელს 5 ათასი ლარი „გავაკეთე“...

**კარგა ხანია მიჩუმდა ზღვის სანაპირო, ერთი თვის წინ კი აქ ისევ ხმაური და ორომტრიალი იყო. ახლა ადგილობრივები, რომლებსაც მხოლოდ ზაფხულობით აქვთ სასტუმრო ბიზნესი, უკვე შემდგომი სეზონისათვის ემზადებიან — ვიდრე ძალიან აცივებულა, შეგროვებული თანხით ოთახებს არემონტებენ და აახლებენ, დამსვენებელთა მისაღებად პირობებს აუმჯობესებენ, რათა მომავალში მეტი მუდმივი კლიენტი-სტუმარი მიიზიდონ...**

*მარინა ბაბუნაშვილი*



*ზღვისპირა ქალაქებსა თუ დაბებში ყველას თავისი ბიზნესი აქვს: ზოგს საკუთარი სახლი გადაუკეთებია სასტუმროდ ან პანსიონატის ტიპის დასასვენებელ სახლად, ზოგი პლაჟზე ტკბილეულის, თხილის, ხილის ან სიმინდის ჩამოტარებით შოულობს პურის ფულს. ცოტა ხნის წინ ქობულეთის რამდენიმეკილომეტრიან სანაპიროზე ხშირად გაიგონებდით „მესიმინდე“ ქალის შემოძახილს: „აბა, ვის უნდა ყველაზე ცხელი და გრძელიიიი?!“ ეს უცნაური შემოთავაზება ყველას ყურადღებას იპყრობდა და გასარუჯად გაწოლილი დამსვენებელიც უმალ წამოყოფდა ხოლმე თავს. ისე, რაც მართალია, მართალია — ქალბატონი ყოველთვის ძალიან გრძელ და ცხელ, ახალმოხარშულ სიმინდის ტაროებს ყიდდა... ასე გავიცანი პლაჟის კოლორიტი, „მესიმინდე“ თამილა კეკელია, რომელიც ძალასა და ღონეს არ იშურებს, რათა ოჯახში ცოტაოდენი თანხა შეიტანოს, შვილებს არაფერი მოაკლოს...*

— ჩემი ქალიშვილობის გვარი ქარჩავაა. ზუგდიდის რაიონის სოფელ შამგონიდან ვარ. ჩემი რძალი (ძმის ცოლი) ხშირად დადიოდა დეიდასთან, კეთილარში (აბაშის რაიონი) და მეც დავყვებოდი ხოლმე. იქ გავიცანი ჩემი მომავალი ქმარი, ნუკრი კეკელია. მოგვიანებით შევუღლდით და ტკბილი ოჯახი შევქმენით, შვილებიც შეგვეძინა... მარა მერე ძალიან გაგვიჭირდა ცხოვრება. ძროხაც მყავდა, ქათმებიც, ღორიც, მარა იმათაც ხომ მოვლა-პატრონობა, გამოკვება უნდოდა? ამიზა კი ფული იყო საჭირო და დავიწყე იმაზე ფიქრი, თუ როგორ ან საიდან მეშოვა თანხა. ჩემი ქმარი ძალიან ერთგული ადამიანია, მარა მარიფათიანი არაა და ხო არ მოვკვდავდი?.. მერე ერთმა ახლობელმა მირჩია, სიმინდი ჩაიტანე ქობულეთში და სანაპიროზე მოხარშული ჩამოატარეო. დავუჯერე და მას აქეთ 12 წელია, ზაფხულობით ამ საქმეს მივდევ. ძლივს სული მოვითქვით და რაფერ დავიწუწუნებ რამეზე?! ზოგჯერ თაკარა მზეზეც გავსულვარ, მაგრამ გამიძლია, რადგან ვიცი, „კაპიკი“ „კაპიკს“ დაემატება და შეგროვილი თანხა ჩემს ოჯახს კარგა ხანს წაადგება.

**— სიმინდი სამეგრელოდან ჩამოგაქვს?**

— ერთხანს სამეგრელოდან ჩამოჰქონდა ნაცნობს, მარა ძვირი მიჯდებოდა. გურია აქვეა და გადავწყვიტე, ტაროები გურულისგან შემეძინა. მერე რაფერი გემრიელი სიმინდი იცის გურიაში, იცი?.. შევპირე ერთი გურული გლეხი, თან ვუთხარი, — შენ მაინც მანქანით ხარ და რაღა ბაზარში მიიტანო, ბარემ ჩემს სახლთან (სადაც ზაფხულობით ვცხოვრობ) მომიტანე-მეთქი. იმასაც გაუხარდა და მეც გევიიოლე საქმე. ყოველთვის კაი ტაროები მოაქვს ჩემთვის. იცის, რომ პატარას და ცუდს არ ავიღებ. ჰოდა, ამიტომაც გავყვირი ხოლმე, — ვის უნდა ყველაზე ცხელი და გრძელი-მეთქი. ვინც მიცნობს, სიმინდს მხოლოდ ჩემგან ყიდულობს. დამსვენებლებს თან ვამხიარულებ და თან — ვანაყრებ, რა უნდათ მეტი?! დამიჯერე, ზღვიდან ამოსულს ტკბილი საჭმელი იმდენად არ უნდა, რაფერც სიმინდი, თვარა, მე ბურბუშელა და თხილიც ქე დამაქვს... სიმინდი არ მრჩება და აგი ტკბილი ქე გამყოლია სახლში.

**— აქ ვაჭრობით იმდენს შოულობ, რომ ამდენ წვალებად გიღირს?**

— ყველაზე ცოტა, სეზონზე 3 ათას ლარს ვშოულობ, ზოგჯერ 4 ათასიც მიშოვია, მარა წელს განსაკუთრებული წელი იყო — ბევრი დამსვენებელი ჩამევიდა და სიმინდის მოხარშვას ძლივს ვასწრებდი ხოლმე; საქმეში ისე ვიყავი ჩართული, რომ მთელი დღის განმავლობაში დაღლას ვერ ვგრძნობდი, მხოლოდ ღამით, როცა საწოლში ჩავწვებოდი და მთელი ტანი „ბუჟილს“ დამიწყებდა, მერელა ვხდებოდი, რომ ამდენი სიარულითა და სიმძიმის აწევით „დამტვრეული“ ვიყავი. წელს 5 ათასი ლარი „გავაკეთე“ და გახარებული ვარ. იცი, რამდენი რამ შევიძინე ამ ბიზნესით? — გაზქურა, ტელევიზორი, სარეცხი მანქანა, მაცივარი. მოკლედ, ყველაფერი მაქვს, რაც ოჯახს სჭირია. სახლიც და ეზოც სულ მოწესრიგებულია. ჩემი უფროსი შვილი, აჩიკო 23 წლისაა, ირაკლი — 22-ის. ისინი ყველაფერნაირად ცდილობენ, რომ ჩემს შეტანილს გაუფრთხილდნენ და ოჯახშიც წესრიგი იყოს. ხანდახან ჩემი ქმარიც ჩამოდის, რათა დამეხმაროს.

**— ქობულეთში სახლი გაქვს თუ ოთახს ქირაობ ხოლმე?**

— არა, სახლი არა მაქვს, მაგრამ ოთახში ფულსაც არ ვიხდი.

**— ეგ როგორ?**

— აღმაშენებლის №544-ში ვცხოვრობ, გოგიტიძეების ოჯახში. იმფერი კაი ხალხია, რომ უკეთეს ვერც ინატრებ. რავარც ნათესავები, ისე ვართ უკვე. კარგი ოთახი მომცენ, ეზოს უკან პატარა „ქუხნა“ აქვენ და იქ ვხარშავ სიმინდს; ამ ოჯახს კი, პატივისცემის ნიშნად, ზამთარში შეშას ვუგზავნი ხოლმე.

— **ტაროს ლარად ყიდი, მაგრამ ისიც შევამჩნიე, რომ ქართველებს ფასს უკლებ ხოლმე, სხვა ეროვნების ადამიანებს კი, პირიქით — უმატებ...**

— ხო, მაგფერებსაც ვშობი ხოლმე. რა ვქნა, აბა? რომ ვხედავ, ქართველი სამი ბაღანაით არის და ფული გამოზომილად აქვს, რაფერ არ დავუკლო?! მაგალითად სომეხი კი, „დაბერილი" ჯიბით ჩამოდის და რა უჭირს, მეტი რომ გადაიხადოს?! ზღვაზე დასვენება თუ უნდა, ქეც გაიკრას ჯიბეზე ხელი.

— **სომხურ ენაზე შენი შეძახილიც გამიგონია...**

— რაღა დაგიმალო და, სპეციალურად ვისწავლე. ერთხელ ნაცნობი სომეხი დავიჯინე და ჩამოვაწერინე რაფერაა: „აბა, კარგი და გემრიელი სიმინდი", „აბა, სომეხ დამსვენებელს ყველაზე გემრიელი სიმინდი", „გამარჯობა", „რაფერ ხარ", „რაფერ ისვენებ" და „თქვენ გაიხარეთ". ერთხელ გავედი სანაპიროზე და ვხედავ, სომხებს მოუყრიათ თავი, კარტს თამაშობენ. სომხურად რომ დავიყვირე, ყველამ ჩემკენ გამოიხედა. — მოდიო, — დამიძახა ერთმა შუახნის კაცმა. მივედი და სომხურად მივესალმე. — საიდან იცი სომხური? შენ თავად ხარ თუ ვინმე გყავს სომეხიო? — არც მე ვარ და არც ნათესავი მყავს სომეხი, მარა თქვენს პატივსაცემად ვისწავლე-მეთქი, — მოვახლაფორთე პასუხი და მერე, რაც კი ვიცოდი, ყველაფერი ჩამოვურაკრაკე. ისე გაუხარდა, მთელი ქვაბი დამიცარიელა, ყველა სიმინდი იყიდა... თუ გინდა, სარფიანი ბიზნესი გქონდეს, ქეც უნდა იეშმაკო და ქეც უნდა მოერგო აქაურ დამსვენებელს, თვარა მე იმისთანა ქართველი ვარ, ბევრმა ინატროს ჩემფერი. აწი, რუსებიც გამოჩდნენ და აზერბაიჯანელებიც, ჰოდა, იმათ ენასაც ვისწავლი.

— **საინტერესოა, ზამთარში რას საქმიანობ?**

— რას და, ლილოში დავდივარ, წვრილმანებს ვყიდულობ და სოფელში ჩამაქვს. იქ ბევრს არა აქვს იმის საშუალება, რომ ქალაქში იაროს, მე კი ყველაფერს შეღავათიან ფასად ვყიდი. ორი ბიჭის პატრონი ვარ, აწი ქე დაოჯახდებიან და მინდა, რძლებს სავსე ოჯახი დავახვედრო. სხვათა შორის, მათთვის ყველაფერი ნაყიდი მაქვს... ვიდრე ძალა შემწევს, თავს არ დავზოგავ და მერე, მოხუცებულობაში, იმედია, მოგვხედავენ მე და ჩემს ქმარს. ■



# ბიკინიში მოცეკვავე მოდელებს პარტნიორობას სკამები უწევდნენ

## „ერთი სიმაღლის თაროზე ნუ მოგვათავსებთ"

**20 წლის მოდელი, „მეორე ვიცე-მის იუნიორი საქართველო" — ნინო ჯანიძე ახლახან პოლონეთიდან დაბრუნდა, სადაც „მის სუპრანაციონალის" კონკურსზე (რომლის ორგანიზატორიც პანამა გახლდათ) საქართველოს სახელით წარდგა. მიუხედავად იმისა, რომ უცხოელი მენეჯერები გოგონას წარმატებას უწინასწარმეტყველებდნენ, საბოლოო ჯამში, ნინო საუკეთესო ოცეულშიც ვერ მოხვდა. კონკურსის გამარჯვებული „მის პანამა" გახდა.**

*ეთო ყორღანაშვილი*



— „მის იუნიორ საქართველოზე" „მეორე ვიცე-მისი" გავხდი. „მის იუნიორი" — ელენე გამყრელიძე გარკვეული პრობლემის გამო (პასპორტი არ ჰქონდა), საერთაშორისო კონკურსზე ვერ გაემგზავრა, ამიტომ წასვლა მე მომიხდა.

— **ალბათ ეს შენთვისაც მოულოდნელი იყო, არა?**

— მართლაც, ძალიან მოულოდნელი იყო და თანაც, ელენეს მიმართ რაღაცნაირი, დანაშაულის გრძნობა გამიჩნდა. როცა მითხრეს, — კონკურსზე უნდა გაემგზავროო, მაშინვე დავურეკე. ელენემ მითხრა: ეს შანსი უნდა გამოიყენო და „მის სუპრანაციონალზე" საქართველო უნდა წარადგინოო... ადრე „მის ბორჯომის" კონკურსის გამარჯვებული გახლდით და საბერძნეთში „მის ტურიზმ-პლანეტზე" უნდა წავსულიყავი. მიწვევაც მქონდა, ჩემი სურათები საიტზეც იყო მოთავსებული, მაგრამ ვიზის უქონლობის გამო ვერ გავემგზავრე. კონსული ძალიან უსამართლოდ მომექცა — ის მიზეზი არ გვაკმაყოფილებს, რის გამოც საბერძნეთში მიემგზავრებიო (*იცინის*). მსგავსი არაფერი გამიგონია.

— **კარგი, ახლა პოლონეთში გამართულ კონკურსზე გვიამბე.**

— როცა კონკურსზე 60 ქვეყნის წარმომადგენელთან ერთად გადიხარ, მიმაჩნია, რომ მთავარი მონაწილეობა კი არაა (როგორც ხშირად აღნიშნავენ), არამედ — წარმატების მიღწევა. პოლონეთში ძალიან ბევრი კონკურსანტის მენეჯერი კომპლიმენტს მეუბნებოდა და აღნიშნავდა, რომ გამარჯვების შანსი მქონდა. მირჩევდნენ, — შენი თავი მაქსიმალურად წარმოაჩინეო. მათი მხარდაჭერა ჩემს იმედებს კიდევ უფრო ამყარებდა, მაგრამ მოულოდნელად, ყველაფერი კრახით დასრულდა.

— **შენი აზრით, წარუმატებლობის მიზეზი რა იყო? კონკურსზე საკუთარი თავის მაქსიმალურად წარმოჩენა ვერ შეძელი?**

— საერთოდ, გემოვნებაზე არ დაობენ, მაგრამ სიმართლე გითხრათ, ვერ მივხვდი, იქ კონკურსანტებს რა კრიტერიუმებით აფასებენ: ფინალის მიღმა ძალიან ბევრი ლამაზი გოგონა დარჩა, ბევრი კი ფინალში უსამართლოდ გაიყვანეს. ყველასთან კარგი ურთიერთობა მქონდა. კონკურსანტები ვმსჯელობდით ხოლმე, თუ ვინ შეიძლებოდა, ფინალში მოხვედრილიყო. ხუთეულში ისეთი კონკურსანტი მოხვდა, რომელზეც ამას ვერც კი ვიფიქრებდით. ჩემთვის მთავარია ის, რომ საზოგადოების დიდი ნაწილის სიყვარული მოვიპოვე — ამას ყოველდღე ვგრძნობდი, სხვათა შორის — კონკურსანტების მხრიდანაც. ჩინელმა კონკურსანტმა ჩინურის გარდა, არც ერთი ენა არ იცოდა, მაგრამ მაინც არაჩვეულებრივი ურთიერთობა გვქონდა, ერთმანეთს თბილად ვესალმებოდით, ვეფერებოდით. რატომღაც, მას ინდოელი ვეგონე და ვერაფრით ავუხსენი, რომ „ჯორჯია" ინდოეთში არ არის. ჩინელი კონკურსანტი გეოგრაფიასთან, ცოტა არ იყოს, მწყრალად გახლდათ (*იცინის*). ზოგს პორტუგალიელი ვეგონე...

— **ინგლისური ენის უცოდინარობა კონკურსანტს პრობლემას უქმნის?**

— კი, ეს ძალიან დიდი ბარიერია. მე გერმანული და რუსული ვიცი, მაგრამ



შეიძლება ითქვას, რომ პოლონური ენის თარჯიმნადაც „დამნიშნეს“ (*იცინის*).

— **პოლონურიც იცი?**

— მამაჩემი პოლონეთის მოქალაქეა. როცა საქართველოში ჩამოდიოდა და პოლონურად ლაპარაკობდა, რაღაცები მესმოდა, მაგრამ ამ ენაზე ლაპარაკი არასოდეს მიცდია. თუმცა, როცა გამიჭირდა (კონკურსზე ინგლისურად ვერ ვსაუბრობდი), პოლონურადაც ავლაპარაკდი (*იცინის*). ფინალამდე რამდენიმე დღით ადრე ნაციონალური კაბის კონკურსი გაიმართა, სადაც „მის ნაციონალური კაბა“ გამოვლინდა. სცენა ღია ცის ქვეშ იყო მოწყობილი და კონკურსს დაახლოებით, 5000 მაყურებელი ესწრებოდა. მე მაკა ვეკუას კაბა მეცვა, რომელმაც დიდი ეფექტი მოახდინა. თან, მაყურებელს საკუთარი თავი პოლონურ ენაზე წარვუდგინე, რასაც ისეთი ოვაცია მოჰყვა, რომ ლაპარაკი სამჯერ შევწყვიტე! იმ მომენტში, ჩემთვის ეს უფრო დიდი წარმატება იყო, ვიდრე „მის ნაციონალური კაბის“ ტიტულის დაუფლება!.. სხვათა შორის, კონკურსანტებს შორის ყველაზე გამხდარი ვიყავი და პოლონეთში ყოფნისას მივხვდი, რომ რაც უფრო „დიდი“ ხარ, უკეთესია (*იცინის*). ჰოდა, ვცდილობდი, ფინალამდე წონაში ცოტათი მომემატებინა...

— **კონკურსზე წარუმატებლობის გამო გულდაწყვეტილი ხარ?**

— არ მინერვიულია, მაგრამ გული დამწყდა — მეგონა, ხუთეულში მაინც მოვხვდებოდი. მერე ვფიქრობდი, ნომინაციაში — „მის ელეგანტურობა“ გავიმარჯვებდი. სხვათა შორის, ასეთ ვარაუდს სხვებიც გამოთქვამდნენ, მაგრამ ნომინაციებიც უცნაურად „დარიგდა“. მაგალითად, „მის ბოდი“ ბიკინის უნდა „ავსებდეს“, კონკურსზე კი ამ ნომინაციისთვის შეუსაბამო გოგონამ გაიმარჯვა. ზოგადად, კონკურსი ძალიან კარგად ორგანიზებული იყო — შეიძლება, ისეთი ფინალი „მის მსოფლიოს“ არ ჰქონდეს! ეს გახლდათ შოუ: ჩვენ ბიკინებით, ნაციონალური და საღამოს კაბებით სცენაზე ცეკვით გავდიოდით. გოგონები 3 ჯგუფად დაგვყვეს: ვინც კარგად ცეკვავდა, ვინც საშუალო დონეზე ცეკვავდა და ვისაც ცეკვა საერთოდ არ შეეძლო. საბედნიეროდ, იმ კატეგორიაში მოვხვდი, ვისაც ყველაზე რთული ცეკვა უნდა შეესრულებინა და ეს რთული ცეკვა ტანგო გახლდათ!




— **ტანგო — პარტნიორის გარეშე?**

— დიახ, ტანგო პარტნიორების გარეშე ვიცეკვეთ — სკამებთან. ყველაფერი ძალიან ლამაზი გამოვიდა!

— **„მის პანამა“ ცეკვის რომელ ჯგუფში იყო?**

— ნაციონალური კაბის წარდგენისას, მე ცეკვის მეორე ჯგუფში ვიყავი, რადგან ისეთი კაბა მეცვა, რომ აქტიურად მოძრაობას ვერ მოვახერხებდი. „მის პანამა“ ჩემზე უარეს დღეში იყო — მე ხელები მაინც მქონდა თავისუფალი... ტანგო ბიკინიში გამოწყობილებმა ვიცეკვეთ და საღამოს კაბებითაც ულამაზესი ცეკვა შევასრულეთ. ძალიან ძლიერი ქორეოგრაფი გვყავდა: 2 დღეში 62 გოგონას არაჩვეულებრივი ცეკვები დაგვადგმევინა!

— **პოლონეთში საინტერესო შეთავაზება ხომ არ მიიღე?**

— მიუხედავად იმისა, რომ ფინალში ვერ გავედი, სარეკლამო სააგენტოებისგან მართლაც, საინტერესო შემოთავაზებები მივიღე — პოლონეთში 1 წლის განმავლობაში უნდა დავრჩენილიყავი.

— **რატომ არ დარჩი?**

— ვსწავლობ, ვმუშაობ... ამიტომ დარჩენაზე არ მიფიქრია. თუმცა სასიხარულოა, როცა ვიღაც გამჩნევს, შენით ინტერესდება.

— **სად სწავლობ, სად მუშაობ?**

— ჟურნალისტიკის ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტი ვარ და პარალელურად, ერთ-ერთ ჟურნალში ვმუშაობ. მოკლედ, ძალიან დატვირთული რეჟიმით ვცხოვრობ. რა ვქნა, დროის უქმად გატარებით დაღლას, ასე ცხოვრება მირჩევნია.

— **დრო პირადი ცხოვრებისთვისაც არ გრჩება?**

— მართალია, ამბობენ ხოლმე, — პირადი ცხოვრებისათვის ვერ ვიცლიო, მაგრამ მე საყვარელი ადამიანისთვის დროს ყოველთვის გამოვნახავ.

— **დღეს შენ გვერდით ასეთი ადამიანი არის?**

— შეიძლება, ბანალურად ჟღერს, მაგრამ დღეს გვერდით მყავს ისეთი ადამიანი, როგორიც სანთლით უნდა ეძებო! ის ყოველთვის იმაზე ფიქრობს, თუ როგორ გამახაროს, მასიამოვნოს და ეს ჩემთვის ბევრს ნიშნავს. თქვენი ჟურნალის მეშვეობით ვეტყვი, რომ ძალიან მიყვარს! სხვათა შორის, მისთვის ეს არასოდეს გამიმხელია...

— **დარწმუნებული ვარ, ეს „აღიარება“ შენს რჩეულს ძალიან გაახარებს... დიდი ხანია, რაც მოდელი ხარ?**

— როგორც აღვნიშნე, „მის ბორჯომის“ გამარჯვებული გავხდი, შემდეგ „მის საქართველო 2007“-ში ვმონაწილეობდი და ჩემი სამოდელო საქმიანობაც აქედან დაიწყო... სიმართლე გითხრათ, ჟურნალისტიკას მეტ ყურადღებას ვაქცევ, ვიდრე მოდელობას. მაიკო ზაალიშვილი ყოველთვის შენიშვნას მაძლევდა — სამოდელო სფეროში უფრო აქტიურად უნდა ჩაებაო. მოგეხსენებათ, საქართველოში გოგონას მოდელობას მშობლები, ძმები მაინცდამაინც არ მიესალმებიან, ჩემს შემთხვევაში პირიქითაა: ყველა მეხვეწება, ამ საქმეს სერიოზულად მივუდგე, მე კი არ მინდა (*იცინის*). ჩვენებებშიც იშვიათად ვმონაწილეობ. მირჩევნია, ჟურნალისტობით გავითქვა სახელი, ვიდრე — მოდელობით. ყველაზე მეტად ის არ მომწონს, რომ საქართველოში მოდელს ცუდი რეპუტაცია აქვს: მიაჩნიათ, რომ მოდელი მხოლოდ ლამაზია, სილამაზის მიღმა კი „სიცარიელეა“. ვცდილობ, დავამტკიცო, რომ ეს ასე არ არის! არ შეიძლება, ყველანი „ერთი სიმაღლის თაროზე მოგვათავსონ“.

— **დაბოლოს, ცოტა რამ შენს ოჯახზეც გვითხარი.**

— ოთხი დედმამიშვილი ვართ: 2 და და 2 ძმა. უფროსი ძმა უკრაინაში მოღვაწეობს, დიზაინერია. ჩემი და, უმცროსი ძმა და მამა პოლონეთის მოქალაქეები არიან. პოლონეთში გამგზავრებასა და იქ სწავლას მეც ვაპირებდი, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო, საქართველოში დავრჩი. ისე, ბაკურიანელი ვარ. დედაჩემი ლარისა ივანოვნაა და სხვათა შორის, სასტუმრო „მიმინოს“ გახსნა სურს (*იცინის*)...

■



# სამყარო

# გიორგი XI და მისი ბედისწერა

## (ნაწილი პირველი)

*მიხეილ ლაბაძე*

XVII საუკუნის მიწურულს, აღმოსავლეთ საქართველოში სპარსელთა წინააღმდეგ დაწყებულმა განმათავისუფლებელმა მოძრაობამ, რომელსაც სათავეში ქართლის მეფე, გიორგი XI ედგა, შაჰის ხელისუფლებას მთელ ამიერკავკასიაში სერიოზული პრობლემები შეუქმნა. სპარსული არმია მეამბოხე ქართველებთან ბრძოლაში უძლური იყო, რადგანაც ეს უკანასკნელები ნაცადი ტაქტიკით მოქმედებდნენ — ფართომასშტაბიან შეტაკებებს თავს არიდებდნენ და შაჰის ჯარისკაცებს მარბიელი თავდასხმებით ხდიდნენ სულს. ქართლისა და კახეთის პარალელურად, სპარსელთათვის უკიდურესად არასახარბიელო ვითარება იყო აზერბაიჯანის ტერიტორიაზეც. იქ სპარსული ხელისუფლება მხოლოდ ნომინალურად არსებობდა, ფაქტობრივად კი ადგილობრივი ხანები ყველაფერს თვითნებურად, ისპაჰანის სრული იგნორირებით განაგებდნენ.

გარდა ამიერკავკასიისა, სპარსეთს იმხანად პრობლემები აღმოსავლეთითაც ჰქონდა — ავღანელი პუშტუნებით დასახლებულ ყანდაარის სახანოში, რომელიც დღევანდელი ავღანეთის სამხრეთ ნაწილს მოიცავდა. ყანდაარიც ისევე, როგორც ქართლი და კახეთი, სპარსეთის სამფლობელოდ მიიჩნეოდა, თუმცა იქაც სწორედ ისევე, როგორც ქართლსა და კახეთში, XVII საუკუნის ბოლო მეოთხედიდან მოყოლებული, პარტიზანული ბრძოლა მიმდინარეობდა. სპარსელთა წინააღმდეგ განმათავისუფლებელ მოძრაობას სათავეში პუშტუნების ღილზაის ტომის ბელადი, მირ ვეის ჰოთაქი ედგა.

როგორც XVII-XVIII საუკუნეების სპარსული მატიანეებიდან ჩანს, ისფაჰანში, შაჰის კარზე, ყანდაარისა და ქართლ-კახეთის საკითხებს ერთ რანგში განიხილავდნენ, რადგან ორივე რეგიონი მეტად მნიშვნელოვანი იყო სპარსეთისთვის; თანაც, თუკი აღმოსავლეთი საქართველოს გვირგვინოსნები შველას ევროპასა და რუსეთში ეძიებდნენ, ყანდაარელ პუშტუნებს ინდოეთში გაბატონებული მონღოლების იმედი ჰქონდათ. იმხანად ქართველთა დასავლურმა და რუსულმა „მიმოსვლებმა“ შედეგი არ გამოიღო — ევროპასა და მოსკოვში ქართლისა და კახეთის გამო ისპაჰანთან ურთიერთობის გაფუჭება არავის სურდა. ამის გამო, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა აღმოსავლეთ საქართველოში ძალიან შესუსტდა, მაგრამ არ შეწყვეტილა.



ქართლის მეფე გიორგი XI

ქართლსა და კახეთში წინააღმდეგობის შესუსტება, უპირველეს ყოვლისა, იმან გამოიწვია, რომ სპარსეთის შაჰმა, სულეიმან I-მა ქართლის მეფე, გიორგი XI ტახტიდან ხელის ერთი მოსმით გადააყენა და მის მაგივრად მეფედ ბაგრატიონების კახური შტოს წარმომადგენელი, ერეკლე I დასვა, სპარსული სახელით — ნაზარალი ხანი. სხვათა შორის, ქართლის ახალი მეფე საინტერესო პიროვნება იყო: რუსეთში აღიზარდა და პირველად სწორედ რუსთა მხარდაჭერით სცადა კახეთში გამეფება (1664 წელს), მაგრამ ამაოდ. ათი წლის შემდეგ ისევ ჩავიდა კახეთში, მხარდამჭერები შემოიკრიბა და მათი რჩევით, სპარსეთში გაემგზავრა. შაჰი კახეთის ტახტის მაძიებელს არცთუ ისე ხელგაშლილად დაუხვდა, მაგრამ ერეკლეს ფარ-ხმალი არ დაუყრია. ამასობაში, სულეიმან I-მა ქართლის მოჯანყე მეფის დასასჯელად ერთობ მზაკვრული რაღაც მოიფიქრა და სწორედ მაშინ უხმო რუსეთში „ნიკალაი დავიდოვიჩად“ ცნობილ ერეკლეს: „გადავწყვიტე, რომ ქართლი მოგცე სამკვიდროდ, რადგან შენნაირი გამჭრიახი გონების კაცი იქ უფრო მჭირდება,“ — ასე განუცხადა სპარსეთის შაჰმა ერეკლეს, თანაც იქვე დაამატა: „ოღონდ, ქრისტიანობა უნდა დაუტევო და ისლამი მიიღო!“ ტახტის მაძიებელმა ცალყბად იუარა, მაგრამ ბოლოს მაინც დათანხმდა; გამაჰმადიანდა და სახელიც შეიცვალა.

1691 წელს, ნაზარ-ალი ხანად წოდებული ერეკლე I თბილისში ჩამოვიდა და ქართლის ტახტზე დაჯდა. ბუნებრივია, კანონიერმა მეფემ — გიორგი XI-მ მეფობა არ დათმო და მთელი თავისი ძალებით დაუპირისპირდა უზურპატორს. ამდენად, ქართველთა შორის ერთობა მოისპო, რადგანაც ქართლელები გიორგი XI-ს უჭერდნენ მხარს, კახელები კი — ნაზარ-ალი ხანს და სპარსელთა წინააღმდეგ ბრძოლა აღარავის ახსოვდა. გიორგი XI სამი წლის განმავლობაში ტახტის დაბრუნებას ამაოდ ცდილობდა. ბო-

ლოს, იმედდაკარგული, ცოლ-შვილითა და ამალით, იმერეთში გადაიხვეწა.

სწორედ ამ დროს — 1694 წელს, სპარსეთის ტახტზე ახალი შაჰი, სულთან ჰუსეინი ავიდა. მისი პირველივე ბრძანება საქართველოს შეეხებოდა — გიორგი XI ისევ ქართლის მეფედ ცხადდებოდა, პარალელურად კი ქალაქ ქერმანის მოურავად ანუ ბელარბეგადაც იყო დანიშნული. სპარსელმა მსტოვრებმა „შაჰის წყალობის“ ამბავი ქართლის ლტოლვილ მეფეს იმერეთშივე ჩაუტანეს და სიტყვიერად დანაბარებიც გადასცეს — ახლავე შეჯექი ცხენზე და ერთგულ ხალხთან ერთად ისფაჰანისაკენ გამოემართეო.

გიორგი XI თავის ერთგულ დიდებულებს მოეთათბირა და მსტოვრებს მალევე გასცა პასუხი — სპარსეთში შაჰ სულთან ჰუსეინთან ჩასვლაზე თანხმობა განაცხადა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მეფეს სპარსელები უწინდებურად, მტრებად მიაჩნდა, მაგრამ მიიჩნია, რომ ტახტის დასაბრუნებლად სწორედ ასე იყო საჭირო. ის იმედოვნებდა, რომ ახალი შაჰის კარზე გავლენის მოპოვებაც არ გაუჭირდებოდა, ხოლო ბრძოლას კი ხელსაყრელ დროს კვლავ განაახლებდა. გიორგი XI-მ ცოლ-შვილითა და ერთგული ამალით იმერეთი დატოვა და შაჰის ბრძანების თანახმად, ისფაჰანში ჩავიდა. შაჰ სულთან ჰუსეინი დიდი სიხარულით შეეგება მას და ქალაქის მდიდრულ გარეუბანში საკუთარი სასახლეც კი დაუთმო. შაჰმა ხელქვეითებს უბრძანა, რომ ქართლის მეფის პატივსაცემად დიდი ნადიმი გაემართათ.

ცხრადღიანი ქეიფის შემდგომ, შაჰ სულთან ჰუსეინმა გიორგი XI-ს, როგორც იქნა, გაუმხილა სპარსეთში გამოძახების მიზეზი: „გაძლევ პირობას, რომ ქართლში სწრაფად გაგიშვებ, თუ ერთ სათხოვარს შემისრულებ...“ — შემპარავად უთხრა შაჰმა მეფეს. ეს „ერთი სათხოვარი“ კი ყანდაარის სახანოში მიმდინარე აჯანყების ჩახშობა აღმოჩნდა, რაც სხვათა შორის, სპარსელთა წარმოდგენით, ადამიანის შესაძლებლობებს დიდად აღემატებოდა. თუმცა, შაჰ სულთან ჰუსეინსაც და სპარსელ წარჩინებულებსაც მიაჩნდათ, რომ ამ საქმეს სწორედ ქართველები გაართმევდნენ თავს, რადგან ბრძოლა მათ ავღანელ პუშტუნებზე უკეთესადაც კი შეეძლოთ.

საერთოდ კი, იმხანად ყანდაარის სახანოში მეტად რთული ვითარება სუფევდა — აჯანყებულებმა იმარჯვეს და ხანად თავიანთი ლიდერი, მირ ვეის ჰოთაქი დასვეს, თუმცა აჯანყება არ შეწყვეტილა; ახალმა ხანმა სპარსელების წინააღმდეგ ბრძოლა განაგრძო და ასე გასინჯეთ, თვით ისპაჰანსაც კი თავდასხმით დაემუქრა. სპარსელები ვერაფერს უხერხებდნენ ავღანელების მრისხანე წინამძღოლს. შაჰ სულთან ჰუსეინმა, ტახტზე ასვლისთანავე, მას „უმცროსი ძმა“ უწოდა, საჩუქრად შვიდი აქლემი ოქრო-ვერცხლიც გაუგზავნა, მაგრამ მირ ვეისი ადვილი დასაყოლიებელი არ იყო — ის თავისუფლებისა და ავღანური მიწების გაერთიანებისთვის იბრძოდა და სხვა არაფერი ხიბლავდა.

ალსანიშნავია, რომ მირ ვეის ჰოთაქის სახელი კარგადაა ცნობილი ავღანურ (პუშტუ) ლიტერატურაშიც. ის ერთ-ერთი პირველი პოეტი იყო, რომელმაც ნაწარმოებების შექმნა სპარსულის ნაცვლად ავღანელთა მშობლიურ ენაზე, პუშტუზე დაიწყო. ამავე ენისათვის მირ ვეისმა შეადგინა ორთოგრაფიის წესები და დაწერა გრამატიკული ნარკვევი ლექსად, სათაურით — „დ-პუშტო პიტა ხაზანა“ („პუშტუს საიდუმლო ხაზინა“). ამ და სხვა მრავალი დამსახურების გამო, ავღანეთში მას ეროვნულ გმირად მიიჩნევენ, თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ თალიბთა მმართველობის დროს, მირ ვეისის სახელის ხსენება სასტიკად იყო აკრძალული. საქმე ისაა, რომ ყანდაარის ლეგენდარული ხანის ლექსების უმეტესობა ღვინოსა და ქალებს ეძღვნება და თალიბებსაც სწორედ ეს მიაჩნდათ მის „დანაშაულად“. მოკლედ, მირ ვეის ჰოთაქს, ქართველებისა არ იყოს, ერთ ხელში ხმალი ეჭირა, მეორეში კი წიგნი, მაგრამ ჩვენგან განსხვავებით, იგი მეტად ცბიერიც იყო და მიზნის მისაღწევად არაფერს ერიდებოდა.

აი, ასეთ კაცს უნდა დაჰპირისპირებოდა გიორგი XI, თავის ერთი მუჭა ქართველებით, თანაც რაც შეიძლებოდა მალე. ამას შაჰ სულთან ჰუსეინი დაბეჯითებით ითხოვდა და წინააღმდეგ შემთხვევაში ქართველ გვირგვინოსანს აღუთქვამდა, რომ ქართლს ვერასოდეს იხილავდა. რაღა თქმა უნდა, შაჰი გიორგი XI-ს უპირველეს ყოვლისა, გამაჰმადიანებასაც სთხოვდა; ერთი სიტყვით, მეფე, რომელმაც აქამდე მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება სპარსელებთან ომს შეალია, ახლა იძულებული იყო, თავადვე გამხდარიყო სპარსელთა ხელქვეითი. სამწუხაროდ, სხვა გზა მას აღარ ჰქონდა. არადა, ქართლის ტახტი რომ ვერ დაებრუნებინა, ამდენი ხნის ბრძოლა სულ წყალში ჩაეყრებოდა. ასე მიაჩნდა თავადაც და ასევე ფიქრობდნენ მისი ამალის წევრებიც.

მართალი რომ ვთქვათ, ჩვენს დროში წარმოუდგენლად შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ სპარსელების დაუძინებელ მტრად აღიარებული გიორგი XI პირველივე დაძახებაზე შაჰ სულთან ჰუსეინს ისპაჰანში ეახლა და ყანდაარელი მეამბოხეების განადგურებაც იკისრა, მაგრამ აქ უნდა გავითვალისწინოთ ერთი რამ — ბრძოლაში იგი დამარცხდა და ტახტიც დაკარგა; შაჰ სულთან ჰუსეინმა კი განზრახ, სწორედ ამ დროს იხმო თავისთან და მეფესაც იმედი მიეცა, რომ სპარსელებთან შერიგებით ტახტს მაინც დაიბრუნებდა. რა თქმა უნდა, გიორგი XI ცდებოდა, თუმცა



**გიორგი XI და ყანდაარელი დიდებულები. ილუსტრაცია XVIII საუკუნის ავღანური მატიანის ხელნაწერიდან**



**მირ ვეის ხან ჰოთაქის საგვარეულო ციხის ნანგრევები ჰინდუქუშის მთებში**

იმხანად ამის განჭვრეტა არავის შეეძლო.

აქვე უნდა ითქვას, რომ შაჰ სულთან ჰუსეინმა სპარსეთში ნაზარ-ალი ხანიც ჩამოიყვანა, რომლისთვისაც



ყანდაარის ხანი მირ ვეის ჰოთაქი. თანამედროვე ინდოელი მხატვრის, მირზა შოგულ ჰოთაქის ჩანახატი

ვითომ კახეთის მეფობა უნდა „დაემტკიცებინა“. ამდენად, ორივე აღმოსავლურ-ქართული სამეფოს გვირგვინოსანი თავის კარზე ჰყავდა და ჩანდა, რაღაც ჰქონდა ჩაფიქრებული. მართლაც, შაჰმა გეგმები მალე გამოააშკარავა — ნაზარ-ალი ხანი სპარსეთის ჯარის სარდლად დანიშნა, გიორგი XI კი, როგორც უკვე გადაწყვეტილი იყო, ქერმანის ბეგლარბეგად. ქერმანი ავღანელთა მიწებს ესაზღვრებოდა და რასაკვირველია, ყანდაარის სახანოს საქმეებიც ქართველ მეფეს ებარა. ამავდროულად, ქართლსა და კახეთში შაჰმა გიორგი XI-ის ძმა, ლევანი და ნაზარ-ალი ხანის ვაჟი — დავით იმამ-ყული ხანი „ჯანიშინებად“, ანუ მეფეთა მოვალეობის შემსრულებლებად გაგზავნა. ეს, სხვათა შორის, სპარსული დიპლომატიის უდიდესი გამარჯვება იყო, რადგანაც მეამბოხე გიორგი XI-ისა და რუსეთში აღზრდილი ნაზარ-ალი ხანის არათუ მეფობა, არამედ ცოცხლად დარჩენაც კი, შაჰ სულთან ჰუსეინს აღარაფერში აწყობდა.

ამიტომ, როდესაც 1703 წელს გიორგი XI ყანდაარის სახანოს ასაღებად მოემზადა, შაჰმა მხოლოდ მსუბუქი მხედრობა გააყოლა. ძირითადად, მომთაბარე ბახთიარები. მათ გარდა, მეფეს თან ათასამდე ქართლელიც ახლდა, მაგრამ ერთი შეხედვით, მირ ვეისის კაციჭამია პუშტუნების წინააღმდეგ ეს ძალები არ კმაროდა. მიუხედავად ამისა, გიორგი XI-მ შეძლო ყანდაარამდე მისასვლელი გზების ხელში ჩაგდება, დაამარცხა მირ ვეისის მოკავშირე ბელუჯები და მათი მეთაური, მირ სამანდარ ხანი კინაღამ ტყვედაც ჩაიგდო, თუმცა ყანდაარზე შეტევა მომავლისთვის გადადო. ქართველი გვირგვინოსანი ასე იმის გამო მოიქცა, რომ შაჰის გეგმა, მართალია გვიან, მაგრამ მაინც გამოიცნო და ვითარების სათავისოდ გამოყენებას შეეცადა. ახლა, როდესაც სპარსული არმია უკვე ყანდაარის მისადგომებთან იდგა, დახმარებაზე უარს არავინ ეტყოდა; შაჰის კარზეც მნიშვნელოვნად მოემატებოდა გავლენა.

შაჰ სულთან ჰუსეინი გიორგი XI-ის წარმატებებმა, ცხადია, ძალიან გაახარა, რადგან ავღანელთა პრობლემის გადაჭრა მისი უპირველესი საზრუნავი იყო. ამჯერად იგი უკვე სერიოზულად მოეკიდა აღმოსავლეთისაკენ ლაშქრობის საქმეებს და ქართველ მეფეს 20 ათასი რჩეული მეომარი გამოუყო. გარდა ამისა, 2 ათასამდე ქართველი მეომარი — „წინა გასამძღვარებლად“, გიორგი XI-ს ქართლის სამეფოში ჯანიშინად მყოფმა ძმამ, ლევანმა გამოუგზავნა. ეს უკვე საკმაოდ მნიშვნელოვანი ძალა იყო და სავსებით კმაროდა არათუ ყანდაარის ასაღებად, არამედ მთელი ავღანეთის დასამორჩილებლადაც.

ქართლიდან გიორგი XI-სთან გაგზავნილ ქართველ მეომართა შორის იყო მეფესთან ბავშვობიდანვე თანშეზრდილი ცნობილი მემატიანე, სეხნია ჩხეიძე. სწორედ მან აღწერა დეტალურად 1704 წლის მაისის დამდეგს, ყანდაარზე მოწყობილი ლაშქრობა, რომელიც ქართველთათვის მეტად აუტანელ პირობებში მიმდინარეობდა: „მაგრამ სიცხის ამბავი რისი შესადარებელი მოგახსენო, ანუ გაძლება ქართველებისა! ...ტყვია გააპტყელეს და დასდვეს ზარბაზანსა ზედა და ორს საათს, შუადღესა ზედა, სიცხემ ტყვია დაადნო“, — წერს სეხნია ჩხეიძე. აღსანიშნავია, რომ გაუსაძლისი სიცხის მიუხედავად, გიორგი XI ნირსაც არ იცვლიდა და დიდად აღაფრთოვანებდა თავის ყველა მეომარს — ქართველსაც და სპარსელსაც.

ამავდროულად, ყანდაარის მოსახლეობა პანიკას მოეცვა. პუშტუნები ქართველებს ადრეც კარგად იცნობდნენ და მშვენივრად მოეხსენებოდათ მათი შესაძლებლობები. მირ ვეისი შიშობდა, რომ ქართველთა სარდალ გურგინ ხანს (ასე უწოდებდნენ ავღანელები გიორგი XI-ს) წინ ვერ აღუდგებოდა. საინტერესოა, რომ ერთ-ერთ ლირიკულ ლექსში ის წარმოსახვით სატრფოს ასე მიმართავს: „თუ ამაღამ ჩემი გახდები, ხვალ დილით თვით გურგინ ხანის გურჯებსაც აღარ შევუშინდები“ — ერთი სიტყვით, ყანდაარის ხანი, ვისი სახელის გაგონებაზეც ისფაჰანში შაჰსაც კი შიში აიტანდა ხოლმე, თავადვე კრთოდა დასავლეთიდან მომავალი ქართველების მოლოდინში. ამიტომაც იყო, რომ შეტაკებას თავი აარიდა, ერთგულ ხალხთან ერთად ყანდაარი დატოვა და თავი ჰინდუქუშის მთებს შეაფარა. მას გაჰყვა ბელუჯების მეთაური, მირ სამანდარიც, ხოლო ყანდაარში დარჩა სპარსელებისადმი ლოიალურად განწყობილი მაჰსულ-ხანი, რომელსაც მირ ვეისი შაჰთან ურთიერთობებისას, ჩვეულებისამებრ, შუამავლად იყენებდა ხოლმე.

გიორგი XI ქართველთა და სპარსელთა ლაშქრით ყანდაარში უომრად შევიდა. მას მაჰსულ ხანი ქალაქის კარიბჭეშივე მიეგება და მუხლებში ჩაუვარდა. მოსახლეობამ კი, აღმოსავლური წესის თანახმად, მოსულებს გზაზე ვარდის ფურცლები დაუყარა. გურგინ ხანმა საცხოვრებლად ყანდაარის ხანის სასახლე — „სარაი ნარანჯი“ აირჩია და უცხო ქვეყნის მართვას იქიდან შეუდგა. მართავდა სამართლიანად, მაგრამ ზედმიწევნით მკაცრი მეთოდებით — სპარსულ ყაიდაზე: „ზოგი კლდესა გარდაყარის, ზოგი ცოცხალი დამარხის, ზოგსა კბილები დააძვრის და თავზე დაარჭვის“(!) — წერს ამის შესახებ სეხნია ჩხეიძე. ერთი სიტყვით, გიორგი XI ურჩი ავღანელების დასაშინებლად და დასაწყნარებლად ჯერარნახულ სისასტიკესაც არ ერიდებოდა. ამგვარმა მეთოდმა დასაწყისში მართლაც გაჭრა და ყანდაარი სპარსულ ხელისუფლებას ფეხქვეშ გაეგო.

ამასობაში კი, ჰინდუქუშის მთებში გახიზნული მირ ვეის ჰოთაქი ტრადიციულად — „ავღანურად“ მოქმედებდა დამპყრობელი სპარსელების და გურგინ ხანის წინააღმდეგ: მისი მეომრები პატარ-პატარა რაზმებად იყვნენ დაყოფილნი და მტერს თავს ღამღამობით ესხმოდნენ. ბოლოს, საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ სპარსელები ყანდაარის გალავანს გარეთ ცხვირის გაყოფასაც ვერ ბედავდნენ. მხოლოდ ქართველები არ უშინდებოდნენ მირ ვეისის პუშტუნ პარტიზანებს: „მხოლოდ ქართველთა მხედრობაა ის ძალა, რომლის წინაშეც ავღანელები ვერხვივით თრთიან... როგორც სპარსელი ვაჭრები გვიამბობდნენ, საკმარისია, ქარავანს მცველებად ათიოდე ქართველი გააყოლოთ და ავღანეთის გზებზე აღარავინ შეგაწუხებთ“, — ასე სწერდა შაჰ სულთან ჰუსეინის კარზე მყოფი ინგლისელი რეზიდენტი ჯონ ჰანვეი „ბრიტანეთის ოსტინდური კომპანიის“ მესვეურებს ბომბეიში.

გიორგი XI-ს ჯერჯერობით ხელში მტკიცედ ეპყრა „ყოველნი მიდამონი ყანდაარისნი“ და ვერც კი წარმოიდგენდა, თუკი მირ ვეისი მზაკვრულად შესთავაზებდა მოყვრობას...

**დასასრული შემდეგ ნომერში**

# ექსპერიმენტები ხელოვნებაში და რიყის ქვებისგან შექმნილი მოზაიკა

## როგორი იქნება ქრისტიანული სამყაროს სიმბოლო?

**ბატონი გურამ გუნია 72 წლისაა და ძალზე ენერგიული ადამიანია. როგორც თავად ამბობს, მისთვის ხელოვნებაში საზღვარი არ არსებობს... ხელოვნის სახლში შესვლისთანავე არაჩვეულებრივი ნამუშევრები მოგტაცებთ თვალს. თიხით, მოზაიკით, ხითა და შუშით შექმნილი ხელოვნების ნიმუშების დანახვისას ასეთი კითხვა დავსვი: — არსებობს კი რაიმე მასალა, რომელზეც არ გიმუშავიათ? ბატონმა გურამმა თბილად გამიღიმა და მითხრა:**

ელენე ბასილიძე

— ალბათ — არა... სკოლის დამთავრების შემდეგ ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელში ჩავაბარე და 5 წლის განმავლობაში ფერწერას ვსწავლობდი. მისი დამთავრების შემდეგ კი საბუთები სამხატვრო აკადემიაში შევიტანე. თავდაპირველად ქსოვილებსა და გობელენზე მუშაობას ვსწავლობდი, მერე კი გამოყენებითი ხელოვნების ფაკულტეტზე გადავედი, სადაც მინა-კერამიკაზე მუშაობას დავეუფლე. ჩემი პირველი ნამუშევარი ბლოკის ვიტრაჟი — „ავთანდილის სიმღერა“ იყო, რომელიც აკადემიის კედლებს 15 წლის განმავლობაში ამშვენებდა.

— **როგორც ვიცი, ამ ვიტრაჟის შესაქმნელად მინის მასიური ნატეხები უცხო მეთოდით დაამზადეთ...**

— მაშინ საქართველოში ვიტრაჟები კეთდებოდა, მაგრამ ისინი ძალიან თხელი და მყიფე იყო. სპეციალური ტექნოლოგია, რომლის მეშვეობითაც მასიური მინა გამოწვისას არ იშლებოდა, პირველად ლიტველებმა შეიმუშავეს და მინის დიდი „ბლოკების“ სახით გამოიყენეს, ვიტრაჟის დამზადების დროს. მათი ტექნოლოგია ძალიან მომეწონა და გადავწყვიტე, მეც განსხვავებული ხერხით შემექმნა ნამუშევარი.

— **თქვენვე გეკუთვნით „აღდგომის ხატი“, რომელიც ვიტრაჟშია შესრულებული...**

— დიახ, ეს ნამუშევარი სამების საკათედრო ტაძრის მეორე სართულზეა განთავსებული. ვიტრაჟმა პატრიარქის მოწონება დაიმსახურა და გადავწყვიტე, სამების ტაძრისთვის შემეწირა.

— **მინანქრის შესწავლა როდის დაიწყეთ?**

— სამხატვრო აკადემიაში სწავლისას გადავწყვიტე, მინანქარიც შემესწავლა. ძალიან მომწონდა და მიზიდავდა ხახულის ხატი, რომელიც მინანქარშია შესრულებული, მაგრამ სამწუხაროდ მასთან მიახლოების საშუალება არასოდეს მქონია. სახლის ქვეშ სარდაფი მქონდა, სადაც პატარა, გამოსაწვავი ღუმელი მედგა. ექსპერიმენტებს დიდი



ხნის განმავლობაში ვატარებდი და როგორც იქნა, საბოლოო შედეგამდე მივედი. მოზაიკისთვის საჭირო მასალას დღემდე ჩემს პატარა ლაბორატორიაში ვამზადებ. მინისა და მინანქრის ტექნოლოგია საკმაოდ ჰგავს ერთმანეთს. მინა გამჭვირვალეა, მინანქრის მასალა — სმალტა კი გაუმჭვირვალე. მათ შორის განსხვავება მხოლოდ ესაა. მოზაიკის ასაწყობად ფერების მომზადება მანამდე ხდება, სანამ მუშაობას დავიწყებ. სმალტას თიხაზე „ვსვამ“, ვწვავ, ვამუშავებ და ბოლოს, პატარ-პატარა ნატეხებად ვამტვრევ. სწორედ ამ ნატეხებით იწყობა მოზაიკა. საკმაოდ რთული და შრომატევადი პროცესია და სპეციალური ლაბორატორიის გარეშე, ოჯახურ პირობებში მუშაობა ძალიან რთულია.

— **თქვენს ნამუშევრებში ქვებით შექმნილი მოზაიკაც აღმოვაჩინე. რატომ დაგებადათ იდეა, ჩვეულებრივი რიყის ქვებისგან მოზაიკა შეგექმნათ?**

— აბაშის რაიონის სოფელ ზანათიდან ვარ. რამდენიმე წლის წინ, სოფლიდან შვილიშვილებთან ერთად, მდინარე აბაშაზე წავედი. ბანაობისას ჩემმა შვილიშვილმა მდინარიდან ულამაზესი ქვები ამოიღო და — ბაბუ, ნახე, რა ლამაზი ქვებიაო, — მითხრა. მაშინ დავაკვირდი ამ ქვებს: თეთრი, ნარინჯისფერი, მოწითალო, მოყავისფრო... მართლაც ულამაზესი ქვები იყო. მოვაგროვე და სახლში წამოვიღე. ქვებისგან პირველი ნამუშევარი — „მაცხოვრის ხატი“ გავაკეთე. არ ვიცოდი, როგორი გამოვიდოდა. ექსპერიმენტმა გაამართლა. ისეთი ლამაზი გამოვიდა, გადავწყვიტე, ქვებისაგან მოზაიკა კვლავაც გამეკეთებინა და კიდევ ერთი ექსპერიმენტი დავიწყე — ნამუშევარი



მოზაიკითა და ქვით შევქმენი. ამ ორი, სრულიად განსხვავებული მასალით შექმნილ ნამუშევარს „ქრისტეს შესვლა იერუსალიმში“ ჰქვია. ყველაფერი მოზაიკითაა შექმნილი, მხოლოდ მაცხოვრისა და ვირის გამოსახულებაა ქვებით შესრულებული. რამდენიმე ხნის წინ, ქვებისგანვე გავაკეთე მოზაიკა, რომელსაც „ბაბუა ჩემი წინაპარია“ ჰქვია. ჩემი ბაბუა, იოსები, ყველას ძალიან უყვარდა. მისი პორტრეტის შექმნას დიდი ხნის განმავლობაში ვგეგმავდი და იგი ხის აივანზე, ჩოხაში გამოწყობილი გამოვსახე.

— **ამ ნამუშევარში წარმოდგენილი ფარდაგები და ხეც თქვენი დამუშავებულია?**

— კი (*იღიმის*). ხეზეც ვმუშაობ, ქვაზეც და თითქმის ყველა მასალაზე, რომელიც ადამიანის ხელს ემორჩილება. გობელენი, ხე, ჭედურობა, თიხა, მოზაიკა, მინანქარი, ფერწერა, გრაფიკა... თავი ყველგან გამოვცადე (*იღიმის*).

— **მინანქარზე მუშაობის უცხო ტექნოლოგიას ფლობთ, რომელსაც ისევ და ისევ ექსპერიმენტების შედეგად მიაღწიეთ, არა?**

— მინანქარში ტიხარს იმისთვის დებენ, რომ გამოწვისას 2 ფერი ერთმანეთს არ შეერიოს. მე კი ვფიქრე, რომ უფრო საინტერესო იქნებოდა, თუ მინანქარს

ტიხრის გარეშე გამოვწვავდი და როცა ამ ტექნოლოგიას ვეუფლებოდი, მივხვდი, მინანქრის „დაცურებას“ შევძლებდი. მინანქრის გამლღვალი 2 ფერის ერთმანეთთან შერევას „დაცურება“ ჰქვია. თეორიულად, ფერების ერთმანეთში ისე შერევა, რომ კომპოზიცია შეიქმნას, თითქმის შეუძლებელია. მაღალ ტემპერატურაზე მდნობ მინანქარს მხოლოდ რამდენიმე წუთი სჭირდება ერთფეროვან მასად გადასაქცევად. ფერების ერთმანეთში შერევას ვერც რკინის წკირის ან სხვა საგანის მეშვეობით შევძლებთ, რადგან ღუმელი ძალიან ცხელია. გამოვთვალე, თუ როდის იწყებს მინანქარი დნობას და სწორედ მაშინ, როცა მინანქარი ლღვება, ყალიბს ვარხევ. ამის შედეგად ფერები ერთმანეთს ერევა და არაჩვეულებრივ ნამუშევარს ვიღებთ. ისეთი ფიგურები გამოისახება, რომელსაც ადამიანი ვერაფრით დახატავს. 1978 წელს, რუსეთში გამოფენა ჩატარდა, სადაც 26 ქვეყნის წარმომადგენელმა ხელოვანმა მოიყარა თავი. თითოეულ ოსტატს თავისი მაგიდა ჰქონდა და იქვე ქმნიდა ნამუშევარს. მუშაობის დასრულების შემდეგ კი გამოფენა უნდა მოგვეწყო. მას შემდეგ, რაც საგამოფენო ნამუშევრები გავაკეთე, გადავწყვიტე, ჩემი ტექნოლოგიით რამდენიმე ნამუშევარი შემექმნა, რომელმაც ხელოვნები აღაფრთოვანა (*იღიმის*).

— **ბატონო გურამ, სამომავლო გეგმებზე რას მეტყვით?**

— ახლახან გადაწყდა ივერიის ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის აშენება და ამ ტაძრისთვის ვამზადებ ღვთისმშობლის ხატს. ხატი მოზაიკით შესრულდება, ხოლო ღვთისმშობლის გამოსახულება ვიტრაჟში იქნება, რომელიც განათდება. ამ ორი მასალის გამოყენებით ხატი ჯერ არ შექმნილა და იმედია, უფლის ნებით ყველაფერი კარგად იქნება. ამასთან ერთად, ერთ დიდ პროექტს „ვეჭიდები“. ეს არის ეკლესიის პროექტი, სახელწოდებით „მართლმადიდებლური, ქრისტიანული ეკლესიის სიმბოლო“, რომლის გუმბათიდანაც უზარმაზარი ჯვარი იქნება „ამოზრდილი“. მისი სიმაღლე 107 მეტრი იქნება და ფოთსა და ბათუმს შორის აიგება. ზუსტ კოორდინატებს ჯერ კიდევ ვადგენთ. ეს ტაძარი არა მარტო ეკლესიის, არამედ შუქურას ფუნქციასაც შეასრულებს და ზღვაში გასული გემებისთვის გზის მიმცემი იქნება (*იღიმის*). ჯვარზე ასვლა ნებისმიერ დამთვალიერებელს შეეძლება. ჯვრის ფრთა 240 ადამიანს დაიტევს და დამთვალიერებლებს თვალწინ კოლხეთის ულამაზესი სივრცე გადაეშლებათ. თავად ჯვრის 32-მეტრიანი მონაკვეთი მინანქრით იქნება დაფარული. ამ ტაძარს საკმაოდ მრავალი დანიშნულება ექნება და იგი ალბათ ქრისტიანული სამყაროს სიმბოლოდ იქცევა.

— **წარმატებებს გისურვებთ.**

— დიდი მადლობა! ■

## საკითხავი ქალებისათვის

# მარტოობა თუ მუდმივი საფრთხის ქვეშ ყოფნა?



**ცოლ-ქმრის ცხოვრება თითქოს ჩვეულებრივად მიდიოდა, მაგრამ ერთ დღესაც შელაპარაკდნენ და ქალს საყვარელ ადამიანისგან შეურაცხყოფის მთელი კორიანტელი დაატყდა თავს. მეორედ მამაკაცმა ეს აღარ იკმარა და უდანაშაულო ქალზე ხელიც კი აღმართა; მესამედ რაღაცაზე გაბრაზებულმა, ცოლს შინიდან გაგდებაც დაუპირა...**

როგორ უნდა მოიქცეთ ამგვარ სიტუაციაში? შესაძლებელია თუ რა აგრესიის განეიტრალება ან მისი თავიდან აცილება?

ასეთი „ბრძოლების“ უმეტესობა, როგორც წესი, შელაპარაკებით იწყება. უნდა შეეცადოთ, მაშინვე აღკვეთოთ იგი და მანამ განმუხტოთ ვითარება, სანამ უთანხმოება ფიზიკურ ძალადობაში გადაიზრდება. თუკი ეს შეუძლებელია, ჯობს, იქაურობას საერთოდ გაეცალოთ.

ერთ რამ კარგად დაიმახსოვრეთ: საკუთარ თავს ჩაუნერგეთ, რომ თუ ერთ მშვენიერ დღეს თავს შეურაცხყოფა და ცემა-ტყეპა დაგატყდათ, თქვენი ბრალი არ არის — ასეთ მოპყრობას ნამდვილად არ იმსახურებთ. მაშასადამე, საპასუხოდ რაც უნდა მოიმოქმედოთ, მაინც მართალი იქნებით. ამიტომ, თუ აგრესორის გამოსწორება გაქვთ მიზნად დასახული, წინასწარ დაგეგმეთ თავდაცვის საშუალებანი. სრული უფლება გაქვთ, ისეთსავე ხერხებით იმოქმედოთ, როგორსაც თქვენი მეტოქე პარტნიორი იყენებს.

ქალი, რომელიც ძალადობისკენ მიდრეკილების მქონე მამაკაცის გვერდით ცხოვრობს, სათანადოდ ვერც კი აცნობიერებს, თუ რა ხდება მის თავს; გაურბის რეალობას და გარკვეული დროის მანძილზე თავს იტყუებს; უნდა, დაიჯეროს, რომ ამაში არაჩვეულებრივი არაფერია — პირიქით, ამგვარ საქციელს პარტნიორის ძლიერ სიყვარულს მიაწერს.

ამ საკითხთან დაკავშირებით, სპეციალისტებმა გარკვეული ტესტი შეიმუშავეს. რაც უფრო მეტ პუნქტს დაეთანხმებით, მით უფრო მალე უნდა გაწყვიტოთ კავშირი ამ ადამიანთან. მაშ ასე:

- მეუღლეს ყველაფერში ეთანხმებით, რადგან მისი რისხვის გეშინიათ;
- ცდილობთ სხვებთან გაამართლოთ მისი საქციელი;
- მისი ეჭვიანობა სიგიჟის ზღვარზეა;
- მას თქვენი ცხოვრების ყოველი წუთის გაკონტროლება სურს;
- ცოფდება, როცა მეგობრებთან ერთად, მის გარეშე ატარებთ დროს;
- მხოლოდ და მხოლოდ მან იცის, თუ როგორ უნდა იქცეოდეს — ქალი იქნება ეს ბავშვი თუ მამაკაცი;
- თავის წარუმატებლობაში მხოლოდ და მხოლოდ თქვენ ან გარშემო მყოფებს ადანაშაულებს; არასოდეს იღებს პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე;
- თქვენი მხრიდან სულ უმნიშვნელო წინააღმდეგობის გაწევის დროსაც კი მუქარაზე გადადის;
- არავის ენდობა;
- ნებისმიერ კონფლიქტურ სიტუაციაში მისთვის დამნაშავე მხოლოდ დაზარალებულია.

პასუხების შედეგებიდან გამომდინარე, ალბათ უკვე შეგექმნათ გარკვეული წარმოდგენა, აქვს თუ არა თქვენს ურთიერთობას მომავალი. კარგია, თუ თქვენს მეუღლეს ჯერ არ გადაულახავს საშიში ზღვარი.

მაგრამ როგორ უნდა მოიქცეთ, თუ მასთან განშორება ამა თუ იმ მიზეზის გამო შეუძლებელია, მდგომარეობა კი დღითი დღე უარესდება?

ჯერ ერთი, იმედი ნუ გექნებათ, რომ ხვალვე რაიმე შეიცვლება — ეს ასე არ მოხდება, რადგან ძალადობისკენ მიდრეკილება ქრონიკულ ხასიათს ატარებს. მეორეც, თუ ფსიქიკურად ან ფიზიკურად დაინვალიდების პერსპექტივა არ გიზიდავთ, მისი თვალთახედვის არიდან გაუჩინარებისთვის უნდა მოემზადოთ, რადგან გამორიცხული არ არის, წინა დღის ცემა-ტყეპის შემდეგ, მეუღლემ დევნა და მუქარა დაგიწყოთ, თან საწყალობლად გევედრებოდეთ მასთან დაბრუნებას. შიშის ან სიბრალულის გამო კი შეიძლება დათმობაზე წახვიდეთ და ყველაფერი ისევ თავიდან დაიწყება. ამიტომ ჯობს, ისე წახვიდეთ, რომ მისამართი არავის დაუტოვოთ. შეიძლება მატერიალური პრობლემებიც შეგექმნათ, მაგრამ ამ ყველაფრის კომპენსაცია — თქვენი და თქვენი შვილების უსაფრთხოებაა.

გახსოვდეთ: ჯობს მარტო იყოთ, ვიდრე ისეთი ადამიანის გვერდით იცხოვროთ, ვინც თქვენს სიცოცხლესა და ჯანმრთელობას საფრთხის ქვეშ აყენებს. ■

# მაკიაჟის გაკეთების უნივერსალური ხერხები

**შესაძლოა, დეკორატიულ კოსმეტიკას დიდი ხნის მანძილზე იყენებდეთ, მაგრამ მისი შესაძლებლობები ბოლომდე მაინც არ იცოდეთ. გთავაზობთ ცნობილი ვიზაჟისტების რჩევებს:**



თუ ხელთ არ გაქვთ მოცულობის მომცემი ტუში, ჩვეულებრივი, ფხვიერი პუდრი მიიფრქვიეთ წამწამებზე, შემდეგ კი წაისვით ტუში — წამწამები უფრო ხშირი და ფუმფულა გამოჩნდება. გამოიყენეთ თეთრი სადაფისფერი ჩრდილი, რომელსაც წაისვამთ თვალის შიდა კუთხეში, ზედა და ქვედა ქუთუთოებზე, ასო V-ს ფორმით.

თუ გინდათ, საღამოს სწრაფად შეისწოროთ მაკიაჟი, ქაღალდის ნოტიო ხელსახოცით დაისველეთ სახე, მოიშორეთ დღის განმავლობაში დაგროვილი მტვერი. შემდეგ მსუბუქად გადაისვით პუდრი. წამწამებზე ტუშს ნუღარ დაიმატებთ, რადგან ჩამოცვენას დაიწყებს.

მაკიაჟმა დიდხანს რომ შეინარჩუნოს სახე, წაისვით ტონალური კრემი უშუალოდ გაწმენდილ კანზე — არ გამოიყენოთ მაკიაჟის საფუძველი და გადაისვით პუდრი. შემდეგ აიღეთ ყინულის 3 კუბურა და ენერგიული, წრიული მოძრაობით გადაატარეთ სახეზე. არ შეგეშინდეთ მაკიაჟის გათხაპნის. თითოეული კუბურა გამოიყენეთ მანამ, სანამ დნობას დაიწყებს.

მაკიაჟის მდგრადობის გასაზრდელად, ქუთუთოებზე ჯერ ტონალური კრემი და პუდრი წაისვით, შემდეგ თვალის კონტური შემოხაზეთ. შეგიძლიათ, პუდრი ფანქრით გავლებულ ხაზსაც გადაუსვათ ან იმავე ფერის ჩრდილი წაისვათ. ტუჩებზე დაიდეთ ტონალური კრემის ან პუდრის თხელი ფენა, შემდეგ კონტური ფანქრით შემოხაზეთ და ფუნჯით პომადა წაისვით.

არ დაივიწყოთ მარტივი წესები: ტონალური კრემი თხელ ფენად გადაისვით მთელ სახეზე, ქუთუთოების, შუბლისა და ყელის მიდამოების ჩათვლით. კრემი დააფიქსირეთ ფხვიერი პუდრით, რომელიც საბოლოოდ ათანაბრებს ფერს, ფარავს ფორებს და რელიეფურ გამოზნექილობებს. ტონალური კრემი თანაბრად რომ განაწილდეს და ნაკლებშესამჩნევი იყოს, შეგიძლიათ შეურიოთ დამატენიანებელ კრემში — 3:2 თანაფარდობით.

ღაწვებზე მიიფრქვიეთ ნამზეური ფერის „რუმიანა“ და ფუნჯით თანაბრად გაინაწილეთ. ცხვირის ზედაპირზე, ვიწრო ზოლად, სწორად გადაისვით სპილოსძვლისფერი ჩრდილები. ამასთან, თუ ცხვირის ვიზუალურად დაპატარავება გსურთ, ზოლი ცხვირის წვერიდან 1 სმ-ით უნდა იყოს დაშორებული. ოდნავ შეახეთ ფუნჯი ცხვირის წვერს, ბიბილოებს და ნიკაპს.

გააკეთეთ აქცენტი მკაცრად განსაზღვრულ ოთხ წერტილზე. I წერტილი აღნიშნეთ წარბების საწყისთან ანუ ცხვირის ფუძესთან. ამ წერტილიდან წარბების ზრდის მიმართულებით, გადაისვით ფუნჯი; II და III წერტილი — ღაწვები და ღაწვქვეშა სივრცე (ფუნჯი ოდნავ შეახეთ). დაბოლოს IV წერტილი — დააფიქსირეთ ზედა ტუჩზე, I წერტილის გასწვრივ და ტუჩის კონტური გაატარეთ წარბების ხაზის პარალელურად. აღნიშნული წერტილები წარმოქმნის „რომბს“, სახე ვიზუალურად გადატკეცილია და უფრო ახალგაზრდულად და ნათლად გამოიყურება. ■

# როგორ მოვუაროთ ჭორფლიან სახეს



არასოდეს გაიწმინდოთ ჭორფლით დაწინწკლული სახე ტუალეტის წყლით ან სპირტნარევი ლოსიონით. იმ შემთხვევაში, თუ მზის სხივებმა კანი გაგიღიზიანათ და წითლად დაგფოთლათ, მაწონი ან არაჟანი წაისვით. შეგიძლიათ სახის გასაწმენდად, გვირილის ან ჩაის ნაყენიც გამოიყენოთ.

როცა კანის მგრძნობელობა მომატებული გაქვთ, შინიდან გასვლის წინ მზისგან დამცავი კრემი წაისვით. თუ ჭორფლი მაინც ვერ მოიშორეთ, გულს ნუ გაიტეხთ — სახის კანი დღეში რამდენჯერმე მაწვნით, ლიმონის ან კიტრის წვენით გაიწმინდეთ.

შეგიძლიათ გამოიყენოთ სპეციალური მათეთრებელი კრემები, მაგრამ კრემს თუ ქუჩაში გასვლის წინ წაისვამთ, სახის კანი გაგიღიზიანდებათ და ჭორფლიც მოგიმრავლდებათ. მათეთრებელი კრემი, წინასწარ დაბანილ ან გაწმენდილ სახეზე თხელ ფენად უნდა გადაისვათ და ორი საათის შემდეგ ნოტიო ქსოვილით მოიშოროთ.

მათეთრებელი საშუალებების დამზადება თავადაც შეგიძლიათ:

√ 1 ს/კ ლიმონის წვენს დაუმატეთ 6%-იანი ძმარი და 2 ჩ/კ ანადუღარი წყალი. თუ მშრალი კანი გაქვთ, ჩაუმატეთ 2 წვეთი გლიცერინი.

√ შესანიშნავ ეფექტს იძლევა აგრეთვე ოხრახუშის ნაყენი. წვრილად დაჭრილ ოხრახუშს დაასხით მდუღარე წყალი და გაგრილებამდე გააჩერეთ. ამ ნახარშით სახე დღეში 2-ჯერ გაიწმინდეთ. ■

## ფხვიერი ნამცხვარი



**მასალად საჭიროა:**

250 გ მარგარინი;
1,5 ჩ/ჭ შაქრის ფხვნილი;
2 ცალი კვერცხი;
4 ჩ/ჭ ფქვილი;
1/8 ჩ/კ მარილი;
1/4 ჩ/კ სოდა (ძმრით);
1 ს/კ არაჟანი.

**მომზადების წესი:**

მარგარინი დაჭერით, მოათავსეთ ქვაბში და გაადნეთ. გადმოდგით ცეცხლიდან, დაუმატეთ შაქართან ერთად ათქვეფილი კვერცხი, არაჟანი და კარგად აურიეთ. შემდეგ დაუმატეთ მარილი, სოდა, ფქვილი და მოზილეთ ცომი. ცომი გაყავით 5-6 ნაწილად და ფქვილმოყრილ დაფაზე 2-3 სმ სისქემდე გააბრტყელეთ. შემდეგ დაჭერით სასურველ ფორმებად (გულის, ნახევარმთვარის და ა.შ) და ჰაერღუმელში გამოაცხვეთ. ■

*რუბრიკა მოამზადა*
*ეკა გუნთაიშვილმა*

# გზაში საკითხავი კოლაჟი

მომზადებული თემურ ივანიძე

1. ბზუბზუ სოფელია აჭარაში.
2. დღეს მშვიდობას ომის მოგების ფასი აქვს.
3. „ნახევრად სიმართლეს ტყუილზე დიდი ძალა აქვს“, — ამბობდა იოზეფ გებელსი.
4. რუსებმა კოსმოსშიც კი მოახერხეს თავიანთი განთქმული რუსული აბანოს მოწყობა.
5. საქართველოში ყაზანური თეთრი გიორგაული თეთრით გიორგი ბრწყინვალემ შეცვალა.
6. „რისხვას აქვს საფუძველი, მაგრამ იშვიათად — დამაჯერებელი“, — ამბობდა ბენჯამინ ფრანკლინი.
7. „მთას ხუმრობა არ უყვარს. მომზადებული თუ არა ხარ, აუცილებლად დაისჯები“, — ამბობენ ალპინისტები.
8. „სუდბა — ეტა ტო, შტო ნამ ნავიაზივაიუტ, ა შტო პალუჩაეტსა — ეტა ნაზივაეტსა ბიოგრაფია“, — ამბობს მიხაილ ჟვანეცკი.
9. ზრდასრული კაშალოტი 18 მეტრს აღწევს სიგრძეში. იგი დაახლოებით კეგლბანის ბილიკის სიგრძისაა.
10. ლონდონის ერთ ოჯახში სადღესასწაულო დღეებში განუწყვეტლივ ისმის ზარის წკრიალი. ამ ოჯახის უფროსი გვარად ტაქსი გახლავთ.
11. 12 წლის ასაკში თამარი გიორგი III-ის თანამეფედ გამოცხადდა, 18 წლისა კი (გიორგის გარდაცვალების შემდეგ) — მეფედ ეკურთხა.
12. ნიკო ფიროსმანს დუქანში რაიმეს მოხატვის დროს, ყველა სუფრასთან ეძახდნენ მოქეიფეები და ყველა მაგიდასთან თითო ჭიქის დალევა უწევდა. ამის გამო ხშირად მთვრალი ამთავრებდა სამუშაო დღეს.



13. „მსახიობები და მხატვრები დროდადრო დატუქსვასა და ყურის აწევას საჭიროებენ“, — ამბობდა ადოლფ ჰიტლერი.
14. რომაელი ლუციუს ვერაციუსი თავისებურად ირთობდა თავს. რომელიმე გამვლელს ქუჩაში სილას უთავაზებდა, ხოლო მისი მონა მაშინვე უხდიდა დაზარალებულს ამგვარი დანაშაულისათვის დაწესებულ ფულად ჯარიმას.
15. ერაყელები ერთმანეთს მარცხენა ხელის აწევით არ ესალმებიან, რადგან ამ ხელით ისინი უკანალს იწმენდენ და ამგვარი მისალმება მათში შეურაცხყოფად მიიჩნევა.



# Rotary Supers Cars-ის „პირველი მერცხალი“



გერმანულმა კომპანიამ, — Rotary Supers Cars, — თავისი პირველი ნამუშევრის შესახებ დეტალური ინფორმაცია გაავრცელა. ესაა სუპერავტო, სახელწოდებით — Raptor GT. როგორც ოფიციალურ პრესრელიზშია ნათქვამი, ავტომობილს 2,6-ლიტრიანი როტორის ძრავა აქვს, რომელიც mazda 13B MSP-ის ზოგიერთი დეტალის გამოყენებითაა აწყობილი. სიახლის აგრეგატი სიმძლავრის მიხედვით რამდენიმე ვარიანტად გამოვა: 500, 800 (ტურბინის ვერსიით) და 1200 ცხძ-ით (ბიოეტანოლ 85-ზე მუშაობის პირობით). სუპერავტოს ძარას 80% კარბონისგან დამზადდება, რის საფუძველზეც ნებისმიერი ვერსიის მანქანის მასა 1100 კგ-ს არ გადააჭარბებს. ავტომობილს აქტიური, აეროდინამიკური ელემენტები აქვს, რაც მაღალი სიჩქარით სვლისას გზაზე დაწოლას გაზრდის. მანქანის როტორის ძრავა 8-საფეხურიანი, სეკვენტალური სიჩქარის გადაცემათა კოლოფით იმუშავებს, რომელსაც საფეხურების ცვლა 25-35 მლ/წმ-ში შეეძლება. 500 ცხძ-ის სიმძლავრის მოტორის მქონე ვერსიისთვის 6-საფეხურიანი „სეკვენტალურია“ განსაზღვრული. მწარმოებლის მონაცემებით, „რაპტორ ჯეტის“ 1200 ცხძ-ის სიმძლავრის მოტორით აღჭურვილი სუპერავტოს ყველაზე მძლავრი ვარიანტი 0-დან 100 კმ/სთ სიჩქარეს 3 წამზე ნაკლებ დროში, 200 კმ/სთ-ს — 7 წამში, ხოლო 297 კმ/სთ-ს — 15 წამში განავითარებს. ავტომობილი გაჩერდება 406-მილიმეტრიანი, კარბონ-კერამიკული სამუხრუჭე დისკების მეშვეობით. ამჟამად კომპანია „როტარი სუპერს კარსი“ თავის მეორე მოდელზე მუშაობს, რომელსაც VelociRaptro ეწოდება. ასეთ ავტომობილს სრული აძვრის მექანიზმი, სიჩქარის გადაცემათა 8-საფეხურიანი, სეკვენტალური სისტემა და 1200 ცხძ-ის სიმძლავრის ძრავა ექნება. მისი ძარა 90%-ით კარბონისგან დამზადდება, ხოლო მასა დაახლოებით 1100 კგ იქნება. ამ ავტომობილების ბაზარზე გამოჩენის ზუსტი ვადა ამ ეტაპზე არ სახელდება. ■

# ჰიბრიდული Porsche 918 Spyder

ჰიბრიდული სუპერავტოს, — Porsche 918 Spyder, — პირველი ეგზემპლარები ხელმისაწვდომი 2013 წლიდან იქნება. გერმანული კომპანიის ახალი მმართველის, მათიას მიულერის თქმით, მიმდინარე წლის ბოლომდე „პორშე“ საინჟინრო სამუშაოებს დაასრულებს, ხოლო მომავალი წლის დასაწყისისთვის მის ღირებულებაზეც ჩამოყალიბდება. კომპანია მანქანის ყველა ტექნიკური და დინამიკური მახასიათებლის შესახებ ინფორმაციას იმ დროისთვის გაავრცელებს. ამის შემდეგ მანქანის ბაზარზე გაყვანისთვისაც დაიწყება მზადება. წინასწარი მონაცემებით, „პორშე 918 სპაიდერზე“ ფასები 500 ათასი ევროდან დაიწყება. სუპერავტოს პროტოტიპი მარტში ჟენევის ავტოსალონზე წარადგინეს. ავტომობილი ჰიბრიდული აგრეგატით იყო აღჭურვილი, რომელიც 500 ცხძ-ის სიმძლავრის, 3,4-ლიტრიან ატმოსფერულ, 8-ცილინდრიან ძრავას, საერთო სიმძლავრით 218 ცხძ-იან ორ ელექტრომოტორს, სპეციალური აკუმულატორების კომპლექტს და სიჩქარის გადაცემათა 7-საფეხურიან, წინასელექტიურ კოლოფს აერთიანებდა. ელექტროაძვრით კონცეპტუალურ „სპაიდერს“ 25 კმ-ის გავლა შეუძლია. 0-დან 100 კმ-მდე სიჩქარეს იგი 3,2 წამში ავითარებს, ხოლო მაქსიმალური სიჩქარე 320 კმ/სთ-ია. როგორც ახალი პროდუქტების კვლევისა და შემუშავების განყოფილების ხელმძღვანელმა, ვოლფგანგ დიუხმაიერმა განაცხადა, ნიურბურგრინგის ცნობილი ჩრდილო მარყუჟის დაფარვა სუპერავტოს კუპე Carrera GT-ზე სწრაფად, ესე იგი 7 წუთსა და 30 წამზე ნაკლებ დროში შეუძლია. ამასთან, საწვავის ხარჯი 100 კმ მანძილზე 3,1 ლიტრს, ხოლო გამონაბოლქვის რაოდენობა კმ-ზე 70 გრამს არ გადააჭარბებს. „პორშე 918 სპაიდერის“ წარმოებაში ჩაშვების იდეა კომპანიის ხელმძღვანელობამ მიმდინარე წლის შუა პერიოდში მოიწონა, თუმცა მაშინ მანქანის კონვეიერზე მოხვედრის ზუსტი ვადა არ დაუსახელებიათ. ივლისის მდგომარეობით, ამ მოდელის პოტენციური მყიდველების რიცხვმა 2000-ს გადააჭარბა. ■



# სუპერავტო C-X75

კომპანია „იაგუარი“ მცირესერიულ წარმოებაში ჰიბრიდული სუპერავტოს, — C-X75, — ჩაშვებას აპირებს, რომლის პროტოტიპიც პარიზის მოტორშოუზეა წარდგენილი. ამ ეტაპზე ბრენდის ხელმძღვანელობა პროექტის რეალიზების 2 ვარიანტს ხედავს — ერთ-ერთი მათგანი 1000 ავტომობილის გამოშვებას ითვალისწინებს და ისინი მეტწილად ხელით აიწყობა. მეორე გეგმით კი 2000 მანქანის გამოშვებაა დაგეგმილი, ოღონდ ავ-





ტომატიზაციის უფრო მაღალი ხარისხით. გარდა ამისა, თუ „იაგუარი“ ავტომობილის აგრეგატში მიკროტურბინის სერიულ დანერგვას გადაწყვეტს, წარმოების დაწყებას დაახლოებით 5-7 წელიწადი უნდა ველოდოთ. „2-3 წელიწადი სერიული მანქანის გაზის ტურბინის ტექნოლოგიის შექმნაზე დაიხარჯება, ხოლო კიდევ 4-5 წელიწადი ავტომობილზე მისი ინტეგრირებისთვის იქნება საჭირო“, — განაცხადა „იაგუარის“ ალტერნატიული ძრავების განყოფილების ხელმძღვანელმა, ტონი ჰარპერმა. მანვე აღნიშნა, რომ გაზის ტურბინები საკმარისად სანდო იქნება, ხოლო მათი წარმოებისთვის დანახარჯები, ჩვეულებრივ მოტორებთან შედარებით, საგრძნობლად შემცირდება: „გაზის ტურბინებში პრაქტიკულად არაფერი იქნება დასამტვრევი. მასში 100-ჯერ ნაკლები დეტალი გამოიყენება, ვიდრე ჩვეულებრივ, შიგაწვის ძრავაში“. სუპერავტოს, — C-X75, — სერიულ წარმოებაში ჩაშვება იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ რამდენად წარმატებული აღმოჩნდება აგრეგატებში გაზის ტურბინების გამოყენება. მისი ერთ-ერთი უპირატესობა კი ისაა, რომ კაპოტქვეშ პატარა ადგილს დაიკავებს, რისი წყალობითაც ინჟინრებს სალონის გაზრდის შესაძლებლობა მიეცემათ. კონცეპტუალური „Iaguar si-iqs 75“ ჯამური სიმძლავრით 780 ცხძ-ის, 4 ელექტროძრავათია აღჭურვილი, რაც ავტომობილს 0-დან 100 კმ/სთ სიჩქარის 3,4 წამში განვითარების შესაძლებლობას აძლევს, ხოლო მისი მაქსიმალური სიჩქარე 330 კმ/სთ იქნება. ელექტრომოტორების მკვებავი ლითიუმ-იონური ბატარეები, ჯამური სიმძლავრით 188 ცხძ-ის მქონე, გაზის მიკროტურბინების მუშაობის ხარჯზე იტენება. ისინი სვლის თადარიგს 110-დან (უშუალოდ ელექტროგაწევით მოძრაობისას) 900 კმ-მდე ზრდიან. ■

# ვერცხლისფერი ყველაზე პოპულარულია

მიმდინარე წელს ავტომობილებისთვის ყველაზე პოპულარულ ფერად, ვერცხლისფერი დაასახელეს. ეს განცხადება საღებავების ერთ-ერთმა ყველაზე მსხვილმა მწარმოებელმა კომპანიამ, Industries-მა გააკეთა. ვერცხლისფერი ამ „ტიტულს“ ბოლო ათი წლის განმავლობაში ატარებს. მიმდინარე წელს მასთან ერთად პირველ ადგილს მუქი რუხი ფერიც ინაწილებს, რომლის პოპულარობაც ჩრდილოეთ ამერიკაში შარშანდელთან შედარებით, 10%-ით გაიზარდა. მეორე პოზიცია თეთრმა და შავმა ფერებმა დაიკავა (აშშ-ში გაყიდული ავტომობილების 18% სწორედ ამ ფერებში იყო შეღებილი). მესამე და მეოთხე ადგილებზე წითელი და ცისფერია; მეხუთე ადგილი კი ყავისფერმა, ოქროსფერმა, სტაფილოსფერმა და ყვითელმა გაიყო (ამ ფერებად 2010 წელს, აშშ-ში გაყიდული მანქანების საერთო რაოდენობის დაახლოებით 8% იყო შეღებილი). ყველაზე მცირე მოთხოვნილება კვლავაც მწვანე ფერის ავტომობილებზეა, რომელთა წილი 4%-ს არ აჭარბებს. შედარებისთვის, 16 წლის წინ, ამერიკულ ავტომობილისტებში ყველაზე დიდი მოთხოვნილება სწორედ მწვანე ფერის მანქანებზე იყო, ხოლო თეთრად და ვერცხლისფრად მხოლოდ საერთო რაოდენობის 8% იღებებოდა. ევროპისა და აზიის ბაზრებზეც პირველ ადგილს ვერცხლისფერი იკავებს, ხოლო მეორესა და მესამეს, შესაბამისად — შავი და თეთრი. ■



ანტიდეპრესანტი

# გზაში საკითხავი კოლაჟი

მომზადებული თემურ ივანიძე

16. „დელიკატურობა ერთობ უცნაური რამ არის. ჩემთვის ნაპოლეონის სადღეგრძელოს თქმა რომ ეთხოვათ, ბევრ კარგსა და საინტერესო რამეს ვიტყოდი, მაგრამ ვერ ვიტყოდი ყველაზე მთავარს, კერძოდ იმას, რომ კაცობრიობისთვის გაცილებით აჯობებდა, იგი ამქვეყნად საერთოდ არ გაჩენილიყო“, — განაცხადა ბერნარდ შოუმ ერთ-ერთ წვეულებაზე.

17. გრეგორიანული კალენდარი 1582 წელს, რომის პაპ გეორგ XV-ის დროს შემოიღეს. მანამდე კეისრის კალენდარი მოქმედებდა, რომელიც 13 დღით ჩამორჩებოდა თანამედროვე ვარიანტს. ახალ, გრეგორიანულ კალენდარში 1-ელ თებერვალს 14 თებერვალი ეწოდა. ასე გაგრძელდა ჟამთაღრიცხვა.

18. ზელასთან მომხდარი ბრძოლის ანაზდეულობა რომ ეუწყებინა, იულიუს კეისარმა თავის მეგობარს, ამანტუსს სამი სიტყვა მისწერა: „მივედი, ვნახე, დავამარცხე“. („ვენი, ვიდი, ვიცი“). P.S. კეისრის ეს სიტყვები დღეს სიგარეტ „მალბოროს“ კოლოფს ამშვენებს.

19. რიჩარდ ლომგულმა ჯვაროსნულ ლაშქრობაში ქალების წაყვანა აკრძალა. გამონაკლისს მრეცხავი ქალები წარმოადგენდნენ, რომლებზეც ჯვაროსნები ამბობდნენ: მრეცხავი ქალი არც ტვირთია და არც ცდუნებაო.

20. ქალაქ ღაზას ალების შემდეგ ალექსანდრე მაკედონელმა ნადავლის უდიდესი ნაწილი დედას, ოლიმპიადას გაუგზავნა. თავის აღმზრდელ ლეონიდას კი ხუთასი ტალანტის გუნდრუკი და კიდევ ასი ტალანტის სხვა საკმეველი გაუგზავნა. ერთხელ, ბავშვობაში, ალექსანდრეს, როგორც ამბობენ, მსხვერპლშეწირვის დროს



ორივე ხელით მოუბოჭავს გუნდრუკი და ცეცხლში ჩაუყრია. ლეონიდას უთქვამს: როცა ნელსურნელებით მდიდარ ქვეყანას დაიპყრობ, ასე გულუხვად გუნდრუკი მაშინ აკმიეო. სწორედ ეს გაიხსენა მთავარსარდალმა და ლეონიდას მისწერა: „აი, სამყოფად გიგზავნი გუნდრუკსა და სხვა საკმევლსაც, რათა ღმერთთა წინაშე ძუნწი აღარ იყო!“

21. „მოუკრეფავნი“ — ვახუშტი კოტეტიშვილის მიერ გამოცემული ქართული სკაბრეზული ფოლკლორის ნიმუშთა კრებულია. ეს ხალხური გამოცანაც ამ კრებულშია შესული: „მოდი, ბიჭო, დავიძინოთ, ხუჭახუჭა ვენათო, ბანჯგვლიანი, ბუნჯგვლიანი ერთმანეთსა ვკრათო“. ამ გამოცანის პასუხი „წამწამებია“ და არა ის, რაც თავდაპირველად გაიფიქრეთ.

მოამზადა ალექსი რეხვიაშვილმა

# მსოფლიოს ყველაზე საშიში კუნძულები

ბრაზილიის მახლობლად მდებარე ეგზოტიკური კუნძული ტურისტების საყვარელი ადგილი იყო, მაგრამ ბოლო დროს იქ გველები მომრავლდნენ, რის გამოც მას გველების კუნძული შეარქვეს. სტატისტიკის მიხედვით, 1 კვმ-ზე დაახლოებით 5 შხამიანი გველი ბინადრობს. რეპტილიებიდან ყველაზე საშიში Golden Lancehead-ია, რომლის შხამიც მომენტალურ სიკვდილს იწვევს.

კუნძული როველია ვენეციის ლაგუნაში მდებარეობს. რომის იმპერიის დროს, შავი ჭირით დაავადებულ ადამიანებს ამ კუნძულზე ასახლებდნენ. შუა საუკუნეებში შავი ჭირით გარდაცვლილი და დაავადებული ადამიანები კუნძულზე მიჰყავდათ და საერთო ორმოებში წვავდნენ. მეცნიერების აზრით, როველიაზე 160 ათასი ადამიანი დაიღუპა. დღეს კუნძულზე არავინ ცხოვრობს.

ბირმის მახლობლად მდებარე რამპის კუნძული მალარიის გადამტანი მწერებით, შხამიანი ბუზებითა და მორიელებითაა ცნობილი. 1945 წელს, კუნძულზე შემზარავი ფაქტი მოხდა: ათასობით იაპონელი სამხედრო ნიანგებმა ცოცხლად შეჭამეს.

იზუ იაპონიის მახლობლად მდებარე კუნძულთა ჯგუფია. ვულკანური აქტივობის გამო ტერიტორიაზე ჰაერი გოგირდითაა მოწამლული. ადგილობრივი მოსახლეობიდან თითქმის ყველა გაიხიზნა, მხოლოდ რამდენიმე ადამიანი დარჩა, რომლებიც დღედაღამ სასუნთქ ნიღბებს ატარებენ. მეცნიერები მათზე დაკვირვებას ახდენენ, რისთვისაც იზუელებს მცირე გასამრჯელოსაც უხდიან.

მრავალი წლის მანძილზე ოკეანეში ჩაყრილი ნაგავი წყლის დინებას მიჰქონდა და ერთ ადგილზე აგროვებდა. ეს ნაგვის გროვა წყნარ ოკეანეში მდებარეობს. იგი კუნძულად გადაიქცა და ზომით ტეხასის შტატს უტოლდება.



ჩამოთვლილ კუნძულებს შორის ყველაზე საშიში ფიჯის კუნძულია, რომელიც კანიბალიზმით, ადამიანების წამებითა და ჩვილების მკვლელობითაა ცნობილი. XIX საუკუნის 40-იან წლებში კუნძულს ერთი მისიონერი ეწვია. მან კანიბალებს შორის დიდხანს ვერ გაძლო, მიზეზს დღიურის ჩანაწერიდან ვიგებთ: „1839 წლის 31 ოქტომბერია. 20 მკვდარი ადამიანის — კაცის, ქალისა და ბავშვის სხეული უნდა მოამზადონ და შეჭამონ“. კანიბალიზმის გარდა, მისიონერმა ჩვილთა მსხვერპლშეწირვებიც აღწერა.

# დედამიწის ეკოკატასტროფები

2008 წლის მაისში, ტროპიკულმა ციკლონმა „ნარგისმა“ 22 ათასი ადამიანი იმსხვერპლა და ქვეყანას 25 მლრდ დოლარის ზიანი მიაყენა.



1985 წელს, კოლუმბიაში ვულკან ნევადო დელ რუისის ამოფრქვევამ 25 ათასი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

1976 წელს, ჩინეთში მომხდარი მიწისძვრის დროს 255 ათასი ადამიანი დაიღუპა.

1931 წელს, ჩინეთის მდინარე ხუანხე (მას „ყვითელ მდინარესაც“ ეძახიან) ნაპირებიდან გადმოვიდა. დაავადებებს, შიმშილსა და გვალვას 3,7 მლნ ადამიანი შეეწირა.

1815 წელს, ინდონეზიაში, ვულკან ტამბორას ამოფრქვევის შედეგად 80 ათასი ადამიანი შიმშილისგან დაიღუპა.

1811-1812 წლებში, ახალ მადრიდში (მისურის შტატი, აშშ), ამერიკის ისტორიაში ყველაზე ძლიერი, სამი მიწისძვრა მოხდა.

1737 წელს, კალკუტაში (ინდოეთი) მომხდარმა კატასტროფამ (მეცნიერთა ერთი ჯგუფი ფიქრობს, რომ მიწისძვრა მოხდა, მეორე ჯგუფის აზრით — ტაიფუნი) 300 ათასი ადამიანი იმსხვერპლა.

2005 წლის 8 ოქტომბერს პაკისტანში მომხდარმა, 7,6-ბალიანმა მიწისძვრამ 40 ათასი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

2004 წლის 26 დეკემბერს, ინდოეთის ოკეანეში მომხდარმა მიწისძვრამ გიგანტური ცუნამი გამოიწვია, რაც 225 ათასი ადამიანის სიკვდილის მიზეზი გახდა.

1992 წელს, ქარიშხალმა „ენდრიუმ“ 26 ადამიანი იმსხვერპლა.



1556 წელს, შაანძიში (ჩინეთი) მიწისძვრამ 800 ათასი ადამიანი შეიწირა.

1330-1351 წლებში, შავმა ჭირმა 75 მლნ ადამიანი იმსხვერპლა. ეს ევროპის მოსახლეობის 60 პროცენტია.

1138 წელს, ალეპოში (სირია) მომხდარი მიწისძვრის დროს 230 ათასი ადამიანი დაიღუპა. ■

# ბარბაროსული ევროპა

XIX საუკუნემდე ევროპელები ველურებივით ცხოვრობდნენ. ანტიკურ სამყაროში მნიშვნელოვანი როლი ენიჭებოდა პირად ჰიგიენას. რომში ათასზე მეტი აბანო იყო. ევროპაში კათოლიციზმის დამყარების შემდეგ ყველა აბანო დაკეტეს. ბანაობა კი აკრძალეს. ევროპაში მოხვედრილი ერთი არაკათოლიკე ისტორიკოსი წერდა: „კათოლიციზმი ათეიზმზე საშინელებაა“. ესპანეთის დედოფალი იზაბელა სიამაყით ამბობდა, რომ ცხოვრებაში მხოლოდ ორჯერ იბანავა. ერთხელ დაბადებისას, მეორედ — ქორწინების დღეს. ცნობილია, რომ ფრანგ მეფეთა შვილების ხშირი სიკვდილიანობის მიზეზი ტილები იყო. პაპი კლიმენტი V დეზინტერიისგან დაიღუპა; ხოლო პაპი კლიმენტი VII და საფრანგეთის მეფე ფილიპ II — მუნისგან.

თუ XV-XVI საუკუნეებში ევროპელები წელიწადში ორჯერ ბანაობდნენ, XVII-XVIII საუკუნეებში შხაპის მიღებაზე საერთოდ უარი თქვეს. საფრანგეთის მეფემ, ლუდოვიკო XIV-მ ცხოვრებაში ორჯერ, ექიმების დაჟინებული მოთხოვნით იბანავა და დაიფიცა, რომ ცხოვრებაში აღარ ჩაიდენდა ასეთ სისულელეს. სისუფთავეს ზიზღით უყურებდნენ. ტილებსა და რწყილებს „ღვთის მარგალიტებს“ უწოდებდნენ. ფანატიკოსი მორწმუნეები ამაყობდნენ, რომ მათ სხეულს (გარდა ფეხებისა) ცხოვრებაში წყალი არ შეხებიათ. ერთხელ, მეფე-მზემ ცუდ ხასიათზე გაიღვიძა (საერთოდ, რწყილების გამო ღამე მოსვენება არ ჰქონდა) და სამეფო ოჯახის წევრებსა და დიდგვაროვნებს, ანტისანიტარიის სუნის „შესანიღბად“ სუნამოების გამოყენება უბრძანა. სხვათა შორის, გაირკვა, თუ რატომ იყო წითელი ხის ავეჯი პოპულარული — მასზე რწყილები არ ჩანდა. მეფეს რწყილების დასაჭერად პირადი პაჟი ჰყავდა. საწოლის ქვეშ კი ღამის ქოთნები ელაგათ, რომელთა გასუფთავება ან თავში აზრად არ მოსდიოდათ ან შიგთავსს ქუჩაში, პირდაპირ ფანჯრებიდან ღვრიდნენ. ერთხელ ლუდოვიკო XIV-ს, სასახლის ერთ-ერთი ფანჯრიდან თავზე სიბინძურე გადმოასხეს. ამის შემდეგ მეფემ ბრძანება გამოსცა: მოსახლეობამ, ქუჩაში ნაგვის გადმოყრამდე, სამჯერ უნდა დაიძახოს: „ფრთხილად“! ვერსალში საპირფარეშო არ არსებობდა და ბუნებრივი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ყველა კუთხე-კუნჭული გამოიყენებოდა. როცა სასახლეში ანტისანიტარიის გამო ცხოვრება გაუსაძლისი ხდებოდა, მეფე სხვა სასახლეში გადადიოდა საცხოვრებლად.



საკუთარი ტანსაცმელი ფანჯრიდან გადმოყრილი ნაგვისგან რომ დაეცვათ, ევროპელებმა ფართოფარფლიანი შლაპები დაიხურეს. მამაკაცებმა რევერანსის დროს თავსაბურავის მოხდაც იმიტომ ისწავლეს, რომ მოსაუბრისთვის ცხვირ-პირში არ მიეფარებინათ ნაგვით აქოთებული ქუდი. როცა პარიზის ქუჩები ნაგვით გაივსო, მოსახლეობამ გერმანელების მსგავსად, მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი ჩაიცვა.

აი, როგორ გამოიყურებოდა XIV-XV საუკუნის ფრანგი რაინდი ევროპელი არქეოლოგების აზრით: საშუალო სიმაღლის იქნებოდა; ნაყვავილარი სახე (იმ პერიოდის ევროპაში ყვავილზე აცრა ჯერ არ არსებობდა) ჭუჭყიანი და გაუპარსავი ჰქონდა; დაუბანელ თმას მუზარადი უფარავდა; ტანსაცმლის ნაკეცებში რწყილები და ტილები ბუდობდნენ. რაინდი, რა თქმა უნდა, კბილებს არ იხეხავდა. ბრძოლის დროს რკინის ჯავშანი გაუხდელად ეცვა (მისი დამოუკიდებლად ჩაცმა-გახდა შეუძლებელი იყო); ბუნებრივ მოთხოვნილებებსაც ჯავშანში იკმაყოფილებდა. ზოგიერთი ისტორიკოსის აზრით, მტერი რაინდთა ბანაკებს სუნით აგნებდა.

შუა საუკუნეებში ესპანელი მანდილოსნები რწყილებისგან გასათავისუფლებლად თმაში დანაყილ ნიორს იზელდნენ. ფრანგმა მანდილოსნებმა შალის თეთრეული აბრეშუმზე გაცვალეს, რადგან მკბენარი ამ უკანასკნელში ძნელად მრავლდებოდა.

დაბოლოს, ევროპელები მკვდრებსაც კი ბარბაროსულად ექცეოდნენ — ზოგიერთი ექიმბაში უკვდავების ელექსირის მისაღებად გვამს ანაწევრებდა და ხარშავდა. XVII საუკუნეში კი „სასიყვარულო სასმელს“ ფხვნილად ქცეული ადამიანის ძვლებისგან ამზადებდნენ. XVIII საუკუნეში დიდგვაროვანი მანდილოსნები ახლობელი ადამიანების თავის ქალას ლენტებითა და სამკაულებით რთავდნენ, ალქიმიკოსები კი შანდლად იყენებდნენ. XVIII საუკუნეში ადამიანის ძვლებისგან დაამზადეს ჭაღი, რომელიც დღესაც ჩეხეთის ერთ-ერთ ტაძარში ინახება. ადამიანის ტყავისგან კი წიგნის გარეკანს აკეთებდნენ. ადამიანის ტყავშია გამოკრული „ადამიანთა უფლებათა“ წიგნი და 1793 წელს მიღებული საფრანგეთის კონსტიტუცია. ■



დედოფალი იზაბელა



რუბრიკა მოამზადა
რუსუდან გელაშვილმა

# გაშავებული კადნიერი მარჯვენა, ხანძარში გადარჩენილი ხატი და წმინდა ქალწულის ნებით დაარსებული სავანე...

შორენა მერკვილაძე

**განვაგრძობთ საუბარს ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატების შესახებ.**

## ღვთისმშობლის ხატი – მოწყლული

ხატი იმყოფება ათონის მთაზე, ვატოპედის მონასტერში. მონასტრის ერთ-ერთმა დიაკონმა, რომელსაც წესრიგისთვის თვალყურის დევნება ევალებოდა, მორჩილება გაუგრძელდა და ტრაპეზზე დააგვიანდა. უკმაყოფილო ტრაპეზარმა სადილზე უარი უთხრა. დიაკონი მრისხანებამ მოიცვა, ტაძარში დაბრუნდა, ღვთისმშობლის ხატის წინაშე დადგა და მიმართა: „როდემდე უნდა გემსახურო, ღვთისმშობელო, ვშრომობ, ვშრომობ და სამაგიეროდ არაფერი მაქვს. პურის ნაჭერიც კი არ მერგო, რომ გამოლეული ძალა მომეკრიბა“. შემდეგ დანა აიღო, რომლითაც სასანთლეებს ასუფთავებდა და ხატზე გამოსახულ წმინდა ქალწულს ლოყაზე სცა. ჭრილობიდან სისხლმა იჩქეფა, ღვთისმშობლის სახე კი გაფითრდა. შეშინებული დიაკონი ხატის წინ დაემხო, თვალისჩინი დაკარგა და შეშლილს დაემსგავსა. ძალა ერთიანად დაკარგა და აცახცახდა. მონასტრის ძმები ტაძარში შეიკრიბნენ. იღუმენი მხურვალედ ლოცულობდა ცოდვილის სულისთვის.



3 წლის მანძილზე, სინანულით შეპყრობილი დიაკონიც ევედრებოდა ღვთისმშობელს შენდობას. შემდეგ, მონასტრის იღუმენს წმინდა ქალწული გამოეცხადა და აუწყა, რომ მათი ლოცვა-ვედრების სანაცვლოდ დამნაშავეს შეცოდება შეუნდო. დიაკონსაც გამოეცხადა მის გარდაცვალებამდე და გაახარა შენდობის გამოცხადებით. მაგრამ უთხრა, რომ მისი კადნიერი მარჯვენა დაისჯებოდა... 3 წლის შემდეგ დიაკონის სამარხი გახსნეს და იხილეს, რომ მონანული დამნაშავის ყველა ძვალს ნათელი ადგა, მარჯვენა ხელი კი გაუხრწნელი და გაშავებული დარჩენილიყო.

ღვთისმშობლის ხატს, რომელსაც მოწყლული ეწოდა, დღემდე ეტყობა სისხლის კვალი.

## კვიპროსის ღვთისმშობლის ხატი

392 წელს კუნძულ კვიპროსზე ღვთისმშობლის ხატი გამოჩნდა. მისი გამოჩინების ადგილას მონასტერი დააარსეს და სიწმინდე ღვთისმშობლის სახელზე აგებული ტაძრის კარიბჭესთან დააბრძანეს. ხატზე წმინდა ქალწული გამოსახულია საყდარზე მჯდომარე, ყრმა ღმერთთან ერთად, ორივე მხრიდან ანგელოზებით გარშემორტყმული. ხატი სასწაულმოქმედებით განდიდდა. ერთხელ, ერთ-ერთმა არაბმა ღვთისმშობლის ეკლესიის მახლობლად გაიარა. თვალი მოჰკრა ღვთისმშობლის ხატს და ისარი სტყორცნა. ისარი ღვთისმშობელს მუხლში ჩაესო. ჭრილობიდან გადმოღვრილმა სისხლმა მიწა გააწითლა. მუსლიმანი შიშმა შეიპყრო და გაქცევა დააპირა, მაგრამ მიწაზე დაეცა და სული განუტევა...

## თამარ მეფის კუთვნილი, ივერიის ღვთისმშობლის ხატი

ივერიის ღვთისმშობლის ხატის ერთ-ერთი ასლი, რომელიც ამჟამად მოზდოკში იმყოფება, კეთილმორწმუნე მეფე თამარს ეკუთვნოდა. იგი XIII საუკუნეში შეიქმნა. თამარ მეფემ სიწმინდე ოსეთის სოფელ მარიამაკას ახალმოქცეულ ქრისტიანებს მიუძღვნა. ხატი მრავალი სასწაულით განდიდდა. სამგზის უვნებლად გადარჩა ხანძარში და დროთა განმავლობაში მართლმადიდებელ ოსთა სათაყვანებელ სიწმინდედ იქცა. 1768 წელს რუსეთის დედოფალი ეკატერინე II-ის ბრძანებით, მთიანი ოსეთის მკვიდრი ჩრდილოელები მთებიდან თერგის გასწვრივ ჩამოასახლეს, მათთან წამოაბრძანეს ივერიის ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატი. მისი ძალით, მდინარე თერგის ნაპირას, ქალაქ მოზდოკთან სასწაული აღესრულა: ღამის სათევად დაბანაკებული ხალხის თვალწინ ხატი გაბრწყინდა და იქაურობას ნათელი მოჰფინა. ერთ-ერთ მათგანს სიზმრისეული ჩვენებით წმინდა ქალწული გამოეცხადა და აუწყა, რომ სურდა, მისი ხატი იქვე დაეტოვებინათ. მეორე დღეს, როდესაც ხატის შესახვედრად მოსულმა მოზდოკის ეპისკოპოსმა მის წინაშე პარაკლისი აღასრულა, ისურვა სიწმინდე ტაძარში გადაებრძანებინა, მაგრამ იმ ურემში შებმული ხარები, რომელზეც ხატი იყო დაბრძანებული, ადგილიდან ვერასგზით ვერ დაძრეს. მოზდოკის ეპისკოპოსის — გაიოზის ბრძანებით, იმ ადგილას სამლოცველო ააგეს და ხატი იქ დააბრძანეს, 1798 წელს კი ტაძარიც ააგეს ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახ-



ელზე. მალე ამ ტერიტორიაზე დედათა მონასტერიც დაარსდა. თუმცა 2 წლის შემდეგ, მოზდოკის ეპარქია გაუქმდა და სავანეც მოიშალა. XIX საუკუნის ბოლოს ივერიის ღვთისმშობლის ხატის პატივსაცემად მოზდოკელებმა დიდებული ტაძარი ააგეს და სიწმინდე მასში დააბრძანეს.

საეკლესიო გარდამოცემით, კავკასიის ომის დროს, როდესაც მოზდოკს შამილი მიადგა თავისი ჯარით, მას ხილვაში, თეთრებში ჩაცმული ქალი გამოეცხადა და უბრძანა, ქალაქს არ მიჰკარებოდა. ასე იხსნა ქალაქი წმინდა ქალწულმა მტრის თავდასხმისგან.

სასწაულმოქმედი ხატის დიდება მთელ კავკასიაში გავრცელდა. მორწმუნენი სხვადასხვა კუთხიდან მოდიოდნენ მის თაყვანსაცემად. მოზდოკის მიძინების ეკლესიას, სადაც სასწაულმოქმედი ხატია დაბრძანებული, ღვთისმშობლის ხატის წინაშე დადებული აღთქმის გამო, მთელი ღამის განმავლობაში ფეხშიშველი უვლიან ტაძრის გარშემო. მისგან უხვად მოედინება საკვირველებანი და მადლმოსილი კურნებანი.

## ღვთისმშობლის ხატი – „სამი სიხარული“

XX საუკუნის დასაწყისში მოსკოვში ერთმა ღვთისმოსავმა ფერმწერმა იტალიიდან ნათესავთან სტუმრობისას „წმინდა ოჯახად“ წოდებული ხატი ჩამოიტანა. სიწმინდე მან თავის ნათესავს — ღვთისმსახურს აჩუქა. ხატზე სიხარულით მოსილი 3 სახეა გამოსახული: ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის, იესო ქრისტესი და ყრმა იოანე ნათლისმცემლისა. მღვდელმა ხატი იმ ეკლესიის შესასვლელში დააბრძანა, სადაც თვითონ მსახურობდა.

ერთხელ ეკლესიაში ერთი ქალბატონი მივიდა, რომელსაც 3 განსაცდელი ერთ-

დროულად მოევლინა: ქმარს ცილი დასწამეს და გადაასახლეს; მამულები ჩამოართვეს, ხოლო ერთადერთი ვაჟი ფრონტზე ტყვედ ჩავარდა. შეწუხებული ქალი ეკლესიაში სიზმრისეული ჩვენების შემდეგ მივიდა: ღვთისმშობლისადმი ლოცვა-ვედრების შემდეგ, ძილში იდუმალმა ხმამ აუწყა, რომ უნდა მოეძებნა „წმინდა ოჯახად“ წოდებული ხატი და მის წინაშე ელოცა, ხანგრძლივი ძებნის შემდეგ შემთხვევით შეეტყო, რომ სიწმინდე პოკროვსკის ტაძარში იმყოფებოდა. ქალი მუხლებზე დაეცა ხატის წინაშე და ლოცვა-ვედრებით ითხოვდა შეწევნას. მართლაც, მალე შეიტყო 3 სასიხარულო ამბავი: ქმარი გაამართლეს და გაათავისუფლეს, მამულიც დაუბრუნეს და მისი ვაჟიც დაიხსნეს ტყვეობიდან. სწორედ ამის შემდეგ ეწოდა „წმინდა ოჯახად“ წოდებულ ღვთისმშობლის ხატს „სამი სიხარული“. ხატი სასწაულმოქმედებით განდიდდა და დღემდე უამრავ სასწაულს ალასრულებს.

## ქსინოფონის ოდიგიტრია

ქსინოფონის ოდიგიტრიად წოდებული ღვთისმშობლის ხატი („ოდიგიტრია“ გზის მაჩვენებელს ნიშნავს) ათონის მთაზე, ქსინოფონის მონასტერში იმყოფება, თავდაპირველად, უხსოვარი დროიდან, ვატოპედის მონასტერში იყო დაცული. სიწმინდე 1730 წლამდე იქვე იმყოფებოდა, შემდეგ მონასტრის ტაძრიდან დახშული კარის გავლით გაუჩინარდა. ბერებმა ხატი ქსინოფორის მონასტერში იპოვეს. სიწმინდე კვლავ ვატოპედის მონასტერში დააბრუნეს, მაგრამ იგივე განმეორდა და ისევ ქსინოფონის სავანეში აღმოჩნდა. რადგან ღვთისმშობლის ოდიგიტრიად წოდებულმა ხატმა თავის ახალ სამყოფლად ქსინოფონის მონასტერი აირჩია, ქსინოფონის ოდიგიტრიად იწოდა. სიწმინდე დღემდე ამ მონასტერში იმყოფება, იგი მთავარი ტაძრის კლიროსის სვეტთანაა დაბრძანებული.

## ღვთისმშობლის ხატი – „ფანერომენი“ (მოვლენილი)

ხატი კუნძულ სალამინზე არსებულ სავანეშია დაბრძანებული. მონასტერი, რომელიც ასევე ფანერომენის სახელწოდებითაა ცნობილი, XVII საუკუნეში აგო ღირსმა მამამ — ლავრენტიმ ძველი მონასტრის ნანგრევებზე. ჯერ კიდევ ერისკაცობისას ლავრენტის სიზმრისეული ჩვენებით წმინდა ქალწული გამოეცხადა და უბრძანა, — კუნძულ სალამინის ჩრდილოეთ ნაწილში ჩემი, სრულიად დანგრეული მონასტერია, წადი და აღადგინე იგი. მან ხილვისა არ ირწმუნა და ყურადღებაც არ მიუქცევია. ღვთისმშობელი კიდევ ორგზის გამოეცხადა. მესამედ გამოცხადებისას მკაცრად მოსთხოვა, რომ ბრძანება აღესრულებინა.

მამა ლავრენტი ზღვის ნაპირზე გავიდა, რათა ნავით კუნძულზე გადასულიყო, მაგრამ ზღვა ღელავდა და ვერც ერთი მენავე ვერ იპოვა, რომელიც ასეთ შტორმში წყალში შესვლას გაბედავდა. ღირსი მამა დამწუხრებული ჩამოჯდა სანაპიროზე. მოულოდნელად წმინდა ქალწულის ხმა ესმა: „მოიხსენი მოსასხამი, ჩააგდე ზღვაში და ის გადაგიყვანს კუნძულზე“. მან მაშინვე შეასრულა ბრძანება. მართლაც უვნებლად გადავიდა მოსასხამით მოპირდაპირე სანაპიროზე. ღვთისმშობლის მიერ მითითებულ ადგილზე მონასტრის ნანგრევებიც იპოვა. ნახევრად დანგრეულ ტაძარში დედაღვთისას ხატი იპოვა, რომელსაც ამ სასწაულის შემდეგ „ფანერომენი“ — მოვლენილი ეწოდა.

მამა ლავრენტიმ აღადგინა ტაძარი, სენაკები და თვითონაც იქვე დაემკვიდრა. ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატის გავლენით, მონასტერსაც ფანერომენის მონასტერი ეწოდა.

## იუგის ღვთისმშობლის ხატი

იუგისად წოდებული ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატი იუგის უდაბნოში, მდინარე იუგის სანაპიროზე არსებულ მონასტერში იმყოფება. ხატი მიხეილ თედორეს ძის მეფობის ჟამს გამოჩნდა, როდესაც რუსეთს შვედები შეესივნენ. შვედებმა ქალაქ ფსკოვის შემოგარენში ყველა მონასტერი და ტაძარი გაძარცვეს. ერთ-ერთ მონასტერში, რომელიც პეჩორისად იწოდებოდა, მოხუცი სქემმონაზონი დოროთე ცხოვრობდა. მტრის შემოსევისას 1616 წელს ბერმა მონასტერი დატოვა და თავის მამულში, ქალაქ მოლოგის მახლობლად მდებარე სოფელში დაბრუნება გადაწყვიტა. ვიდრე მონასტერს დატოვებდა, მთავარ ტაძარში შევიდა, რათა ღვთისმშობლის ხატის წინაშე ელოცა და მისგან ლოცვა-კურთხევა მიეღო. მხურვალე ლოცვის დროს ხატიდან ხმა მოესმა, რომ სამშობლოში წასვლისას თან წაეღო ოდიგიტრიად წოდებული ღვთისმშობლის ხატი. ხმამ იმ ადგილზეც მიანიშნა, სადაც ხატი იმყოფებოდა. ბერმა მითითებულ ადგილას მართლაც იპოვა ხატი, მის წინაშე პირქვე დაემხო და დიდხანს ლოცულობდა. ლოცვის შემდეგ ხატი გაბრწყინდა და საღებავები ისე განახლდა, თითქოს ახლახან დაუწერიათო. მამა დოროთე მონასტრის ილუმენთან მივიდა და ყველაფერი უამბო. ილუმენმა წასვლის კურთხევა არ მისცა. დამწუხრებული ბერი მთელი ღამის განმავლობაში ევედრებოდა ღვთისმშობელს შემწეობას. ღამით წმინდა ქალწული მონასტრის წინამძღვარს გამოეცხადა და მიმართა: „რატომ აბრკოლებ ბერ დოროთეს, რომ ჩემს ხატთან ერთად სამშობლოში წავიდეს?! შენ ამით ჩემს ნებას აღუდგები წინ!“ წინამძღვარს შეშინებულს გამოეღვიძა. მამა დოროთე იხმო. თვითონვე მისცა ღვთისმშობლის ხატი და სამშობლოში წასვლის ნება მისცა...



როდესაც მდინარე იუგას მიუახლოვდა, მამა დოროთემ საშინელი დაღლილობა იგრძნო. ხატი ხეზე დადო, თვითონ კი ხის ძირას ჩამოჯდა და ჩაეძინა. როდესაც გამოიღვიძა და გზის გაგრძელება განიზრახა, ხატი ადგილიდან ველარ დაძრა. როდესაც სიწმინდის წაბრძანებას ცდილობდა, ხმა ესმა: „ტყუილად ირჯები, მსურს, რომ აქ დაემკვიდროს ჩემი ხატი და ამ ადგილას ბერებისთვის სავანე დაარსდეს“. წმინდა ბერმა ამ ადგილას სენაკი ააგო და ღვთისმშობლის ხატიც იქ დააბრძანა. მალე ამის შესახებ ახლომახლო მცხოვრებმა მოსახლეობამაც შეიტყო. აურაცხელი ხალხი მიდიოდა ღვთისმშობლის თაყვანსაცემად. სნეულნი მისი ძალით და მადლით იკურნებოდნენ.



1623 წელს მამა თეოდოსი გარდაიცვალა. ამის შემდეგ ბერის სენაკიდან ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატი სოფლის ეკლესიაში გადაიტანეს. როდესაც მეორე დღეს ცისკრის ლოცვაზე მივიდნენ, ხატი ადგილზე აღარ დახვდათ. ძიების შემდეგ ის კვლავ მამა თეოდოსის სენაკში იპოვეს. მის წინ სანთელი ენთო.

სასულიერო პირებმა ხატი კვლავ ტაძარში დააბრუნეს, მაგრამ ისევ იგივე განმეორდა. ამის შესახებ როსტოვის მიტროპოლიტს, ვარლამს აუწყეს. მიტროპოლიტი პატრიარქს ეახლა და ყველაფერი უამბო. პატრიარქმა ვილენციმ მეფე მიხეილ თეოდორეს ძის ნაბართვის მიტროპოლიტს მამა თეოდოსის სენაკის ადგილას მონასტრის დაარსების თანხმობის სიგელი გაუგზავნა. მართლაც, იმ ადგილას ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარი და ბერთა საცხოვრებელი სენაკები ააგეს. მონასტერი იუგის დოროთეს უდაბნოდ იწოდა, ამის შემდეგ იქ დაბრძანებულ ღვთისმშობლის ოდიგიტრიის ხატსაც, — იუგის ღვთისმშობლის ხატი ეწოდა.

■

# რაული — „რეალის“ ცოცხალი ლეგენდა

**„მეამაყება, რომ ჩემს გუნდში არის ისეთი დიდებული ახალგაზრდა, როგორიც შენ ხარ“, — უთხრა მას „რეალის“ იმდროინდელმა პრეზიდენტმა, რამონ მენდოსამ. ხორხე ვალდანომ კი, ფეხბურთელი ეიფორიისა და ვარსკვლავური დაავადებისგან დასაცავად, შექების ნაცვლად, მესამე გუნდში დააბრუნა...**



ეკა აბაშიძე

მისნაირი ფეხბურთელი — დიდი იშვიათობაა. მაღალი კლასი, სისწრაფე, საკუთარ თავზე ინიციატივის აღების უნარი — მისი თვისებების არასრული ჩამონათვალია... თუმცა მისი მთავარი ღირსება მაინც ერთგულებაა. რაულ გონსალეს ბლანკო ნამდვილი ესპანელი ფეხბურთელია, მადრიდელთა „მადრიდული“ ლეგენდა...

გამოჩენილი სპორტსმენი, რომელსაც მთელი დედამიწის ზურგზე უფრო, ერთი სახელით — „რაული“ — იცნობენ, დაიბადა 1977 წლის 27 ივნისს მადრიდის გარეუბან ვილიავერდეში, სან-კრისტობალ დე ლას ანხელესის კვარტალში — სწორედ იქ, სადაც „რეალის“ მეორე ლეგენდა — მიჩელი. საყურადღებო ფაქტია — მიჩელიც, რაულის მსგავსად, ადრეულ ბავშვობაში „ატლეტიკოს“ გულშემატკივრობდა და რაულის ოჯახისგან სულ ახლოს — ერთი კილომეტრის დაშორებით ცხოვრობდა...

რაული ღარიბი ოჯახის შვილი გახლდათ. მამამისი ელექტრიკოსი იყო, დედა — მოსამსახურე. ამგვარად, გაჭირვებაში იზრდებოდა, ხელმოკლე ოჯახების სხვა შვილების მსგავსად, და პატარაობიდანვე, ასევე სხვა ბიჭების მსგავსად, ეზოსა და ქუჩაში ბურთაობდა. მაგრამ ეს მისთვის მხოლოდ თამაში როდი გახლდათ — იმთავითვე შეიყვარა ფეხბურთი და უბრალო გართობა ადრევე, მისთვის შრომად იქცა, რამაც საბოლოოდ, დიდი შედეგიც გამოიღო. საკმაოდ ადრეულ ასაკში „სან-კრისტობალ დე ლას ანხელესის“ საბავშვო გუნდში ჩაირიცხა, 13 წლისა კი უკვე მადრიდის „ატლეტიკოს“ ახალგაზრდულ სკოლაში მოხვდა. კლუბის იმდროინდელმა პრეზიდენტმა, ხესუს ჰილმა სასწავლებლის რეფორმირება გადაწყვიტა და სწორედ მაშინ დაუკავშირდა პირველად რაულის სახელი „რეალს“...

15 წლის ასაკში ჩაატარა თავისი პირველი სეზონი „სამეფო კლუბის“ ახალგაზრდულ გუნდში, სადაც ბრწყინვალედ გამოიჩინა თავი. ამას მოჰყვა „რეალ მადრიდ C“ (მესამე გუნდი), სადაც 1994 წელს 9 თამაშში 8 გოლი გაიტანა! „რეალ მადრიდ B“-ში მხოლოდ ერთი მატჩი ჩაატარა — „რეალის“ იმდროინდელმა მთავარმა მწვრთნელმა, ხორხე ვალდანომ გადაწყვიტა, ნიჭიერი ახალგაზრდა პირველ გუნდში გამოეცადა. იქ რაულის დებიუტი 1994 წლის 29 ოქტომბერს, სტადიონ „რომარედაზე“, „სარაგოსასთან“ შეხვედრისას შედგა.

ამ მატჩის წინადღეს, ვარჯიშის შემდეგ, ხორხე ვალდანომ 17 წლის რაული იხმო და უთხრა: „მისმინე, ბიჭო, ოღონდ გული არ წაგივიდეს — ხვალ თამაშობ!..“ რაული ამაზე ბავშვობიდან ოცნებობდა. ამ დროს ის ბუიოზე 20 წლით, ხოლო მიჩელზე — 14 წლით უმცროსი იყო! იოლი წარმოსადგენია, თუ რას ნიშნავდა ახალბედა ფეხბურთელისთვის მათ გვერდით თამაში...

„მე „მადრიდისტა“ ვარ, — განაცხადა მან თავისი სადებიუტო მატჩის წინ. — მშვიდად დავიძინებ, დარწმუნებული იყავით — ხვალ მოედანზე გავალ და ისე ვითამაშებ, როგორც ჩემგან ვალდანო ითხოვს. თუ ასე ვერ ვითამაშებ, მაშინ ის იქ დამაბრუნებს, საიდანაც მომიყვანა, — ყველაფერი მარტივადაა...“

პირველ მატჩში რაულმა ვერ შეძლო, გამორჩეული ყოფილიყო, თუმცა საერთო ჯამში, ნორმალური შთაბეჭდილება დატოვა. „რეალმა“ ის შეხვედრა წააგო, მაგრამ ხორხე ვალდანო ახალბედას დებიუტით, განსაკუთრებით კი — მისი განწყობილებით კმაყოფილი დარჩა: „როდესაც რაულს შემადგენლობაში მისი შეყვანის შესახებ ვუთხარი, მეგონა, მის თვალებში შიშსა და საკუთარ ძალებში ურწმუნობას დავინახავდი, მაგრამ ამის ნაცვლად, მათში ბრძოლის ჟინი ჩამდგარიყო“... დებიუტანტი ჟურნალისტებმაც შეაქეს, უფრო მეტიც — მას უკვე „ფერარის“ ბოლიდს ადარებდნენ!.. მოკლედ, რაულმა თავისი პირველი სიტყვა თქვა.

შესაძლოა, ვინმეს მის ძალებში კვლავაც ეპარებოდა ეჭვი, მაგრამ „ატლეტიკოსთან“ მატჩის შემდეგ ის საბოლოოდ გაიფანტა. „რეალის“ არენაზე შეკრებილმა 103 ათასმა გულშემატკივარმა იხილა, თუ როგორ მოუგო ახალგაზრდა ესპანელმა, ლამის მარტომ, მადრიდის „ატლეტიკოს“: მისი წყალობით, სამეფო კლუბმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა — 4:1, თავად რაულმა კი საკუთარ აქტივში 1 გოლი და 2 საგოლე პასი ჩაიწერა.

მაგრამ ამ გამობრწყინების შემდეგ მისი თამაშის დონე თანდათან ეცემოდა და ცოტა ხანში ამომავალი ვარსკვლავი თითქოს ჩაქრა... ახალგაზრდა რაულს აშინებდა ტელეოპერატორების გამოჩენა, თვალს სჭრიდა ტელეკამერები და აფორიაქებდა ჟურნალისტების შეკითხვები. „რეალის“ ხელმძღვანელობამ მიიჩნია, რომ მას უბრალოდ, თავში აუვარდა უეცრად ნაშოვნი მილიონების გამო. ჰოდა, გადაწყვიტეს, მისთვის ხელფასი შეემცირებინათ. ხშირად აკრიტიკებდნენ და თამაშის საშუალებასაც აღარ აძლევდნენ. რაული ყველას მიმართ აგრესიული გახდა.



ცოლთან — მამენ სანსისთან ერთად

ეს მდგომარეობა არც ჟურნალისტებსა და „ინჩასებს" (გულშემატკივრებს) გამოჰპარვიათ. პრესაში მასზე გამანადგურებელი სტატიები იბეჭდებოდა, ჟურნალისტები წერდნენ, რომ ბლანკო სასმელს მიეძალა და ნარკოტიკებსაც კი ეტანებოდა... ქომაგები რაულის გამოჩენას სტვენით ეგებებოდნენ და მის მიმართ სიყვარული უცებ სიძულვილმა შეცვალა. არადა, როგორც შემდგომ გაირკვა, მსგავსი ჭორები ჩვეულებრივი, მტკნარი სიცრუე იყო.

ცხოვრების ამ მძიმე პერიოდში ფეხბურთელმა ფოტომოდელი სანსი გაიცნო... ამიტომაც, „რეალისა" და რაულის გულშემატკივრები სწორედ ამ ადამიანს უნდა უმადლოდნენ, რომ ის საბოლოოდ, სანიმუშო ფეხბურთელი გახდა... გაცნობიდან ცოტა ხანში რაულმა და სანსიმ იქორწინეს და ამის შემდეგ ფეხბურთელი თითქოს სრულიად გადასხვაფერდა, პირველ რიგში — დიდებული საფეხბურთო



„რეალის" ცოცხალმა ლეგენდამ შესაშური სიმშვიდისა და თავშეკავების მაგალითი უჩვენა

ფორმა დაიბრუნა, რომელიც კრიზისამდე აღაფრთოვანებდა ფეხბურთის მოყვარულთ. ბუნებრივია, ამას საუცხოო გოლები ახლდა. თითოეულ გატანილ ბურთს კი ფეხბურთელი მეუღლეს უძღვნიდა — ამას საქორწინო ბეჭდის კოცნით გამოხატავდა...

აქვე ცოტათი წინ გავუსწრებთ მოვლენებს და ვიტყვით: რაული მრავალშვილიანი ოჯახის მამაა — 5 შვილი ჰყავს, აქედან ოთხს — ბიჭებს სხვადასხვა გამოჩენილი სპორტსმენის პატივსაცემად დაარქვა სახელი: ხორხე — ხორხე ვალდანოს, ჰუგო — ჰუგო სანჩესის, ტყუპი — ჰექტორი და მატეო — ჰექტორ რიალისა და ლოთარ მათეუსის პატივსაცემად; ქალიშვილს კი მარია ჰქვია. როცა ჰობის შესახებ ეკითხებიან, ამბობს, რომ უყვარს წიგნების კითხვა და ესპანური სიმღერების მოსმენა...

როცა რაულმა კრიზისული პერიოდი დასძლია და მისმა ნიჭმაც ახალი ძალით იფეთქა, ბუნებრივია, ქომაგებსაც გული მოუბრუნდათ მისკენ. გუნდის ხელმძღვანელობამ მაშინვე გაუზარდა ხელფასი და კონტრაქტიც გაუხანგრძლივა. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ის იბრუნებდა ძველ დიდებას მაშინ, როცა კლუბში ბრწყინავდნენ — ფიგუ, ზიდანი, რონალდო და ბექჰემი!..

1994-1995 წლებში რაულმა 28 მატჩი ჩაატარა და დიდი წვლილი შეიტანა გუნდის გაჩემპიონებაში. „რეალმა" ორი წლის შემდეგაც მოიგო „ლა ლიგა", ხოლო შემდგომ — კიდევ ოთხჯერ, აქედან ერთხელ — ზედიზედ ორ სეზონში; ჩემპიონთა ლიგის თასი კი — სამჯერ.

თავად რაულმა ჩემპიონთა ლიგაში 128 მატჩი ჩაატარა და გუნდის ფეხბურთელებიდან ყველაზე მეტი — 64 გოლი გაიტანა. „რეალის" მაისურით სულ 550 მატჩი აქვს ჩატარებული და 280 გოლი — გატანილი. ესპანეთის სუპერთასში ოთხჯერ — 1997, 2001, 2003 და 2008 წლებში იმარჯვა, ხოლო უეფას სუპერთასი 2002 წელს მოიპოვა. ამავე წელს, მშობლიურ კლუბთან ერთად, საკონტინენტთაშორისო თასიც მოიგო.

რაც შეეხება ესპანეთის ეროვნულ ნაკრებს — რაული მის შემადგენლობაშიც გამორჩეულია: 44 გოლით, ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირია. დღეს ნაკრებში აღარ თამაშობს და კაპიტნის სამკლავური თანაგუნდელს — იკერ კასილასს გადაულოცა...

გასული — 2009-2010 წლების სეზონი რაულისთვის გარდამტეხი აღმოჩნდა. როგორც ამ სეზონის დასაწყისში ბევრი ვარაუდობდა, „რეალს" რაულთან — უცვლელ კაპიტანთან ერთად, ყველა ტურნირის მოგება უნდა მოეხერხებინა... მართლაც, თითქოს ყველაფერი კარგად დაიწყო, მაგრამ მერე გუნდმა უეცრად წაიფორხილა — პირველი წაგება პრიმერა-დივიზიონში „სევილიასთან" იწვნია; ამას მოჰყვა ჩემპიონთა ლიგაში „ევროპის დერბი" — „რეალი"-„მილანი", სადაც ისტორიაში პირველად, „სამეფო კლუბი" იტალიურ გრანდთან საკუთარ მოედანზე ანგარიშით 2:3 დამარცხდა... მიუხედავად ამისა, არავის ეგონა, რომ მრავალწლიანი ტრადიცია გაგრძელდებოდა და ესპანური კლუბი ისევ მერვედფინალიდან გამოემშვიდობებოდა ჩემპიონთა ლიგას, მაგრამ ფაქტია — „ლიონმა" რაული და მისი თანაგუნდელები ევროპის ყველაზე პრესტიჟული ტურნირის მიღმა დატოვა... ალბათ ბევრისთვის დაუვიწ-




თითოეულ გატანილ ბურთს ფეხბურთელი მეუღლეს უძღვნიდა

ყარია ამ მატჩის მიწურულს რაულის ქმედებები და საოცრად იმედგაცრუებული სახე. თანაც, ლიგის ფინალი ხომ სწორედ მადრიდში — „სანტიაგო ბერნაბეუზე" უნდა ჩატარებულიყო — რაულისა და „რეალის" „სახლში"!..

ამ მატჩის შემდეგ „რეალი" მთლიანად პრიმერა-დივიზიონზე გადაერთო და მადრიდელების მწვრთნელმა თითქოს წარმოუდგენელი რამ ჩაიდინა — „ხელშეუხებელი" კაპიტანი სათადარიგოთა სკამზე დასვა, მიზეზად კი ახალგაზრდა ფეხბურთელები დაასახელა და აღნიშნა, რომ მათი „გაფუჭება" უგუნურება იქნებოდა. რაულისგან სკანდალურ გამოხდომებს ისედაც არავინ ელოდა და ასეც მოხდა: „რეალის" ცოცხალმა ლეგენდამ შესაშური სიმშვიდისა და თავშეკავების მაგალითი უჩვენა. არადა, სხვა მის ადგილას, ზედმეტ ამბიციურობასა და უკმაყოფილებას გამოხატავდა...

„რეალის" გულშემატკივრებისთვის ბედის ირონიაა, რაულმა გუნდი რომ დატოვა. მას თამაშის გარანტიას აღარ აძლევდნენ, თუმცა კი დარჩენას სთხოვდნენ... რაულმა ყველასათვის მოულოდნელი გადაწყვეტილება მიიღო — „შალკეში" გადავიდა და ეს იმით ახსნა, რომ მისთვის მთავარი — თამაშია... ეს ნაბიჯი გადადგა იმის შემდეგ, რაც გულშემატკივრებს, წლიდან წლამდე მიღებულ, სხვადასხვა მიმზიდველ შეთავაზებაზე უარის თქმით, სიყვარულსა და ნდობას უღვივებდა. ასე გაჩნდა რაულის კარიერაში „შავი ლაქა" (შეიძლება, ზოგი ამას ასე არც აღიქვამს და ესპანელს ამართლებს კიდეც)... და მაინც, ბლანკო მადრიდელად რჩება — იმ დიდ სპორტულ ფიგურად, რომელიც „რეალში" ჩამოყალიბდა. ■

# გული რომ ჯანმრთელი იყოს!

## მწარე სინამდვილე

მილიარდზე მეტ ადამიანს აწუხებს გულ-სისხლძარღვთა დაავადებები და მკურნალობას საჭიროებს. ამ პათოლოგიებით უფრო მეტი ადამიანი იღუპება, ვიდრე ომებსა და კატასტროფებში ერთად. ჯანსაღი ცხოვრების პროპაგანდის მიუხედავად, ბევრი ყურადღებას არ აქცევს საკუთარი გულისა და სისხლძარღვების მდგომარეობას. გულ-სისხლძარღვთა დაავადებები კი ვერაგია — პათოლოგიური პროცესი ფარულად, შეუმჩნევლად, წლობით მიმდინარეობს და ამ ხნის მანძილზე ადამიანი თავს ჯანმრთელად მიიჩნევს, ხშირად — პირველ ინფარქტამდეც კი... არადა, გულ-სისხლძარღვთა დაავადებები ბოლო ხანს შესამჩნევად გაახალგაზრდავდა.

## მცირე ისტორიული ექსკურსი

გულის იშემიური დაავადება ორი ათას წელზე მეტია კაცობრიობისთვის არის ცნობილი. თუმცა, მხოლოდ XX საუკუნის დამლევს გამოიკვეთა მისი მიმდინარეობის მექანიზმი და პათოლოგიას **გულის იშემიური დაავადება** ეწოდა. მისი წარმოშობის საფუძვლად კი გულის გვირგვინოვანი არტერიების (გულის მკვებავი სისხლძარღვების) ათეროსკლეროზის თრომბოზული გართულება იქნა მიჩნეული. სისხლძარღვში ათეროსკლეროზული დაზიანების დროს თრომბი ყალიბდება და მის სანათურს ავიწროებს ან სრულიად ახშობს. გულის ის უბანი, რომელსაც ეს სისხლძარღვი კვებავდა, სისხლს ველარ იღებს და კვდება. სწორედ ეს გახლავთ მიოკარდიუმის ინფარქტი. ის თავის ტვინის ინსულტთან ერთად ნაადრევი სიკვდილისა და ინვალიდობის მთავარი მიზეზია.

## როგორ ავიცილოთ პრობლემები?

დღეს აქტიურად ვითარდება პრევენციული კარდიოლოგია — მედიცინის დარგი, რომელიც მიმართულია დაავადების არა მკურნალობისკენ, არამედ პროფილაქტიკისკენ. იგი ითვალისწინებს მარტივ და ეფექტურ ზომებს: ფიზიკური აქტიურობის გაზრდას, ჯანსაღ კვებას, თამბაქოზე უარის თქმას, სიმსუქნის, ცხიმოვანი ცვლის დარღვევის, არტერიული ჰიპერტენზიისა და სხვა იმ დაავადებების თავიდან აცილებასა და მკურნალობას, რომლებიც ხელს უწყობს გულ-სისხლძარღვთა დაავადებების რისკის ზრდას.

ამას გარდა, გულ-სისხლძარღვთა დაავადებების პროფილაქტიკისა და მკურნალობისათვის მსოფლიოში ფართოდ გამოიყენება ანტიაგრეგანტული მოქმედების პრეპარატები, რომელთა შორის ოქროს სტანდარტად მიჩნეულია ყველასთვის ნაცნობი პრეპარატი — ასპირინი.

ასპირინი, ერთ-ერთი ყველაზე უკეთ შესწავლილი პრეპარატი, 1899 წელს შეიქმნა და 111 წელია გერმანული კომპანია „ბაიერის" სავიზიტო ბარათს წარმოადგენს.

ჯერ კიდევ ორმოცდაათიან წლებში მეცნიერებმა ყურადღება მიაქციეს ასპირინის მოქმედების „გვერდით მოვლენას" — გულ-სისხლძარღვთა დაავადებების მქონე პაციენტების მდგომარეობა ასპირინის მიღების ფონზე აშკარად უმჯობესდებოდა. ასეთი პაციენტები საჭიროებდნენ პერეპარატის ხანგრძლივ მიღებას, ამიტომ ზემოთ ხსენებული კომპანიის მიერ 1993 წელს შეიქმნა ასპირინის კორონარული (საგულე) ფორმა **„ასპირინი კარდიო"**-ს სახელწოდებით. იგი სხვა ასპირინებისაგან გამოირჩევა სპეციალური, ნაწლავში ხსნადი გარსით, რომელიც კუჭს იცავს გაღიზიანებისაგან.

**„ასპირინი კარდიო"**-ს ეფექტურობა დამტკიცებულია მრავალი საერთაშორისო კვლევით. მაგალითად, 2002 წელს ჩატარებულმა 300-მდე კვლევის ანალიზმა, რომელშიც 200 ათასი ადამიანი მონაწილეობდა (Antiplatelet Trial Collaboration, BMJ 2002; 324:71-86 (12 January)) აჩვენა, რომ მაღალი რისკის მქონე პაციენტებში ასპირინის ხანგრძლივი მიღება სისხლძარღვოვანი შემთხვევებით გამოწვეულ სიკვდილიანობას 25%-ით ამცირებს, არალეტალურ (არასასიკვდილო) მიოკარდიუმის ინფარქტს — 30%-ით, ხოლო არალეტალურ ინსულტს — 25%-ით.

## ვის სჭირდება ასპირინის მიღება?

დიაბეტი, თამბაქოს წევა, მაღალი არტერიული წნევა, სიმსუქნე, დისლიპიდემია (ლიპიდური ცვლის დარღვევა), საშუალო ასაკი, დატვირთული მემკვიდრეობა, ეს ის რისკ-ფაქტორებია, როდესაც მნიშვნელოვანია ასპირინით პროფილაქტიკა. გულ-სისხლძარღვთა მხრივ გართულებების ყველაზე მაღალი რისკი შაქრიან დიაბეტს ახასიათებს ამიტომ, ამ დაავადების მქონე ადამიანებისათვის ასპირინის მიღება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. (The Early Treatment Diabetic Retinopathy Study (ETDRS) Investigators. JAMA 1992;268:1292–300). ამ პრეპარატის მიღება მიზანშეწონილია მათთვისაც, ვინც უკვე გადაიტანა გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, მათ შორის — მიოკარდიუმის ინფარქტი და თავის ტვინის ინსულტი.

გახსოვდეთ, რომ ჯანმრთელობაზე დროული ზრუნვა, მომავალში სერიოზულ დაავადებებსა და მათ გართულებებს აგაცილებთ თავიდან.

*თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ექიმი-კარდიოლოგი*
***შალვა პეტრიაშვილი***
*ცხელი ხაზი: 30-80-99*

ასპირინი კარდიო – გულ-სისხლძარღვთა დაავადებების პროფილაქტიკა და მკურნალობა

გული ირჩევს ასპირინ კარდიოს

ჩვენებები:
არასტაბილური სტენოკარდია;
ინსულტის პროფილაქტიკა;
მიოკარდიუმის მწვავე და განმეორებითი ინფარქტის პროფილაქტიკა;
თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის გარდამავალი მოშლის პროფილაქტიკა;
ღრმა ვენების თრომბოზების და ფილტვის არტერიის თრომბოემბოლიის პროფილაქტიკა;




Bayer HealthCare
Bayer Schering Pharma

პრეპარატის გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

რუბრიკას უძღვება ექიმი ნინო ჩარგეიშვილი

# როგორ ვუმკურნალოთ გაციებას და რას გვირჩევს ხალხური მედიცინა?

### გაციება ბავშვებში

ბავშვის წელიწადში 4-6 ჯერ გაცივება ან მწვავე რესპირატორული ინფექციებით დაავადება ნორმადაა მიჩნეული. ე.წ. გაცივებით დაავადებების (გრიპი, ზედა სასუნთქი გზების ანთება) პიკი, როგორც წესი, ბავშვის ბაღში ან სკოლაში მიყვანის პირველ წელზე მოდის. პატარას დაბადების შემდეგ, პირველი გაცივების შემთხვევაში მშობელმა კონსულტაციისთვის აუცილებლად პედიატრს უნდა მიმართოს. ავადმყოფისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს კომფორტული პირობების შექმნას, ოთახის ხშირად განიავებას და მაღალი ტემპერატურის დროს სიცხის დამწევი პრეპარატების მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში (როცა ტემპერატურა 38,5 გრადუსზე მაღლა ადის) გამოყენებას.

### რომელ სიმპტომს უნდა მიექცეს ყურადღება

1 წლამდე ბავშვის გაცივების შემთხვევაში მშობელმა პედიატრს შემდეგი სიმპტომების არსებობის შესახებ აუცილებლად უნდა აცნობოს: კანის ფერის შეცვლა, სუნთქვის მოშლა, ხველა, ოფლიანობა, სისუსტე, კვების რეჟიმის დარღვევა და ნებისმიერი სხვა, უჩვეულო სიმპტომი.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სხეულის ტემპერატურის ცვლილებაზე, გამონაყარის გაჩენაზე, მადის დაკარგვასა და კუჭის მოქმედების დარღვევაზე თვალყურის დევნება. ექიმს უნდა ეცნობოს იმის შესახებაც, თუ ბავშვი შესამჩნევად აღგზნებული გახდა ან პირიქით, მოითენთა, ძალიან დიდხანს სძინავს, ძილში კრთება და სხვა.

განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს, თუ ტემპერატურა 38,5 გრადუსზე მაღლა აიწევს და 36-ზე ქვევით დაეცემა. გარდა ამისა, თუ ბავშვს 3 დღეზე მეტხანს აქვს 37,1-37,9 გრადუსი სიცხე, ესეც საფრთხილოა, რადგან შეიძლება ნელა განვითარებადი ანთებითი პროცესის (პნევმონია, პიელონეფრიტი და სხვა) სიმპტომი იყოს. ასე რომ, სამ დღეზე მეტხანს სიცხის არსებობის შემთხვევაში, თუნდაც სიცხე 37,1 გრადუსი იყოს, ექიმის კონსულტაცია აუცილებელია.

### რომელი სიმპტომებია განსაკუთრებულად საშიში?

ბავშვის ხშირი ტირილი, სიფერმკრთალე, ცივი ოფლი, მოულოდნელად განვითარებული მოთენთილობა, რასაც ტემპერატურის დაქვეითება ახლავს;

უჩვეულო გამონაყარის გაჩენა;

კუჭის მოქმედება (თხიერი განავლით) დღეში 5-ზე მეტჯერ, მრავალჯერადი ღებინება;

კრუნჩხვები;

გულის წასვლა, ცნობიერების დარღვევა, დასმულ კითხვაზე ბავშვის არაადეკვატური პასუხი;

ბავშვის ხმის მოულოდნელი ჩახლეჩა, დაბოხება.

სუნთქვის მოშლა;

შეშუპების განვითარება, განსაკუთრებით — სახესა და ყელის მიდამოში;

მუცლის მკვეთრი ტკივილი;

თავის მკვეთრი ტკივილი.

ამ სიმპტომებიდან რომელიმეს არსებობის შემთხვევაში მშობელმა კონსულტაციისთვის პედიატრს უნდა მიმართოს, მაგრამ თუ რომელიმე სიმპტომი მოულოდნელად განვითარდა და მკვეთრად პროგრესირებს, მაშინ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადის დაუყოვნებლივი გამოძახება აუცილებელია, რადგან შეიძლება ბავშვის სიცოცხლეს საფრთხე დაემუქროს.

### როდის უნდა გამოვიძახოთ ბავშვთა ექიმი?

პედიატრთან სატელეფონო კონსულტაციის დროს გაირკვევა, აუცილებელია თუ არა ექიმის მიერ ბავშვის გასინჯვა. სახლში პედიატრის გამოძახება აუცილებელია იმ შემთხვევაში, თუ ეს წლამდე ბავშვისთვის ტემპერატურის აწევით მიმდინარე პირველი ავადმყოფობაა. გარდა ამისა, თუ მშობელი თავად მკურნალობს ბავშვს და ავადმყოფობის მესამე დღეს ჯანმრთელობის მდგომარეობა არ უმჯობესდება, მაშინ პატარა აუცილებლად უნდა ნახოს პედიატრმა.

### როგორ ვუმკურნალოთ გაციებას?

ზოგიერთი ექიმი ფრთხილობს და ბავშვს ბევრ წამალს უნიშნავს, ზოგი დალოდების ტაქტიკას ირჩევს და უპირატესობას ნატურალური საშუალებებით მკურნალობის მსუბუქ მეთოდს ანიჭებს. ნებისმიერ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ გაცივება — ეს არის იმუნიტეტის წრთობა გამომწვევთან ბრძოლაში და ბავშვისთვის, რომელსაც რაიმე ქრონიკული დაავადება არ აქვს, განსაკუთრებულ საშიშროებას არ წარმოადგენს. ასე რომ, დალოდების ტაქტიკა და დაკვირვება ბავშვის იმუნიტეტს გაკაჟების საშუალებას აძლევს. ჩვეულებრივ, მსუბუქი კვება, თბილი სასმელები, დასვენება და „ხალხური საშუალებებით“ მკურნალობა ბავშვის სწრაფად გამოჯანმრთელებისა და გართულებების თავიდან ასაცილებლად საკმარისია.

### როგორ ვუმკურნალოთ ბავშვს გაციების დროს ხალხური საშუალებებით?

ბავშვისთვის პირველ რიგში ნებისმიერი გამათბობელი პროცედურაა მისაღები: ფეხებზე თბილი აბაზანა, ცხვირსა და გულმკერდზე თბილი საფენები, C ვიტამინით მდიდარი, ნოყიერი, თბილი საკვებისა და დიდი რაოდენობით თბილი სითხის მიღება.

„გაჭედილი“ ცხვირის გახსნის მიზნით ცხვირის გამორეცხვის მანიპულაცია არც ისე უსაფრთხოა, როგორც ერთი შეხედვით ჩანს. სისხლძარღვების შემავიწროებელი „ცხვირის წვეთების“ გამოყენება ცხვირის ლორწოვან გარსს აშრობს და ვირუსს ორგანიზმში ღრმად შესაღწევ გზას უხსნის. ისეთი აგრესიული პროცედურების შემთხვევაში, როგორიცაა, მაგალითად, ხახვის ან ნივრის გაუზავებელი წვენით ცხვირის გამორეცხვა, შესაძლებელია ლორწოვანი გარსის მთლიანობის დარღვევა მოხდეს, რაც ასევე დაავადების შემდგომ პროგრესირებას უწყობს ხელს. ცხვირის გამორეცხვას პატარებში შეიძლება ოტიტი (შუა ყურის ანთება) მოჰყვეს, რადგან ბავშვთა ასაკში სასმენი მილის თავისებურების გამო, ცხვირში ჩაწვეთებული საშუალება შეიძლება შუა ყურში მოხვდეს. ამიტომ, თუ ბავშვს ცხვირში არსებული გამონადენი ადვილად გამოაქვს გარეთ და მშვიდ სუნთქვაში, ძუძუს წოვაში (ან ჭამაში) და ძილში ხელს არ უშლის, მაშინ უმჯობესია, ცხვირი არ გამოურეცხოთ. თუ ცხვირში არსებული გამონადენი ძალიან ბლანტია და ბავშვს მისი გარეთ გამოდევნა უჭირს, მაშინ გათხიერების მიზნით შეიძლება 2-5 წვეთი სუფთა, ოდნავ მარილიანი წყალი ან სოდიანი წყალი ჩავაწვეთოთ.

### საჭიროა თუ არა მაღალი ტემპერატურის ხელოვნურად დაგდება?

ტემპერატურის მატება ორგანიზმის ინფექციასთან ბრძოლის ძირითადი საშუალებაა, რადგან ერთი მხრივ, ტემპერატურის მომატებისას ნივთიერებათა ცვლა ჩქარდება, რისი წყალობითაც ბავშვის იმუნიტეტი უფრო ეფექტურად მუშაობს, მეორე მხრივ კი ტემპერატურის მატებისას ვირუსისა და ბაქტერიის გავრცელების სიჩქარე იკლებს. მშობლები ხშირად მიმართავენ ტემპერატურის ხელოვნურად დაგდებას ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ეს პროცედურა სამკურნალო ეფექტს არ იძლევა. სწორედ ამიტომაა, რომ პედიატრები ტემპერატურის ხელოვნურად დაქვეითებას მხოლოდ 39 გრადუსზე მაღალა აწევის შემთხვევა-

ში გვირჩევენ. ამიტომ, თუ ბავშვს მძიმე ქრონიკული დაავადება არ აქვს, მაშინ უმჯობესია, ორიენტირება მოვახდინოთ არა ტემპერატურაზე, არამედ ბავშვის ზოგად მდგომარეობაზე (გუნება-განწყობილებაზე). პირველ რიგში, ყურადღება უნდა მიექცეს, რა უნდა თავად ბავშვს: თუ სიცხე სწრაფად იმატებს, ბავშვს აციებს და აჟრიალებს, მაშინ პატარას უნდა დავეხმაროთ თბილი ტანსაცმლის, საბნის და ცხელი სასმლის დახმარებით სწრაფად გათბობაში. როცა ტემპერატურა მაქსიმუმს მიაღწევს, შემცივნება გაივლის, მაგრამ კანი შეიძლება ოდნავ გაწითლდეს და შუბლზე ოფლის წვეთები გაჩნდეს. ამ დროს უკვე ბავშვის შეძლებისდაგვარად გაშიშვლება საჭირო (ასე უფრო გაუადვილდება ცხელების გადატანა). ამავე მიზანს ემსახურება ბავშვის წყალნარევი სპირტით ან ძმრით დაზელა ან თბილი აბაზანის მიღება. ეს პროცედურები ტემპერატურის დაქვეითებას შეუწყობს ხელს. აუცილებელია იმის ცოდნა, რომ ტემპერატურის მედიკამენტებით მკვეთრ დაცემას მისი მკვეთრი მატება მოჰყვება, რაც კრუნჩხვებს იწვევს. გარდა ამისა, ტემპერატურის ძლიერი ცვალებადობა გულ-სისხლძარღვთა სისტემის დატვირთვას საგრძნობლად ზრდის.



თუ ბავშვს ქრონიკული დაავადება აქვს, მაგალითად — გულის თანდაყოლილი მანკი, მძიმე ნევროლოგიური სინდრომი, ქალაშიგა წნევის მატება ან სხვა, ტემპერატურის დაქვეითება, მაშინ უნდა დავიწყოთ, როცა იგი 38,5-39 გრადუსამდე ავა. უპირატესობა ტემპერატურის დაგდების ფიზიკურ მეთოდებს (რაზეც უკვე ვისაუბრეთ) უნდა მივანიჭოთ. თუ სიცხის დამწევი მედიკამენტების მიცემა გადაწყდება, მაშინ უმჯობესია, იბუპროფენისა და პარაცეტამოლის საფუძველზე დამზადებული სანთლების ან სპრეის (ასაკის შესაბამისი დოზით) გამოყენება. ასპირინისა და ანალგინის საფუძველზე დამზადებული სიცხის დამწევების მიცემა ბავშვებისთვის არ არის რეკომენდებული, რადგან ასპირინმა შეიძლება ღვიძლის უკმარისობა გამოიწვიოს, ანალგინს კი ლეიკოციტების რაოდენობის დაქვეითება ჯანმრთელობისთვის საშიშ ოდენობამდე შეუძლია.

## შეიძლება თუ არა ბავშვის ბანაობა გაციების დროს?

ავადმყოფობის დროს დაბანის აკრძალვის რეკომენდაცია მაშინ შემოიღეს, როცა სახლში სააბაზანოები არ ჰქონდათ და აბანოში დადიოდნენ. დღეს კი, როცა სახლში სააბაზანო ოთახი და ცხელი წყალი გვაქვს, ბანაობა მდგომარეობის გაუმჯობესებისა და სიცხის დაწევის საუკეთესო საშუალებაა. ავადმყოფი ბავშვის ბანაობა შეიძლება და საჭიროცაა, თუ თავად არ არის წინააღმდეგი. ავადმყოფის ბანაობისას აუცილებელ პირობას ორპირი ქარის გამორიცხვა წარმოადგენს. წყალი უნდა იყოს თბილი, ბავშვის ტემპერატურაზე დაახლოებით ერთი გრადუსით დაბალი, მაგრამ არა უმეტეს, 39 გრადუსისა. აუცილებელია აბაზანაში ცხელი წყლის რეგულარული ჩამატება, რათა წყალი არ გაცივდეს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბავშვის ბანაობა, თუ მას აქვს ღებინება და ფაღარათი, რადგან ეს გამოფიტვის პროფილაქტიკის არაჩვეულებრივ საშუალებას წარმოადგენს.

## როდისაა ბავშვი გამოჯანმრთელებული?

თუ ბავშვს ნორმალური გუნება-განწყობილება, მადა, ტემპერატურა აქვს, თუ იგი ზომიერად აქტიურია, არ აღენიშნება ცხვირიდან გამონადენი, მაშინ იგი ჯანმრთელად შეიძლება ჩაითვალოს.

## როდის შეიძლება ბავშვის სასეირნოდ წაყვანა?

თუ ბავშვი მხიარულია, აქტიური, სეირნობა უნდა და ამის საშუალებას ამინდიც იძლევა, მაშინ იგი ტემპერატურის ნორმალიზებიდან 2-3 დღეში შეიძლება გაასეირნოთ. მნიშვნელოვანია, რომ ავადმყოფობის შემდეგ პირველი გასეირნება 20 წუთს არ აღემატებოდეს. ამასთან, ამინდი უნდა იყოს კარგი (თბილი, მზიანი, უქარო). კატეგორიულად იკრძალება პირველი გასეირნება, თუ გარეთ ტემპერატურა 10 გრადუსზე დაბალია, ქარბუქია, წვიმს და ა.შ.

## როდის შეიძლება ბავშვის ბაღში ან სკოლაში წაყვანა?

ბავშვთა კოლექტივში დაბრუნება გამოჯანმრთელებიდან ერთი კვირის შემდეგაა რეკომენდებული, რადგან ახალგამოჯანმრთელებული ბავშვის ორგანიზმი ვირუსებისადმი განსაკუთრებულად მგრძნობიარეა და შესაძლებელია, ხელახალი ინფიცირება მოხდეს.

## დავიცვათ თავი გაციებისა და გრიპისგან

როგორც წესი, ექიმები შემოდგომობით გვაფრთხილებენ, რომ გრიპის ეპიდემია კარსაა მომდგარი და აცრების გაკეთებას გვირჩევენ, მაგრამ ეს ყოველთვის როდი იძლევა შედეგს ან ყველას როდი აქვს ვაქცინაციის საშუალება. სამაგიეროდ, იმუნიტეტის გასაძლიერებელ, ხალხურ საშუალებებზე ხელი ნებისმიერს მიუწვდება. ზოგჯერ ისინი ქიმიურ პრეპარატებზე უფრო ეფექტურია და თანაც, ორგანიზმს არასდროს ვნებს.

ზამთარში ავადმყოფობამ რომ არ შეგაწუხოთ, ახლავე გაითვალისწინეთ ჩვენი რჩევები.

## ნივრის „აბები“

ქიმიურ სამკურნალო პრეპარატებს ყველაზე დიდ კონკურენციას სიცხის დამწევი და ბაქტერიოციდული თვისებების მქონე ნიორი უწევს.

უპირველეს ყოვლისა, კერძებში ნივრის ჩამატება არ უნდა დაგავიწყდეთ, ეს სასარგებლოცაა და თან საკვებს არაჩვეულებრივ გემოს აძლევს. პროფილაქტიკისთვის კი საკმარისია, ყოველდღიურად 1-2 კბილი ნივრის მიღება. ეს დოზა გაციების საწინააღმდეგო ბევრ წამალს ცვლის და მათგან განსხვავებით, გვერდითი მოვლენები არ ახასიათებს.

თუ ნივრის სუნი გაშინებთ, შეგიძლიათ რამდენიმე ნაწილად გაჭრათ და აბებივით გადაყლაპოთ. თუ ნივრის ჭამის შემდეგ პირში ლიმონიან წყალს გამოივლებთ, სუნი მყისვე გაქრება.

## თაფლიანი ბოლოკი

ბოლოკი ხელს უწყობს იმუნიტეტის გაძლიერებას. კარგია, თუ მას სიფრიფანა ნაჭრებად დაჭრით, შემდეგ მინის ჭურჭელში ჩააწყობთ, თაფლს დაასხამთ და მაცივარში შეინახავთ. ყოველდღიურად 2 სუფრის კოვზი თაფლიანი ბოლოკი მიირთვით და გაციება არასდროს შეგაწუხებთ. ეს არაჩვეულებრივი გემოს მქონე „კერძი“ აუჩქარებლად უნდა ღეჭოთ და დიდხანს არ გადაყლაპოთ. ბოსტნეულის წვენებიც იმუნიტეტის ასამაღლებელი ეფექტური საშუალებაა. ყოველ დილა მათი მიღებით დაიწყეთ და ზამთარში ჯანმრთელობის მხრივ პრობლემები არ შეგექმნებათ.

## კენკროვანი ხილი

სამედიცინო კვლევებმა ცხადყო, რომ მოცვი იმუნიტეტის გამაძლიერებელი თვისებებით გამოირჩევა. თუ თქვენ ზაფხულში მოიმარაგეთ და შეინახეთ ეს ძვირფასი ხილი, ახლა მისი მოხმარების დრო დადგა. ყოველდღიურად მიირთვით 1 სუფრის კოვზი მოცვის მურაბა ან გახეხილი და შაქარმოყრილი, უმი მოცვი.

თუ ყელის ტკივილმა შეგაწუხათ, მაშინ 1 ს/კ ძახველს 1 ჭიქა მდუღარე წყალი დაასხით და 40 წუთი გააჩერეთ. ეს ნაყენი ყელში დღეში 4-ჯერ მაინც გამოივლეთ და დალიეთ 1 სუფროს კოვზი, დღეში 3-ჯერ. ამის პარალელურად, ყოველდღიურად 2 ვაშლი უნდა მიირთვათ („ანტონოვკა“ უკეთესია).

კენკროვანი ხილის გამომშრალი ნაყოფით, ფოთლებითა და ყვავილებით დამზადებული ჩაი ვიტამინების უშრეტი წყაროა და გაციებისადმი ორგანიზმის წინააღმდეგობის უნარს აძლიერებს.

## ცუდი ამინდი არ არსებობს

ორგანიზმის გაკაჟებისა და გრიპის პროფილაქტიკისთვის ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ საშუალებას ფეხების კონტრასტული აბაზანები წარმოადგენს. ეს პროცედურა ყოველღამე უნდა ჩაიტაროთ. ამისათვის აიღეთ ორი ტაშტი: ცხელი (დაახ-

ლობით 40-გრადუსიანი წყლით) და გრილი (არა უმეტეს 30 გრადუსისა) წყლით. რამდენიმე წამით ფეხები ჯერ ცხელ, ხოლო შემდეგ ცივში წყალში ჩადეთ და ეს გაიმეორეთ 3-4-ჯერ.

რაც მთავარია, არ დაიზაროთ სეირნობა. ისეირნეთ ნებისმიერ ამინდში, დარსა თუ ავდარში, ნახევარი საათით მაინც. როგორც კი აცივდება და ტენიანობა მოიმატებს, ნატურალური ბოჭკოს ქსოვილისგან დამზადებულ თეთრეულზე გადადით. ტანსაცმელი, რომელიც უშუალოდ კანს ეხება, სინთეტიკას არ უნდა შეიცავდეს. დაიცავით ეს მარტივი წესები და არანაირი ვირუსი საშიში არ იქნება.

### ზოგჯერ ცხიმი სასარგებლოა

გამუდმებით გვესმის, რომ ცხოველური ცხიმები მავნებელია და ისინი კვების რაციონიდან უნდა ამოვიღოთ. ჩვენს ბებიებს კი სათავსებში ყოველთვის ჰქონდათ გადამდნარი ქონით სავსე ქილები. მას წამლად იყენებდნენ და ამიტომ, ხორცზე უფრო მეტად აფასებდნენ.

### ბებიების რეცეპტები

დიდი ხნის წინ, ბატისა და ღორის ქონს მრავალი დაავადებების სამკურნალოდ იყენებდნენ. ზოგი კურდღლის, მაჩვისა და მელიის ცხიმსაც კი ინახავდა ამ მიზნით. კბილის ტკივილის დროს მტკივნეულ ადგილზე, ღრძილსა და ლოყას შორის ღორის ქონის პატარა ნაჭერს იდებდნენ. 20 წუთის შემდეგ თურმე ტკივილი ქრებოდა. ღორის მუცლის გადამდნარ ქონს ბევრი გადაურჩენია დამწვრობების გართულებებისგან. სხეულის მოყინულ ნაწილებს ბატის ქონით მკურნალობდნენ. მაჩვის ქონს კი საკმაოდ ეფექტიანად იყენებდნენ ტუბერკულოზის წინააღმდეგ.

ქონს მხოლოდ სუფთა სახით როდი იყენებდნენ — სამკურნალო ეფექტის გასაძლიერებლად მას პროპოლისს, ხახვს, სკიპიდარს, სამკურნალო ბალახებს უმატებდნენ და ძლიერმოქმედ მალამოს აკეთებდნენ.

### ღორის ქონის მალამო

ხალხურ მედიცინაში ყველაზე ხშირად ღორის მუცლის ქონი გამოიყენება. მისგან ეფექტურ მალამოს ამზადებდნენ — უმატებდნენ ფიჭვის წიწვებს, კანიფოლს, ცვილსა და პროპოლისს და ძნელად შეხორცებად ჭრილობაზე იდებდნენ.

ძლიერ ხველას შემდეგნაირად დამზადებული მალამო შველის: თანაბარი რაოდენობით აიღეთ იოდი, თაფლი, ქაფურის ზეთი და ღორის ქონი. ყოველივე ეს წყლის აბაზანაზე მოათავსეთ, ურიეთ და მიიყვანეთ ერთგვაროვან კონსისტენციამდე. ამ მასით (სანამ გაცივდება) დაიზილეთ გულმკერდი და ზურგი. 2-3 დღიანი პროცედურის შემდეგ ხველა დაგიამდებათ.

თუ მშრალი კანის გამო ქუსლებზე ნახეთქები გაგიჩნდათ, მაშინ ძილის წინ ფეხები დაიბანეთ, ღორის ქონი სქლად წაისვით, პოლიეთილენით შეიხვიეთ და ბამბის წინდები ჩაიცვით. ეს პროცედურა 2 კვირის მანძილზე გაიკეთეთ. მკურნალობის დაწყებამდე უნდა დარწმუნდეთ, რომ ნახეთქები სოკოვანი დაავადებით არ არის განპირობებული.

### ბატის ცხიმი

საუკეთესო საშუალებაა არა მარტო გაცივების, არამედ კანზე პრობლემების დროსაც. სამკურნალო ცხიმებს შორის ის ყველაზე მსუბუქი და „ფაფუკია".

ძლიერი ყინვის დროს, ქუჩაში გამოსვლის წინ, ტანსაცმლით დაუფარავი ნაწილების მოყინვისაგან დასაცავად ბატის ცხიმის თხელი ფენა წაისვით.

აქერცვლისა და ნახეთქების დროს ტუჩები ევკალიპტისა და გვირილის ნაყენით (თითო-თითო ჩაის კოვზი ჩაყარეთ 1 ჭიქა მდუღარე წყალში და გააჩერეთ 15 წუთი) დაიბანეთ, შემდეგ ბატის ქონი წაისვით. ასე მოიქეცით დღეში სამჯერ, ჭამის შემდეგ. მკურნალობის დროს პომადა არ იხმაროთ. ■

**P.S. პატივცემულო მკითხველებო, მოგვწერეთ, თუ რომელი დაავადების შესახებ გსურთ ინფორმაციის მიღება. რასაკვირველია, ჩვენი ჟურნალის ფურცლებიდან სრული განკურნების მიღწევა შეუძლებელია, მაგრამ იმის გაგებას, თუ რა შეიძლება იყოს თქვენი ჩივილების მიზეზი და ვის უნდა მიმართოთ, ნამდვილად შეძლებთ. რუბრიკის ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელეფონის ნომერზე: 8(99) 30.35.97 ან ელფოსტაზე:** nino.char@yahoo.com.





# ადამიანი



## „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნით დახვრეტას გადარჩენილი

### „მთავრობამ ყველაფერი გამიკეთა, მაგრამ ვერაფერიც ვერ დამაკლო!“

**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II ხშირად გვახსენებს, თუ რაოდენ დიდი და მნიშვნელოვანია ერის ისტორიაში იმ ადამიანთა ღვაწლი, ვინც თავდადებით, უანგაროდ ემსახურა ქართულ მეცნიერებასა თუ კულტურას. „...ჩვენ თავს ვხრით და დიდად ვაფასებთ იმ თავდადებას, რომელიც კომუნისტური რეჟიმის პერიოდში გამოიჩინეს ჩვენმა მეცნიერებმა და ათეისტური ყოფის მიუხედავად, შეძლეს ხალხისათვის სწორი ორიენტირების შენარჩუნება. გავიხსენოთ ექვთიმე თაყაიშვილი, ივანე ჯავახიშვილი, პავლე ინგოროყვა, დიმიტრი უზნაძე, თედო სახოკია, გრიგოლ ლორთქიფანიძე, შალვა ნუცუბიძე, ივანე ბერიტაშვილი, მაქსიმე შარაძე, ფილიმონ ქორიძე და სხვა მრავალნი“, — ბრძანებდა უწმინდესი საშობაო ეპისტოლეში.**

**ამჯერად, გამოჩენილ მეცნიერზე, დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პარლამენტის წევრზე — შალვა ნუცუბიძეზე მოგითხრობთ.**

*ეთერ ერაძე*

### უნივერსიტეტს ქუდს უხდიდა მაშინაც, როცა იქიდან გამოაძევეს...

1917 წელს პეტერბურგის სისხლით მორწყულ ქუჩებში ქართველებიც იდგნენ, მათ მკერდი სხვისი ტყვიისთვის შეეშვირათ! თუმცაღა რუსულ რევოლუციაში მაინც გაიელვა დიდებულმა „ქართულმა“ წუთებმა, ზოგმა — დიდი ვაჟკაცობის, ზოგმაც — დიდი სიბრძნის გამომხატველმა! ასეთ წუთები შემოგვინახა შალვა ნუცუბიძის წერილებმა, სადაც ვკითხულობთ: „ბარიკადებზე შევხვდი ივანე ჯავახიშვილს და აკაკი შანიძეს. აი, ეს რევოლუციაა ჩვენი მაშველი საქართველოში უნივერსიტეტის გახსნის საქმეში, — თქვა ივანე ჯავახიშვილმა ბარიკადებზე ხელის გაშვერით და თვალები აუელვარდა...“

უნივერსიტეტი კი მხოლოდ უნივერსიტეტი არ იყო — მისი გახსნით, ჩამკვდარი ქართული გენი და სიბრძნე უნდა აღორძინებულიყო. ჰოდა, ბარიკადები დაშლილი არც იყო, როცა 29 წლის ჭაბუკი შალვა ნუცუბიძე პეტერბურგში დროებითი მთავრობის მინისტრს მიადგა, — რევოლუციაში თავს თქვენთან ერთად ვწირავდით, ქართული უნივერსიტეტის გახსნის ნებართვა მოგვეცით და ქართველების ოცნებაც ასრულდა! შალვა ნუცუბიძე კი მყისვე შეუდგა რუსეთში მოღვაწე ქართველ მეცნიერებთან სიარულსა და თხოვნას: — სამშობლოში დაბრუნდით, ქართულ უნივერსიტეტში სამოღვაწეოდ. ისინიც დაიძრნენ და დიდი პატივით მიიწვიეს შალვა ნუცუბიძეც: „1917 წელს გიორგი ახვლედიანის პირით მივიღე უნივერსიტეტის გახსნის ხელმძღვანელის მოწვევა — საქართველოში წავსულიყავი და მიმეღო მონაწილეობა ქართული უნივერსიტეტის დაარსების სამზადისში, რაც მე დაუყოვნებლივ შევასრულე. ცოლ-შვილი პეტერბურგში დავტოვე და თბილისში ჩამოვედი, სადაც თავის ბინაზე შეხვედრისას დიდი ივანე ჯავახიშვილი გადამეხვია და გულში ჩამიკრა“.

შემდეგ, ვიდრე გარდაცვალებამდე, შალვა ნუცუბიძე — ფილოსოფოსი, ისტორიკოსი, ლიტერატურათმცოდნე (ბრწყინვალედ ფლობდა გერმანულ, ფრანგულ, ინგლისურ, რუსულ ენებს), კულტუროლოგი და მთარგმნელი ნელ-ნელა ანთებდა ქართველთა მინავლებულეროვნულ ცნობიერებას.

### ფარცხანაყანელი ბიჭი

ის ფარცხანაყანებში დაიბადა. ბაბუები — დედისა და მამის მხრიდან — სასულიერო პირები ჰყავდა. მათ სული გაუძლიერეს, ჰოდა, ამიტომაც იყო, რომ სულ ეკლესიაში გარბოდა — კათოლიკოს-პატრიარქის, კალისტრატე ცინცაძის მეგობარი გახლდათ. შვებით გადმოიღებდა ხოლმე მის ნაჩუქარ ბიბლიას, სადაც პატრიარქს სიყვარულით წაეწერა: „ორთა ხუცესთა ნაშიერსა და სიბრძნისა მოყვარესა ჯურღმულსა ამას სიბრძნისასა, მიუძღვნის ხუცესთა ხუცესი“.

ერთხელაც, ზამთრის საღამოს, ბუხართან ისხდნენ შალვა, მისი მეუღლე

ქეთევანი და პატრიარქი. მეცნიერებათა აკადემიაზე ჩამოვარდა სიტყვა... შალვა ნუცუბიძემ თქვა:

— აკადემიის კარი რაკი ერთხელ გაიღო, აღარ დაიხურება: ზოგს შესასვლელად წინაპრების ძვლების ფოსფორი უნათებს გზას, ზოგს თანამდებობით ირჩევენ, ზოგს — პოსტიდან გათავისუფლებულს, აკადემიკოსობით იმადლიერებენ, მაგრამ საინტერესო ის არის, რომ ყველას პირველობა უნდა, ჩვენ კი მხოლოდ პირჯვარი ვიწეროთ!

— მწირველი კი შენ ხარ, არა, შალვა? — ღიმილით დაეკითხა პატრიარქი. — მე სიამოვნებით დაგითმობდი სიონის კათედრას, სიონში უნდა სჭექდეს შენი ხმა (*შალვა ნუცუბიძე თანამედროვეთა შორის დიდი ორატორი და ულამაზესი ხმის პატრონი იყო. — ავტ.*), რომ კედლებმაც ბანი მოგცეს!..

ამ სიტყვებმა მწარედ დააფიქრა ბატონი შალვა: „მძიმე ჯვარს ატარებს პატრიარქი. მარტოა, არავინ არის მისი დამხმარე“. ასეც იყო.

## „ვერ დაგემონებით!“

მაგრამ შალვა ნუცუბიძეს თავისი გზა ჰქონდა; ის იყო ის, ვინც მონღოლების შემოსევითა და ბიზანტიის დაცემით გავერანებულ ქართულ საგანმანათლებლო კერებში მოღვაწე იოანე პეტრიწის, იოანე მთაწმინდელის, არსენ იყალთოელის, ეფრემ მცირის შემდეგ პრაქტიკულად პირველმა, ევროპელ მეცნიერებს განუცხადა: — ვიდრე თქვენი ფილოსოფოსები გამოჩნდებოდნენ, საქართველოში იყო ცოდნის ტაძრები. ჩვენ გვქონდა „ვეფხისტყაოსანი“ და გელათის აკადემია — მეორე იერუსალიმიო. მანვე დაასაბუთა, რომ V საუკუნის ფილოსოფოსის, დიონისე არეოპაგელის ტრაქტატები, რომელიც ევროპას თავის უძველეს და უპირველეს ძეგლად მიაჩნდა, ქართველის, პეტრე იბერის დაწერილი ყოფილა (დამოუკიდებლად იგივე დაასაბუთა ბელგიელმა ფილოსოფოსმა ერნესტ ჰონიგმანმა — რისთვისაც ნობელის პრემიაზე იყო წარდგენილი)! ამ თემაზე კითხულობდა ლექციებს ლაიფციგის უნივერსიტეტშიც, გერმანიიდან ჩამოსულმა კი დარწმუნებით თქვა, — გერმანიაში ვერ მიჩვენეს ნაშრომი, რომელიც ჩემთვის ცნობილი არ იყოო. მერე დასძინა: „რუსთაველმა დაასწრო დანტეს, გამოართვა ცოდნა აღმოსავლეთს და მისცა დასავლეთს... და რომ არა რუსთაველი, ძნელი წარმოსადგენია, როგორ წარიმართებოდა დასავლეთის გზა!“

## „რა გინდათ პოლიტიკაში?!“

რომ არა რუსთაველი, ალბათ, არც შალვა ნუცუბიძე იქნებოდა იმ დროს ცოცხალი, — რუსთაველმა სტალინთან „უშუამდგომლა“. მანამდე კი, როგორც გამოუსწორებელი იდეალისტი (სწორედ ასე ეწერა მისი სამსახურიდან გაგდების ბრძანებაში), 1938-ში დაიჭირეს. ფილოსოფოსი ციხეში უფრო თავისუფალი იყო, ვიდრე თავისუფლებაში. მას სიკვდილის არსი არ აკვირვებდა; უფრო იმან გააკვირვა, სტალინმა ციხეში რომ შეუთვალა: „თარგმნე „ვეფხისტყაოსანი“ რუსულად და არაფერს მოგაკლებო. ბელადს დიდი იმპერიისთვის იმის დამტკიცება უნდოდა, რომ ვინმე ხელწამოსაკრავი კი არა, დიდი ერის შვილი იყო. ნუცუბიძესაც ზუსტად იგივე უნდოდა, ოღონდაც — არა სტალინის გამო. გადაიყვანეს მოსკოვში. ორი წელიწადი თარგმნიდა, ორი წელიწადი დაჰქონდათ თარგმანები სტალინთან და ისიც ჩასწორებულს უბრუნებდა; ორი წლის შემდეგ ერთმანეთს შეხვდნენ. სტალინი სიცილით წამოვიდა, ხელგამოწეული — ბრწყინვალედ გითარგმნიათ. ყდაზე რუსთაველს რომ დავწერთ, თქვენი გვარიც უნდა მივაწეროთ, მაგრამ ილუსტრაციები უნდა შევცვალოთო!


ფილოსოფოსი ციხეში უფრო თავისუფალი იყო, ვიდრე თავისუფლებაში

— რატომ? — ჰკითხა ნუცუბიძემ.

— ეს არის ტარიელის შეხვედრა ნესტან-დარეჯანთან, ქაჯეთის ციხიდან გამოხსნისას?! კაცო, ეს უგამჩენო, როგორც იქნა, ამდენი ხნის უნახავ შეყვარებულს შეხვდა და იმის მაგივრად, რომ ალერსიანად შეჰყურებდეს, როგორი მრისხანე გამომეტყველებით მისჩერებია! — მერე გამჭოლად შეხედა: — მეც ვთარგმნე ერთი სტროფი და აბა, როგორ მოგეწონებათ?

*„ანაზდად ცხენნი გაქუსლეს, მათრახმა შექმნა წრიალი,*
*რა ნახეს, კარნი განიხვნეს, ქალაქით გახდა ზრიალი,*
*სამთავე სამგზით მიჰმართეს, თავსა მით უყვეს რიალი,*
*იკრეს ნობსა და დაბდაბსა, შეიქმნა ბუკთა ტკრციალი.“*

და იქვე რუსული თარგმანიც მიაყოლა: „Вдруг коней вперёд рвануло, засвистели плети мигом, / Кони врезались, весь город огласился воем, визгом, / С трёх сторон втроем ворвались, понеслися буйно с гиком, / Гром атаки, бой литавров вмиг сменились с воплем, криком.“ თარგმანი ბრწყინვალე იყო. ეს შეხვედრა ეყოთ, რომ ერთმანეთი სწორად შეეფასებინათ: შალვა ნუცუბიძემ — სტალინი: „ძალიან განათლებულია. საკითხავია, რატომ აღმოჩნდა ამ გზაზე?“ სტალინმა — შალვა ნუცუბიძე: „ძალზე განათლებული ბრძანდებით. საკითხავია, რა გინდათ პოლიტიკაში?“



## გამოუსწორებელი იდეალისტი

შალვა ნუცუბიძე პოლიტიკაში თავის ერს შეჰყვა — თავისუფლების გაუნელებელი მნატვრელი იყო და დანახვა არავისი უნდოდა, ვინც მისი სამშობლოს თავისუფლებას ფეხი დაადგა, მათ შორის — სტალინისა. თუმცა სტალინი მას მაინც მფარველობდა, ყოველ შემთხვევაში, არ დაახვრეტინა და ესეც დიდი რამე იყო ერისათვის. რაღა მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ მისი გული ბევრჯერ მოკვდა: 1938-40 და 1953-60 წლებში, როცა უნივერსიტეტიდან და ყველა სამსახურიდან გააძევეს. მას ძლიერი სული ჰქონდა, ყველაფერი

აიტანა; ერთადერთი, სასოწარკვეთაში მაშინ ჩავარდა, როცა სოფელ გლდანში ნაკვეთის წასართმევად მიადგნენ. ჰოდა, დაივიწყა თავმოყვარეობა და ერთ-ერთი მაღალი თანამდებობის კაცს სთხოვა: „რაღა თქმა უნდა, იცით, რომ ფილოსოფოსი ვარ, მაგრამ ბოლო დროს მუშაობის უფლება შემეზღუდა და „ღმერთების“ ნაცვლად, მიწას ვებრძვი. რამდენიმე წლის წინ გლდანში მომცეს რიყითა და ჯაგნარით დაფარული მიწის ნაკვეთი... ახლა რომ ნახოთ, მე და ჩემი მეუღლის თავდაუზოგავი შრომით, წალკოტია. რაც მთავარია, იქ დაკრძალულია ჩემი პატარა ვაჟი. ერთ დღეს კი მომადგა ვიღაც პრიმატების ჯგუფის წარმომადგენელი და გამომიცხადა: — აქაურობა უნდა დატოვოთო! რა მოხდა ისეთი, რომ ბარითა და თოხით შრომა ამეკრძალოს?“ დიდი თანამდებობის პირთან მისვლამ გაჭრა — ნაკვეთი დაუტოვეს.

## „დღეს მეცა თქვენში ვარ მეომარი!“

ყოველი 1-ელი მაისისა და 7 ნოემბრის დღესასწაულებზე ქალაქიდან გარბოდა: გულს ასკდებოდა, როცა მაინცდამაინც მისი სახლის წინ გამოაკრავდნენ ხოლმე უშველებელ საბჭოთა პლაკატებს. — მე ამათი „ვაშასა“ და „ურას“ გაგონება არ შემიძლია, შემატყობინეთ, ყველა პლაკატს რომ ჩამოხსნიან და მაშინ დავბრუნდებიო! თან დასძენდა: „ხედავთ, ვითარის კადნიერებით შეკრბების ჩვენზედ უსჯულოება... დღეს მეცა თქვენში ვარ მეომარი, ვითა თქვენგანი ერთი მხედარი!“ სამაგიეროდ, საგურამოში, ილია ჭავჭავაძის წინამურთან ყოველი გავლისას თვალები ცრემლით ევსებოდა. რუსთაველზეც, მთავრობის სახლთან ისე არ ჩაივლიდა, ქუდი რომ არ მოეხადა მის ქვეშ გადასწორებულ იუნკერთა საფლავებისთვის... თავის უნივერსიტეტსაც ქუდს უხდიდა მაშინაც, როცა იქიდან გამოაძევეს... არც რუსთაველის იუბილეზე მიიწვიეს — არ შეიმჩნია... უბრალოდ, თქვა: „მთავრობამ ყველაფერი გამიკეთა, მაგრამ ვერაფერიც ვერ დამაკლო!“ სიკვდილის წინ დიდად არ უდარდია — ბრწყინვალედ მღეროდა და საავადმყოფოში მისულ ცოლ-შვილს შესძახა: — ჩქარა, მოდით, ყველამ ერთად ვიმღეროთ „მრავალჟამიერიო“! ხოლო როცა მოწაფე მივიდა, ცნობისმოყვარედ ჰკითხა: — ღმერთმა რომ ადამიანებს ცნობიერება მოგვცა, ამით დაგვწყევლა, თუ?..“

**1938 წელს შალვა ნუცუბიძე ტაშისკარის ციხეში გამოამწყვდიეს. სწორედ მაშინ ამოუტივტივდა კონსტანტინე გამსახურდიას სიტყვები: „თუ პირველ ღამეს გაუძელ ციხის კედლების დაწოლას, მერე არა გიჭირს რა, ძაღლი ყოფილა ადამიანი, ყველაფერს იტანს“. მერე იგონებდა:**



**„ის იყო გადავწყვიტე, ძილს მივცემ თავს-მეთქი, რომ გაისმა რკინის კარის ყურისწამღები „რახ-რახ“ და ვიღაც ნაგვემი ადამიანი შემოაგდეს. ვინ იყო ის ადამიანი? რკინისბადიანი სარკმელი მალი-მალ აიხდებოდა და მეთვალყურის ფხიზელი თვალი გაიელვებდა. რა უნდოდა ამ თვალს? კიდევ რისი აკრძალვა შეიძლებოდა? ისევ „რახ-რახ“ და ისევ ახალი ბედშავი აჩრდილივით ჩამოწვებოდა.**

**გამიყვანეს დაკითხვაზე:**

**— კარგი ბინა გქონიათ, დიდებული, შიგ ორი სომხის ოჯახი ლაღად მოთავსდება.**

**— დიახ. მოგეწონათ, არა? თქვენს გემოვნებაზე ვაშენებდი, — ვუპასუხე მე.**

**გამომძიებელმა შორით აღარ მოუარა და პირდაპირ დაკითხვაზე გადავიდა:**

**— სჯობია, თავად სთქვი ყველაფერი, თორემ ჩვენი არხებით ყველაფერი ისედაც გაირკვევა.**

**— თქვენი არხები ჩამპალია და აშმორებული, — ვუპასუხე მე.**

**— მე შენ გიჩვენებ ჩამპალსა და აშმორებულს, — ეცა მაგიდას ბერია, ღილაკს დააჭირა თითი და შემოსულ კაცს უღრიალა, — კარცერში!“**

**შემდეგ, როცა საკანში დააბრუნეს, პატიმრებს ცოცხალი აღარც ეგონათ და დიდი სიხარულით შეხვდნენ. „ადამიანი მართლაც რომ ოხერი ყოფილა, — ამბობდა მერე. — მე, რომელსაც დაკეტილ კარებში ყოფნის ატანა არ შემეძლო ნევრასთენიის გამო, ციხემ ეს სულ დამავიწყა. თურმე ცხოვრებაში არაფრის არ უნდა გეშინოდეს“.**

**„ღმერთმა რომ ადამიანებს ცნობიერება მოგვცა, ამით დაგვწყევლა, თუ?..“**

■

ლალი პაპასკირი

**როცა დიდი ხნის ძებნის შემდეგ, წითელი აგურით ნაშენებ ულამაზეს ბაზილიკას მივადექი, ოქტომბრის ნაადრევი სუსხი და სიცივე ერთიანად გადამავიწყდა... ეკლესიაში დასადგურებული სიმშვიდე და მწვანე კონდარზე მოთამაშე მოზარდების ჟრიამული საოცარ კონტრასტს ქმნიდა... ეზოში შესულს, წმინდა ნიკოლოზის ეკლესიის მოძღვარი, მამა ბესარიონი (ბულაშვილი) თბილი ღიმილით შემომეგება და თავის მოსასვენებელ ოთახში შემიძლვა, რომლის კედლებზეც სხვადასხვა წმინდანის ხატებთან ერთად, გაკვეთილების ცხრილიც ეკიდა... ეს ტაძარი სანზონაში უკვე ორი წელია ფუნქციონირებს, წლეულს კი, მამა ბესარიონის ინიციატივით, სასულიერო სკოლა „ცისა კარიც“ გაიხსნა.**

— ჩემს არჩევანს, სასულიერო პირი გავმხდარიყავი, რამდენიმე წინა პირობა ჰქონდა. პირველ რიგში, დიდი იყო დიდი ბებიის გავლენა, რომელიც საოცრად მორწმუნე ქალი გახლდათ. მეფის რუსეთის დროს, გიმნაზიაში 3 კლასი ჰქონდა დამთავრებული და ჯერ კიდევ ულმერთობის ხანაში რწმენით ცხოვრობდა. მან ღრმა მოხუცებულობამდე იცხოვრა და ბევრ ადამიანს სწორად ცხოვრების მაგალითი მისცა; იმდენად სათნო და ავტორიტეტული ყოფილა, რომ თურმე, ყველა პატივს სცემდა, მის სიტყვას ფასი ჰქონდა და ჭკუასაც ეკითხებოდნენ ხოლმე. ამ ადამიანის გავლენა მარტო ჩემზე კი არა, მთლიანად მის შთამომავლობაზე აისახა. მართალია, სხვები სასულიერო ცხოვრებას არ გაჰყოლიან, მაგრამ იმ ულმერთობის ხანაში რწმენით ცხოვრობდნენ, მარხვას ინახავდნენ, ლოცულობდნენ, ტაძარში დადიოდნენ, ეს კი მოგეხსენებათ, ყველას არ შეეძლო... ჩვენი გვარი — ბულაშვილები წარმოშობით ხევიდან, სოფელ სნოდან არიან და დღემდე ვცდილობთ, წინაპრის ფესვებს არ მოვწყდეთ, თითქმის ყველა დღესასწაულზე ავდივართ ხოლმე...

**— იქ დღემდე გაქვთ საგვარეულო სალოცავი?**

— დიახ, ჩვენს საგვარეულო სალოცავს სამარამანს ეძახიან, რადგან იქვე საუკუნის მოღვაწე ბერების საძვალეა, რომლებიც გადმოცემის თანახმად, მართლმადიდებლურად აღესრულნენ... როცა ათენგენობაა, მაშინ მთელი გვარი ავდივართ სალოცავად.

**— ვიცი, რომ ათენგენობას ხევსურეთშიც აღნიშნავენ...**

— მართალი ბრძანდებით, იქაც აღნიშნავენ და ყაზბეგშიც. მთაში ათენაგორა დიდ მწყალობლად მიიჩნევა, ვინაიდან დიდი წმინდანია...

**— ათენგენობის სადღესასწაულო რიტუალი მართლმადიდებლურთან მიახლოებულია?**

— ხევის ადგილობრივი მოსახლეობა ამ დღესასწაულს კომუნისტების დროსაც არ ივიწყებდა, მაგრამ არატრადიციულად, ხევის ადათ-წესის მიხედვით აღნიშნავდა; ხოლო

# შვილების სახელზე აშენებული ტაძრები და მოზარდთა სულიერი განათლების კერა — „ცისა კარი“

მას შემდეგ, რაც ხალხი ჭეშმარიტი რწმენისკენ მობრუნდა, უწმინდესის ლოცვა-კურთხევით, იქ მართლმადიდებლური რიტუალი ტარდება და საბერო საძვლოზე, სადაც ადრე კელიები იყო, ახლა ლოცვა აღევლინება.

— **ტაძარი მოქმედია?**

— არა, იმდენად ძველია, რომ სამწუხაროდ, აღდგენასაც კი არ ექვემდებარება; აქა-იქ ნიშივით არის შემორჩენილი სალოცავები და იქ ავდივართ.

— **ბერების საძვლოში თქვენი წინაპარიც არის დაკრძალული?**

— არა, ჩვენამდე მოღწეული ინფორმაციის მიხედვით, იქ მოხეტიალე ბერები უფრო მოღვაწეობდნენ... სკოლის დამთავრების შემდეგ, სავალდებულო სამხედრო სამსახურში გამამწესეს, იქიდან დაბრუნების მერე კი სასულიერო სემინარიაში ჩავაბარე, მოგვიანებით აკადემიაც დავამთავრე და გარკვეული ხნის განმავლობაში ამავე სასწავლებლებში, პედაგოგიურ მოღვაწეობასაც ვეწეოდი... მერე ჩვენი კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით, წმინდა ნიკოლოზის სახელობის ტაძრის მშენებლობასაც ჩაეყარა საფუძველი — ეს მშენებლობა 9 წელი მიმდინარეობდა. უფლის შეწევნითა და მრევლის გულმოწყალებით, ცალკეული ადამიანების, მთავრობისა თუ მხედრობის წარმომადგენლების დახმარებით, აგურ-აგურ ავაშენეთ კედლები; როცა გუმბათებამდე ავედით და ჩანაფიქრი საბოლოოდ სისრულეში მოვიყვანეთ, დიდი ზეიმი გვქონდა. ღვთის შეწევნით, ტაძარი 2008 წელს გაიხსნა.

— **მამაო, ვიცი, რომ სამი შვილი გყავთ და ტაძრებს მათ სახელზე აგებთ...**

— დიახ — ეკატერინე, ნიკოლოზი და ანა... ღვთის წყალობითა და ასევე მრევლის მეოხებით, შევძელით და მუხიანში წმინდა ეკატერინეს სახელობის ტაძარიც ავაშენეთ; შემდეგი იყო წმინდა ნიკოლოზის სახელობის ტაძარი, სადაც ახლა ვიმყოფებით და ისიც ასევე, მრევლის დახმარებით აიგო... ამავდროულად, ლოტკინზე დავიწყეთ წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის აშენება და იმედი მაქვს, რომ მის დასრულებასაც შევძლებთ... კიდევ ერთ ტაძარზე მინდა გიამბოთ: თემქაზე იყო ძველი ტაძარი (სამწუხაროდ, არ მახსოვს, რომელი საუკუნით თარიღდება), რომლის საძირკველიც ჩვეულებრივ შენობაზე იდგა, მოგვიანებით კი ტაძრად გადაკეთდა და შემდეგ ისევ დავიწყებას მიეცა... სალოცავი წმინდა გიორგის სახელს ატარებდა და იმდენად ძველი იყო, რომ რეკონსტრუქციას არ ექვემდებარებოდა, ამიტომაც დავშალეთ და ახლის შენება დავიწყეთ...



— **თქვენი მესამე შვილის, ანას სახელზეც აპირებთ ტაძრის აგებას?**

— სურვილი მაქვს, მაგრამ არ ვიცი, ჯერჯერობით გავამხილო თუ არა... თუ უფალი ინებებს, მინდა, საბერო-სამონაზვნო გზას შევუდგე და თუ წმინდა ანას სახელობის ტაძრის აშენება შევძელი, ალბათ იქ გავაგრძელებ მოღვაწეობას... თუმცა ეს უკვე უფლის ნებაა.

— **მამა ბესარიონ, შვილების**



**სახელზე ტაძრების აგებას რაიმე წინა პირობა ჰქონდა?**

— არა, განსაკუთრებული არაფერი. უბრალოდ, ჩემს შვილებს წმინდანების სახელები ჰქვიათ და ასე გამოვიდა. თან, წმინდა ეკატერინეს სახელობის ტაძარი თბილისში არც იყო. უფლის წყალობით, წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესია კი არსებობს, მაგრამ ეს წმინდანი საქართველოს ძალიან მფარველობს და მინდოდა, მისი სახელობის ტაძარი ამ უბანშიც ყოფილიყო. პატარაობიდანვე არაერთხელ მიგრძნია მისი წყალობა; ვგრძნობ, რომ ჩემს ოჯახსაც მფარველობს და მასთან დაკავშირებით უამრავი სასწაული მახსენდება.



— **იქნებ რომელიმე სასწაულის შესახებ მიამბოთ...**

— იცით, ბევრჯერ ყოფილა შემთხვევა, რომ ამ ტაძრის მშენებლობის გასაგრძელებლად არც ერთი თეთრი არ გვქონდა, არადა, საქმე გვიფუჭდებოდა; ბოლო წუთს ყოველთვის რაღაც სასწაული ხდებოდა და უფლის შეწევნით, მეორე ან მესამე დღეს სრულიად უცნობი ადამიანი, საკუთარი სურვილით მოსულა და გაბრწყინებული სახით უთქვამს, — რამდენი გეძებეთ და ძლივს მოგაგენით. ძალიან მინდოდა, რომელიმე ტაძრის მშენებლობაში მიმეღო მონაწილეობა; წმინდა ნიკოლოზი მესიზმრა, თქვენი ტაძრის მდებარეობა მითხრა და დამარიგა, — ეს თანხა იმ ტაძარს შესწირეო... ეს ადამიანები კითხვა-კითხვით მოდიოდნენ და ზუსტად იმ თანხას სწირავდნენ, რაც იმ კონკრეტულ შემთხვევაში გვჭირდებოდა.

— **ასე რამდენჯერმე განმეორდა?**

— დიახ და ეს უბრალო დამთხვევა ნამდვილად არ არის.

— **თქვენს შვილებზეც მომიყევით...**

— უფროსი 14 წლის არის, შუათანა — 11-ის, ხოლო უმცროსი — 9-ის... ღვთის შეწევნით, შვილებიც მორწმუნეები არიან, დილა-საღამოს ლოცვებზე დადიან. ორი მათგანი აქ, ჩვენს ტაძართან არსებულ სკოლაში სწავლობს, რომელსაც „ცისა კარი“ ჰქვია, ხოლო უფროსი, ეკატერინე — გიმნაზიაში.

— **ტაძართან არსებული „ცისა კარი“ საშუალო სკოლაა?**

— საშუალო სკოლის პროექტი გვაქვს, მაგრამ ჯერჯერობით, 1-ელიდან მე-6 კლასამდე მოსწავლეების აყვანა გადავწყვიტეთ, რათა ეს ბავშვები ამ გარემოში გაზრდილიყვნენ და დაფრთიანებულიყვნენ. მინდა კონტინგენტი, რომელიც ჩვენთან მოვიდა, ქვეყანას რწმენითა და სამშობლოს სიყვარულით აღვუზარდო. მიმაჩნია, რომ ამით ჩემი სამშობლოს კეთილდღეობაში მოკრძალებულ წვლილს შევიტან, როგორც სულიერი მოძღვარი და უფალს შევთხოვ, ამ მიზნის ბოლომდე მიღწევაში შემეწიოს... გარემო, რომელშიც ჩვენი მოზარდები იმყოფებიან, ადამიანის სულიერებისთვის უდიდესი მადლია. სკოლაში პროფესიონალი მასწავლებლები გვყავს და ცხადია, ამ ბავშვების მშობლებიც მორწმუნეები არიან. არ მინდა, დეტალებს შევეხო, ვინაიდან შესაძლოა, ამან საზოგადოების რაღაც ნაწილის გაღიზიანება გამოიწვიოს, მაგრამ ბავშვის აღზრდისას ყველაფერს მნიშვნელობა აქვს. მაგალითად, ჩვენი მოსწავლე გოგონები სკოლაში შარვლით არ დადიან. ვფიქრობ, ქალი, რომელსაც შარვალი აცვია, ქცევებით უფრო თავისუფალია, კაბით შემოსილი კი უფრო მოკრძალებული... ბავშვები სწავლის დაწყებამდე და მისი დასრულების შემდეგ ლოცვებს კითხულობენ. სკოლაში ტარდება რელიგიის ისტორიის გაკვეთილები, სწავლობენ ხელსაქმეს, გალობასა და ხატწერას, სხვა დანარჩენი კი განათლების სამინისტროს პროგრამით მიმდინარეობს.

— **სკოლაში სულ რამდენი მოსწავლეა?**

— ამ ეტაპზე 40 ბავშვი გვყავს.

— **ამ მოზარდებთან ალბათ, ყოველდღიური ურთიერთობა გაქვთ...**

— დიახ, რასაკვირველია. ყველა არა, მაგრამ მათი უმეტესობა ჩემი მრევლია... მე მათ მოწიწებასა და უფლის სიყვარულს ვასწავლი; ძალიან ხშირად ვესაუბრები და არა მხოლოდ სასულიერო პირის მიმართ, არამედ უფროსისა და მოყვასისადმი პატივისცემას ვუნერგავ. ჩვენი ტაძრის მსახური, მამა იოსები „ცისა კარში“ რელიგიის ისტორიას ასწავლის და ბავშვებს აღსარების ჩასაბარებლად ამზადებს. როცა ისინი აღსარებას მაბარებენ, ვხვდები, თუ როგორ აღიქვამენ გარე სამყაროს, სიცოცხლეს, რწმენას, მოყვასისადმი სიყვარულს...

— **მაპატიეთ, რომ ასეთ ცნობისმოყვარეობას ვიჩენ, მაგრამ მაინტერესებს, როგორია ამ თაობის თვალით აღქმული გარე სამყარო?.. ხშირად გვესმის, რომ რთული თაობა მოდის...**

— ჩვენი ბებია-ბაბუის თაობასაც მიაჩნდა, რომ მათი შვილების თაობა რთული თაობა იყო, ჩვენი მშობლებიც ასე ფიქრობდნენ და ჩვენც ასე გვგონია... სინამდვილეში, უფრო გონებაგახსნილი თაობა მოდის. მთავარია, ისინი ჭეშმარიტ გზაზე დააყენო და მათი სულიერი მოთხოვნილება — მართლმადიდებლურად ცხოვრება იყოს, რადგან, გვინდა თუ არა, თაობათა მსოფლმხედველობა და გარემოსადმი დამოკიდებულება იცვლება, ეკლესიის სწავლება კი არც იცვლება და არც შეიცვლება!

— **მამა ბესარიონ, მუდმივად გვესმის, რომ უამრავი ახალი ტაძრის მშენებლობის მიუხედავად, საზოგადოებას სულიერება მაინც აკლია და ეს ორივე თაობას ეხება. როგორც სულიერი მოძღვარი, ამ აზრს ეთანხმებით?**

— არა, ამაზე თავად უფალი ბრძანებს სახარებაში: — „ბევრნი არიან დიდებულ, მხოლოდ მცირედნი არიან რჩეულნი...“ ქუჩაში გამვლელი რომ გააჩერო, გეტყვის, რომ მორწმუნეა, ვინაიდან მას მართლმადიდებლურ ქვეყანაში დაბადება ხვდა წილად, ამ წესით მოინათლა და ამ ტრადიციის გავლენით გაიზარდა, მაგრამ ტრადიციის ზემოთ არსებობს ეკლესიური ცხოვრება, რომელიც ერთი შეხედვით, ადვილია, მაგრამ სინამდვილეში, ძალიან რთულია... მახსენდება ერთ-ერთი მამის მონათხრობი, რომელიც კომუნისტების პერიოდში მოღვაწეობდა: წირვის დროს მრევლისკენ რომ შემოვტრიალდებოდი, ტაძარი თითქმის ცარიელი იყო, მაგრამ როცა მლოცველებისკენ ჯვრის გარდასაწერად მოვტრიალდი, ტაძარი ქერუბიმებით სავსე დამხვდაო... ანუ მთავარია, ადამიანი რა გულით მიდის სალოცავში, თორემ ტაძარი ცარიელი არასდროს არის.

— **სწორედ ამას მოგახსენებთ: ლაპარაკობენ, ბევრი მოდის გამო დადის ეკლესიაშიო...**

— მოდა არასწორი ინტერპრეტაციაა. ეს შეიძლება იყო მიმბაძველობა, რაც სულაც არ არის ცუდი. მოდი, ამ სიტუაციას ასე შევხედოთ, — მთავარია, რომ ადამიანი ვიღაცის მიბაძვით სალოცავად დადის და არა, ვთქვათ, ღამის კლუბში ანუ კარგს ჰბაძავს, ცუდს კი არა... თუ პიროვნება ვინმეს მიბაძვით ტაძარში მივა, მას ლოცვისა და მოძღვართან საუბრის სურვილიც გაუჩნდება. მთავარია, მასში პირველი აღსარების თქმის სურვილმა გაიღვიძოს, რის შემდეგაც მასში რადიკალური ცვლილება მოხდება, უფლისა და საკუთარი თავის წინაშე პასუხისმგებლობა, სხვანაირი დამოკიდებულება გაუჩნდება... როცა დიასახლისი სადილს ამზადებს, ტრაპეზის გაშლისას კერძი სუფრაზე პირდაპირ ქვაბით არ მიაქვს — ლამბაქზე გადააქვს და სატრაპეზოდ მისულები საკვებს იქიდან ინაწილებენ... ასევეა ეკლესიაც — ის ერთი დიდი მადლია, რომლიდანაც სულიერ საკვებს თანდათან, მცირე ლუკმებად ვიღებთ, ვინაიდან ერთბაშად ვერც მოვერევით... ასევეა ახალმოსული მრევლიც — მთავარია, რომ პირველი ნაბიჯი გადადგმულია და დანარჩენი — უფლის ნებაა...

— **„ცისა კარში“ სწავლა ფასიანია?**

— დიახ, მაგრამ საშუალო ფენის ოჯახისთვისაც ხელმისაწვდომია. ჯერ არ გვქონია შემთხვევა, რომ მოსწავლეს წიგნის ან სასკოლო ინვენტარის შეძენის პრობლემა ჰქონოდა, მაგრამ ასეთ შემთხვევაში, მზად ვართ, მას ამ პრობლემის მოგვარებაში დავეხმაროთ. კარგი იქნება, თუ მხოლოდ თბილისში კი არა, მთელ საქართველოში გაიხსნება ისეთი სასწავლებლები, სადაც სულიერებასა და განათლებას ერთნაირად დიდი ყურადღება მიექცევა... უფალმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ!

■

# პრობლემა, რომელიც ახალგაზრდებს დაოჯახებაში უშლის ხელს

## რა უბიძგებს მოზარდს მათხოვრობისკენ

**ბევრი უჩივის უმუშევრობას და ეს არც არის გასაკვირი. სხვა თუ არაფერი, ხელისუფლებამ ხომ აღიარა, რომ ამ მხრივ (და არა მარტო ამ მხრივ) გასაკეთებელი კიდევ ბევრია, მაგრამ ეს აღიარება უმუშევარი ადამიანისთვის ნუგეში ვერ იქნება, მით უმეტეს, თუ მისი ოჯახის ყველა წევრი უსაქმურად დაეხეტება და ცდილობს, დღის განმავლობაში ლარი მაინც იშოვოს, რათა დამშეული ოჯახის წევრებს საღამოს პური მიუტანოს. მართალია, შესაძლოა ოჯახში სულ მცირე, ორი ან სამი სული ცხოვრობდეს და 2 პური მათ ვერ დაანაყრებს (თუმცა ლარით კარგა ხანია, 2 პურს ვეღარ იყიდი), მაგრამ ეგ არაფერი, მთავარია ის, რომ შიმშილით სული არ ამოხდებათ. „ჰოდა, როცა ასეთ პირობებში ცხოვრობ, ჭკუა თუ გაქვს, ოჯახის შექმნაზე არ იფიქრებ. არადა, ზუსტად ვიცი, რომ თუ არ ვიჩქარებ, მალე სატრფო გამიფრინდება, მაგრამ არ მინდა, სხვისი შვილის ცოდვაც დავიდო", — მომწერა 25 წლის მირიანმა, რომელიც 8 წელია, მეზობელ გოგონაზეა შეყვარებული.**

*ლიკა ქაჯაია*

*მართალია, ზოგჯერ ეს რუბრიკა თინეიჯერულ ჩარჩოებში ვერ ჯდება, რადგან ხშირად, 19 წელს გადაცილებულებიც გვწერენ, მაგრამ ვინაიდან მათი სატკივარი მოზარდების სატკივარიცაა, ამიტომ იძულებული ვარ, ზრდასრული ადამიანების ამბებიც გავაშუქო.*

**მირიანი,** *25 წლის:*

— რუბრიკაში — „ყველა ერთისათვის" დაბეჭდილმა ზურას მესიჯმა საკუთარი საწუხარი კიდევ ერთხელ გამახსენა და სურვილი გამიჩნდა, თქვენთვის ჩემი ამბავიც მომეყოლა. მოკლედ, რაიონში ვცხოვრობ. გლეხი კაცის ცხოვრება რომ თოხსა და მიწაზეა დამოკიდებული, ეს ყველამ იცის, მაგრამ ადრე გლეხს დამატებით, ისეთი სამუშაოც ჰქონდა, რომლითაც ოჯახში ფული შეჰქონდა, ახლა კი მხოლოდ თოხზე ვართ „ჩამოკიდებულნი"; სამწუხაროდ, ბუნებაც ჩვენ წინააღმდეგაა — მოსავალი თითქმის ყოველ წელიწადს გვიფუჭდება... ახალგაზრდების უმრავლესობა დაუსაქმებელია და ამიტომაც, დღესა და ღამეს ე.წ. ბირჟაზე ვატარებთ. ბევრს უკითხავს ჩვენთვის: — არ გრცხვენიათ, აქ რომ ატუზულხართ? წადით ქალაქში, ხელი გაანძრიეთ და გეშველებათო, — მერე კი დამცინავად ისიც დაუძენიათ: — მაგრამ არა, მუშაობა არ გინდათ, ყველას დირექტორობა გნებავთო. არ გვინდა, ბატონო, ეს დირექტორობა, მაგრამ არც სოფლიდან წასვლა გვსურს. გვინდა იქ ვიმუშაოთ, სადაც დავიბადეთ და გავიზარდეთ. მუშაობა მართლა არ მეზარება, მიწა საკუთარი ფრჩხილითაც არაერთხელ მიჩიჩქნია, მაგრამ ჩემს ოჯახს სახარბიელო მატერიალური შემოსავალი მაინც არა აქვს. ეგაა, მშივრები არ ვიხოცებით, მჭადი, ყველი გვაქვს და აფორიაქებულ კუჭებს ვიწყნარებთ, თორემ ტანისამოსის ყიდვა ჩვენთვის ფუფუნება გახდა; მხოლოდ „მეორადებში" თუ ვიყიდით ვილაცის ნახმარ ტანსაცმელს და ისიც, აქა-იქ გაცრეცილს, თორემ კარგ ნახმარს ცეცხლის ფასი აქვს. თუ სიტუაცია არ შეიცვლება, მალე იმ გაცვეთილსაც ვეღარ ვიყიდით და წინაპრებივით, ლეღვის ფოთოლაფარებულები ვიტანტალებთ ქუჩაში. ჰოდა, იძახოს მერე ჩვენმა პრეზიდენტმა, — XXI საუკუნეში ვცხოვრობთ, ეკონომიკური კრიზისი არ შეგვხებია, მაგრები ვართო და მერე ტურისტებსაც რომ მოიზიდავს, მათ ჩვენზე — პირველყოფილებზე უკეთესს ვის უჩვენებს?! არ გეგონოთ, რომ ახლა ხუმრობის ხასიათზე ვიყო, პირიქით — ცეცხლი მიკიდია გულზე...



**— შეყვარებული ხარ და იმიტომ, თუ სიბრაზისგან?**

— ორივე მიზეზის გამო. შეყვარებული კი ვარ, მაგრამ გოგოსთვის, დაბადების დღეზე, ერთი იაფფასიანი სუნამოც ვერ მიყიდია. მართალია, მას საჩუქრების გარეშეც ვუყვარვარ და მზადაა, ცოლად გამომყვეს მიუხედავად იმისა, რომ იცის, კარგ პირობებში ვერ ვაცხოვრებ, მაგრამ მითხარით, როგორ უნდა მოვიყვანო, როცა სახლში სკამიც კი აღარ გვაქვს, სტუმარი რომ დავსვა? არა, ძმაო, მე ეგრე ქალს ვერ მოვიყვან და სხვებს ღმერთმა ხელი მოუმართოს. ახლა გავიგე, რომ ჩემი სასიმამროს კარს მდიდარი სასიძო მისდგომია და ვიცი, ნატოს მშობლებს ამ შანსის ხელიდან გაშვება არ ენდომებათ. სხვათა შორის, შეყვარებულმაც შემომჩივლა, — რამეს თუ არ იღონებ, იმ დოყლაპიაზე ძალით გამათხოვებენო. ერთი პერიოდი მართლა ვიფიქრე, — მოვიყვან და რაც გვექნება, იმას შევჭამთ-მეთქი, მაგრამ მარტო ჭამაში ხომ არაა საქმე? მითხარით, როგორ დავიდო სხვისი შვილის ცოდვა კისერზე?..

**— სოფლის მიტოვება და ქალაქში მუშაობა რატომ არ გინდა?**

— იმიტომ, რომ ჩემი მშობლები უკვე მოხუცები არიან და სახლს მარტო ვერ მოუვლიან. სხვა თუ არაფერი, ცუდად რომ გახდნენ, მათ წყალს მაინც მივაწოდებ. ეგეც რომ არ იყოს, ვერ ვეგუები თბილისურ ცხოვრებას; მართალია, ახალგაზრდა ვარ, მაგრამ არ მომწონს იქაურების გაპრანჭული სიფათები...

**— და ამის გამო უარს ამბობ თბილისში ჩამოსვლაზე? ხომ შეიძლება, აქ ცხოვრება აიწყო, მერე კი ისევ სოფელს დაუბრუნდე.**

— რა ცხოვრების აწყობაზეა ლაპარაკი? მანდ თუ ჩამოვედი, ეს იმას ნიშნავს, რომ ბაზარში ურიკები უნდა ვათრიო ან ვივაჭრო (აბა, მინისტრად მე არავინ დამსვამს და...), ურიკების თრევით გამდიდრებული კი ჯერ არავინ მინახავს...

**— აბა, რის იმედად ცხოვრობ?**

— სააკაშვილის იმედად ნამდვილად არა ვარ. არა მგონია, მან სოფლებს ყურადღება მიაქციოს, ქარხნები ისევ აამუშაოს. მხოლოდ ბათუმის გალამაზებაზე ზრუნავს. კი, ბატონო, ბათუმიც კარგია, მაგრამ ჩვენ, სოფლელებმა რა დავაშავეთ? ჩვენც ხომ გვინდა ცხოვრება?

**— მე ვიცნობ ისეთ ადამიანებს, რომლებიც სოფელში ცხოვრობენ, მაგრამ თავის რჩენა არ უჭირთ...**

— ჩემს სოფელში ასეთი არავინაა, ყველა ოჯახს აქვს ფულის პრობლემა. მერწმუნე, ცუდად რომ გახდე და მეზობელს ვალიდოლის საყიდლად ფულის სესხება სთხოვო, ვერ მოგცემს.

**— ანუ უკვე ხელი გაქვს ჩაქნეული და შესაძლოა, ამის გამო შეყვარებულიც დაკარგო?**

— ჰო, ასეა! ნურავინ იფიქრებს, რომ სუსტი ადამიანი ვარ, მაგრამ ჩემს მდგომარეობაში თქვენ რომ ბრძანდებოდეთ, შესაძლოა, მეტად წყალწაღებულიც იყოთ... სამაგიეროდ, სხვებისგან განსხვავებით, ღირსება არ დამიკარგავს და სხვისი ქონების მითვისებაზე არასდროს მიფიქრია, მიუხედავად იმისა, რომ მერწმუნეთ, ამის შანსი ბევრჯერ მქონდა. მირჩევნია, უფალთან ვიყო მართალი, ვიდრე სხვისი სისხლის დაღვრის ფასად ყველა სურვილი ავისრულო.

**ნუგო,** *18 წლის:*

— სკოლიდან 9 კლასის დამთავრებისთანავე გამოვედი. ჩემს ოჯახს მატერიალურად ძალიან უჭირს და ვიფიქრე, — სკოლაში ტყუილად სიარულს სჯობია, ქალაქში წავიდე, რაიმე სამუშაო ვიშოვო და ოჯახს დავეხმარო-მეთქი. თან ბიძაჩემი შემპირდა, შევეცდები დაგეხმაროო. მოკლედ, მის იმედად ჩამოვედი, მაგრამ იმის ნაცვლად, რომ ჩემთვის ხელი შეეწყო, თავშესაფარიც კი არ შემომთავაზა. არადა, პატარა ბინა ნამდვილად არა აქვს — 5-ოთახიანში მხოლოდ ბიძა, მისი ცოლი და ქალიშვილი ცხოვრობენ, მაგრამ მათ ჩემი ადგილი სარდაფშიც ვერ გამონახეს. ეგ არაფერი... სამუშაოს დიდხანს ვეძებდი. ბოლოს, ერთმა „კეთილმა" კაცმა შემიფარა და „ვულკანიზაციაში" დამაწყებინა მუშაობა. რამდენიმე თვე ვიმუშავე, თან მის სახლში ვცხოვრობდი (მარტოხელა გახლდათ, ცოლს გაშორებული). მიკვირდა, თავს რომ მევლებოდა, მაგრამ ცუდს ვერაფერს ვამჩნევდი და ბოლოს, ამ ეჭვის გამო საკუთარი თავი დავტუქსე, — უმადურო, ასეთ სისულელეზე ფიქრით თავს რატომ იტანჯავ-მეთქი? თან, კარგადაც მიხდიდა და ვიფიქრე: ავშენდი, ასე თუ გაგრძელდა, მალე ცხოვრებას ავიწყობ-მეთქი; მაგრამ ბოლოს, როცა მამად მივიჩნიე და ბოლომდე მივენდე, ამ კაცმა მაგარი რაღაც გამიჩალიჩა: ერთ დღეს გაშლილი სუფრა დამახვედრა, ღვინის დალევაც დამაძალა. როცა ვუთხარი: რას ამბობთ, ეს რომ დავლიო, დავთვრები და ხვალ ველარ ვიმუშავებ-მეთქი, გამიცინა: მაგაზე ნუ იდარდებ; თუ ამ საღამოს იმას გააკეთებ, რაც მე მინდა, უფრო კარგად გადაგიხდი, ფუფუნებაში გაცხოვრებ და მაზუთის სუნიც აღარ აგივაო. რაღა ბევრი გავაგრძელო, როცა შევზარხოშდით, იმ კაცმა ჩემზე ძალის გამოყენება სცადა, თუმცა არაფერი გამოუვიდა. მართალია, ასაკით მასზე ბევრად უმცროსი ვიყავი, მაგრამ ძალა ნამდვილად მერჩის და ცხვირ-პირი გემრიელად მივუნაყე. ამ ამბის შემდეგ ქალაქში რაღა გამაჩერებდა? ჩემს ნივთებს თავი მოვუყარე და სოფელში გამოვიქეცი; მას მერე თბილისისკენ გახედვაც არ მინდა. ჰოდა, ახლა აღარ ვიცი, თავი როგორ უნდა ვირჩინო. არადა, ყველაზე ცუდი ისაა, რომ სწავლაც ნაადრევად შევწყვიტე და მშობლებსაც ველარ ვეხმარები. არ ვიცი, რა მეშველება... ახლა მეუბნებიან, ცოლი უნდა მოიყვანოო. აბა, როგორ უნდა ვიფიქრო დაოჯახებაზე, როცა თვეში 1 თეთრსაც ვერ ვშოულობ? მამა მამშვიდებს, — ცოლი რომ შევირთე, სახლში სკამიც არ გვქონდა, მაგრამ ახლა ხომ ხედავ, სკამიც გვაქვს და ბევრი სხვა რამეცო. რა ვქნა, იმის იმედად, რომ ხვალ შესაძლოა, ცხოვრება ავიწყო, ოჯახის მძიმე ტვირთს ვერ ავიკიდებ.

**— 18 წლის ბიჭს დაოჯახებას რატომ გაძალებენ?**

— იმიტომ, რომ ახლა მთელ დღეებს „ბირჟაზე" ვატარებ და ჰგონიათ, რომ ძმაკაცები „გამაფუჭებენ". არადა, ცუდს მართლა არაფერს ვაკეთებ და ეს რომც მინდოდეს, ამაში ვერც დაოჯახება შემიშლის ხელს. პირიქით, როცა ცოლშვილი მეყოლება და მეცოდინება, რომ მათ საჭმელი არა აქვთ, შეიძლება გავრისკო და მართლა მოვიპარო რაღაც... მინდა, ჩვენს ხელისუფლებას ვთხოვო: ხალხნო, ქალაქების გალამაზება კარგია, მაგრამ იქნებ, სოფლებსაც მიხედოთ, პირველ რიგში კი ახალგაზრდების დასაქმებაზე იზრუნოთ...

**მარი,** *19 წლის:*

— მე ბავშვთა სახლში გავიზარდე, ახლა კი, როგორც ხედავ, ქუჩაში დავწანწალებ. როგორც ვიცი, დიდი სიყვარულის ნაყოფი ვარ, მაგრამ მამაჩემი სუსტი ადამიანი აღმოჩნდა, მშობლებს წინააღმდეგობა ვერ გაუწია და დედას ნაცვლად, ცოლად სხვა შეირთო; დედამ კი აბორტი არ გაიკეთა. მერე უნდოდა, თავად აღვეზარდე, მაგრამ 17 წლის გოგონა მშობლებმა აიძულეს, ბავშვთა სახლში ჩავებარებინე — ეს ყველაფერი გადმოცემით ვიცი. ისე კი, საკუთარი მშობლების შესახებ სხვა ინფორმაციას არ ვფლობ, მათთვის თვალიც არასდროს მომიკრავს... ახლა ქუჩაში დავდივარ და ვმათხოვრობ, ვინაიდან სხვა გამოსავალი არ მაქვს. შესაძლოა, ჩემი მშობლები მდიდრებიც არიან, მე კი ხშირად, პურიც მენატრება და ამ დროს „წებოთი" ვბრუვდები ხოლმე. ზოგჯერ ვფიქრობ: მარი, იქნებ დღეს ქუჩაში დედაშენი ან მამაშენი ნახე, ხელში ხურდა ჩაგიყარეს ან სულაც, გვერდი გულგრილად აგიარეს-მეთქი და ასეთ დროს ტირილი მინდება.

**— დიდი ხანია, რაც ბავშვთა თავშესაფარში აღარ ცხოვრობ?**

— დაახლოებით, წელიწად-ნახევარია. იქ ბავშვებს მანამ აცხოვრობენ, სანამ დამოუკიდებლად ცხოვრებას ვერ შეძლებენ, მერე კი ეუბნებიან, — კარგად ბრძანდებოდეთო; იმას კი არ გვეუბნებიან, ქუჩაში გამოყრილები სად უნდა წავიდეთ, თავი როგორ უნდა ვირჩინოთ?! ბევრი ამბობს, — კარგ ქვეყანაში ვცხოვრობთო. შესაძლოა, საქართველო მართლაც კარგი ქვეყანაა, მაგრამ მე მისი სილამაზის აღქმის უნარიც არა მაქვს. რატომ? იმიტომ, რომ გამუდმებით მშია და მხოლოდ იმაზე ვფიქრობ, პურის ფული როგორ ვიშოვო. ერთხელ, შიმშილით გამწარებულმა, ვიღაც ქალს ხელიდან ჩანთა გამოვტაცე. იმ საცოდავის განწირული კივილი ახლაც ჩამესმის ყურში... ვერავინ დაეხმარებოდა — გვიანი საღამო იყო და ქუჩაში კაციშვილის ჭაჭანება არ იყო, მე კი სირბილში ნამდვილად ვერ შემეჯიბრებოდა (ძალიან სწრაფი ვარ). ისე კიოდა, ვიფიქრე: არიქა, ავშენდი, ბევრი ფული ექნება-მეთქი, მაგრამ როცა საფულე გავხსენი, ჯერ სიცილი ამიტყდა, მერე კი ბევრი ვიტირე და საკუთარი საქციელის შემრცხვა: საფულეში სამი ლარი და 20 თეთრი აღმოჩნდა. ვინერვიულე იმიტომ, რომ გავიფიქრე, — იქნებ ის ქალი ჩემსავით გაჭირვებულია და ვინ იცის, ეს ფული რისთვის სჭირდებოდა-მეთქი. ასე რომ არ ყოფილიყო, ამ თანხის გამო ისე განწირულად არ იკივლებდა. სიმართლე გითხრა, მას მერე ხშირად დავდიოდი იმ უბანში, მინდოდა იმ ქალისთვის ჩანთა და ფული დამებრუნებინა, მაგრამ ვერც ერთხელ ვერ შევხვდი.

**— მას მერე არაფერი მოგიპარავს?**

— არა, და გეფიცები, ამას არც არასდროს გავაკეთებ. მირჩევნია, საკუთარი სხეულით ვივაჭრო, ვიდრე ადამიანს შრომით მოპოვებული ფული „ავახიო".

**— ისე, შენს ადგილას, ბევრი გოგონა სწორედ ფულის შოვნის შედარებით იოლ გზას აირჩევდა და თავს მეძაობით ირჩენდა...**

— მათხოვარი და უსახლკარო კი მქვია, მაგრამ თავმოყვარეობა არ დამიკარგავს. ადამიანს უსიყვარულოდ ვერაფრით ვაკოცებ, ამას ფულის გამოც ვერ გავაკეთებ. ხომ გითხარი, როცა ძალიან მიჭირს, წებოს ვყნოსავ და ეგაა.

**— სად ცხოვრობ? ღამეს სად ათევ?**

— გლდანში ერთი მიყრუებული ადგილია, სადაც 2 გოგონასთან ერთად ვცხოვრობ. სხვათა შორის, ისინიც მათხოვრობენ ანუ პატიოსნები არიან.

**— შეყვარებული არ გყავს?**

— ქალაქში იმდენი გასათხოვარი ლამაზმანია, რომელსაც ერთი თაყვანისმცემელიც კი არ ჰყავს და აბა, მე, დახეულ-დაკონკილტანსაცმლიან გოგოს ვინ შემომხედავს? არა, ვაგზალზე ბევრჯერ ამდევნებიან ბიჭები, მაგრამ მათ მხოლოდ ერთი რამ უნდოდათ. რას ვგულისხმობ, ამას თავადაც მიხვდები.

**— თავშესაფარში ყოფნისას თაყვანისმცემელი არ გყავდა?**

— იქ ერთ ბიჭს ვუყვარდი, მაგრამ ახლა ქურდია და ამიტომაც ვერ ვიტან. როცა ქუჩაში აღმოვჩნდი, შემთხვევით ვნახე და შემომთავაზა, — საცხოვრებლად ჩემს თავშესაფარში მოდიო, მაგრამ უარი ვუთხარი. მართლა ძალიან მინდა, პატიოსნად ვიცხოვრო. იმედია, მალე მთავრობა მიიღებს გადაწყვეტილებას, რომ ჩვენისთანებიც დაასაქმოს. ვოცნებობ იმ დღეზე, როცა ისე, როგორც მაწანწალა ძაღლები აჰყავთ ქუჩიდან, ჩვენც აგვიყვანენ, დიდ მანქანაში ჩაგვყრიან, მერე დაკითხვას მოგვიწყობენ და ბოლოს, დაგვასაქმებენ...

**— მათხოვრობის გარდა, რაიმე გეხერხება?**

— არა, მაგრამ ხომ იცი, თუ ადამიანი მოინდომებს, ყველაფერი გამოუვა.

**— წარმატებებს გისურვებ!**

— გმადლობ. ■

# რას ფიქრობენ ქართული რეპის შესახებ...

**ამ ბოლო დროს ქართველი რეპერები აღარ აქტიურობენ — ზოგს ფული არა აქვს, ზოგს განწყობილება, ზოგი კი ოჯახურმა ცხოვრებამ გაიტაცა და სხვა რამეებისთვის ველარ იცლის. თუმცა, უნდა ვივარაუდოთ, რომ სულ მალე ცეცხლი ისევ გაღვივდება...**

**ლეონსა:**

„არაფერზე როგორ უნდა იფიქრო?“

**სიმაო 0209:**

„საქართველოში რეპი არ არსებობს! რასაც ეგენი მღერიან, იმას კავშირიც არა აქვს რეპთან. გარითმვა მაგათ არ იციან და თუ შეიგინებიან, „დაბოლებაზე“ „იბაზრებენ“, ჰგონიათ, რეპერები არიან“.

**სალვატორე:**

„ქართული რეპი „მევასება“, განსაკუთრებით ტოქსსა და შრეკს გამოვყოფდი, მაგრები არიან“.

**დანდი:**

„ესენი უცხოპლანეტელები არიან... ვისაუბროთ იმ ხალხზე, ვისაც გამოსდის რეპი და შეუძლია გარეპოს ისე, რომ ხალხს თავი მოაწონოს“.

**როვერანდომ:**

„და შენი აზრით, ვინ არიან ნორმალური რეპერები? რა როლი აქვთ მათ საქართველოს ცხოვრებაში და თუ არსებობენ, რატომ არიან „მიკვეხებულები“ რომელიღაც კუნჭულში, როდესაც რეალურად, რეპს პოლიტიკური ლოზუნგებით გამოსვლა შეუძლია?

**დანდი:**

„მე მაგალითად, რეპერ ძვალს გამოვყოფდი... კიდევ, კაბუს. აი, ამ ხალხს შეუძლია და გამოსდის კიდეც... ამის არ დანახვა არ შეიძლება და ამდენი ირონიაც აუტანელია... ჩვენი ერის ბრალია, მათ ამ ცხოვრებაში არანაირი როლი რომ არა აქვთ... მართლა „მიკვეხებულები“ არიან, მაგრამ წერენ ძალიან ჭკვიანურ და აზრიან ტექსტებს, მღერიან...“

**როო:**

„ორად ორი კაცი ვიცი, ვინც მართლა რაღაცას აკეთებდა: ტყუპი, შამანაურები (ყოფილი „ექსცესი“) და იმათმაც დაანებეს თავი... კაბუსა და დანარჩენებზე შემიძლია, შეგეკამათო, რადგან როგორც MC-ები, ღირებულს არაფერს წარმოადგენენ. ნაგავი ჰიპ-ჰოპი საქართველოში კი არა, მსოფლიოშიც ოხრად არის“.

**დანდი:**

„ასეა თუ ისე, ძვალს ყველაფერი ხუთიანზე გამოუვიდა და ყველა რეპერმა ერთხმად აღიარა, რომ ცხოვრებით ჯარისკაცების სიმღერა არის ქართული რეპის შედევრი... ზოგჯერ ბედინაც მაგარ ტექსტებს წერს, მაგრამ ხანდახან ისეთ ხალხთან ერთად მღერის, რომ რა ვიცი, რა... დეჟას არა უშავს, ქართველი რეპერების ფონზე მაგარია... კაბუ მართლაც, მაგარია... შავ პრინცს კი თავისი სტილი აქვს არჩეული და უხდება კიდეც“.

**ირაკლა:**

„ჩემთვის №1 შავი პრინცია, მეორე — ბედინა (კარგი რაღაცებიც აქვს და რასაც ეგ აკეთებს, „ჩისტა“ განგსტაა), მესამე — კაბუ, რომელიც ნორმალურად კითხულობდა; მეოთხე იყოს ტიომა — მართალია, მისი ხმა არ მევასება, მარა ნორმალურად „ბაზრობს“. ძვალს 567-ე ადგილსაც არ მივცემ“.

**ფიორენტინო:**

„მიუხედავად იმისა, რომ კაბუ არ „პროფესიონალობს“, „პროსტა“ კაიფობს და ყველაზე მაგრად მას გამოსდის ეს საქმე!“

ZIGGY:

„ე, ნეტაი თქვენ, მოუსმინეთ რამე ნორმალურს, რა. რა გეკაბუებათ? აი, Fugees არის კარგი“.

WOLFSPELL:

„ქართველი რეპერებიდან ყველაზე მაგარი გალაკტიონია, „ვვა“-ს სიმღერა — „გალაკტიონში“ რომ რეპავს“.



SOPIA-LI:

„რვა წელია, რეპს ვუსმენ, მათ შორის — ქართველებსაც. ძველებიდან „ექსცესს“ არა უშავდა, დღესდღეობით კი მომწონს კაბუ, ძვალი. მართალია, ეს უკანასკნელი იპარავს, მაგრამ მოპარულის გაკეთებასაც შნო უნდა, რაც ძვალს აშკარად აქვს... და ეს ტოქსი და შრეკი ვინ არიან? მათი სახელები პირველად და იმედია, უკანასკნელად მესმის“.

MISS-YLONEN:

„ქუთაისია რეპის ქალაქი...“

SOPIA-LI:

„ქუთაისს ცოტაღა აკლია და ეგაა: „ქუთაისი ქალაქია, მამა-რეპის მშენებელიიიი...“

CYBERPUNK:

„კაროჩე“, რაც ქართულ რეპში ნორმალური შექმნილა, არის ძებნილის ძალიან ძველი „ვეშები“ ანუ ის, რასაც 1998 წლამდე აკეთებდნენ. სხვათა შორის, მაშინ შავი პრინციც ამ ჯგუფში იყო, მაგრამ ის, რასაც დღეს შავი პრინცი აკეთებს, „ფიგნიაა“ და ამას მუსიკალური პროსტიტუცია ჰქვია. დანარჩენებზეც იმავეს ვიტყვი — ერთი „ზანგების“ კანი არ გადაუნერგავთ, თორემ დანარჩენი ყველაფერი გადმოიღეს. ჰო, ბედინას რაც შეეხება: დღემდე იმით „ბლატაობს“, რომ 5 წელი „იჯდა“.

**მაზურსკი:**

„რაღა დროს ქართული რეპია, კარგი, რა. ხალხს გემოვნება დაუქვეითდა. რაც მართლა ნორმალურია, იმაზე ამბობენ, საშინელებააო და რაც საშინელებაა, იმაზე ამბობენ, — აუ, ნახეთ, ასეთი რამე ჯერ არ ჩაწერილაო... 1999-დან 2004 წლამდე საკაიფო რაღაცები კეთდებოდა და ასე თუ ისე, ფული იშოვებოდა, მაგრამ ახლა 100 დოლარსაც არ გაძლევენ, კონცერტზე ისე გეძახიან. „კაროჩე“, დასახურია ქართული რეპის თემა“.

**ზლუქუნა:**

„ქართული რეპი შინაარსობრივად უცხოურს ბევრად სჯობია. უბრალოდ, ხალხი არაა მზად იმისთვის, რომ რეპი მიიღოს. მათთვის ჯასტინ ბიებერი და US-5 უფრო გასაგებია... ვერავის ვერაფერს მოსთხოვ, მათი გონება მეტს ვერ აღიქვამს“. ■

# ბიბლუსი

ბიბლუსი — იგივეა, რაც პაპირუსი, გრაგნილი, წიგნი

# წვეთი პოეზია

## ხოგაის მინდი



ხოგაის მინდი კვდებოდა,
მზე წითლდებოდა, ცხრებოდა.
ცა ჭეხდა, მიწა გვრგვინავდა,
სული გვიანა ჰხდებოდა;
ჩამოდიოდა მასკვლავი,
მთვარეც უკუღმა დგებოდა,
ქორ-შევარდენი არწივი
სუ მხრებით იხოშებოდა.
მაღლის ჭიუხის ნადირი
სატირლად ემზადებოდა,
ცხენი იმისი ტიალი
ლურჯა ტოტზედა დგებოდა;

ცოლი იმისი ბეჩავი
სულ შავად იმოსებოდა,
დედას იმისას საბრალოს
ტირილს აღარა ჰხდებოდა,
მამა იმისას საბრალოს
ტირილს აღარა ჰხდებოდა,
მამა იმისი საბრალო
თმა-წვერით იხოშებოდა.

*ხალხური*

## ქართულ სიტყვათა კონა

შედგენილია
არნოლდ ჩიქობავას რედაქტორობით
1982 წელს გამოცემული
ქართული ენის
განმარტებითი ლექსიკონის
ერთტომეულის მიხედვით
შემდგენელი თემურ ივანიძე

### ზ

დასაწყისი იხ. „გზა“, №2-38

**ზონდი** ფრ. — 1. საექიმო ხელსაწყო წვრილი მილისა ან ღარის სახისა ადამიანის შინაგანი ორგანოების გამოსაკვლევად თუ სამკურნალოდ; 2. საჰაერო ბურთი, რომელიც ავტომატურად იწერს მეტეოროლოგიურ მონაცემებს.

**ზორვა** (ძვ.) — კერპთმსახურება, მსხვერპლის შეწირვა (კერპისთვის).

**ზორტი** — ქსოვილის ვიწრო ზოლი, ზონარი, რომლითაც იკრავენ ტანისამოსის ამა თუ იმ ნაწილს.

**ზრო** — ისრის წვერი.

**ზუმბა** სპ. — ლითონის წვრილი ჯოხი, რომლითაც წმენდენ თოფის ლულას.

**ზუმფარა** სპ. — მაგარი მინერალი, რომლის ფხვნილს (ან ამ ფხვნილით დაფარულ ქაღალდს) ხმარობენ ხის და ლითონის ნაკეთობათა გასახეხად, გასაპრიალებლად.

**ზურგული** — 1. ქართული ჭიდაობის ერთ-ერთი ხერხი — მოწინააღმდეგის ზურგით გადმოტანა; 2. ცურვა ზურგზე წოლით.

**ზურნა** სპ. — 1. აღმოსავლური ჩასაბერი საკრავი.

**ზუჩი** (ძვ.) — მეომრის რკინის ქუდი.

**ზღავი** — ბოსლის იატაკი ერთმანეთზე მიწყობილი მრგვალი ხეებისა.

**ზღვაური** — ზღვის მხრიდან მონაბერი ძლიერი ქარი.

**ზღმურდლი** — 1. ბორას ჭუპრი, საქონლის ხორცსა და კანს შუა გაჩენილი; 2. სახეზე გამოყრილი მსხვილი მუწუკი, — ღუდუდო.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

# დავით გურამიშვილი

ქართველი პოეტი, რომელიც 1705 წელს საგურამოში დაიბადა. მისი ცხოვრება ტრაგიკულად წარიმართა. იმის გამო, რომ საქართველოში ლეკთა თარეშს ბოლო არ უჩანდა, გურამიშვილების ოჯახი ქსნის ხეობაში, სოფელ ლამისყანაში გაიხიზნა. მაგრამ 1728 წელს დავითი ლეკებმა შეიპყრეს და დაღესტანში, სოფელ ოსოქოლოში ჩაიყვანეს. იგი ტყვეობიდან გაიპარა და თავი თერგის პირას მცხოვრებ რუს ახალმოსახლეებს შეაფარა. 1729 წელს ასტრახანის გზით მოსკოვში ჩავიდა, სადაც ვახტანგ VI-ემ მას ჯაბადარბაშის თანამდებობა უბოძა. ვახტანგის გარშემო შემოკრებილ ქართველობასთან ერთად გურამიშვილი ინტენსიურ კულტურულ საქმიანობას ეწეოდა. ის წლები მისთვის ნაყოფიერი აღმოჩნდა. შემდგომ პოეტის ბედი მჭიდროდ დაუკავშირდა უკრაინასა და ქართველ ჰუსართა პოლკს. მან მამული მიიღო სამხრეთ უკრაინაში — მირგოროდსა და ზუბოვკაში. იგი 1738-1760 წლებში მონაწილეობდა ოსმალეთის, შვეციისა და პრუსიის წინააღმდეგ რუსეთის ლაშქრობებში, თავი ისახელა ერთგულებითა და სიმამაცით. პრუსიასთან ომში გურამიშვილი ტყვედ შეუპყრიათ და მაგდერბურგის ციხეში ჩაუსვამთ. 1760 წლისათვის მრავალჭირნახულ და სენთაგან დაუძლურებულ პოეტს პორუჩიკის ჩინით თავი დაუნებებია სამხედრო სამსახურისთვის და ახალგაზრდა მეუღლესთან — ტატიანა ავალიშვილთან ერთად, საბოლოოდ უკრაინაში დამკვიდრებულა და გაპარტახებული სახლკარის, მეურნეობის აღდგენას შესდგომია. როგორც ჩანს, მძიმე პოლიტიკური სიტუაციის გამო სამშობლოში დაბრუნება ველარ მოუხერხებია. სიცოცხლის დანარჩენი წლები გურამიშვილმა უკრაინაში გაატარა.


დავით გურამიშვილი.
მხატვარი უჩა ჯაფარიძე

იგი მირგოროდში 1792 წელს გარდაიცვალა და დაკრძალულია ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის ეზოში.

მწერალმა თავის ლიტერატურულ მემკვიდრეობას თავი ერთ კრებულში მოუყარა და 1787 წელს საკუთარი ხელით გადაწერილი „დავითიანი“ პოტიომკინის კარზე მყოფ მირიან ბატონიშვილს (ერეკლეს ძეს) საქართველოში გამოატანა, რითაც ზნეობრივი ვალი მოიხადა მშობლიური ქვეყნისა და ხალხის წინაშე. გურამიშვილის პოეტურმა მემკვიდრეობამ სწორედ ამ ერთადერთი ავტობიოგრაფიული კრებულის სახით მოაღწია. ლირიკულ ლექსებთან ერთად, „დავითიანში“ ორი პოემაა შესული; ერთ-ერთი ისტორიული ხასიათის — „ქართლის ჭირი“ გახლავთ, რომელშიც დიდი პოეტური ძალითაა გადმოცემული იმდროინდელი საქართველოს შემზარავი მდგომარეობა და ასევე ჩართულია თვით პოეტის ტრაგიკული ბიოგრაფიაც. „მართლის თქმა“ გურამიშვილის შემოქმედებითი მეთოდია. „დავითიანში“ არის თავები, რომლებიც პოეტის დიდაქტიკურ-საგანმანათლებლო იდეებს გამოხატავს. „სწავლა მოსწავლეთა“ ავითარებს იმ აზრს, რომ ქვეყნის ხსნის ერთ-ერთი მძლავრი საშუალება სწავლა-განათლების აღორძინებაა.

„ისმინე სწავლის მძებნელო! მოჰყევ დავითის მცნებასა,
ჯერ მწარე ჭამე, კვლავ ტკბილი, თუ ეძებ გემოვნებასა“.

„მე თუ გინდა, თავიც მომჭრან, ტანი გახდეს გასაბერად,
ვინც არა ჰგავს კახაბერსა, მე ვერ ვიტყვი კახაბერად“.

„დავითიანში“ ჩართული მეორე პოემა „ქაცვია მწყემსი“ ან, როგორც თვით ავტორი უწოდებს — „მხიარული ზაფხული“, ეს პირველი საყოფაცხოვრებო ხასიათის თხზულებაა ქართულ მწერლობაში. „დავითიანი“ მთლიანადაა თარგმნილი რუსულ და უკრაინულ ენებზე, ცალკეული თხზულებანი კი — მსოფლიოს ხალხთა ენებზე. ■


დავით გურამიშვილი.
მოქანდაკე მერაბ ბერძენიშვილი



# ბათა ქექია




**ნაწყვეტი**
**ნაწილი პირველი**

### 10

ხარაგოულს რომ გავცდი, თავისუფლად ამოვისუნთქე, — როგორც იქნა, გადავურჩი იმ ვირიჭამია აზნაურებს, ამიერიდან სამშვიდობოს ვიყავ გასული. კორტოხიდან ხელისგულივით გადაიშალა დოლლაურის ველი. გორი, მცხეთა — და მეშვიდე დღეს ქალაქს ვიყავი; კრწანისსა და ორთაჭალაში მებაღეებად სულ ჩვენებურები იყვნენ, მეც ვლაღობდი, ვთამაშობდი, მაგრამ ძმამ უსაქმოდ დიდხანს როდი დამაყენა. ერთ უცოლოდ დაბერებულ მასწავლებელთან ხელზე მოსამსახურედ დამაყენა და კვირაში ერთხელ თუ დამხედავდა. იმ დალოცვილ ჩემს ბატონს ბერძნული ენის სწავლებით ტვინი ჯერ ისედაც გათხელებოდა და ახლა, რამდენი ხანი ემატებოდა, იმდენი უფრო და უფრო ჩერჩეტდებოდა. ცხრა წელიწადი ვემსახურე მას და ამ ცხრა წლის მანძილზე საქმე დიდი რომ არა მქონდა რა, წიგნებს ვკითხულობდი, ჭირიანთ ხევში საკვირაო კრივში საჩხუბრად დავდიოდი და ერთი-ორჯერ ცხვირ-პირი ისე დამანაყეს, რომ სული შინ ძლივს მივიტანე. კვირა-უქმე დღეს საბალიაც მომაკითხავდა ხოლმე და შუაბაზარში ყოჩებისა და მამლების ჭიდაობის საცქერად ერთად დავდიოდით ანდა კრწანისის ბაღებში ჩემს ძმასთან თუთისა და ჭერმის საჭმელად ავირბენდი, მაგრამ ჩემს გართობას საშველი მაინც არ ადგებოდა, გული ისევ სოფლისაკენ მიმიწევდა. აქაურ სრა-სასახლეებს მაინც ჩემი ფაცხა მერჩია. ყოველი ლამაზი ქალი სიდუ დანელიას, მის კისკისს, მის თაფლისფერ ჟუჟუნა თვალებს მაგონებდა. მისგან ნაჩუქარ ავგაროზს თვალისჩინივით ველოლიავებოდი, ვკოცნიდი, გულში ვიხუტებდი და ხანდახან მარტოობის გრძნობა გულს ისე შემომაწვებოდა, რომ ვტიროდი. სიდუს სურვილი ხანთან ერთად მეძალებოდა, მისდამი სიყვარული გულში თანდათან მწიფდებოდა და მაშინ მივხვდი, რომ ახალგაზრდული სიყვარული ღვინოსავით ყოფილა — დაგათრობს, გაგაბრუებს, ჭკუას წაგართმევს და ჭკუასთან ერთად გულის საყვარელიც ხელსა და ხელს შუა კალმახივით გაგისხლტება. შენ რომ იმისთვის დნები, ეკრძალები და შიშობ, ზედმეტი რამ არ შეჰკადრო, შენ რომ მის სახელს ლოცულობ, ელოლიავები და მისი ეშხით გონს კარგავ, ამ დროს ერთი თავაღებული ვინმე ქორივით წამოუქროლებს და სანამ გამორკვევას მოასწრებდე, დედალ ხოხობს სიმსიმად აგაცლის.

ცხრა წელიწადი ვიცხოვრე ქალაქში და ამ ცხრა წელიწადში მამაც მომიკვდა, ჩემი ძმა სოფელში დაბრუნდა და ოჯახი ჯოკოსთან ერთად უჩემოდ გაყვეს. საბალიამაც სწავლა დაასრულა და ჩვენი სოფლის მღვდლად აკურთხეს. მე კი ისევ ქალაქში ვიყავ. ამ ცხრა წელიწადში მეც ოცი წელი მოვიყარე და ეს ოცი წელიწადი თავში ოც სისულელესავით შემიჯდა. ერთ დღეს ბატონთან ანგარიში გავასწორე. კარგი ლაფშა ცხენი, ახალთახალი ჩოხა-ახალუხი, ვერცხლის ქამარ-ხანჯალი შევიძინე, ჯიბეში წვითა და დაგვით მონაგარი ორიოდე ფარაც ჩავიჩხრიალე და გზას დავადექ. სოფელში ჩაველ თუ არა, ჩემს წილ ორიოდე ქცევა მიწას მაშინვე დავეპატრონე. აქეთ ძმები წამომეხმარნენ, იქით მეზობლებმაც ხელი გამიმართეს, როგორც შეეძლოთ, და ორ კვირაში ფაცხა-ნალიაც წამოვჭიმე. კერაში ცეცხლი დავანთე, ეზო მოვწმინდე, ტყე გავკაფე, სახლის უკან ნამყენი ვენახი მოვაშენე და ის ჩემი ლაფშა ცხენიც კოლინდარში გავუშვი.

საწყალ მამაჩემს ზოსიმე დიაკვანიც თან მიჰყოლოდა. ჩემი ტოლ-სწორნიც დავაჟკაცებულიყვნენ. ზოგი ოჯახს მოჰკიდებოდა, ზოგი ჯერ ისევ უცოლოდ იყო. მაშინვე გამოვძებნე სოფელთან საერთო ენა. რატომაც ვერ გამოვძებნიდი — ნანახი ბევრი მქონდა, უნახავი კიდევ მეტი ვიცოდი და ეს ენაც იმსიგრძე მქონდა, რომ სამ სოფელს ეყოფოდა სამოციქულოდ. მიწაზე ფეხი რომ მოვიკიდე, ის ბავშვობის ნატვრაც ავისრულე — ქალაქს ნაშოვარი ფულით რიონზე ბორანი გავმართე და მერე წავიდა და წავიდა ეს გზასავით გაზიდული ცხოვრება. მერე რა ვუყოთ, ის ხან ოღროჩოღრო და ხან აღმართიანი რომ იყო! მაინც გზა იყო და მეც ხან კვნესით, ხან ჭაპანწყვეტით ზედ ძლივძლივობით მივლასლასებდი. ვეცემოდი, — ისევ ვდგებოდი, ისევ ვეცემოდი და ისევ მივლასლასებდი. მიჭირდა, მაგრამ იხტიბარს მაინც არ ვიტეხდი. მიხაროდა, რომ ცოცხალი ვიყავ და თავს ადვილად არავის ვაჩაგვრინებდი. მე მუდამ მიყვარდა მოგზაურობა, ხან ოცნებით და ხან ნამდვილად. როგორც ხორცს სჭირია საჭმელი, ისევე სულსაც უნდა თავისი საზრდო. გზა სულის საჭმელია და აბა, ერთი თქვენ თვითონ მითხარით, რას ემსგავსებოდა ჩვენი სიცოცხლე, სიარული რომ არ გვცოდნოდა, გზა ადამიანს სიარულით რომ არ გაეკვალა? ეს გზა ჩვენი ფიქრებია, ჩვენი აზრები და გარჯილობა, ზოგი მიწას ხნავს, ზოგი რკინას ჭედავს, ზოგი ქალაქს აშენებს, ზოგი წიგნსა წერს და ზოგიც ოცნებობს, ცხოვრებას ყველა თავისი ნაოცნებარით, თავისი ნაფიქრით ამკობს. ყველას თავისი გზა აქვს და თავისი კვალი და სიცოცხლეც ამას ეწოდება. მაგრამ ეს ოხერი გული მაინც მტკივა, ვწუხვარ, ის არც ისე გრძელია, რომ კაცი სიარულით მოღალოს. ცოცხალი იმიტომა ვარ, თვალყური იმიტომ გამაჩნია, ტვინი თავში იმიტომ მიდევს, ენაც პირში იმიტომ მაბია, ფეხებს იმიტომ ვეუფლები, რომ ამ ცხოვრების გზას კარგად გავხედო, ზედ ლაღად ვიარო, თვალით ნანახი გამოვხატო, ყურით განაგონი ენით გამოვთქვა და გამიშვით, ბაბა, გამიშვით ამ გზაზე. როცა გზად ხარ გასული, ათასი თვალი და ათასი ყური უნდა იქონიო, ათასი ჭკუა უნდა იხმარო, თორემ მხოლოდ სიარული რა ბედენაა. სიარულით, ბაბა, ჭიაც დაცოცავს მიწაზე, მაგრამ ამას სიარული ხომ არ ჰქვია? ზოგი კაცის სიარულს ერთ ადგილას გდება სჯობია, იმიტომ, რომ შეიძლება, კაცმა ქვეყანა მოიაროს და მაინც ერთ ადგილას ეგდო. ისიც შეიძლება, კაცი ერთ ადგილას ეგდოს და ქვეყანა აზრით მაინც მოიაროს. მეც ისე ვარ ახლა. დავბერდი, დავჩაჩანაკდი, ერთ ადგილას ვაგდივარ, მაგრამ ლობეყორეს მაინც ვედები და თან ვნანობ, რომ ეს გზები უკან მომიტოვებია და სავალიც თანდათან მელევა. ერთ დროს ჯეელი მეც ვყოფილვარ. სისხლი და სისულელე ერთ დროს თავში მეც ერთნაირად მერჩოდა და ეს გარემოება ჩემს მაჭანკლებს მხედველობიდან როდი გამოჰპარვიათ. თაფლი იყოს, თორემ ბუზი არზრუმიდან მოფრინდებაო. თაფლი მე ვიყავ და, დასწყევლა ეშმაკმა, ამდენი უსაქმო ხალხი საიდან გაჩნდა, ყველამ ჩემს გასაბრიყვებლად რომ მოიცალა! მეც ბრიყვი ვიყავ. კურტანი სულელი ჩოჩორივით მიხაროდა და სისულელესთან ერთად ისე გავყინჩდი, თავი მაღლა ისე ავაღირე, რომ არც ერთი ქალი ჩემი ცოლობის ღირსად არ მიმაჩნდა, არც ერთი გარდა ერთისა, და ისიც ჩემთვის ისევე მიუ-

წვდომელი იყო, როგორც ძილისგუდასათვის დილის ცისკარი.

— ისეთი მეოჯახე ქალია, ჩემო ბათა, ისეთი ხელგამომავალი, რომ ცივ ქვაზე დაგასახლებს, — სულს მხდიდა სულძაღლი მაჭანკალი ვიღაც ადამისწლის შინაბერას ქებით, მაგრამ მე არც ისე სულელი ვიყავ, რომ ეგრე იოლად მოვტყუებულიყავ და ანკესს ლაყუჩით მევე წამოვგებოდი.

— ქვაზე კი არა, ხელისგულზე რომ დამასახლოს, პირში სულად რომ ჩამიდგეს, მაინც არ მინდა, — ვფიქრობდი ჩემთვის და თან გუნებაში ვანგარიშობდი, — კაცს ჯოჯოხეთში შესვლა არასოდეს არ უნდა გეჩქარებოდეს, — და სამოციქულოდ მოგზავნილ შუამავალს ერთბაშად ვუწურავდი წყალს:

— არ მინდა, ჩემო ანთიმოზ! ცოლის შერთვას ჯერ არ ვაპირებ.

— აბა კიდევ არის ერთი ქალი. სხვისთვის ვაპირებდი მის გარიგებას, მაგრამ შენი ოჯახის ისეთი დიდი ხათრი მაქვს, რომ სხვისთვის არ მემეტება! არ დაგიმალავ, ჩემო ბათა, და თვალად ცოტა ნაკლებია, მარა სამაგიეროდ, აზნაურიშვილის ოჯახშია გაზრდილი, ერთ ქალად მარტო მისი შნო და ლაზათი ღირს. კაი შეძლებული დედ-მამის შვილია, შენ ნუ მომიკვდები. მის ეზოში ღომი მისდღემჩი არ გაცეხვილა... — უნდოდა ახლა იმ ოხერი დედაკაცის ქებადიდებით ამოეხადა სული, მაგრამ მაშინვე უკმეხად გავაწყვეტინე სიტყვა. მისი გასაღების იმედი ისევ ერთბაშად გადავუწურე:

— არ მინდა! არც ის მინდა, ჩემო ანთიმოზ!

ანთიმოზმა ერთი იმნაირად შემომხედა, რომ ზედვე ეტყობოდა, არ იცოდა — გული მოსვლოდა თუ საქმისათვის ცდა ისევ არ დაეკლო.

— რა იქნა, შე კაცო, — თქვა საყვედურით მაჭანკალმა და თვალებში მოუთმენლად შემომაჩერდა, — თუ ცოლის შერთვა არ გინდა, გვითხარი და ჩამოგეხსნებით.

— გითხარი და რომ არ მიჯერებ, რა ვქნა! — ამომხდა კვნესით და ვიგრძენ, რომ ხმაში მოუთმენლობა მეც დამეტყო, მაგრამ, ჩანს, ანთიმოზს იმედი ჯერ სულ არ დაუკარგავს და ისევ განაგრძობს:

— აბა მესამეა კიდევ... ქალია, ქალი! ქება არ უნდა... — მაგრამ ყველაფერს საზღვარი აქვს და ჩემს მოთმინებასაც დაედო საზღვარი. მაჭანკალს ისევ უზრდელად გავაწყვეტინე:

— არ მინდა, ჩემო ანთიმოზ, არც ეგ მინდა!

— ყვეი! — ამოხდა გაოცებით და თან აღშფოთებით შუამავალს, — რა იქნა, შე კაცო, შენი მოსაწონი ქალი ამ ქვეყანაზე რომ არ მოინახა?

მისი აღშფოთება აინუნშიაც არ ჩამიგდია და ისევ ჯიუტად განვაგრძობდი:

— არ მინდა, ჩემო ანთიმოზ, არ მინდა და რა ვქნა?

იმასაც სხვა რა გზა ჰქონდა? გაწბილებული, კუდამოძუებული მიდიოდა შინ, მაგრამ მის მაგიერ ახლა მეორე მოდიოდა და არ იყო ჩემი საშველი. სადაურ ქალს არ მირიგებდნენ! ერთხელ ვიღაც ფრანცუცის ქალიც კი გამოძებნეს ზუგდიდის პარკის ქარხანაში, მაგრამ მე მაინც გაქირზე ვიდექ და იმასაც უარი შევუთვალე. მე სულ სხვა რამე მედო გუნებაში, სულ სხვა ვინმე მიღადრავდა გულს. დღე ის მელანდებოდა და ღამე ის მესიზმრებოდა.

— სიდუ! სიდუ! — ვიძახდი, მის სახელს ველოლიავებოდი, მაგრამ ის არსად ჩანდა. ამ ორი წლის წინათ მამამისს შინ წაეყვანა და მას შემდეგ მისი ასავალ-დასავალი არავინ იცოდა. მისი ყუბაქი მამის, თამშულ დანელიას შიშით გულისთქმას ხმამაღლა ვეღარ ვამჟღავნებდი, ის ღვთის პირიდან გადავარდნილი თავის ქალიშვილს გველეშაპივით დარაჯობდა და არც ერთ სასიძოს, არც ერთ მაჭანკალს მასთან ხელი არ მიუწვდებოდა. ორი ქალიშვილი ჰყავდა და ორივე შინ ისე ჩაეკეტა, რომ ნიავსაც არ აკარებდა. ერთი ეგრე გაუთხოვრად შეხანებოდა და ახლა მეორესაც იმასვე უპირებდა. ჯერ ისედაც არ მეკითხებოდა ჭკუა და ამ უიმედო სიყვარულით ახლა სულ გამოვჩერჩეტდი. მოსვენება დავკარგე. არავითარ საქმეზე გული არ მიდგებოდა. მთელი დღეები უსაქმოდ ვეგდე და იმის თაბაუთში ვიყავ, მისი მამის აჯამი გული რით მომეგო, მაგრამ რას გავაწყობდი? იმ გათათრებულ ყუბაქთან საქმის დაჭერას ქვის კოდვა სჯობდა. თვითონ ხომ ერთი უკულმართი და ყოვლად უსაშველო რამ ცხენის ქურდი იყო? სიძეც მასავით ქვეყნის დამაქცევარი უნდოდა და ჩემს მოყვრობას რა თავში იხლიდა.

ვოხრავდი, ვკვნესოდი, მაგრამ ჩემი გულის დარდი ვის ესმოდა! ამ მაჭანკლებმაც ხომ სულმთლად წაიღეს ძალა. ბოლოს თავი ისე გამაბეზრეს, რომ თვალს შორიდან მოვკრავდი თუ არა, დამდუღრული ძაღლივით დავეშვებოდი ნავის მისადგომ ხაბოზე. სულს ბორანზე ძლივს ავაგდებდი, საჭეს ხელდახელ ავუშვებდი და შუა მდინარეში გასული, თავს სამშვიდობოს რომ დავიგულებდი, ერთს თავისუფლად ამოვისუნთქავდი, შუამავალს შორიდან დამცინავად გავცქეროდი.

— ბათაია, მოდი, ერთი ეგ პარონი აქეთ მოაყენე, საქმე მაქვს შენთან სანამუსო.

— ჩემთან სანამუსო რა უნდა გქონდეს, ჩემო ანთიმოზ? — გავძახი თავმოსაწყლებულად მაჭანკალს შუა რიონიდან, — რა ვქნა, ჩემო ძვირფასო, ძაან მიყვარხარ, დიდ პატივს გცემ, მაგრამ ნამეტანი ბრიყვი ვარ, ეგ ოხერი, და ჩემთან ნამუსი სად გაგონილა!

ესეც რომ აღარ ჭრიდა, მოთმინებიდან ერთბაშად გამოვდიოდი. ხელებს ცად აღვაპყრობდი და წყალწაღებულივით ვღრიალებდი:

— არ მინდა, თქვე სულძაღლებო, არ მინდა და აღარ მომეშვებით? ჩამომეხსენით, ნუ გამიძაღლეთ ეს ორი დღის სიცოცხლე! გაიგეთ, შეისმინეთ, რომ თქვენი გარიგებული ქალი არ მინდა, არადა მარგია და გეხვეწებით, ჩამომეთხოვოთ, გემუდარებით, ნუ მაბრიყვებთ! — ვღრიალებდი, ქვეყანას ღრიალით ვაქცევდი და თან ხელებს ცაში სასოწარკვეთილებით ვიშვერდი, განზრახ გულის გამგმირავად ვღაღადებდი:

— ღმერთო, შენ მიშველე! ღმერთო, შენ მიაგე სამაგიერო ამათ ჩემი სიცოცხლის ეგრე გამწარებისათვის!

ესეც რომ აღარ ჭრიდა, ბორანზე აქეთ-იქით შეშლილივით დავრბოდი, ხელებს ვითომც სიმწრისაგან უმწეოდ ვასავსავებდი, ვოხრავდი, ვკვნესოდი და თან გულის ამადუღებელი სიტყვებით მივმართავდი ამ მთებს, წყლებს, საყანეებს და მინდორ-ველებს, განწირული ხმით გავძახოდი სოფელსა და კუთხემეზობელს:

— მეზობლებო, ნათესავებო, ჩემო კეთილისმსურველებო, მიშველეთ, მომხედეთ გაჭირვებულს! მომეხმარეთ, თქვე ულმერთოებო! ხელი გამომიწოდეთ, თორემ ხომ ხედავთ, რომ სიცოცხლეს მიმწარებენ, ხომ ხედავთ, რომ უპატრონო ვარ და პატრონი მჭირდება, საწყალი ვარ და გამიკითხეთ, ბრიყვი ვარ და მომიარეთ!

ჩემი ღრიალით გულგახეთქილი მეზობლები აქეთ-იქიდან გაფაციცებით მორბოდნენ და რიონის პირად სულმოუთქმელად მოცვენილი, შეშფოთებული ხმით მეკითხებოდნენ:

— რა დაგემართა, კაცო, რა გაყვირებს?

მეც ხმა ერთბაშად მიწყდებოდა, თვითონაც არ ვიცოდი, რა მაყვირებდა, ჩოხის კალთას რატომღაც ვიბერტყავდი და მათ საყვედურს გაცბუნებული ვისმენდი:

— შე კაცო, გული კი გადაგვიტრიალე, დაა! გვეგონა, გკლავენო.

მე ერთბაშად გონს მოვდიოდი. მათ საყვედურს ყურადღებას არ ვაქცევდი, ბორნის იატაკზე სასოებით ვიჩოქებდი და რიონის პირად გაწბილებული მაჭანკლის ირგვლივ შემოხვეულ ხალხს ისეთი სიტყვებით ვემუდარებოდი, რომ ჩემი საცოდაობა ქვას გახეთქავდა, ჩემი სიბრალულით ხე გახმებოდა. საქმეში შესული ხუმრობას ნამდვილ საქმედ ვაქცევდი და თვალები ცრემლით მევსებოდა:

— ჩემო ძვირფასო მეზობლებო! ჩემო საყვარელო ნათესავებო! ჩემო დაუფასებელო მოკეთეებო! ვეჟო, ღმერთი და სულიწმინდა არ გწამთ, ჩემი სიწმინდე, ჩემი სისაწყლე მაინც იწამეთ! მე რა უნდა გითხრათ, როცა თქვენც იცით, თუ როგორ ობლობაში, რა სიმწარეში ამოვიზარდე, თქვენც იცით, თავს რა გაჭირვება და რა შავი დღე დამდგომია, ახლა, ხომ ხედავთ, თავს ძლივს

გაგრძელება იხ გვ 73




# ინტერვიუ მიცვალებულთან

**დასაწყისი იხ. „გზა“ №24-41**

*რუსუდან ბერიძე*

ლაფაურმა იმის უბრალო გაფიქრებაზეც კი ფერი დაკარგა, რა შეიძლება მომხდარიყო, თუ შეშლილი მეცნიერის ხელში სრულიად ახალი იარაღი აღმოჩნდებოდა.

— კიდევ რამე გაინტერესებს? — ჰკითხა მას კახამ.

— იქნებ, იმის გარკვევაც სცადო, მასთან ერთად პროექტზე კიდევ ვინ მუშაობდა?

— ეს რაღას მოგცემს?

— მაინც სცადე, რა იცი, რა ხდება?

— ვცადოთ, ვცადოთ... — ისევ კლავიშებზე კაკუნს მოჰყვა კახა. — მაშ ასე, არეშიძის ჩათვლით, სულ ხუთი კაცია დაფიქსირებული. მათგან ერთი უკვე მკვდარია. ორი რუსეთის საიდუმლო ობიექტებზე მუშაობს. ასე რომ, ერთიღა რჩება, ვინმე გრიგორი კუზმინი.

— ეგეც რუსეთში მუშაობს?

— ვერ გეტყვი. მის სამსახურზე ცნობები არ არის, მაგრამ სამაგიეროდ, საცხოვრებელი ადგილია მითითებული. და თანაც იცი, სად ცხოვრობს ეგ შენი კუზმინი?

— სად? — უკვე სრულიად უხალისოდ ჰკითხა იმედგადაწურულმა ლაშამ.

— სად და ქუთეისში, ძამა, ქუ-თეის-ში...

— რაო? — სიხარულით შეყვირა ლაშამ.

— ჰო. და არც ის გაგიკვირდეს, თუ ეგეც ქართველია და არეშიძესავით გვარი აქვს შეცვლილი. ანდა შეიძლება, წარმოშობითაა ქუთაისელი.

ახლა კი უნდა მოვრჩე ქექვას, თორემ შეიძლება, გამომთვალონ.

— გაიხარე! — ლაფაურმა კახას მხარზე ხელი მეგობრულად დაჰკრა. — ნამდვილად ფასდაუდებელი სამსახური გამიწიე. უკვე ყველაფერი მაქვს, რაც მჭირდებოდა.

— მაშინ ახლავე უნდა „ავიფახო“ აქედან, — კომპიუტერი სწრაფად გამორთო სხიერელმა და შემდეგ ხელები კმაყოფილებით მოიფშვნიტა.

სწორედ ამ დროს ოთახში ნათიაც შემოვიდა და ლანგრით ყავა შემოიტანა...

— ახლა რაღას აპირებ? — ჰკითხა გზაში ნათიამ ლაფაურს.

— ისევ ჩემი გეგმის მიხედვით უნდა ვიმოქმედო.

— იქნებ მაინც მისულიყავი პოლიციაში და ყველაფერი მოგეყოლა?!

— არავითარ შემთხვევაში! ისინი ამას მხოლოდ ჩემს ნაბოდვრად თუ ჩათვლიან. მე ხომ არავითარი მტკიცებულება არ გამაჩნია.

— შენც ადექი და უთხარი, ვისი მონაცემთა ბაზითაც ისარგებლე.

— მაინც არაფერი გამოვა. მაშინაც კი, თუ ჩემს ნათქვამს დაიჯერებენ, მაინც ყველაფერი თავად უნდა გადაამოწმონ, რაზეც კვირები და შეიძლება, თვეებიც გავიდეს. ამასობაში კი არეშიძე ვინ იცის, კიდევ რამდენ ადამიანს გაუყენებს საიქიოს გზას.

— აბა, რა უნდა ქნა? — შეწუხდა ნათია.

— მხოლოდ საკუთარი ძალებით უნდა ვეძებო.

— კი, მაგრამ როგორ?

— თუ არეშიძეს თანამიმდევრულად მოქმედების სულ მცირე უნარი მაინც შერჩა, მაშინ მისგან საფრთხე ახლა ქუთაისში მცხოვრებ გრიგორი კუზმინს ემუქრება.

— რატომ მაინცდამაინც კუზმინს? იმიტომ ხომ არა, რომ რუსეთში წასვლა და დანარჩენი ორი მეცნიერის პოვნა არ შეგვიძლია?!

— ამჯერად საქმე ჩვენს შეძლება-არშეძლებას როდი ეხება. მთავარი ისაა, რომ ამის გაკეთება დღეს აღარც არეშიძეს შეუძლია. რუსეთში ჩასვლა რომც მოახერხოს, იმ ორ ადამიანს თვალსაც კი ვერ მოჰკრავს, რადგან ორივე საიდუმლო ობიექტზე მუშაობს. აი, გრიგორი კუზმინი კი ქუთაისში ბედის ანაბარადაა მიტოვებული. ჰოდა, რადგანაც რუსეთში დარჩენილ თავის ორ ქვეშევრდომზე ხელი არაფრით მიუწვდება, სად წავა ჩვენი არეშიძე?

— რაღა თქმა უნდა, ქუთაისში.

— ყოჩაღ! თანაც, ხომ გახსოვს, ლევან არეშიძის წიგნაკშიც რომ ეწერა, ვახტანგი ქუთაისში მიფრინავსო.

— ჰოდა, მაშინ ჩვენც იქით უნდა გავწიოთ.

— ჯობს, შენ აქ დარჩე. მეგობრებს მოველაპარაკები და რამდენიმე დღე ღამეს მათთან გაათევ.

— არავისთანაც არ დავრჩები, — იტკიცა ნათიამ, — შენთან ერთად უნდა წამოვიდე.

— არა, ეს ძალიან საშიშია. აქ კი უფრო უსაფრთხოდ იქნები.

— ჩემთვის ამ ქალაქში უსაფრთხო ადგილი აღარ არსებობს, რაშიც უკვე თავადაც დარწმუნდი. ასე რომ, თუ არ წამიყვან, იცოდე, უკან მეორე ავტობუსით გამოგეკიდები.

ლაფაური მართლაც დარწმუნებული იყო, რომ ნათიას მის გარდა ველარავინ დაიცავდა, მაგრამ ვერც მის ესოდენ სარისკო საქმეში ჩათრევას რისკავდა. იმაში კი, რომ ეს უკიდურესად სარისკო საქმე იქნებოდა, იოტისოდენა ეჭვიც კი აღარ ეპარებოდა. ლაშა უკვე იმაშიც დარწმუნებული იყო, რომ არეშიძეს აუცილებლად იპოვიდა. მათი შეხვედრა თუნდაც იმიტომ იყო გარდაუვალი, რომ ერთმანეთს ეძებდნენ: ლაფაური იმისთვის, რომ ავადმყოფი ადამიანი ფსიქიატრიულ კლინიკაში გაემწესებინა, არეშიძე კი იმისთვის, რომ ლაფაური მოეკლა. ლაშას საფრთხე არ აშინებდა, რადგან, საკუთარი პროფესიიდან გამომდინარე, გარისკვას მიჩვეული იყო. თანაც, ესოდენ მნიშვნელოვანი საქმის გამო კი არა, ხშირად უბრალო ინტერვიუს, ვიდეოჩანაწერიანი კასეტისა და თვით ერთადერთი საჭირო კადრისთვისაც კი გაურისკავს. მაგრამ ნათია აქ არაფერ შუაში იყო და მისი სიცოცხლე საფრთხის წინაშე წამითაც კი არ უნდა დაეყენებინა.

— როდის მივდივართ? — მძიმე ფიქრებიდან გამოარკვია ლაფაური ნათიამ.

გოგონას იმდენად მტკიცე და შეუპოვარი ხმა ჰქონდა, რომ ლაშას მასთან კამათი სრულ უაზრობად მოეჩვენა და ამიტომ მოკლედ უპასუხა:

— ხვალ დილით.

უღელტეხილის გადავლიდან მცირე ხანში მძღოლმა ექსპრესი გააჩერა და მგზავრებს ცოტა მუხლის გაშლა და წახემსება ურჩია. სხვებთან ერთად, ლაშამ და ნათიამაც გზის პირას მდგარ რესტორანს მიაშურეს. ცოტა ხანში რესტორნის გვერდით კიდევ ერთი ავტობუსი გაჩერდა და დარბაზში ახალგაზრდების ხმაურიანი ჯგუფი შემოვი-

და. მათ მხოლოდ ლიმონათები და წვენები იყიდეს და უკანაც ჟივილ-ხივილით განლაგდნენ. თუმცა ერთი ახალგაზრდა გასვლისას მცირე ხნით შეყოვნდა და რესტორნის იატაკს დააშტერდა.

— ზუკა, გამოადგი ფეხი, თორემ უშენოდ წავალთ, იცოდე! — დაუძახა მას ერთ-ერთმა გოგონამ.

— მოვდივარ, ჰო, რა ცეცხლი მოიკიდეთ? — იატაკისკენ დაიხარა უცბად ზუკა, რაღაც აიღო, ჯიბეში სწრაფად ჩაიდო და მაშინვე გარეთ გავარდა. მისი გასვლა და რესტორნის სიღრმეში მაგიდასთან მჯდარი მამაკაცის წამოდგომა და უკან გაყოლა ერთი იყო.

— კიდევ კარგი, გამოეტიე, — თავი უკამყოფილოდ გადააქნია ზუკას მომლოდინე გოგონამ. — ამდენ ხანს მაინც რას აკეთებდი?

— ნახე, გოგო, რა ვიპოვე! — აღტაცებით გადაულაპარაკა გოგონას ზუკამ და ძვირფასი ბეჭედი აჩვენა.

— მართლა რა მაგარი რამეა! — აღტაცება ვერ დამალა გოგონამ.

— კაცისაა, თორემ გაჩუქებდი, — ბეჭედი მაშინვე თითზე წამოიცვა ზუკამ.

რესტორნიდან გამოსული მამაკაცი ამ სცენას გულდასმით აკვირდებოდა და როგორც კი ბეჭედი ახალგაზრდის თითზე დაიგულა, შვებით ამოისუნთქა და ხმადაბლა ჩაილაპარაკა: „ჩაო, ბატონო შპიონებო, ჩაო! ამ წუთიდან თქვენი სამსახურიდან გადავდექი“... ზედმიწევნით კმაყოფილი მამაკაცი მცირე ხნით კიდევ შეყოვნდა და როცა რესტორნიდან გამოსული ლაშა და ნათია ისევ ავტობუსში დაიგულა, თავადაც მანქანაში ჩაჯდა:

„ეს გვრიტებიც პირნათლად ასრულებენ თავიანთ საქმეს. ასე რომ, ჩემო ნიკა, — მიმართა მან შემდეგ საკუთარ თავს, — შენ მხართეძოზე წამოწოლა და მოვლენებისთვის თვალის მშვიდად მიდევნებაღა გრჩება“...

ფანჯარასთან მჯდარი ნათია ფიქრს მისცემოდა. მას ძალიან უყვარდა მოგზაურობა, რადგან გზაში ყოველთვის რაღაც კარგზე ფიქრობდა და ამჯერადაც ბავშვობაში ბათუმში გატარებული ზღაპარივით ლამაზი დღეები ახსენდებოდა. ნათია იქ დედ-მამასთან ერთად ისვენებდა და იმაშიც იყო დარწმუნებული, რომ კიდევ ბევრი ასეთი ლამაზი დღე ელოდა. მაგრამ ზღაპარი ძალზე ხანმოკლე აღმოჩნდა. თბილისში დაბრუნებიდან სულ რაღაც ორიოდე კვირაში, მამა ოჯახიდან სამუდამოდ წავიდა და ნათია ფრთამოტეხილი ჩიტივით დატოვა. თუმცა დედა მაინც არაფერს აკლებდა, მაგრამ შემდეგ ისიც ავად გახდა და ნათიას ბავშვობაც სამუდამოდ დასრულდა.

— რაზე ფიქრობ? — ხმადაბლა გადაულაპარაკა ნათიას გვერდით მჯდომმა ლაშამ.



— არაფერზე, — მოიბუზა გოგონა და ისევ სინამდვილეს დაუბრუნდა. ახლა მას მხოლოდ საკუთარი უახლოესი წარსული და თავს დატეხილი უბედურებაღა ახსენდებოდა.

უკანასკნელ დღეებში მომხდარმა ამბებმა ნათიას თვალწინ საშინელებათა ფილმის კადრებივით ჩაურბინა. „კიდევ კარგი, რომ ბედმა ასეთ ძლიერ და საკუთარ ძალებში დარწმუნებულ ადამიანს გადამყარა, — ლაშას გვერდულად გახედა მან, — თორემ საერთოდ აღარაფერი მეშველებოდა. მასთან კი არაფრის აღარ მეშინია. საინტერესოა, რა მოხდება, ჩემზე რომ ყველაფერი, მთელი სიმართლე გაიგოს? იქნებ ამის სათქმელად და ყველაფერში გამოსატყდომად ახლა ყველაზე კარგი დროც კია? — ნათიამ კიდევ ერთხელ შეავლო თვალი მამაკაცის ჩაფიქრებულ სახეს. — არა, არ ღირს. ახლა მას სხვა საფიქრალიც ბევრი აქვს.“

ლაფაური კი ფიქრში ისევ არეშიძესთან მოსალოდნელ შეხვედრას უტრიალებდა. მის წარმოდგენაში სახელგანთქმული მეცნიერი ძლიერი და ძალიან ცბიერი ადამიანიც იყო, რომელსაც თავის ნაცვლად მხრებზე კომპიუტერი ედგა. თუმცა ამის მიუხედავადაც კი ვერაფრით მიმხვდარიყო, ამხელა ნიჭით დაჯილდოებულ ადამიანს ის მხოლოდ ნგრევისა და სხვა ადამიანების გასანადგურებლად რატომ უნდა გამოეყენებინა. „ნეტავ, რა ხდება ახლა მის გაცხელებულ ტვინში? — ფიქრობდა ლაშა. — რა გეგმებს აწყობს?.. ან თავად კი სწორად ვიქცევი? მაინც რაში მჭირდება ეს ყველაფერი? ბოლოს და ბოლოს, ხომ შემძლო, დროებით სადღაც მივმალულიყავი და ყველაფრის დასრულებას დავლოდებოდი. იქნებ, ამასობაში თვითონ არეშიძეც მოსულიყო გონს და დამშვიდებულიყო. თუმცა მაინც არა მგონია, ცხოვრებას ასე უბრალოდ დანებდეს. განა მისმა მასწავლებელმა არ მითხრა, ის ყველა ჩვენგანზე — ერთად აღებულზეც კი უფრო ჭკვიანი იყოო. და ეს არის სწორედ ყველაზე დიდი უბედურება.“

ლაშა არ ცდებოდა: არეშიძეს მართლაც ყველა თავისზე ჭკვიანად მიიჩნევდა და, ამიტომაც, მასთან ბრძოლაში თავიდანვე მარცხისთვისაც იყო განწირული. აი, ლაფაურს კი მეცნიერი თავისზე უფრო ჭკვიანი არასდროს ჰგონებია და ასე უშიშრადაც ამიტომ გამოიწვია. „გამოვიწვიე და დავამარცხებ კიდეც“, — დაასკვნა მან ბოლოს, ნათიას ამაყად გახედა და მოეჩვენა, რომ გოგონა მარტო ფიქრს კი არ მიუხვდა, დაეთანხმა კიდეც...

ქუთაისის ავტოსადგურში საკმაოდ ბევრი ხალხი ირეოდა. ლაშამ სპორტული ჩანთა მხარზე გადაიკიდა და ნათიასთან ერთად, ტაქსის გაჩერებისკენ გასწია.

— აბა, ტაქსი! სწრაფად, იაფად და ხარისხიანად! — მოესმა უეცრად ვიღაცის ნაცნობი ხმა.

— ავთოს გაუმარჯოს! — მიუახლოვდა ტაქსის მძღოლს ლაშა და ხელი მეგობრულად ჩამოართვა.

— ჟურნალისტებს ჩემი მხურვალე სალამი! — ტაქსის მძღოლმა ლაშა მაშინვე იცნო. — ეს ლამაზი გოგო ვინღაა?

— ახლობელია.

— კარგი ახლობელი გყოლია. ისე, რაღაც მოუხშირე ჩვენთან სიარულს, ხომ იცი...

— მომწონს თქვენი ქალაქი. აქაურობას რაღაც სულ სხვა, განუმეორებელი პეწი აქვს.

— მაგაში მართალი ხარ, — გაიბადრა ავთო, — აქაური კაცი სხვაგან ვერ გაძლებს. აბა, ახლა ის მიბრძანეთ, თქვენ სად წაგიყვანოთ? ალბათ, ჯერ სასტუმროში, ხომ?..

— შენი სიძე ისევ მაშველად მუშაობს? — ჰკითხა მძღოლს ლაშამ, როგორც კი ავტოსადგურს გასცდნენ.

— ვინ, ბიჭიკია? აჰა, სად წავა. დღეს დასვენება აქვს და შემპირდა, შემოგივლიო.

— მოდი, იქით შევუაროთ, — უცბად მიიღო გადაწყვეტილება ლაფაურმა. — სულ რამდენიმე წუთი დამჭირდება. წინა ჩამოსვლაზე რაღაცის კითხვა დამავიწყდა და ახლა მოვითავებ.

— კი, ძამია, ახლავე! მაინც იქით არ უნდა გავიაროთ?

ტაქსი მალე ბიჭიკოს სახლთან გაჩერდა და მძღოლმა გაბმით დაასიგნალა.

რამდენიმე წუთში ჭიშკარში ბიჭიკო გამოჩნდა.

— ბიჭიკია, ძამია! — გასძახა ავთომ მანქანიდან. — ისევ სტუმრებით მოგადექი და მიგვიღებ?

— სტუმარი ღვთისაა. მობრძანდით!

# წინასწარმეტყველება

*მარი ჯაფარიძე*

ინგა სადაცაა, 21 წლის გახდებოდა. მისი მეგობრები სკოლიდანვე გათხოვდნენ, ის კი იჯდა და თეთრ ცხენზე ამხედრებულ პრინცს ელოდა. თითქოს ჯიბრზე, წესიერი მთხოვნელიც არ გამოუჩნდა.

მეზობელი გოგა უხსოვარი დროიდან იყო ინგაზე უიმედოდ შეყვარებული, მაგრამ გამხდარი, „გრძელი“ ბიჭი იყო და არ მოსწონდა. თანაც, ის ხომ მისი თანატოლი და მეზობელი გახლდათ. გოგონას უფრო სოლიდური მამაკაცები მოსწონდა, ისეთი, ქალის პატივისცემა რომ შეუძლიათ და ფეხზეც მყარად დგანან; ძვირფასი ავტომობილიც რომ ჰყავთ და კარგად მოწყობილი სახლ-კარიც. გოგას ეს „ნაკრები“ არ ჰქონდა. სამაგიეროდ, ყოველ საღამოს ინგას სადარბაზოსთან იდგა და დარაჯობდა. გოგონას ეს აღიზიანებდა, გვერდით ჩაუვლიდა და მხარს ზემოდან გადასძახებდა — „გოგა, რამდენჯერ გითხარი?!“

ინგა ლამაზი და მხიარული გოგო იყო, კარგადაც სწავლობდა, მაგრამ ისეთი საქმრო, როგორზეც თვითონ ოცნებობდა, რატომღაც, არა და არ გამოუჩნდა.

— შენ ან თვალი გეცა, ან ვინმემ ჯადო გაგიკეთა, — უთხრა ერთ დღეს თანაკურსელმა ნათიამ.

თავად ნათია 17 წლის ასაკში გათხოვდა და ასეთ საკითხებში თავი ექსპერტად მიაჩნდა.

— ხვალ თინიასთან წავიდეთ, შეგილოცავს და რაღაცებს გიწინასწარმეტყველებს კიდეც.

— მკითხავთან წავიდე?! არავითარ შემთხვევაში! ამ თაღლითების არ მჯერა! — მტკიცე უარი აჯახა ინგამ.

— ვერ გავიგე — გინდა გათხოვება თუ არა?

— მინდა.

— არ მინდა, ღრუბლებიდან დაეშვა და მიწას დაენარცხო, მაგრამ ერთი რამ იცოდე: საქმრო თავისით ზევიდან არ ჩამოვარდება, — გაიღიმა „ბრძენმა“ ნათიამ, — თეთრ ცხენზე ამხედრებული პრინცი ისეთივე მითია, როგორიც თოვლის ბაბუა ან ჯადოსნური ჯოხით „შეიარაღებული“ ფერია. IX კლასში ვიყავი, როცა მაგ თინიამ მიწინასწარმეტყველა, რომ ჩემს მომავალ ქმარს მაღაზიაში, საიუველირო განყოფილებაში ვიპოვიდი.

— მერე? — სკეპტიკურად იკითხა ინგამ.

— მერე, მთელი ნახევარი წელი ვირბინე მაღაზიებში, სადაც საიუველირო განყოფილებები იყო, გამყიდველები უკვე სახეზე მცნობდნენ. მერე დავიღალე და გავიფიქრე, რომ ეს ყველაფერი სისულელეა... დრო გადის, მე წლები მომემატება და მერე ვიღას დავჭირდები?! ჰოდა, ჯანდაბას, უკანასკნელად შევალ და ეგ იქნება-მეთქი.

— მერე? — ინგას თვალებში ინტერესი გაჩნდა.

— მაღაზიაში შევედი და ოქროულობის სექციასთან შევჩერდი. ვიღაცამ მხარზე ხელი დამადო. შევბრუნდი და სიმპათიური მამაკაცი შემრჩა ხელში. საუცხოო სუნამოს სურნელს აფრქვევდა. მოგწონთ ეს საყურეო? — ლამის გული წამივიდა... — დიახ-მეთქი, — ვუპასუხე და გავიფიქრე, რომ თინიამ სიმართლე მითხრა. თმა უკან გადავიყარე, რომ დაენახა, ყურები გახვრეტილი არ მქონდა.

— მერე, რაო?

— აღმოჩნდა, რომ თავისი საცოლისთვის საქორწილო საჩუქარს არჩევდა.

— მდაა... და ასე წამოხვედი?

— ჰო, მაგრამ მარტო კი არა, მასთან ერთად წამოვედი, ყურების გასახვრეტად, — ნათიას ტუჩის კუთხეები ღიმილმა შეურხია.

— აკი — საცოლეო?!

— საცოლე ცოტა ფხიზლად უნდა ყოფილიყო... ახლა ჩემს ქმარს მარტო არსად ვუშვებ: რა იცი, რა ხდება?! მართალია, მისი ცოლი ვარ, მაგრამ ჩემი სურათი გულის ჯიბით არ დააქვს! სამაგიეროდ, ახლა მე დავაბიჯებ სპარსულ ხალიჩებზე, პირადი სტილისტიც მყავს და ყოველ დილით საუზმეზე ხიზილალას მივირთმევ.

— არ შეგეცოდა?

— ვინ? — ვერ მიხვდა ნათია. — საცოლე? ძვირფასო, ჩემსა და სათვალიან გველს შორის ის ერთადერთი განსხვავებაა, რომ მე 2 ფეხი მაქვს...

ინგა იძულებული გახდა, „კაპიტულაცია“ გამოეცხადებინა.

მეორე დღეს მეგობრები მკითხავ თინიასთან გაეშურნენ. მისი „ოფისი“ სწორედ ისე იყო მოწყობილი, როგორც წესი და რიგია: ყველაფერს იდუმალების ელფერი დაჰკრავდა. კედლები შინდისფრად იყო შეღებილი, ფანჯრებს წითელი, ფოჩებიანი ფარდები ამშვენებდა, კედლებზე უამრავი სარკე ეკიდა. უზარმაზარ, ანტიკვარულ მაგიდაზე კომპიუტერი, პრინტერი და „ქსეროქსის“ აპარატი იდგა. ინგამ მიმოიხედა. კედელზე პრეზიდენტის სურათსა და იატაკზე — კალათში ჩასმულ გველს ეძებდა, მაგრამ ვერ აღმოაჩინა...

თინიამ გოგონები „მეფური უბრალოებით“ მიიღო და ეთიოპიური ჩაი შესთავაზა. ის ორმოციოდე წლის, ქერა ქალი გახლდათ, რომელსაც სახე გრიმის სქელი ფენით ჰქონდა დაფარული. მკითხავი არომატიზებულ სიგარეტს ძვლის მუნდშტუკით ეწეოდა.

— გამარჯობა, ქალბატონო თინია, — მიესალმა ნათია, — აი, ჩემი მეგობარი მოგიყვანეთ. რა უბედურება სჭირს, ვერ გავიგეთ, — ვერ თხოვდება.

თინიამ კრიტიკული თვალით შეხედა ინგას, რომელიც უხერხულად იშმუშნებოდა.

— ამ საქმეს ვუშველით, — დამაიმედებლად თქვა ქალმა, — მოდი, აქ დაჯექი, — მკითხავმა გაქუცულ, ტყავის სავარძელზე მიუთითა. ინგა ნაპირზე ჩამოჯდა და მეგობარს შეშინებულმა შეხედა. ნათიას ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს ეუბნებოდა, ნუ გეშინიაო.

— ხელი დადე! — უბრძანა თინიამ. — მარჯვენა, — დააზუსტა და „ქსეროქსს“ თავსახური ახადა.

— აქ? — გაუკვირდა ინგას, მაგრამ ხელი მაინც დადო.

თინიამ თავსახური ხელს ზემოდან დაადო, ტუჩები გააწკლაპუნა და ღილაკს ხელი დააჭირა.

„ქსეროქსი“ ამუშავდა და რამდენიმე წამში გამოსრიალდა ფურცელი, რომელზეც ინგას ხელისგულის შავ-თეთრი ანაბეჭდი იყო გამოსახული.

თინიამ ვიწროჩარჩოიანი სათვალე მოირგო და ქაღალდს ყურადღებით დააკვირდა.

ინგა დაძაბული აკვირდებოდა სახეზე მკითხავს და ცდილობდა, მისი სახის გამომეტყველებით საკუთარი მომავალი ამოეცნო. ის კი დროგამოშვებით მარჯვენა წარბს ასწევდა და ბურტყუნებდა: „აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ... საინკუბაციო პერიოდი... ძაღლი“...

ინგა ცოტა შეშინდა.

— ქალბატონო თინია, რამეს ხედავთ? — აცახცახებული ხმით ჰკითხა.

მკითხავმა პასუხის ღირსად არ ჩათვალა. ქაღალდი გვერდზე გადადო და კომპიუტერის კლავიატურაზე თითები აკაკუნა.

ინგას სულ სხვანაირად ჰქონდა წარმოდგენილი მკითხაობის პროცესი.

— ნუ ღელავ, — ჩურჩულით დაამშვიდა ნათიამ.

— აი, ჩემო კარგო, — თინიამ სათვალე მოიხსნა და პრინტერზე რაღაც ამობეჭდა. — ახლა გაიგებ, რა გელის მომავალში. გამომართვი ეს „ბედისწერის სფერო“, — მკითხავმა რაღაც „კუბიკრუბიკის“ მსგავსი ნივთი გაუწოდა.

ინგას გაუკვირდა, მაგრამ „ბედისწერის სფერო“ მაინც გამოართვა.

— მაშ, ასე, — თქვა თინიამ და მისი მზერა პრინტერზე ამობეჭდილ, ჯერ კიდევ თბილ ქაღალდს „დაერჭო“, — შენ გათხოვდები მამაკაცზე, რომლის სახელიც „გ“-ზე იწყება.

გოგონებმა ერთმანეთს გადახედეს.

— მას ძაღლით იცნობ! ძაღლი შენს ბედზე დიდ გავლენას ახდენს... ნახვამდის! — თინია წამოდგა, რაც იმის ნიშანი იყო, რომ მკითხაობის პროცესი დასრულდა.

— კი, მაგრამ... — ინგამ სცადა, შეეჩერებინა.

— მე ყველაფერი გითხარი. ფული სალ-

წაღეობა დააწყებინეს. მისი მეცნიერობა და ფიზიკოსობა კი სამუდამოდ წარსულს ჩაჰბარდა. თუმცა ხანდახან, ფეხსაცმლის კერებაში გართულს, ჰაერში უხილავი ფორმულები მაინც ჯიუტად გამოჰყავდა.

როცა ლაშა და ნათია კუზმინის ჯიხურს მიუახლოვდნენ, ეს უკანასკნელი მისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან პრობლემას წყვეტდა, უფრო ზუსტად კი — ვერაფრით გადაეწყვიტა, წინა დღის ლოთობის შემდეგ შემთხვევით მორჩენილი ერთადერთი ბოთლი არაყი დაელია თუ როგორმე საღამომდე მაინც შემოენახა. ასეთი დილემის წინაშე გრიგორი არცთუ იშვიათად დგებოდა და, როგორც წესი, ყველაფერი სრული ფიასკოთიც სრულდებოდა ხოლმე. მაგრამ ამჯერად ნებისყოფა გამოიჩინა, ბოთლს ხელი წამოავლო და ფარდის იქით, თაროზე ჩამწკრივებულ ფეხსაცმელებს შორის შეჩურთა. „მომავალზეც ხომ უნდა იფიქრო! — შეუძახა მან შემდეგ ფიქრში საკუთარ თავს, — ეს ერთადერთი ბოთლიც რომ ახლავე გამოყლურწო, საღამოს რაღას იზამ?“ ამის გაფიქრება იყო და მის წინაშე ორი ახალგაზრდა აღიმართა.

„მგონი, უკვე მოჩვენებები დამეწყო“, — თვალები მოიფშვნიტა შემკრთალმა კუზმინმა.

— ხელი ხომ არ შეგიშალეთ? — შემოესმა შემდეგ ლაშას რუსულად ნათქვამი სიტყვები.

— რა თქმა უნდა, არა, — შვებით ამოისუნთქა კუზმინმა, რომელიც მიხვდა, რომ საქმე მოჩვენებებთან კი არა, ცოცხალ ადამიანებთან ჰქონდა, — რით გემსახუროთ?

— ჩვენ გრიგორი კუზმინს ვეძებთ.

— მე ვარ კუზმინი, რაშია საქმე?

— მეცნიერი კუზმინი? — მაინც გადაამოწმა ლაშამ.

— არა, მე „საპოჟნიკი“ კუზმა ვარ.

— არა უშავს, ხდება ხოლმე, — თანაგრძნობით გაუღიმა მას ლაფაურმა და თან ნათიას ანიშნა, აქ გაჩერებას აზრი აღარ აქვსო.

— ისე, წარსულში ცოტა კიდეც წავიმეცნიერებდი, — თავისთვის ჩაილაპარაკა კუზმინმა.

— ხუმრობთ თუ?..

— სულაც არა. მთელი ცხოვრება მეცნიერებით ვიყავი დაკავებული.

— და მერე, ასე როგორ... — ხელები დაბნეულად გაშალა ლაშამ.

— ხდება ხოლმე, — სევდიანად გაეღიმა კუზმინს.

— ჩვენ თბილისიდან ჩამოვედით თქვენს მოსაძებნად, — საუბარში ჩაერთო ნათიაც.

— რას მეუბნებით? — გაეღიმა კუზმინს. — და რისთვის ერგო ასეთი პატივი ჩემნაირ უბრალო „საპოჟნიკს?“

— ერთ არცთუ მარტივ საქმეში გვჭირდება თქვენი დახმარება, — დაიწყო ლაშამ.

— ასეთი მაინც რა საქმეა?

— ვახტანგ არეშიძეს, იგივე ვიტალი ორეხოვს თუ იცნობდით?



— ვიტალი ლვოვიჩს? — გაოგნდა კუზმინი. — კი, მაგრამ თქვენ საიდანღა იცით მის შესახებ?

— ეს გრძელი და მოსაწყენი ისტორიაა.

— გასაგებია, — წამით ჩაფიქრდა გრიგორი, — რა თქმა უნდა, ვიცნობდი. ის ერთი გრანდიოზული პროექტის ხელმძღვანელი იყო. მე კი მის ჯგუფში შევდიოდი.

— კონკრეტულად მაინც რით იყავით დაკავებული?

— ეს გასაიდუმლოებული პროექტი იყო, თუმცა არა მგონია, ახლა ეს ვინმეს აინტერესებდეს... უახლეს რეაქტიულ ძრავებს ვცდიდით.

— და რა შედეგი მიიღეთ?

— ვერაფერს გეტყვით. პროექტს უშუალოდ ორეხოვი უძღვებოდა. დანარჩენები უბრალოდ ვეხმარებოდით. ყოველი ჩვენგანი მხოლოდ ერთი, ვიწრო მიმართულებით იყო დაკავებული.

— მაინც წარმოუდგენელია, რომ პროექტის საბოლოო მიზანს ვერ მიმხვდარიყავით.

— მე საბოლოო მიზანი კი არა, თავად პროცესი მაინტერესებდა.

— თქვენს ექსპერიმენტებში რაიმე ახალი, მანამდე სრულიად უცნობი თუ აღმოაჩინეთ? — ლაშამ პროვოკაციულ კითხვებზე გადასვლა გადაწყვიტა.

კუზმინი ღრმად ჩაფიქრდა.

— შეიძლება, არ დამიჯეროთ, მაგრამ ორეხოვმა სრულიად ახალი თაობის ისეთი ძრავის შექმნა მოახერხა, რომელიც არც ერთ თავის წინამორბედს არ ჰგავდა.

— გამოდის, რომ მსოფლიო აღმოჩენა გაუკეთებია.

— დიახ, ასეა.

— მაშ, რატომ არავინ იცის ამის შესახებ?

— თავად კი ვერ ხვდებით? — თვალები ეშმაკურად მოწკურა კუზმინმა.

— ?

— მან ეს ყველას დაუმალა და ჩვენც გვიბრძანა, ენისთვის კბილი დაგვეჭირა.

— რატომ?

— ამის შესახებ რომ ზემოთ გაეგოთ, — კუზმინმა საჩვენებელი თითი ჯიხურის დაბალი ჭერისკენ აიშვირა, — საქმეს მაშინვე ჩამოგვაშორებდნენ. ნუთუ არ გსმენიათ, რა მოხდა წყალბადის ბომბის გამოცდის შემდეგ? პოლიტიკოსები საიდუმლოს დაეპატრონნენ და, როგორც ძალაუფლების იარაღი, მხოლოდ საკუთარი ინტერესების დასაკმაყოფილებლად გამოიყენეს. ბომბის შემქმნელი მეცნიერები კი უბრალოდ შერისხეს.

— მაგრამ საბოლოოდ ხომ თქვენც დაგხურეს...

— კი, — ამოიოხრა კუზმინმა, — დაგვხურეს, მაგრამ ეს ცოტა უფრო გვიან მოხდა.

— კიდევ რის აღმოჩენას ცდილობდა ორეხოვი, თუ მსოფლიო აღმოჩენა უკვე გაკეთებული ჰქონდა?

— ვერც ამას ხვდებით? — გაოცება ვერ დამალა კუზმინმა და ლაშას ისეთი მოწყალე ღიმილით შეხედა, თითქოს მის წინაშე სრულიად გამოუცდელი პატარა ბავშვი მდგარიყო. — ის ხომ დიდი მეცნიერი იყო. ასეთები კი ერთ აღმოჩენაზე არადროს ჩერდებიან.

— ნუთუ მართლა ისეთი ნიჭიერი იყო, როგორც ამაზე ყველა მისი ნაცნობი თუ ახლობელი ჰყვება?

— ნიჭიერიო?.. ნიჭიერი კი არა, ნამდვილი გენიოსი იყო. ასეთები მთელ პლანეტაზეც კი ერთეულები არიან! ასე რომ, ქართველებმა უნდა იამაყოთ, რომ ის თქვენი თანამემამულე იყო.

— ერთი გარემოება რომ არა, ნამდვილად საამაყოდ გვექნებოდა საქმე.

— რა გარემოება?

— სამწუხაროდ, ძალიან ცუდი რამე მოხდა. და ის უშუალოდ ორეხოვთანაა დაკავშირებული.

— რა მოხდა? მოკვდა?

— არა, ცოცხალია.

— მადლობა ღმერთს! — შვებით ამოისუნთქა კუზმინმა. — მთავარია, რომ ცოცხალია. სხვა დანარჩენს ადვილად ეშველება.

— სამწუხაროდ, არც მთლად ასე მარტივადაა საქმე.

— რა ხდება?

— ავადაა.

— რას მეუბნებით? რამე სერიოზული სჭირს?

— და მერე როგორი სერიოზული.

— მაინც?

— ჭკუიდან შეიშალა...

***გაგრძელება შემდეგ ნომერში***

# რომანტიკა თუ დანაშაული?!



სვეტა კვარაცხელია

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით

gza.fantazia@gmail.com

დასაწყისი იხ. „გზა“ №31-40

ბოლოს მაინც დააკაკუნა ნიკამ. როგორ შევკრთი... ასე მეგონა, გულმა ტყაპანი მოადინა მუცლის ღრუში, ისეთი ჩხვლეტა ვიგრძენი... იგი ჩემს პასუხს არ დალოდებია, ისე შემოვიდა, ხელში უკვე კარგად ნაცნობი ხალათი ეჭირა.

— აი... ეს მოგიტანე, დილით დაგჭირდება, საღამოს კაბით ხომ არ ირბენ... — ოდნავ გასაგონი ხმით მითხრა, ხალათი სკამზე გადაფინა და მაშინვე გავიდა.

— გმადლობ, — მივაძახე და როგორც კი კარი გაიხურა, ღრმად ჩავისუნთქე... იმედი გამიცრუვდა... მეგონა, უჩემოდ ველარ მოითმინა და... თურმე ტყუილად მეგონა.

მოულოდნელად ისევ შემოვიდა.

— მე პირობას ყოველთვის ვასრულებ, ამიტომაც გადამირჩი ამაღამ, სხვა დროს შეუბრალებელი ვიქნები, — ღიმილით დამიქნია თითი, შუქი ჩამიქრო და კარი ნელა გაიხურა...

მთელი ღამე ვბორგავდი, ვერაფრით დავიძინე. ყოველ გაფაჩუნებაზე თავს ვწევდი და გულისფანცქალით ველოდი მის გამოჩენას... ამაოდ...

დათვლა დავიწყე... ცხვრების... არ მომეწონა, ბევრი თანხმოვანი ფიქრშიც კი ძნელი გამოსათქმელი აღმოჩნდა... ჩიტებზე გადავედი... ეს მომეწონა... ერთი ჩიტი, ორი ჩიტი, სამი ჩიტი... როდისროდის ჩამეძინა...

ჯერ კარგად არც იყო გათენებული, რომ გამომეღვიძა. უცებ ვერ გავაცნობიერე, სად ვიყავი და ოთახს მზერა გაკვირვებულმა მოვავლე... გამეღიმა... ერთ ჭერქვეშ გვეძინა და ერთმანეთის სიახლოვით ვერ დავტკბით... მობილური მოვიძიე, ჩავრთე და საათს დავხედე. რვა ხდებოდა... ნეტავ, რას აკეთებს? იმას თუ ეძინა? გემრიელად გავიზმორე, მერე ხალათს გადავწვდი, ჩავიცვი და საძინებლიდან ფეხის წვერებზე შემდგარი გამოვედი, არ გავაღვიძო-მეთქი...

დივანზე მიწოლილიყო, წელზევით შიშველი... მარცხენა ხელი ლოყის ქვეშ ამოედო და უმანკო ჩვილის გამომეტყველებით ეძინა, ლოყაწითელ ვაშლატამას მიუგავდა ტუჩები... შუაზე საყვარლად გაპობოდა... თითქოს მის სახეზე მათაც ცალ-ცალკე ეძინათ...

სამზარეულოში შევიპარე და კარადა გამოვაღე. სანამ გაიღვიძებს, ყავას მოვუმზადებ. ვცდილობდი, უხმაუროდ მემოქმედა. გაზქურა ავანთე, ჯეზვე ცეცხლზე შემოვდგი და კოვზით ყავის მორევა დავიწყე. უეცრად დაჟინებული მზერა ვიგრძენი, ზურგი ამეწვა. მოვიხედე. ნიკას დონჯი შემოეყარა და ნამძინარევი თვალებით უცნაურად მომჩერებოდა. ისე როგორ შემოიპარა, რომ ვერ გავიგე? მისი მზერა სულს მიბურღავდა. დაბნეულმა ჯეზვეს ტარს ვტაცე ხელი, როგორც წყალწაღებულმა — ხავსს.

— დილა მშვიდობისა, — ალერსიანად მომესალმა.

— დილა მშვიდობისა, — მივუგე დამორცხვებულმა და ჩემი საქმე გავაგრძელე.

— როგორ გეძინა?

— კარგად, — მოვატყუე.

— მეც, — იმანაც მომატყუა.

უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა. იდგა და მიყურებდა. უცნაური გამომეტყველება არ შესცვლია.

— რამე მოხდა? — ველარ მოვითმინე და შევხედე.

— არაფერი... უბრალოდ, დღეს რაღაც სხვანაირი ხარ... თითქოს რაღაც სხვა ხარ.

— ჰო, დაუბანელ-დაუვარცხნელი ასე გამოვიყურები, მხოლოდ ამაშია მთელი ჩემი იდუმალება.

მომიახლოვდა და ზურგს უკან დამიდგა... მისი სხეულის სურნელმა თავბრუ დამახვია...

— ყავას მიხარშავ? — ტუჩები ყურის ბიბილოზე მომადო და ჩურჩულით მკითხა.

— ჰო... — თვალები დავხუჭე...

— მერე? იცი, როგორი ყავა მიყვარს?

— არა... ისეთს ვხარშავ, როგორიც მე მიყვარს, — ხმა ამიკანკალდა.

— საინტერესოა... ახლავე გავიგებ, როგორი გემოვნება გაქვს, — გამხიარულდა.

— შენისთანა ზესიმპათიურთან რომ ვურთიერთობ, ეგ უკვე მეტყველებს ჩემს გემოვნებაზე, — ირონიულად შევნიშნე.

— ნუ იკბინები ამ დილაადრიან, თორემ ღამე დამთავრდა, იცოდე! — დამემუქრა და ხელები მხრის თავებზე ძლიერად წამიჭირა.

— თორემ რა? — აშკარად ვიწვევდი.

— მე გიკბენ, მით უმეტეს, რომ ჩემს პირობას ვადა გაუვიდა, — კვლავ დაიჩურჩულა და ბიბილოზე მსუბუქად მიკბინა.

გამასავით ალმავალ-დალმავალი რიტმით ამიჩქროლდა სისხლი... ძლივს მოვასწარი გაზქურის გადაკეტვა, კინაღამ გადმომივიდა ყავა.

— შევალ, გადავივლებ, კარგი? შენ კი იქამდე სუფრა გაშალე, პატარა ქალო! — ღრმად შეისრუტა ჩემი სურნელი და ეშმაკური ღიმილით გამშორდა.

ბედნიერებისგან გაბრუებულმა ყავა ფინჯნებში გავანაწილე და ჩემს ფიქრებს გავუღიმე. ერთი თვის წინ რომ შემძლებოდა ჩემს მომავალში შემეხედა და იქ ჩემი თავი სხვა მამაკაცის სამზარეულოში მოფუსფუსე დამენახა, ამ სიტუაციას ან უადგილო ხუმრობად მივიჩნევდი, ან სასიამოვნო ზმანებად. ცხოვრება ჭეშმარიტად სიურპრიზებითაა სავსე! და თანაც როგორი! ხელები გავშალე და კიდევ ერთხელ ნეტარებით გავიზმორე...

სანამ გამოვიდოდა, ყავაც გაცივდა. მე კი როგორ არ მიყვარს ნელთბილი ყავა... ან ძალიან ცხელი უნდა დავლიო, ან ყინულივით ცივი... სხვანაირად გემოს ვერ ვატან.

როგორც იქნა, გამოჩნდა... შიშველ ტანზე პირსახოცი შემოეხვია... მისი დაკუნთული სხეული ხარბად შევათვალიერე... და მოურიდებლად... შეიძლება ითქვას, უტიფრადაც... მაშინვე „აულო ალლო“ ჩემს მზერას... მსწრაფლ მომეჭრა, ჰაერი შეისუნთქა და ტუჩებზე დამაკვდა... მანამ მკოცნიდა, სანამ ამქვეყნად ყველაფერი არ გადამავიწყდა... სამსახურიც, სახლიც, ყავაც, არსებობაც კი... ვგრძნობდი მხოლოდ მის მომთხოვნ ტუჩებს და გამოცდილ ხელებს, ჩემი სხეულის ყოველ უჯრედს რომ აღაგზნებდა, პირსახოცის სქელი ხალათის გარედანაც კი. თანდათან ისევ გაუცივდა ტუჩები... რა ემართება? რაღა მაინცდ-

ამაინც მაშინ, როცა მე მკოცნის? რა საოცარია...

მყუდრო „ოჯახური“ იდილია მობილურის ზარმა დაარღვია. ურეკავდნენ.

— საკუთარ ბინაშიც კი არ მაცლიან შენით ტკბობას, — მოჩვენებითი სიბრაზით მითხრა და ტელეფონს დასწვდა, რომელიც ვიბრაციის გამო რობოტივით დაცოცავდა მაგიდაზე.

— ჰო! — გულგრილი ტონით უპასუხა ვიღაცას. — გამოვდივარ უკვე, ათ წუთში მანდ ვიქნები! — მერე მე მომიბრუნდა: — უნდა გავიქცე, ცხრაზე შეხვედრა მაქვს, ვერ დავაგვიანებ.

მხრები ავიჩეჩე, შენი საქმის შენ იციმეთქი. მუხლებში კი ძალა წამერთვა, არ მინდოდა, წასულიყო. ნიკა ფინჯანს დასწვდა და სამიოდე ყლუპით ნალექიანად „შეყლაპა“ ჩემი დიდი მონდომებით მოდუღებული ყავა, მერე ტანსაცმელს დაავლო ხელი და სააბაზანოში შეიკეტა.

— გასაღები შენთან იყოს, მერე გამოგართმევ... მაპატიე, რომ გტოვებ, მაგრამ გამოსაცვლელად შინ უნდა გავიარო. მაგვიანდება! წავედი! — გამოსულმა ჩქარ-ჩქარა მომაყარა, ლოყაზე მაკოცა და გავარდა...

დივანზე დავეხეთქე... ჭირსაც წაუღია ყავა, თანაც თბილი... აღარაფერი მინდოდა ახლა... თან მიხაროდა, რომ წავიდა, თან მწყინდა. ამჯერადაც გადავრჩი... თუმცა ვიცი, დიდხანს არ გასტანს ასე და ძალიან მალე ყველაფერი მოხდება... მერე? რა იქნება მერე, როცა თავისას მიაღწევს? საკმარისია კი ჩემთვის მისი საყვარლობა? ან კი რამდენ ხანს ვიქნებით ერთად? ვინ იცის, რამდენი ჩემნაირი ჰყავს ან ჩემზე უკეთესი! ხომ ფაქტია, რომ ცოლად არ შემირთავს? მაგრამ... ვითომ რატომ არ შემირთავს? რა მჭირს დასაწუნი ამისთანა გოგოს? სულელივით ცარიელ კედლებს გავუღიმე. რაც იქნება, იქნება... ახლა ამის განსჯის დრო არ არის, სამსახური მელოდება!

ოფისში დიდი ფაციფუცი დამხვდა. ახალ შენობაში გადავდივართო, მითხრა დაცვის უფროსმა, რომლის სახელი ვერა და ვერ დავიმახსოვრე... მარიკა დერეფანში შემეჩეხა.

— ყველანი გადავდივართ? — არც მივესალმე.

— არა, ჯერ ის ინვენტარი გადააქვთ, რაც მუშაობას ხელს არ შეუშლის, დანარჩენი საღამოს.

— ჩვენი მიხმარება საჭირო არ იქნება?

— რას ამბობ! რა მიხმარება, მუშები დაიქირავეს... რას შვრები, როგორ ხარ?

— არა მიშავს, შენ?

— მე რა... დედაა ცუდად, წუხელ „სასწრაფო“ გამოვიძახეთ, საშინელი თავის ტკივილი ჰქონდა.

— რა დაემართა?

— შაკიკი აწუხებს და ხშირად აქვს შეტევები. დავიღალე, რა.

— რა ცუდია... — შემეცოდა.

— მგონი, ვიშოვე სამსახური.

— მართლა? სად?

— ნოტარიუსის თანაშემწედ.

— რას მელაპარაკები! მერე? მაგ საქმის რამე გაგეგება?

— როგორ არა, მე ხომ იურიდიული დავამთავრე.

— ვაუ! რომ არასდროს გითქვამს? — გულწრფელად გამიხარდა.

— გეგონა, მდივნობის მეტი არაფერი ვიცოდი? — გაეცინა.

— არა, ეგ არც მიფიქრია, მაგრამ იურისტი თუ იყავი, ვერ წარმოვიდგენდი.

— მააამ! როდის განახო ერთი გემრიელად? მომენატრა შენთან ჭორაობა.

— მეც მომენატრა, თან საქმე მაქვს შენთან. წამო, თუ გცალია, ყავა დავლიოთ.

— წამოვალ, სანამ საქმეს მომაყრიან.

ცოტა ავნერვიულდი, რადგან ვიმედოვნებდი, რომ მარიკასგან საჭირო ინფორმაციას გავიგებდი. თედო არ ჩანდა, ამიტომ ჩურჩულით ლაპარაკიც არ გვიწევდა.

— მარი, შენ მეტრეველის ყოფილ შეყვარებულზე რამე იცი? — შეფარვით დავიწყე და ქაფქაფა ყავა ისეთი დოზით მოვსვი, ყელი ჩამეწვა.

— ყოფილ შეყვარებულზე? არა, არაფერი, — თავი გადააქნია მარიკამ.

— ხათუნა ჰქვია... აბა, გაიხსენე.

— არაფერი ვიცი, ლოლა. არც არასდროს გამიგია. რა იყო, მოხდა რამე?

— არა, უბრალოდ, რაღაც მაინტერესებდა. მაგის მდივანს რა ერქვა, ბოლოს რომ ჰყავდა?

— ფიქრია... რა სისულელეა, მაგასთან არაფერი ჰქონია. არ მეტყვი, რა ხდება?

— ჯერ გავიგებ და მერე მოგიყვები. რაც არ ვიცი, რა გითხრა? — მაინც არ გავხსენი კარტები. — ნეტავ, ვის ეცოდინება? — ცალი თვალი მოვჭუტე და შევაცქერდი.

— ყველაზე ახლოს მასთან თედოა, დიდი ხნის მეგობრები არიან. მაგას ეცოდინება, მაგრამ როგორ გინდა, გაიგო?

— არა, თედოს ხომ არ ვკითხავ, რა სისულელეა... კარგი, დაივიწყე. ისე ვიკითხე, თორემ რა ჩემი საქმეა...

— შენ რაღაცას მიმალავ, გოგონი... — გამიცინა მარიკამ, — არა გაქვს სურვილი, გამენდო?

— გაგენდობი, როცა რაღაც-რაღაცებს გავარკვევ, ჯერ ადრეა, — თვალი ჩავუკარი.

ამ დროს კარი გაიღო და თედო გამოჩნდა. მარიკა აილეწა მის დანახვაზე.

— ხომ არავინ დამირეკა? — იკითხა და მხოლოდ მერე მოგვესალმა.

— არა, არავინ.

— ყავა! თანაც, სასწრაფოდ! — მიბრძანა და კაბინეტში შეიკეტა.

— მერე განახავ, წავედი, — სევდანარევი ხმით თქვა მარიმ და გავიდა.

ყავა რომ შევუტანე, თედო ვიღაცას ტელეფონზე ელაპარაკებოდა.

— ...ყველაფერი გამირკვიე და თუ ეგ საქმე გამოვიდა, „მადარიჩი“ ჩემზე იყოს, ძმაო! — კარგ ხასიათზე ჩანდა ჩემი „ნომერი ორი“ ბოსი.

დაველოდე, სანამ საუბარს მორჩებოდა.

— კიდევ ხომ არ გნებავთ რამე, შეფ? — გავუღიმე.

— ჰო, მნებავს, — უცებ დაღლილი ტონი დაიყენა.

სმენად ვიქეცი. გამომცდელად შემათვალიერა...

— წუხელ სახლში არ იყავი? — იმდენად არ ველოდი ასეთ შეკითხვას, ტანში ჭიანჭველებმა დამირბინეს, სიწითლემ ერთიანად ამკრა სახეზე, მაგრამ არ დავბნეულვარ.

— სახლში ვიყავი, — მზერა ჯიქურად გავუსწორე.

— აბა, ტელეფონთან რატომ არ მოხვედი, რეკვით რომ გავსკდი?

— სახლის ტელეფონს გულისხმობ? ხაზია დაზიანებული. მობილურზე უნდა დაგერეკა.

— გამორთული გქონდა.

— მართლა? არც შემიმჩნევია, ალბათ დამიჯდა.

— არც ნიკა ყოფილა წუხელ სახლში... — შემპარავად გააგრძელა.

— იმის მობილურიც გამორთული იყო? — საჩვენებელი თითი ყვრიმალზე ჩამოვისვი.

— არ ვიცი... მის მობილურზე არ მიცდია დარეკვა.

— რამე გადაუდებელი საქმე გქონდა? — ირონიას არ ვეშვებოდი.

— ჰო. მინდოდა, გამეფრთხილებინე, რომ დღეს ახალ ოფისში გადავდიოდით.

— ა!

— როგორ ჩაიარა შეხვედრამ?

— ნიკამ არ გითხრა? — ცალი წარბი მრავალმნიშვნელოვნად აზიდე.

— ჯერ არ მინახავს.

— ჰკითხე და გეტყვის. მას არ უთქვამს ჩემთვის, თედოს მოუყევიო, თუმცა არც ის უთქვამს, არ მოუყვეო... ამიტომ, ჯობია, თვითონ გითხრას... მაპატიე... კიდევ გინდოდა რამე?

— თავისუფალი ხარ... და დროზე დამიმთავრე გუშინდელი საქმე! — მკაცრად დააყოლა.

— საღამომდე ჩაგაბარებ, ნახევარზე მეტი გაკეთებულია, — ნაზად შევღიმე და კარისკენ საპატიო ყარაულში მდგომი ჯარისკაცივით ქუსლით შევტრიალდი, თან სახეზე ეშმაკური ღიმილი დამთამაშებდა, თუმცა თედო ამას ვერ ხედავდა...

საღამომდე თავაუღებლად ვიმუშავე. ქანცი გამწყდა, ველარ ვაზროვნებდი... საქმეს რომ მოვრჩი, მერელა დავაფიქსირე, რომ მთელი ნახევარი დღის განმავლობაში ნიკა ერთხელაც არ გამხსენებია... გამიკვირდა. როგორ შემიტყუა თურმე სამუშაომ. რატომ არ მირეკავს?

უკვე დღის ბოლო იყო. ხელშეკრულებები ფაილში ჩავდე და თედოს მაგიდაზე დავუდე. იგი შუადღისას გავიდა და მას შემდეგ არ დაბრუნებულა. საინტერესოა, ხვალ აქ უნდა მოვიდე თუ ახალ ოფისში? ვიღაცამ ხომ უნდა გამაფრთხილოს? ნეტავ, ჩვენ რომელ სართულზე ვიქნებით? ნიკასთან ახლოს თუ შორს? კითხვები არ მასვენებდა.



სამუშაო საათები უკვე მთავრდებოდა, რომ ჩემი მობილური ტელეფონის ეკრანი აინთო. უცხო ნომერი იყო. „აშკარად ნიკაა“, — კმაყოფილმა გავიფიქრე და მწვანე ღილაკს დავაწექი.

— გისმენთ.

— იმედია, ჩემს მშვენიერ ბიძაშვილს ველაპარაკები, — გაისმა მამაკაცის მხიარული ხმა, რომელიც მაშინვე ვიცანი.

— ნიკუშ! — საჭიროზე მეტად გამოვხატე სიხარული, რადგან ვერასდროს ვიფიქრებდი, „ნიკა ორი“ ოდესმე თავისი სურვილით თუ მომიკითხავდა.

— თქვენი მონა-მორჩილი, მადამ. რატომ დაგვივიწყე, ნათესავო?

— აუ. რა ვიცი, იმდენი საქმე მაქვს, ყველაფერი მავიწყდება, ძალიან ვიღლები. როგორ ხართ? რას შვრება მამაშენი... ქრისტინე...

— როგორ ვიქნებით შენგან დავიწყებული. რომელ საათზე ამთავრებ?

— შვიდზე, უკვე წასვლას ვაპირებდი.

— მოიცა, დამელოდე. გამოგივლი და სადმე ვივახშმოთ, არ გინდა?

— სიამოვნებით, მაგაზე როგორ გეტყვი უარს.

— კარგი, მოვდივარ, ათ წუთში მანდ ვარ, არ წახვიდე!

— დაგელოდები, ნიკ! ძალიან გამახარე! — ჩავძახე ტელეფონში და მოულოდნელად შევამჩნიე შემოსასვლელ კართან დარჭობილი თედო, რომელიც გამომცდელ მზერას არ მაშორებდა.

— დღესაც მნიშვნელოვან შეხვედრაზე მიგეჩქარებათ? — მის სარკაზმს საზღვარი არ ჰქონდა.

— არა, დღეს სავახშმოდ მიმეჩქარება, ოღონდ სხვა ნიკასთან ერთად.

— აჰააა. ეს ის არის? — დამცინავი იერით მაღლა აიშვირა საჩვენებელი თითი.

— ჰო, ის არის, — ნიშნის მოგებით ვუპასუხე და კომპიუტერი გამოვრთე, — ხელშეკრულებები მზადაა, მაგიდაზე დაგიტოვე.

— უკვე მიდიხარ?

— დიახ.

— ხვალ ხომ იცი, სადაც უნდა მოხვიდე?

— ახალ შენობაში ალბათ, არა?

— სწორად მიხვდი.

— რომელ სართულზე ვიქნებით?

— ნიკასთან ახლოს, — მრავლისმეტყველად აღნიშნა და კაბინეტს მიადგა, — ნახვამდის, ლოლა.

— ნახვამდის, თედო, — დავემშვიდობე და კარი მოიხურა თუ არა, ენა გამოვუყავი.

ნიკუშა ისეთი გამოწკეპილი მეახლა, თვალები დავაჭყიტე.

— რა სიმპათიური ხარ! რა იყო, ცოლი ხომ არ მოგყავს?

— ცოლი არა, ტოროლა. ჩემი მოსაწონი ქალი ჯერ არ დაბადებულა.

— არ გადამრიო! ვის ეძებ ამისთანას, მონიკა ბელუჩის?

— უკეთესს! — გაიხუმრა ნიკამ, გადამკოცნა და მანქანის კარი გამიღო.

— შენს მანქანას რას უპირებ?

— რომ მოვბრუნდებით, წავიყვან, რა პრობლემაა.

— მართალი ხარ!

სანამ ჩავჯდებოდი, უნებლიეთ მაღლა ავიხედე, თითქოს ვიღაცის მზერა ვიგრძენი... არ შევმცდარვარ, ფანჯარაში თედო გადმოყუდებულიყო და მზერავდა. ჩამეცინა.

— თუ გინდა, ჩვენთან წავიდეთ, — შემომთავაზა ნიკუშამ, როგორც კი ჯიპი დაძრა.

— რა ვიცი, დედაშენის მერიდება.

— ტყუილად გერიდება. იცი, როგორ მოსწონხარ? გუშინაც მკითხა, რატომ არ მოდის ლოლა, რამე ხომ არ ეწყინაო.

— რა სისულელეა, რა უნდა მწყენოდა. ყველამ ისე თბილად მიმიღეთ...

— გინდა, ბულაჩაურში წავიდეთ, მაგარი ხინკლები იციან.

— უფრო ახლოს არაფერია? თან ასე გვიან ხინკალი არცთუ სასარგებლოა, — დავიჭყანე, არ მინდოდა, სახლში დამგვიანებოდა, ვაითუ, ჩემს ნიკას ავცდენოდი.

— კარგი, ახლოს იყოს. მაშინ „პარიზში“ დაგპატიჟებ, მაგარ სალათებს ამზადებენ.

— ეგ მომწონს, „პარიზი“ არა მარტო პარიზშია არაჩვეულებრივი, — მეც გავმხიარულდი.

მიხაროდა, რომ დავახლოვდით. ნათესავების სიმწირეს ისედაც განვიცდიდი, ამიტომ ორმაგად სასიამოვნო იყო, ასეთ შორეულ ნათესავთან ასეთი ურთიერთობა რომ დავამყარე...

— ორი „ცეზარი“, თუ შეიძლება, — შეუკვეთა ნიკამ ოფიციანტს და გადმომხედა, — რა დავლიოთ? ლუდი? კარგი ლუდი, ცივი...

— იყოს კარგი ლუდი... ცივი, — გავიმეორე მისი სიტყვები და ორივეს გაგვეცინა.

სანამ სალათას მოიტანდნენ, ლუდი დავაგემოვნეთ.

— რას შვრება მეტრეველი, ხომ არ გაბრაზებს? — მკითხა მოულოდნელად.

მის ხსენებაზე გამაჟრჟოლა, უხერხულად ჩავახველე.

— ა-რაა, — კეკლუცად გავაქნიე თავი, — მართლა შენი მეგობარია? — მომენტი დავიჭირე.

— ჩემი ძმაა... მაგარი კაცია ძალიან.

— ხათუნას იცნობ? — უეცრად ჩემთვის საჭირო თემას გადავწვდი.

— ნიჟარაძეს? როგორ არა, ვიცნობ, მაგრამ ეგენი დიდი ხანია, დაშორდნენ.

— მართლა? — გაოცების ნიღაბი ავიფარე, — როგორც ვიცი, ძალიან უყვარდათ ერთმანეთი.

— ნიკას მართლა უყვარდა, მაგრამ ხათომ მაგრად მიქარა მასთან, ცუდად მოექცა.

— ამისთანა რა ჩაიდინა? — სუნთქვა შემეკრა, სმენად ვიქეცი.

— ფულს დახარბებული ქალების ამბავი არ იცი? გააგიჟა კაცი. გინდა თუ არა, ცოლად მომიყვანეო. ნიკას კი არ ეჩქარებოდა ოჯახის შექმნა, სად ეცალა ამისთვის. თანაც დედამისს არ მოსწონდა ხათუნა, „ბნელქალას“ ეძახდა, ნიკას შესაფერისი არ არისო. ცოტა „სვეტსკი“ სტილის დედა ჰყავს. არადა, იცი, რა პატივს სცემდა ნიკა? საჩუქრებს საჩუქრებზე უკეთებდა, დაბადების დღეზე მანქანის გასაღებიც კი ჩაახუტა. ერთხელაც ხათომ მოუხია, ორსულად ვარო. ამან მაინც შეიკავა თავი, ჯერ მაგისთვის მზად არ ვარ და ნუ გააჩენო. ისიც გაბრაზდა, დაამჯდა ამ ნაჩუქარ მანქანას და დააწვა... დააწვა და ვიღაცას შეეჯახა, კინაღამ დაიბრიდა, ყველა ნეკნი დამტვრეული ჰქონდა, ლავიწის ძვალი ჩანგრეული და რა ვიცი... ძლივს გადაარჩინეს. სწორედ მაშინ გაირკვა, რომ ორსულად არ ყოფი-

ლა, იტყუებოდა თურმე. ნიკამ ეს არ აპატია და მიატოვა. მერე იმან ვითომ თავის მოწამვლა სცადა, მერე ხათუნას ძმამ დაიწყო მუქარები და ვიღაცების მიგზავნა ნიკასთან და რა ვიცი... ერთი ამბავი იყო. მაინც არ შეურიგდა ჩვენი ნიკაკო, როგორც ქეთინო დეიდა ეძახის ხოლმე.

— ქეთინო დეიდა ვინ არის?

— ნიკას დედა. ძალიან ლამაზი ქალია. არც ვამტყუნებ, კარგი რძალი რომ უნდა. ვის არ უნდა კარგი რძალი? აბა, მამაჩემს ჰკითხე ახლა და დედაჩემს! გუშინ, არ გაინტერესებს, რას მეუბნება კრისტი? — მოდურად მოიხსენია „ნიკა ორმა“ დედამისი, — ლოლაზე ნაკლები ქალი არ დამანახვო, თორემ სახლში არ შემოგიშვებო. მართლა მაგრად მოსწონხარ. გეკითხები ახლა, საიდან მოვუყვანო შენზე არანაკლები?

— კარგი რა, ჩემზე უკეთესიც უამრავია, შენ მოინდომე და... — ვუთხარი, თან ერთი სული მქონდა, ხათუნას და ნიკას ურთიერთობის ამბავი გაეგრძელებინა, მაგრამ საუბარი ისე წარიმართა, არ გამოვიდა.

— არ დაიჯერო! კარგი ქალი რასაც ჰქვია, მე ჯერ არ შემხვედრია. შენ თუ იცნობ ვინმეს, ბაზარი არ არის, გამაცანი და დანარჩენი მე ვიცი.

— გაგაცნობ, რა პრობლემაა, — ღიმილი მომერია და მაშინვე მარიკა ამომიტივტივდა გონებაში, — თან ძალიან მაგარ გოგოს... იურისტია.

— აუჰ! იურისტი ქალი ქალად როგორ აღვიქვა?

— ვითომ რატომ? იურისტიც ქალია... ან შეუცვალე პროფესია... ოღონდ, აქედანვე გაფრთხილებ, მდიდარი არ არის.

— მაგის სიმდიდრეს რა თავში ვიხლი, მთავარია, შეგნებული იყოს და... ცოტა ლამაზი.

— ცოტა კი არა, ძალიან ლამაზია, მაღალი, შავგვრემანი, ბრიალა თვალებით... ჯიშიანი.

— მოიცა, მსუქანია?

— მსუქანი შენ ხარ! — სიცილი ამიტყდა.

— მე ვიცი, რომ მსუქანი ვარ, მაგრამ ცოლიც მსუქანი არ მინდა, გესმის? რა გვარია?

— ლოლაშვილი... მარიამი.

— ო! სახელი და გვარი კარგი ჰქონია... რამდენი წლისაა?

— მმმ... ოცდარვის, მგონი.

— ოოო! ორი წლით ჩემზე უფროსი ყოფილა...

— მერე რა? ახლა მოდაშია ქალსა და მამაკაცს შორის ეგეთი სხვაობა, — უდარდელად ვთქვი.

— ორი წელი დიდი არაფერია, მართალი ხარ...

— დედაჩემიც ორი წლით იყო უფროსი მამაჩემზე, — სასწრაფოდ მოვიძიე მაგალითი, თუმცა კი ვიცრუე.

— კარგი, მაგას „ვაპატიებ“. სხვა? კიდევ რას მეტყვი?

— არაჩვეულებრივი დიასახლისია...

— ეგ არ მაინტერესებს, მოსამსახურეების მეტი რა გვყავს, მაგაზე მოვაცდენ?

— მეტი რა გითხრა, გაგაცნობ და დანარჩენი თავად გაიგე.

— ქალიშვილია?

— აბა, რა! — შევიცხადე.

— ოცდარვა წლის ქალიშვილი კარგი რომ იყოს, აქამდე ვინ დატოვებდა? რაღაცას მაბოლებ, ბიძაშვილო! — ეჭვნარევი მზერით გამომხედა ნიკუშამ.

— როგორც გინდა, ძალას კი არ გატან. გაიცანი მაინც, შენი რა მიდის, იქნებ მოგეწონოს.

— ჰო, რა თქმა უნდა, ამას წინ რა უდგას.

— უცნაურები ხართ ეს მამაკაცები! ოცდარვა წლის და ქალიშვილი არ გაწყობთ, „ნაგულავები“ და ქარაფშუტები თუ გინდათ, რაღას წუწუნებთ, კარგი გოგოები აღარ არსებობენო? მაშინ მოჰკიდე ხელი ნებისმიერს და დაისვი სახლში! — რაჭველივით გვიან აღვშფოთდი.

— არა, ეგ არ მითქვამს... უბრალოდ, გამიკვირდა, ამ ასაკის რომ არის. ოცდარვა წლის კარგი ქალი ყველა გათხოვილია.

— იქნებ ჰქონდა მიზეზი, რომ არ გათხოვდა?

— კარგი, კარგი, თავს ნუ მესხმი, მიირთვი სალათა, თორემ დამრჩები მშიერი. ჯერ გამაცანი ის შენი მარიამი და დანარჩენი მერე ვნახოთ, — დამნებდა ნიკა და გემრიელად შეუდგა „ცეზარის“ ჭამას, რომელიც, როგორც იქნა, გვაღირსეს.

მეც მადის აღმძვრელად ვილუკმებოდი. თედოს გადამკიდე მთელი დღე არ მიჭამია, მუშაობაში ისე გადავერთე.

— როდის გამაცნობ? — ცოტა სული რომ მოვითქვით, ისევ დაიწყო ნიკამ.

— თუ გინდა, ახლავე, — ჩემი აღმოჩენით თვალები გამიბრწყინდა. ერთი დარტყმით ორ კურდღელს მოვკლავ, დედამისსაც ვინახულებ და ნიკასაც გავაცნობ.

— ახლავე?

— ჰო. მაინც უნდა მენახა ამ საღამოს. ავდგეთ და ერთად მივიდეთ.

— მივიდეთ, — მაშინვე დამთანხმდა.

— რაღაცას ვიყიდი და...

— მე ვკისრულობ და არ შემეწინააღმდეგო, იცოდე! — გააპროტესტა.

— კარგი, არ შეგეწინააღმდეგები, მაგრამ რომ არ მოგეწონოს, მერე არ მითხრა, რა ტყუილად მაყიდვინე რამერუმეებიო, — გამეცინა.

— არა გრცხვენია? ეგრე მიცნობ? — იწყინა ნიკუშამ.

— გეხუმრები, რა იყო, — დავუყვავე.

— მაშინ წავედით, ხომ?

— წავედით.

ნიკამ ფული გადაიხადა და გამოვედით. მარკეტში გავიარეთ, ხილი, წვენები და შოკოლადის ასორტი ვიყიდეთ და მარიკას ავადექით.

კარი მარიმ გაგვიღო.

— ვაი! რა ქარმა გადმოგაგდო, ხომ მშვიდობაა, ლოლა? — შეშფოთება შეეტყო, თან შეფარვით ნიკუშა შეათვალიერა.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**



დასაწყისი იხ გვ 64

მოვსწრებივარ, როგორც იქნა, თვალი გამომიჩიჩქნია და ახლა მღუპავთ, თქვე ულმერთოებო? აბა, ერთი თქვენ მითხარით, — ხომ არასდროს არ შემიწუხებიხართ? ჰოდა, ახლა გაწუხებთ, მითხარით, ხომ არაფერი მითხოვია? ჰოდა, ახლა გთხოვთ, — მომხედეთ, მიპატრონეთ, მომეხმარეთ, მადლია, თქვე ულმერთოებო. შემეწიეთ და საიქიოს მადლად წაგადგებათ. ცოდვა ვარ, კეთილებო! საწყალი ვარ, ძვირფასებო! ოო, თქვენ არ იცით, რა საწყალი ვარ, რა საბრალო ვარ და ნუ შეაჭმევთ ჩემს თავს ამ მაჭანკლებს! ნუ დაანებებთ, რომ მათ ეს ტკბილი სული პირში ასე ულვთოდ ამომხადონ. უთხარით, ბაბა, მაგ ჩემს შუამავლებს, ჩააგონეთ რამენაირად, რომ გლახაკი ვარ და საოჯახოდ არ ვვარგივარ, ბეჩავი ვარ და საცოლშვილოდ არ გამოვდგები. უთხარით მაგ ურჯულოებს, რომ ლენჩი ვარ, ბრიყვი ვარ, რაც გინდათ, ის უთხარით, ოღონდ მომაშორეთ, ოღონდ ნუ შემაწუხებენ, თორემ ამ წყალს ხომ ხედავთ? — ფეხს ვიშვერ და გადავვარდები. მერე რა, რომ ცურვა ვიცი, ხელს არ გავანძრევ და თავს ისე დავიხრჩობ, წუთისოფელს სამუდამოდ გამოვეთხოვები და მერე ჩემი ცოდვა თქვენ მოგეკითხოთ. რა იქნება, თქვე პატიოსნებო, იმით თქვენ რა დაგიშავდებათ, ერთხანს მეც რომ ვიცოცხლო? ძაღლი ყეფს ამ ქვეყანაზე, ჩიტი დაფრინავს ცაში, ჭია დაღოღავს ამ მიწაზე და თქვენ რა წაგიხდებათ, რომ მეც ვიყეფო ჩემთვის, ვიფრინო ჩემთვის, ვღოღავდე ამქვეყნად? — ვგმინავდი თავმოკატუნებული, ვწუწუნებდი თავმოსაწყლებული. ვფორთხავდი ბორნის იატაკზე მუხლისთავებით, მაგრამ ვფორთხავდი ისე, რომ შარვალი არ შემომხეოდა. ვკვნესოდი, ვოხრავდი და თან ცალი თვალით საქციელწამხდარი მაჭანკლისაკენ ჩუმ-ჩუმად ვიცქირებოდი, თვალყურს ვადევნებდი. გუნებაში მეცინებოდა, ის საცოდავი ეგეთ შავ დღეში რომ მყავდა ჩაყენებული, სასაცილოდ არ მყოფნიდა, საწყალი ანთიმოზი ჩოხის კალთით გამალებით რომ იწმენდდა შუბლზე ჭირის ოფლს.

მეზობლები მართლაც შედიოდნენ ჩემს მდგომარეობაში, აბეზარ მაჭანკალს საყვედურით ავსებდნენ:

— ახლაც აღარ ჩამოეხსნები, შე დალოცვილო! თავს აღარც ახლა გაანებებ? ხო ხედავ, რაც შვილია და ეშმაკს პირში შენით რას უძვრები?

— რა ვიცოდი, — კვნესოდა ფერდაკარგული მაჭანკალი, — რა ვიცოდი, თუ ასეთი ღვთის პირიდან გადავარდნილი ვინმე იყო, თვარა ახლოსაც არ გავეკარებოდი, მის სახელს რავა ვახსენებდი. რას მოვიფიქრებდი, ეგ წყეული თუ ასეთი ქრისტეს ფეხის მტკვრელი იქნებოდა, — და გაწბილებული, ჯაბუნაკნაჭამი შინისაკენ ისე გარბოდა, რომ უკან მოხედვისაც ეშინოდა. ■

# მხოლოდ მსუბუქი ფლირტი

მარი ჯაფარიძე

ზაფხულში სამსახურიდან გვიან დაბრუნება მიყვარს. ხშირად განგებ შემოვრჩები ხოლმე ოფისში, რომ მერე თბილისის ცარიელ ქუჩებში მანქანით ვიხეტიალო.

იმ დღეს პიჯაკი გავიხადე, ჰალსტუხიც მოვიხსენი და ჩემი ჯიპის საჭეს მივუჯექი. ძალიან კარგ განწყობილებაზე ვიყავი. მარცხენა ხელი გარეთ გავყავი, მარჯვენათი კი საჭეს ვმართავდი. თან მანქანის სალონში ბლუზის მოსმენით ვტკბებოდი. ხანდახან თვალს გამვლელს თუ მოვკრავდი. სწორედ იმ დროს ვგრძნობდი, რომ ქალაქის გარეუბანში ცხოვრება ძალიან მაგარია. თუ საცობი არ არის, სამსახურიდან შინ მისასვლელად 30-40 წუთი მჭირდება. თუ საცობია... არა, არა, ახლა საცობზე, სამსახურზე, დაუსრულებელ თათბირებზე ფიქრი არ შეიძლება. უნდა მოვეშვა და სიამოვნება მივიღო.

ის მეტროს წინ, გაჩერებაზე შევნიშნე. როგორც წესი, ასეთ შემთხვევაში ყურადღებას არ ვამახვილებ ხოლმე, რადგან ერთხელ ერთ მოკლეკაბიან გოგონას თვალი გავაყოლე და ლამის „მარშრუტკას“ შევეჩეხე. ახლა „მარშრუტკები“ უკვე აღარ დადიან, გაჩერებაზე კი ქერათმიანი გოგონა დგას, რომელსაც მხარზე ჩანთა აქვს გადაკიდებული, იღლიაში უზარმაზარი, ფუმფულა დათვი აქვს ამოჩრილი, თავისუფალი ხელით კი ტაქსის გაჩერებას ცდილობს. ჩემი ავტომობილი ტაქსის სულ არ ჰგავს, მაგრამ ძალიან მომინდა, რომ ეს გოგონა შინ მიმეყვანა. შესაძლოა, დიდმა სათამაშომ მოახდინა გავლენა ან მისმა ლამაზმა ფეხებმა. ანდა, სულაც კარგმა განწყობილებამ. ტროტუართან მკვეთრად დავამუხრუჭე და გოგონას გავხედე.

მანქანის სალონში ჯერ დათვმა „შემოყო“ თავი.

— გამარჯობა, ორთაჭალაში გამიყვანთ?

სასიამოვნო ხმა ჰქონდა, დაბალი ტემბრი, მაგრამ არა — ჩახლეჩილი.

ცოტა დავფიქრდი და დაღლილი ხმით (ჩვენ ხომ ყველანი მსახიობები ვართ) ვუთხარი:

— კარგი, გაგიყვანთ, — წინა სავარძლიდან ჩემი საქაღალდე ავიღე და უკანა სავარძელზე მოვისროლე. ვიდრე გოგონა სავარძელზე მოთავსდებოდა, მისი შეთვალიერება მოვასწარი. ლამაზი იყო, მოდურად ეცვა და არც თამბაქოს სუნი ასდიოდა. კარი მოხურა და ადგილიდან დავიძარით.

— დიდი მადლობა. ასეთ დროს, როგორც წესი, მანქანით მხვდებიან ხოლმე, მაგრამ დღეს რატომღაც უიღბლო დღე მქონდა. ამ დათვმაც გული გამიწყალა, — ამ სიტყვებით ის უკანა სავარძელზე გადადო, მე კი თვალი მისი ფეხებისკენ გავაპარე და დავრწმუნდი, რომ მართლაც უზადო ფეხები ჰქონდა. რადიოსიხშირე შევცვალე და ვცადე, ყურადღება მასზე გადამეტანა.

— მე ბლუზიც მომწონს, — გოგონა ჩემს ქმედებას გამოეხმაურა, — თუ გსურთ, დატოვეთ.

მდუმარედ გადავრთე რადიო ძველ სიხშირეზე და გავიფიქრე — „ნეტავ, კიდევ რა სურვილი გექნება? შენ თანამედროვე და საინტერესო გოგონა ხარ და რაღა თქმა უნდა, მიჩვეული ხარ, რომ ყველა შენი კაპრიზი ასრულდეს“.

— მე ანა მქვია, — გოგონა ჩემკენ სახით შემობრუნდა და ამ დროს მისი უძირო, მწვანე თვალები და გულწრფელი ღიმილი შევნიშნე, — თქვენ რა გქვიათ, თუ საიდუმლო არ არის?

— მათე, — ჩავიბურტყუნე.

ანა მიბრუნდა და ფანჯარაში გაიხედა. გავიფიქრე, რომ არც ისე ზრდილობიანად ვიქცეოდი. გონებაში ათასი კითხვა დამებადა, მაგრამ ერთიმეორეზე სულელური. ამინდი, ფეხბურთი, ავტომობილები, კომპიუტერული თამაშები... მაგრამ რაღაც ხომ უნდა მეთქვა? აბა, ასე უბრად ხომ არ ვისხდებოდით, როგორც გამომძიებელი და დასაკითხად მოყვანილი დამნაშავე? გონება მოვიკრიბე და ამოვთქვი:

— ანა, მუშაობთ თუ სწავლობთ?

გოგონამ თავი ნელა მოაბრუნა.

— ეს მართლა გაინტერესებთ თუ უბრალოდ, ჩემთან საუბრის დაწყება გინდათ?

სახეზე წამოვწითლდი და უმისამართოდ შევუკურთხე ვიღაცას გულში.

— თუ სიმართლე გინდა, ამაზე ჭკვიანური კითხვა ვერ მოვიფიქრე, — გულწრფელობა ვამჯობინე.

— სამუხრუჭე ხუნდები დიდი ხანია, არ შეგიცვლიათ? — მის ხმაში ირონიის ნასახიც არ იგრძნობოდა.

მდაა... საინტერესო საუბარი გამოგვდიოდა, გულითადიც კი...

— კარგი, მაპატიე... სინამდვილეში მაინტერესებს, საიდან მოდიხარ ასე გვიან, ამხელა დათვით? — ჩემს მეგზურს თვალი ვერ მოვწყვიტე და ლამის გზაჯვარედინი „წითელზე“ გავიარე.

— შესაძლოა, სამსახურიდან, — მიპასუხა ანამ.

— აჰა, გასაგებია, დათვი კი იმისთვის გინდათ, რომ ყაჩაღებისა და ხულიგნებისგან თავი დაიცვათ.

— ან მომაბეზრებელი თაყვანისმცემლებისგან, — მხიარულად განაგრძო ანამ და ქვედაბოლო გაისწორა, — დღეს რაღაც, სულელური დღე მქონდა და იმიტომაც აღმოვჩნდი აქ... ცხოვრებაში ყველაფრის წინასწარ გათვლა არ შეიძლება. მაგალითად, გუშინ ავტომობილი გარეცხეთ, საღამოს კი იწვიმა და თქვენი შავი, გაპრიალებული ჯიპი კვლავ გასარეცხი გახდა. ფული ქარს გაატანეთ, ასეა არა?

აი, ესეც სასწაული! ჩაისვი შემთხვევითი გამვლელი მანქანაში და აღმოჩნდება, რომ ნამდვილი შერლოკ ჰოლმსია, ოღონდ — კაბიანი.

— რამდენიმე დღის წინ გატეხილი სარკის შესახებ რას მეტყვი? — ხმაში გაღიზიანება დამეტყო. არ მიყვარს, როცა ჩემ გარშემო გაურკვეველი თამაში მიმდინარეობს.

— კარგი, ალბათ რაღაც გაწყენინეთ, — ანამ ტუჩები გაბერა.

ნამდვილი სულელი ვარ, ეს რა ჩვევა მაქვს? ჯერ არ გავრკვეულვარ, რა ხდება და უკვე საქმის გარჩევას ვიწყებ. სამსახურშიც, დღეს მდივანს ტყუილად ვუყვირე. მართალია, ახალგაზრდა უფროსი ვარ და სულ ერთი თვეა, რაც საპასუხისმგებლო თანამდებობაზე დამნიშნეს, მაგრამ თავის გაკონტროლებას ვერ ვახერხებ. თანაც, როცა ცოლს მოვიყვან, ეს მაშინაც გამომადგება. როგორც ამბობენ, ოჯახურ სიტუაციაშიც აუცილებელია, საკუთარი თავის კონტროლი. იქნებ პირზე სკოჩი გადავიკრა და ყველას მხოლოდ მიმიკით ვეკონტაქტო?

— ანა, უბრალოდ, არ მიყვარს, როცა უცხო ადამიანი ჩემი ცხოვრების წვრილმანი ამბების შესახებ მიყვება, რადგან არ ვიცი, საიდან აქვს ეს ინფორმაცია, — ჩემს ხმას კვლავ სიმშვიდე დაუბრუნდა.

კარგა ხანს ჩუმად ვიარეთ, მერე ეს უხერხული სიჩუმე კვლავ ანამ დაარღვია.

— იცით, გატეხილი სარკეების შესახებაც შემიძლია, რაღაც გითხრათ. უფრო სწორად, ერთი სარკის შესახებ, მაგრამ ისევ გაგაღიზიანებთ, — გოგონამ ჩანთა გახსნა და იქ რაღაცას დაუწყო ძებნა.

ესეც ახალი ამბავი! გონება დავძაბე და შევეცადე, ყველა იმ ინფორმაციისთვის მომეყარა თავი, რაც ჩემს მანქანას შეეხებოდა. თურმე, სარკის შესახებაც ჰქონია ინფორმაცია, რომელიც რამდენიმე დღის წინ გავტეხე და მერე შევცვალე. საინტერესოა, საიდან უნდა იცოდეს?

— ხომ არ გავაჩერო მანქანა? იქნებ ყველაფერი ამიხსნათ? — ყურადღებით დავაკვირდი ჩემს იდუმალებით მოცულ თანამგზავრს, მაგრამ მისთვის არც შიში და არც მღელვარება არ შემინიშნავს.

— მათე, თქვენს ადგილზე ამას არ გავაკეთებდი, — თვალებში შემომხედა, — აქ გაჩერება არ შეიძლება, ხედავთ, საგზაო ნიშანს?

— მაშინ... — დავიწყე მე.

— ნუ ღელავთ, არავინ გითვალთვალებთ, — ანამ გამიღიმა და ჩანთა დაკეტა, — ღელვის მიზეზი არ გაქვთ.

ხმამაღლა გავიცინე. მართლაც, მიზეზი არ მქონდა, თუ ერთ უმნიშვნელო დეტალს არ ჩავთვლიდით.

— რა თქმა უნდა, სიბნელეში შენიშნეთ, რომ მარცხენა სარკე ოდნავ მუქი შეფერილობისაა და დაასკვენით, რომ მხოლოდ ერთი სარკეა გამოცვლილი. ქალბატონო, იქნებ სამუხრუჭე ხუნდების გამოცვლის თარიღიც გამოიცნოთ და რამე მომიყვეთ მის შესახებ?

— თუ სურვილი გაქვთ, რატომაც არა? — მის ხმას ოფიციალური ტონი მიეცა. — მხოლოდ ხუნდების შესახებ კი არა, „პედლების“, საჭის გარემონტებული მექანიზმისა და სულ ახლახან შეღებილი, წინა „ბამპერის“ შესახებაც მოგიყვებით.

დავდუმდი და ფიქრებში წავედი. აქ რაღაც ხდება, მაგრამ — რა? ვერაფერი გავეგო.

ეს ან მეგობრების მიერ მოწყობილი სულელური გათამაშებაა, ან ვინმეს ხუმრობა. აბა, მათე, ახლა გონება მოიკრიბე და ცანცარა კაცივით არ მოიქცე. ორივე ხელით საჭეს ჩავეჭიდე და ვცადე, საკუთარ ფიქრებს ჩავღრმავებოდი.

— მაშ ასე, — ჩემს ხმას არავითარი ემოცია არ ეტყობოდა, — ორი აზრი არ არსებობს, რომ ძალიან ლამაზი და მიმზიდველი გოგონა ხართ და რაც ყველაზე სასიამოვნოა, თქვენთან ურთიერთობა ძალზე საინტერესოა. ჭკუა და სილამაზე ერთადაა თავმოყრილი, — მზერა მის კისერს ჩავაყოლე და თვალი ბლუზის შეხსნილ, ზედა ორ ღილზე შევაჩერე. წამით სურვილი გამიჩნდა, დანარჩენი ღილებიც გამეხსნა და მისი შიშველი სხეული დამენახა, — არ ვიცი, ახლა რა თამაშს თამაშობ...

— არავითარი თამაში, — მხოლოდ სპორტი! — მხიარულად დაასრულა ჩემი ფრაზა.

— სპორტი? — დავიბენი.

— არ მიყვარს „ნაიკი“.

— მე კი თევზები არ მიყვარს.

— მე ბრიტნი სპირსი!

— მე კი რიკი მარტინი მეზიზღება!

— საშინლად მაღიზიანებენ ჩვენი მომღერლები!

— მე კი ქალაქური სიმღერები მეზიზღება.

ვცადე, გამეხსენებინა, კიდევ რა არ მიყვარდა, რომ ეს უეცრად წამოწყებული თამაში გამეგრძელებინა. ჰაერი ღრმად ჩავისუნთქე და ხმამაღლა წარმოვთქვი:

— შემოდგომა მეზიზღება.

— მე — ზამთარი! — მხიარულად მიპასუხა და ხელისგული მუხლზე დაირტყა.

— დილაობით ჭურჭლის რეცხვა! — ერთად ვთქვით ეს ფრაზა, ერთმანეთს გაკვირვებით გადავხედეთ და ავხარხარდით. მთელი ხმით ვიცინოდით, ცრემლებით, ისტერიკულად. ახლა პატრულს რომ დავენახეთ, იფიქრებდა, რომ დაბოლილები არიანო.

— მაგრად ვიცინეთ, არა? — ვთქვი მას შემდეგ, რაც სული მოვითქვით.

— ჰო, ჭურჭლის რეცხვაზე ნათქვამი მეც მომეწონა. იმდენი ვიცინე, რომ მგონი, წამწამებიდან ტუში ჩამომერეცხა. თქვენ კი ამბობდით, სამუხრუჭე ხუნდებიო...

— ისე, სიმართლე რომ ვთქვა, — ადრე წამოწყებულ საუბარს მივუბრუნდი, მაგრამ გაცილებით შემრიგებლური და მეგობრული ტონით, — ძალიან მაინტერესებს, როგორ გაიგეთ ჩემი ავტომობილის შესახებ ყველაფერი?

— ჯილდო იქნება?

— თუ საკითხს ისე მიუდგებით, როგორც ჭეშმარიტი რომანტიკოსი, გპირდებით...

— ნუთუ ხელს მთხოვთ? — გამაწყვეტინა ანამ და ხელი გულზე მიიდო.

— გპირდებით, რომ საკმაოდ პრესტიჟულ რესტორანში, ვახშმად დაგპატიჟებთ. როგორ უყურებთ ჩინურ სამზარეულოს?

— კარგად ვუყურებ, მაგრამ ყურებას ჭამა მირჩევნია.

— კარგი იუმორი გაქვთ.

— არც თქვენ უჩივით იუმორის გრძნობას.

— მაშ, მოვილაპარაკეთ?

— არა, ჯერ არ გადამიწყვეტია, — აშკარად მოსწონდა ჩემი წამება, — ყველაფერი ერთბაშად მოგიყვეთ თუ ნაწილნაწილ?

— ერთბაშად ჯობია, — ნამდვილი, მამაკაცური პასუხი გავეცი, — ეს ხუმრობაა, ხომ? — ანა ცოტა ხანს გაჩუმდა. თითქოს ჩემს ნათქვამს წონიდა.

— არა, არავითარი ხუმრობა არაა. თქვენ ხომ თვითონ მომიყევით ყველაფერი, მე კი მხოლოდ თქვენს ნათქვამს ვიმეორებ. მადლობელი ვარ, რომ სახლამდე მომიყვანეთ, მაგრამ ვწუხვარ, რომ ცუდი მეხსიერება გაქვთ.

— ცუდი მეხსიერება თქვენს მამაკაცს აქვს, რომელმაც ასე გვიან ქუჩაში დაგტოვათ, — მკაცრად (და არც ისე ჭკვიანურად) ვუპასუხე, — მე კი მეხსიერებას ჯერ არ ვუჩივი. თქვენნაირი გოგონა არასოდეს დამავიწყდებოდა.

— ახლა კიდევ რამდენიმე წუთი გაქვთ, რომ კარგად დამაკვირდეთ და დამიმახსოვროთ, — მომეჩვენა, რომ ანა გამინაწყენდა, — უკვე მოვედით. აქ გამიჩერეთ, თუ შეიძლება.



გუნებაში კიდევ ერთხელ შევუკურთხე ვიღაცას, უმისამართოდ. რა მალე მოვედით... და აი, ყველაფერი დამთავრდა... ის ახლა კიდევ ერთხელ გადამიხდის მადლობას, მანქანიდან გადავა და გამოცანის წინ დავრჩები. ამ გამოცანაზე პასუხს კი ჯერ ვერ ვპოულობდი.

— მათე, დიდი მადლობა, — მისი ხმა განაჩენივით გაისმა, — ფულს არ გთავაზობთ, მაინც არ აიღებთ.

— ანა, მე... ჩემს... — არც ერთი საჭირო ფრაზა არ ამომიტივტივდა გონებაში, — მაპატიეთ, რაც თქვენს საყვარელ მამაკაცზე გითხარით. შესაძლოა, მართლაც შევხვედრივართ ერთმანეთს, მაგრამ რატომღაც ვერ ვიხსენებ.

— მე კი მახსოვს, — მანქანა ტროტუართან გავაჩერე თუ არა, ანა კარის სახელურს ჩაეჭიდა, — და რატომ გგონიათ, რომ ჩემთვის აუცილებლად მამაკაცს უნდა მოეკითხა? ნუთუ სხვა ვარიანტი არ არსებობს? კიდევ ერთხელ დიდი მადლობა და კარგად ბრძანდებოდეთ.

ანა მანქანიდან გადავიდა, კარი მოხურა და მაღალსართულიანი კორპუსის ეზოში ჩქარი ნაბიჯით შევიდა.

რამდენიმე წამის შემდეგ მისი სილუეტი ღამის სიბნელეს შეერია და გაქრა. მე კი ჩემს ფიქრებთან მარტო დავრჩი. რა მაგარი საღამო გამოვიდა?! მართლაც არასოდეს იცი წინასწარ, სად იპოვი და დაკარგავ... მუსიკა ჩავრთე და მანქანა დავძარი.

სასწაულები არ ხდება, არც ზღაპრების მჯერა, მეხსიერებაც კარგი მაქვს. ანასნაირი გოგონა არასოდეს დამავიწყდებოდა. ახლა ვფიქრობდი, რომ მისი ხმა ძალიან მეცნობოდა. თუმცა, მხოლოდ ხმა კი არა, ლაპარაკის მანერა და სიცილი... მაგრამ სად იმალება ამ გამოცანის პასუხი?

როდესაც ჩემს ეზოში მივედი, მანქანა გავაჩერე. უკანა კარი გამოვაღე, საქაღალდე რომ ამეღო და მხოლოდ მაშინ შევნიშნე, რომ ანას მანქანაში დათვი დარჩენოდა. სწორედ ამ დათვის დამსახურება იყო, რომ გაჩერებაზე ანა შევნიშნე. ნამდვილი იდიოტი ვარ. ისე გავაბრაზე, რომ დათვიც კი დარჩა ჩემთან. თუმცა, რატომ ვარ იდიოტი? ახლა მიზეზი მაქვს, რომ ანა მოვძებნო. დათვს დავუბრუნებ და რესტორანში დავპატიჟებ. შესანიშნავი აზრია...

დათვს დავწვდი, იღლიაში ამოვიჩარე და შინ ავათრიე. სინათლეზე შევნიშნე, რომ მას თათზე კონვერტი ჰქონდა მიმაგრებული, რომელზეც ეწერა: „მათეს“. წერილი გავხსენი. აღმოჩნდა, რომ ანა იმ ფირმის საფინანსო განყოფილებაში მუშაობს, სადაც ჩემს მანქანას ვარემონტებ ხოლმე. 2 კვირის წინ, როდესაც ჩემი ჯიპი გავარემონტე და სალაროსთან მივედი ფულის გადასახდელად, თურმე, მოლარის მოვალეობას ანა ასრულებდა, რადგან მოლარე ავად იყო. მაშინ მის სახეს არ დავკვირვებივარ. სამაგიეროდ, ხმა დამამახსოვრდა. ვიდრე ფულს გადავთვლიდი და საჭირო საბუთებზე ხელს მოვაწერდი, ერთმანეთს რამდენიმე წინადადება ვუთხარით. გამახსენდა, რომ ვუთხარი, შინაგანად ნამდვილი რომანტიკოსი ვარ, მაგრამ ქუჩაში მდგარ გოგონებს მანქანას არ ვუჩერებმეთქი. მან გაიცინა და მითხრა — თუ ნამდვილ სიყვარულს შეხვდები, გულგრილად ვერ ჩაუვლიო. მის სიტყვებზე გავიცინე, მადლობა გადავუხადე და წამოვედი. ეს უბრალო, მსუბუქი ფლირტი იყო და მეტი არაფერი. გავიცინეთ და დავივიწყეთ. თუმცა, მხოლოდ მე დავივიწყე, მან კი გადაწყვიტა, შეემოწმებინა, რამდენად გულწრფელი ვიყავი, როცა ამ სიტყვებს ვამბობდი. „შენი მარშრუტისა და სამსახურიდან დაბრუნების გრაფიკის დადგენა არ გამჭირვებია... ეს დათვი კი მშვენიერი საბაბია, კიდევ ერთხელ შესახვედრად და მე წინააღმდეგი არ ვიქნები, თუ კიდევ ერთხელ მიმაცილებ შინ. ანა“. ასე მთავრდებოდა წერილი. უფრო სწორად, ბოლოში მისი მობილური ტელეფონის ნომერი იყო მიწერილი. ახლა უკვე ზუსტად ვიცოდი, რა უნდა გამეკეთებინა. ახლავე დავურეკავ და ვეტყვი, რომ ამის მერე აღარასოდეს მოუწევს გაჩერებაზე მარტო დგომა, რადგან შინ ყოველდღე მე მივიყვან! ■

# გამართლებული და გაუმართლებელი რისკი

_მარი ჯაფარიძე_

**მკითხველს მივესალმები. როგორ ხართ? ხომ არ შეგიპყროთ შემოდგომის დეპრესიამ? მეც არ მიყვარს წელიწადის ეს დრო, მაგრამ იმ იმედით ვცხოვრობ ხოლმე, რომ შემოდგომას ზამთარი მოჰყვება, ზამთარს გაზაფხული — ჩემი ყველაზე საყვარელი პერიოდი და ზაფხული — უსაყვარლესი და უმხიარულესი დრო... მაშ ასე, ყურებს ნუ ჩამოყრით და ცხვირს ნუ ჩამოუშვებთ! გაუმარჯოს შემოდგომას, რომელსაც მალე (ზამთრის შემდეგ) ჩვენი საყვარელი დრო მოჰყვება! გაზაფხულამდე დარჩენილი დრო კი თქვენი მესიჯების კითხვაში გავატაროთ.**



## დამთმობი

„მარ, პირველად გწერ, არადა, შენი ერთგული მკითხველი ვარ. „გაუმართლებელი რისკი“, ხომ? ან გამართლებული... მაგაზე რა გითხრა, მაგრამ მე ვერ გავრისკე საერთოდ... ეკა ჩემს კლასში რომ გადმოვიდა, პირველ დღესვე გავუგეთ ერთმანეთს. არ ვიცი, გჯერათ თუ არა, მაგრამ რომ დავინახე, ვიგრძენი, რომ რაც სიცარიელე მქონდა გულში, შემევსო. მერე ისე განვითარდა მოვლენები, რომ მე დამასწრეს გრძნობის ახსნა და იმანაც თანხმობა უთხრა... ვთქვი, ალბათ ის ჩემი არ არის-მეთქი და შევეშვი. გავიდა დრო, მე და მისი ძმა, როგორც იტყვიან, „ჩავსასტავდით“. ამის შემდეგ, ერთ ბრწყინვალე, აღდგომა დღეს ეკას ვათქმევინე მისი გულის დარდი, თან — ძლივს და იცით, რა მითხრა? მე გადმოვედი თუ არა შენს კლასში, მაშინვე შემიყვარდიო და მეც მიფეთქა გულში ჩაკლულმა გრძნობამ, მაგრამ ახლა მე და მისი ძმა ძმაკაცები ვიყავით. ავუხსენი, რომ ჩვენ ერთად ვერ ვიქნებოდით. მაგ სიტყვების მერე იყო ბევრი ცრემლი. სიყვარულის გამო, გინდ გამკიცხეთ, გინდ — არა, დავთმე „ქუჩური გაგება“ და ჩვენ შეყვარებულები გავხდით. იყო ბევრი ლამაზი დღე, წუთი, წამი, ჩვენ ერთმანეთით ვხარობდით, მაგრამ დაგვაშორეს. ამასაც ვაღიარებ, რომ მე შემეძლო მათ შევწინააღმდეგებოდი, მაგრამ ძმაკაცებს წინ არ აღვუდექი და ჩემი ერ-

თადერთი სიყვარული დავკარგე... ანუ მე ვერ გავრისკე და სიხარული ამა და იმ წუთისოფლისა ვერ მოვიპოვე. ახლა დავდივარ ეული, გზაარეული, გრძნობის გარეშე, ვით ერთი სამგზის საწყალობელი, მთვარეული... მარ, დამიბეჭდე თუ მოგეწონა, ეს ნაწილია, მას გაგრძელებაც აქვს. მიყვარხარ. თბილელი გიჟი“.

## ხერხი სჯობია, ღონესა

„რისკზე წასვლა ჩემი ერთგვარი ჰობია, შეიძლება ითქვას. იმდენჯერ გამირისკავს, მერე როცა ვუფიქრდები ხოლმე, საკუთარი თავის მეშინია. ერთ ამბავს გავიხსენებ: უნივერსიტეტში, როცა ჯერ კიდევ პირველი კურსის სტუდენტი ვიყავი და ახალი გარემოს შეთვისება-შესისხლხორცებით ვიყავი დაკავებული, უცაბედად ე.წ. „შუალედურების“ ქარტეხილი დამატყდა თავს. ერთდროულად ათ და მეტ საგანში, სემესტრში 2-ჯერ, სადირექციო წერა ძალიან დამღლელი და ნერვების მომშლელიცაა. ჰოდა, იმის თქმა მსურს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ყოველთვის კარგად ვსწავლობდი, გადამღლელმა რეჟიმმა ჩემზეც იმოქმედა და ერთ-ერთი „შუალედურის“ დროს ყველა საკითხი არ მისწავლია, ისე გამოვცხადდი უნივერსიტეტში. მისვლა რომ დამაგვიანდა, ეგ არაფერი, მაგრამ იმ ამბავმა კი ნამდვილად გამაოცა, ერთი ლექტორის მაგივრად სამი რომ უნდა დაგვსწრებოდა იმ მიზეზით, რომ წერა დიდ აუდიტორიაში ტარდებოდა და რაიმე არ იეშმაკოთო. არადა, ჩვენი ლექტორი უდრიდა მარტო სამ ადამიანს, ვის რა უნდა გვეეშმაკა, ნეტავ? დაიწყო წერა, დაგვყვეს სამ რიგად და გამოგვიცხადეს საკითხები. აქ უკვე ნამდვილი დარტყმა მივიღე — მაინცდამაინც ის საკითხი შემხვდა, რაც არ ვისწავლე. ჩემნაირ მდგომარეობაში ნახევარი აუდიტორია რომ იყო, ამაში მაშინვე დავრწმუნდი, რადგან ზოგმა უხმოდ, ზოგმა კი ხმაურითა და აღშფოთებით, მაგრამ რაც მთავარია, მაშინვე დატოვა აუდიტორია. მე კი ადგილიდანაც არ დავძრულვარ. რაც იქნება, იქნება, უნდა გავრისკო-მეთქი. საქმე კი შემდეგში მდგომარეობდა: გამოგვიცხადეს, რომ ყველას ჩვენი რიგის ნომერი უნდა მიგვეთითებინა ფურცლებზე, ლექტორი კი ჩამოივლიდა და შეამოწმებდა. მე პირველი რიგის საკითხები უნდა დამეწერა. დავაწერე კიდეც ჩემს ფურცლებს რომაული პირველი, წერით კი მესამე რიგის საკითხების წერას შევუდექი. გულის ბაგა-ბუგით ველოდი, როდის მოვიდოდა ჩემი „აღსასრული“. ლექტორმა კი მხოლოდ რიგს დახედა და რადგან რიგი სწორად მქონდა მითითებული, ჩათვალა, რომ საკითხებსაც შესაბამისი რიგისას ვწერდი და გამეცალა. ამოვისუნთქე თუ არა, დავიწყე წერა, მაგრამ რა დავიწყე... ამ გადარჩენილ-გახარებულ-აღტაცებულმა ერთ საათში ხუთი თაბახის ფურცელი გავავსე ლამის. ბოლოს, როცა მოვრჩი წერას, ჩემს რომაულ ერთიანს ფურცელზე კიდევ ორი ხაზიც მივუწერე (მე ხომ მესამე რიგის საკითხები ვწერე), ნაშრომი ჩავაბარე და ბედნიერი სახით დავტოვე აუდიტორია, მაგრამ კიდევ უფრო ბედნიერი მაშინ ვიყავი, როცა ქულები გამოგვიცხადეს და უმაღლესი ქულით აღმოვჩნდი შეფასებული. ჩემს შემთხვევაში რისკმა ნამდვილად გაამართლა, თან რა საყვარლაააად?! :) JERRY“.

## ვუყვარვარ? არ ვუყვარვარ?

„მინდა, ჩემს გარისკვაზე მოგიყვეთ. შეყვარებული მყავდა, 4 წელი ერთად ვიყავით, ძალიან ბედნიერად ვგრძნობდით თავს. ბოლოს, ჩემ მიმართ გაცივდა, ისე ხშირად აღარ მნახულობდა და აღარ მეკონტაქტებოდა. მეგობრები მეუბნებოდნენ, დარწმუნებულია იმაში, რომ ძალიან გიყვარს, სხვისკენ არ გაიხედავ, ამიტომაც იქცევა ასეო. მიუხედავად იმისა, რომ მის გარეშე არ შემეძლო და დღე არ გავიდოდა, არ დამერეკა და მისი ხმა არ გამეგო, გადავწყვიტე, გამერისკა და გამერკვია, მართლა ვუყვარდი თუ არა. სოფელში წაველი ისე, რომ მისთვის არაფერი მითქვამს და ყველას ავუკრძალე ჩემი ადგილსამყოფელის გამხელა. ტელეფონი გავთიშე და წავიდა ლოდინი და გულის ხეთქვა. დღეში მგონი ერთ ფლაკონ ვალერიანს ვსვამდი და 4 თვის შემდეგ მიპოვა... მისი ქცევით მივხვდი, რომ მართლა ვუყვარვარ. მივხვდი, რომ ადამიანს თუ უყვარხარ, რა დროც არ უნდა გავიდეს, მაინც შენთან დაბრუნდება. ჩემმა რისკმა მგონი გაამართლა... პაწუკა“.




## ცოლიანი

„მიყვარდა და ვუყვარდი, მაგრამ მე არ ვეუბნებოდი. ბავშვი ვიყავი და მრჩეველიც არ მყავდა. ძალიან ბედნიერები ვიყავით, მიუხედავად ყველაფრისა, მაგრამ ერთ დღესაც დაოჯახება მთხოვა. მაშინ დამთავრდა ყველა ოცნება ჩემთვის, რადგან მე სწავლა და უმაღლესში ჩაბარება მინდოდა. აქედან გამომდინარე, დავშორდით და გულიც ჩაკვდა, მაგრამ ჯოჯოხეთი მას შემდეგ დაიწყო, რაც მან მალევე, ჩემს გასამწარებლად, ცოლი შეირთო, მაგრამ თვითონ უფრო გაიმწარა, უსიყვარულოდ. მე მირეკავდა და სიყვარულს მეფიცებოდა, როცა ცოლის გვერდით უნდა სძინებოდა. ჩემთვის ეს ყველაფერი ძალიან რთული იყო და საკმარისად ვისჯები. სიყვარული ვერა და ვერ ვპოვე. სწავლით კი ჩავაბარე, დავამთავრე კიდეც უნივერსიტეტი და ვარ ასე მარტო. მისმა ოჯახმა, როგორც გავიგე, ვერ გაამართლა. ცოლს ცუდად ექცეოდა და თურმე ის გოგო ჩემზეც ეჭვიანობდა, მაგრამ მისი ქმარი მაშინ არ დამელოდა და ვერ გამიგო, როცა საჭირო იყო და მერე ცოლიანი რაღად მინდოდა? მარიამი“.

## გაცნობის ადგილი უცნობია

„ინტერნეტსიყვარული ჩემთვის წარმოუდგენელი იყო, მაგრამ ერთხელაც, „სკაიპში“ გავიცანი ერთი უკეთილშობილესი ადამიანი. შემდეგ დავახლოვდით, ვსაუბრობდით დიდხანს და ვკმაყოფილდებოდით, მაგრამ ბევრი რომ აღარ დავწვრილმანდე, თითოეული წუთი და წამი იყო მოთმენისა და ერთმანეთის გაცნობის სურვილით სავსე. დღეს უკვე შეყვარებულები ვართ და მზად ვართ, ჩვენი კარგად გაცნობის შემდეგ ოჯახი შევქმნათ. ამ ამბავს არავის ვუმხელთ. უბრალოდ, ვინც გვეკითხება, ყველას ვუმალავთ და გვრცხვენია, რომ ასე გავიცანით ერთმანეთი. არადა, ჩვენ ბედნიერები ვართ. ახალი წევრი, განგაშა. მომწონს თქვენი ჟურნალი. გაიხარეთ“.

## „მამალი“ მაკა

„ბევრ ოჯახში მინახავს ქაოსი და დაკა-დაკა, მაგრამ მაკას ოჯახთან ვერც ერთი ვერ მოვა. თავად მაკა, ერთი გაჩხინკული, აყლაყუდა და გრძელსახიანი ქალბატონი გახლავთ, მაგრამ ისეთია, ეს ერთი შეხედვით უსუსური არსება, რომ ზამთარში თოვლს არ გასესხებს და გაჭირვების დროს წყალს არ დაგალევინებს. არც ქმარია, ცოლზე ნაკლები... ისიც ასეთი მომჭირნე გახლავთ. ერთმანეთთან ურთიერთობაშიც, ძაღლი და კატასავით არიან. ზოგჯერ მაკა კატასთან ერთად ძაღლიც ხდება და ამ დროს მახოც შეშინებულ თაგვს ემსგავსება. მათ ოჯახში, ქალიც მაკაა და კაციც. ნერვებმა რომ უმტყუნა, ჯერ დედამთილი მოისროლა სახლიდან, მერე შინაბერად დარჩენილი მული და ბოლოს — ქმარიც თან მიაყოლა, მაინც ვერ ძლებთ ურთმანეთოდო. ამ ამბავმა ხალხში დიდი გაოცება გამოიწვია. თავად მაკა კი თავის სამ, ბედოვლათ შვილთან ერთად, კრუხივით გადაეფოფრა ქმრის სახლს და მისი შიშით ეზოში ჩიტიც ვერ შეფრინდება. ცოტა ხანში მახო მიდგამოდგა და ძმაკაცთან ერთად პატარა, მაგრამ დიდშემოსავლიანი ბიზნესი დაატრიალა. მაკა დატკბა. აქეთ-იქით უხეიროდ მოსიარულე დედამთილს, სახლის ქვემოთა სართულზე ერთი „დასირისტებული“ ოთახი გამოუყო. ქმარიც მალე დაიბრუნა, შვილების მეშვეობით ნელ-ნელა გამოსძალა ფული, მერე ისევ მოეშვა თავში ჭანჭიკები და პატრულის დახმარებით (ეს კიდევ სხვა ამბავია, როგორ დაარწმუნა პატრული თავის სიმართლეში), ქმარი საკუთარი სახლიდან ისევ მოისროლა. უკვე ერთი წელია, მათ ოჯახში კაცი არ გაჭაჭანებულა, მაკა მთელ საკაცეთს უშვერი სიტყვებით ლანძღავს და ამბობს, რომ კაცი არაფერში არაა საჭირო. მე ამას, რა თქმა უნდა, არ ვეთანხმები, მაგრამ უნდა ვაღიარო, მის ოჯახს უკაცობა ნამდვილად არ აკლია. ლუნა“.

## სნაი პერი

„იმ წელს სკოლას ვამთავრებდი და როგორც ყოველთვის, მშობელთა კრება მოიწვიეს, რათა მთელი წლის აკადემიური მიღწევები მშობლისთვის გაეცნოთ. დადგა ეს დღეც, დაიწყო განხილვა. ჩემი დროც მოვიდა და მაშინ კი გავიფიქრე, ან ამ ყველაფერს გმირულად გავუძლებ, ან მელასავით გავიპარები და მთელი ცხოვრება შერცხვენილი ვივლი-მეთქი. ჰოდა, გადავწყვიტე, გმირულად გამეძლო ყველაფრისთვის. ჩემი აკადემიური მიღწევები ასე გამოიყურებოდა: „ჯანმრთელობა“ — ყველა საგანში. „ფრიადი“ — ხატვაში, სიმღერაში, ფიზკულტურაში, „სამხედროში“. არასოდეს დამავიწყდება დედაჩემის გაბრაზებული სახე და მისი ნათქვამი: რა იყო შვილო, სნაიპერი ხარ, „სამხედროში“ ხუთიანი რომ გაქვს? სხვა საგნებმა რა დაგიშავა, ემდუროდიო? ახლა, როცა ამ ამბავს ვიხსენებ, ვხალისობ, მაგრამ მაშინ კი სხვაგვარად იყო საქმე. მინდა, ამ გზავნილით ჩემს დედიკოს მოვეფერო და ყველას ვუთხრა: სკოლის ხანა ოქროს ხანაა და მაქსიმალურად გამოიყენონ ეს დრო. მართალია, უსწავლელი არ დავრჩენილვარ, უმაღლესი დავამთავრე, მაგრამ შეიძლებოდა, მეტი მესწავლა. გეხუტეთ ყველას. გურული სოფო“.

## ერეკლეზე მჯდომი

„შ, მაპატიე, დიდი ხანი ველარ გწერდი, მომიტაცეს და... :( იმ ბიჭს საერთოდ არ ვიცნობდი, თურმე ჩუმად ვყვარებივარ... არ მინდოდა, დღე და ღამე ვტიროდი, მაგრამ მოსახდენი მოხდა. ჩემმა მშობლებმა ყველაფერი გააკეთეს, გადაატრიალეს მთელი დუნია და მაინც მიპოვეს. გვირჩევნია, ჩვენი შვილი ბენ ლადენს გავაყოლოთ, ვიდრე შენ, შე უბადრუკოო, უთხრეს ჩემს გულზექვადასადებ ქმარს, მტაცეს ხელი და წამიყვანეს სახლში. მე ისევ შენ მიყვარხარ და იმედია, მაპატიებ“. დაახლოებით 3 თვის წინ, ასეთი შინაარსის მესიჯმა დამიფრთხო ძილის ანგელოზები... ჯერ გულიანად ვიცინე, ვიფიქრე, ვიფიქრე და დავასკვენი, რომ რომელიმე ჩემმა მეგობარმა ნომერი შეიცვალა და გაკაიფება გადაწყვიტა-მეთქი. მეც ავყევი: „ძალიან მიყვარდი, რომ გაუჩინარდი, 3 დღე და ღამე აღარ მძინებია, ეს როგორ გამიკეთე? ახლა კი, ახლა ყველაფერი გვიანია, მე სხვის „ნახმარ“ გოგოს ოჯახში ველარ შემოგიყვან, მაპატიე“... მივწერე შემდეგი, გამამხიარულებელი მესიჯის მოლოდინში. „ძალიან გთხოვ, ყველაფერი თავიდან დავიწყოთ, შ, ჩემი გრძნობა უფრო გაამყარა ამ შეცდომამ, მიყვარხარ და ამით ყველაფერი ნათქვამია, ვიცი, შენც იმავეს გრძნობ... შ“. ე.ი. სერიოზულადაა საქმეე? ახლა უკვე, „ჩემს“ სავარაუდო სახელზე დავიწყე ფიქრი: შალვა, შოთა, შაქრო, შიო... ბოლო ორი გამოვრიცხე და მივწერე: „ხომ იცი, შ-ს რომ მეძახი, მაღიზიანებს, სახელით მომმართე, ოკ?“ პასუხმა კი მამცნო, რომ შაკო მქვია. :) „ძალიან გთხოვ, რუსთაველზე გამოდი, „მაკდონალდსში“ დავსხდეთ, უნდა დაგელაპარაკო“. „ახლა თელავში ვარ, რთველში, ჩამოდი, შენც გეპატიჟები“ — მივწერე და პასუხმა, ღიმილი შემაყინა სახეზე. „ახლა გავალ სადგურში და თელავში რომ ვიქნები, მოგწერ და დამხვდი“ ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, 3 საათის შემდეგ დამირეკა, დიდ ხესთან ვდგავარ და მოდიო. მივდიოდი, „ჩემს ყოფილ შეყვარებულთან“ შესახვედრად და ისიც არ ვიცოდი, როგორ გამოიყურება... მივდივარ და თავს ვირწმუნებ, რომ იქ რომელიმე ჩემი ნაცნობი დამხვდება და გულიანად ვიცინებთ... ვისაც თელავის „ინჩი-ბინჩი“ გაეგება, დამეთანხმება, რომ „დიდი ხის“ ხსენებისას, პირველი, რაც თავში მოგივა, ჭადარია. მეც, გულათრთოლებული, საგანგებოდ გამოწყობილი მივედი დიდ ხესთან და... რა დაკარგე, რას ეძებ? ჩემში, უფრო გამყარდა აზრი, რომ ჩემიანის „მსხვერპლი“ ვარ... დამირეკა, სად ხარ ბიჭო, მე ერეკლეზე ვზივარო. მივიხედე უკან და... ეს, ჩემზე პანიკურად შეყვარებული გოგო, ერეკლე II-ის ძეგლზე აცოცებულა... ასვლა ჯანდაბას, მაგრამ იმის იქიდან ჩამოსახსნელად „სახანძროს“ გამოძახება გახდა აუცილებელი. გოგო იყოოო?! დაცემა და ველარ ადგომა! მეც, მივედი აწითლებული, ბოდიშის მოსახდელად, ყველაფრის ასახსნელად, რომ... ჩამეხუტა და კოცნა დამიწყო, სურათებზე რა სხვანაირი ხარ, „ლაივში“ უფრო კარგად გამოიყურებიო. :) ტელეფონით ჰყოლია ნუცის შ, გაცნობილი და „ლაივში“ ეს მათი პირველი შეხვედრა იყო. აი, ასე, ხანდახან რისკი უფრო ამართლებს საშუალებას, ვიდრე მიზანი. :) ცოტა კი გაბრაზდა, როცა ყველაფერი მოვუყევი, მაგრამ ვერ გაუძლო, მწვანე თვალების „შამოფეთებაი“. P.S. თელავი კიდევ დიდხანს ილაპარაკებს ამ ამბავზე... რუისპირი (YELLOW)“.

ურთიერთობა გაქვს და ისინი ბებოს არ ჰგავნან, მეტი რაღა გინდა? მოხუცს ყურადღებას ნუ მიაქცევ და შენი ცხოვრების სტილით იცხოვრე. P.S. გეპეისტკა, ჩემსავით ახალი ხარ? ჩემი ნაცნობი მგონიხარ და... პირველ კურსზე ხარ?"

**პაწუკა:**

„ჩემო კარგო, ბებოს სიტყვებს ნუ აჰყვები. ყველა ოჯახში არის პრობლემა. ღმერთს მიენდე, ის გაპოვნინებს გამოსავალს. უფალი გფარავდეს".

M.G:

„ძალიან გამიკვირდა, ასეთი მესიჯი რომ წავიკითხე, რადგანაც უმეტეს შემთხვევაში, ბებიები ძალიან კარგები არიან... თუ ბებიაშენს არ შეუძლია, გაგიგოს, რას იზამ, მის სიტყვებს ყურადღებას ნუ მიაქცევ, „დაიკიდე". ბოლოს და ბოლოს, ორი ყური იმიტომ გაქვს, რომ რაც არ მოგეწონება, ერთში შეუშვა და მეორიდან გამოუშვა. შეეცადე, ბებიაშენთან ნაკლები დრო გაატარო. მეგობრებთან ერთად იარე და გაერთე, სახლში ნუ დაჯდები. აბა, შენ იცი, წარმატებები!"

JERRI:

„ასე მგონია, ბებიაშენი განდიდების მანიითაა შეპყრობილი. აბა, ადამიანს, რომელიც პატიოსნებას არ აფასებს, რაზე უნდა ელაპარაკო? ბებიას ყურადღებას ნუ მიაქცევ, არც კი მოუსმინო — მე ამას გირჩევ, რადგან არავის აქვს უფლება, საკუთარი აზრი თავს მოგახვიოს და მეტიც — შეურაცხყოს".

**შოკოლადა:**

„ჩემო კარგო, შენი კარგად მესმის. ყოველდღიურად ლანძღვის ატანა, მით უმეტეს, საკუთარი ოჯახის წევრებისგან და თანაც — დაუმსახურებლად, ძალიან ძნელია. იმაში, რომ პატიოსან ადამიანებს აფასებ, დასაძრახი რა არის? არ ვიცი, კიდევ რა პრობლემები გაქვთ, მაგრამ იმის მიხედვით, რასაც აქ წერ, შენ ნამდვილად არ ხარ დამნაშავე. ყველა ადამიანს საკუთარი აზრი და შეხედულება აქვს, ამიტომ ისე მოიქეცი, როგორც შენ მიგაჩნია სწორად და არა — ბებიაშენს".

**მარტოსული:**

„იცი, შენი ძალიან კარგად მესმის. ოჯახურმა პრობლემებმა მეც მთელი ბავშვობა, ცხოვრება დამიმახინჯა და ეს მართლაც, დიდი უბედურებაა... გირჩევ, დამშვიდდე და წონასწორობა არ დაკარგო, რათა ფსიქიკა არ დაგიზიანდეს, ამ ყველაფერმა სამომავლოდ რაიმე ცუდი კვალი არ დაამჩნიოს შენს ცხოვრებას. გამაგრდი, შენში სიყვარული გააძლიერე და ეკლესიაში იარე. უფალი დაგეხმარება. ეცადე სწორად, სიკეთითა და სითბოთი იცხოვრო. უფალი გფარავდეს".

**უცნობი:**

„კეთილი ადამიანი ჩანხარ. არ უნდა იყო ამპარტავანი და სწორედ ღარიბს, პატიოსანს უნდა სცე პატივი. ბებიის სიტყვებს არ უსმინო, მას ყველაფრისთვის მოეკითხება".

**ჯუკი:**

„გამარჯობა. იქნებ სიბერის ბრალია და ვერ ტვინავს, რას ამბობს? შეეშვი, რა, მაგან თავისი „მოჭამა". მგონი, ტყუილად ნერვიულობ".

Bloody-end:

„აუ, მეც თითქმის შენნაირ სიტუაციაში ვარ. ბებიაჩემი მეც ვერ მიტანს (მე ხომ ვგიჟდები მასზე, რა). „დაიკიდე" და ყველაფერი „გაუტარე" — მე ასე ვიქცევი. აბა, შენ იცი, არ ინერვიულო".

**ცხოვრებისგან დაჩაგრული:**

„თუ ბებიაშენის კრიტიკას ველარ უძლებ და შენს სახლში ჯოჯოხეთია, იქნებ ჯობდეს, მასთან აღარ იცხოვრო?! დარწმუნებული ვარ, მერე პატიებას გთხოვს".

**თათა 17:**

„ჩემო კარგო, ეცადე, ჭირვეული მოხუცის კაპრიზებს ყურადღება არ მიაქციო. სჯობს, მის ჩხუბს „იგნორი" გაუკეთო და საპასუხოდ, გაუღიმე ხოლმე".

**აურა:**

„მშობლებს დაელაპარაკე და იქნებ, საცხოვრებლად ცალკე გადახვიდეთ. ამის შემდეგ კი იმედია, ბებიაშენი მიხვდება, რომ შეცდომას უშვებდა და ვფიქრობ, შხამიან ენასაც დაიტკბობს".

GRAZY GIRL:

„საყვარელო, ძალიან გთხოვ, ამ ყველაფერს ასე ნუ განიცდი. შენს ბებოს ღმერთი ყველაფრისთვის პასუხს აგებინებს, შენ კი, ჩემო პატარავ, ტაძარში იარე, იკითხე, საყვარელი საქმე აკეთე, მეგობრებთან ერთად გაერთე. თუ სურვილი გექნება, ვიმეგობროთ. ღმერთი ფარავდეს შენს ოჯახს".

**მარე:**

„როცა ოჯახში აურზაურია, ეს ძალიან ცუდია. ჩემი აზრით, სჯობს, ბებიაშენი ეკლესიაში ხშირად ატარო, წირვას დაასწრო და იქნებ, გამოსწორდეს. დამშვიდდი და ოჯახის ამბები შეძლებისდაგვარად „გაატარე".

**მაირა:**

„ჩემო კარგო, უმჯობესი იქნება, ყურადღებას თუ არ მიაქცევ, თუმცა ეცადე, მშობლებიც არ დააჩაგვრინო. გაუძელი და დამიჯერე, ამით შენ დარჩები მოგებული".

**კარუზო 717:**

„ჩემო კარგო, ბებიას შეეშვი, ცალკე იცხოვრე, გაერთე და ცხოვრება გაილამაზე".

**უცნობი:**

„მეც ზუსტად ასეთ სიტუაციაში ვიყავი. ყოველდღე რაღაც საშინელებებს მეძახდა, მაგრამ ახლა მკვდარია და მართლაც, დავისვენე. სცადე, არც დაელაპარაკო და შენ შესახებ სიახლეები არ გაიგოს. დაე თვითონ მოვიდეს რამის სათქმელად".

**გურული ბუტია:**

„უნდა გამხნევდე. მშობლები ხომ გიდგანან მხარში, ბებიას ხუშტურებს ყურადღება არ მიაქციო, ეკლესიაში იარე, ყველაფერი კარგად იქნება".

**უცნობი:**

„ჩემო ლამაზო, როგორც მივხვდი, საშინელი ბებია გყავს. ასეთ რჩევას მოგცემ: ბებიას, როგორც არ უნდა ცუდად მოგექცეს და გაგალიზიანოს, არ აჰყვე. ის შენი წყობილებიდან გამოყვანას ცდილობს".

**რიტა:**

„ნუთუ ვერ ხვდები, რომ ქალს სხვა საქმე არა აქვს და შენით ერთობა? გირჩევ, მოხუცებულთა თავშესაფარში წაყვანით დაემუქროთ და იქნებ, აზრზე მოვიდეს, ენა დაიტკბოს. ისე, სკლეროზი ხომ არა აქვს?.."

**ნანო 17:**

„ქმარი აღარ ჰყავს? ჰოდა, ალბათ ამიტომაც ველარ გიტანთ ოჯახის წევრებს. გამიგონია, — მოხუცები ახალგაზრდებზე ეჭვიანობენ, მათი შურთ და ამიტომაც უმწარდებათ ენაო. ეტყობა, ამის მთქმელი მართალი იყო. კიდევ კარგი, ბებია-ბაბუა აღარ მყავს და ისინიც არ მიმწარებენ ცხოვრებას. წარმატებებს გისურვებ!" ■

## „ჩემი დის შეყვარებული კოჭლია..."

**ანასტასია 20:**

„გამარჯობა. იმ იმედით გწერთ, რომ დამიბეჭდავთ და რჩევასაც მომცემთ. 18 წლის ანგელოზივით და მყავს, მაგრამ მისი შეყვარებული კოჭლია (თანდაყოლილი). ჰოდა, არ ვიცი, რა ვქნა. ასე ხომ მთელ ცხოვრებას გაიუბედურებს. მირჩიეთ რამე".

## „შეყვარებული დაშორებით მემუქრება"

**ზურა:**

„გზავ", ვარ 29 წლის და მყავს შეყვარებული, აგერ უკვე 7 წელია. სახლში, ჩემთან ერთად, 2 ძმა, მშობლები და ბებია-ბაბუა ცხოვრობენ. სტაბილური სამსახური არა მაქვს. იმ თანხით, რასაც თვიდან თვემდე ვშოულობ, ვერც ბინას ვიქირავებ და ვერც ცოლ-შვილს შევინახავ. შეყვარებული დაშორებით მემუქრება, თუ დაქორწინებას არ დავაჩქარებ, მე კი ვთავაზობ, 1-2 წელი მაინც მოითმინოს. რა ვქნა?"

*P.S. მაშ ასე, თუ ანასტასია 20-ის და ზურას წერილის წაკითხვის შემდეგ, მათთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდებათ, დაგვიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 8.58. 25.60.81. მათ თქვენი დახმარების იმედი აქვთ.* ■

# „სიყვარულმა კოჭლი და ბრმა არ იცის“

## „ასეთი დიდი გრძნობა არასდროს გაფერმკრთალდება“

**„გზის“ №39-ში დაიბეჭდა ანასტასია 20-ის მესიჯი. იგი გვწერდა, რომ 18 წლის ანგელოზივით და ჰყავს, მაგრამ მისი შეყვარებული კოჭლია და ჰგონია, რომ ამის გამო გოგონა მთელ ცხოვრებას გაიბედურებს.**

*ლიკა ქაჯაია*

**ევტიპიდა:**

„რატომ გგონია, რომ ფიზიკური ნაკლი უბედურებაა? შენი დის საქმე მაშინ იქნებოდა ცუდად, ცუდ ადამიანს რომ გადაჰყროდა. დამიჯერე, კოჭლიც შეიძლება, კარგი ადამიანი იყოს. და კიდევ, გახსოვდეს, არავინ იცის, ხვალ რა გველის“.

**დიკა-დუკა:**

„რატომ გგონია, რომ შენი დაიკო ცხოვრებას გაიუბედურებს? ხომ შეიძლება, იმ კოჭლ ბიჭს ლამაზი სული ჰქონდეს?! ბევრი გოგო ცოლად სიმპათიურს გაჰყოლია, მაგრამ ცხოვრება მართლა დანგრევია. იმ ბიჭს კარგად თუ გაიცნობ, შესაძლოა, მერე ასე სასტიკად აღარ განსაჯო. მთავარი სულია, ჩემო კარგო, თორემ ხორცი ბაზარშიც იყიდება“.

**გრუზინკა:**

„რა, კოჭლი ადამიანი არ არის? ყველა ჯანმრთელი და ლამაზი ვერ იქნება. შენს დას ეგ ბიჭი თავისი სულიერი სამყაროს გამო შეუყვარდა. მათ საქმეში არ ჩაერიო! P.S. ზოგიერთი ადამიანი მახინჯი აზროვნებისაა. ეს გულისამრევია“.

**აურა:**

„ჩემო კარგო, შენი დის არჩევანს პატივი უნდა სცე. ნუ ეტყვი, რომ მის რჩეულს კოჭლობის გამო იწუნებ. ის ახლა შეყვარებულია, ბედნიერია, შენი სიტყვებით კი გულს ძალიან ატკენს. უბრალოდ, გაიღიმე ან იფიქრე იმაზე, რომ ცხოვრება წინ აქვს. ბედნიერად, მიყვარხართ“.

**ლუნა:**

„მართალია, ადამიანი ფიზიკური ნაკლის გამო არ უნდა დავჩაგროთ, მაგრამ შენიც მესმის — დისთვის კარგი გინდა და ეს ბუნებრივია. ისე, მთავარია, ადამიანი სულიერად არ იყოს მახინჯი. შეიძლება ძალიან ლამაზი ქმარი გყავდეს, მაგრამ ისეთი ხასიათი ჰქონდეს, რომ სიცოცხლე გაგიმწაროს. მთავარი ადამიანობაა. შენს დაიკოს დაელაპარაკე და თუ შენს რჩევას არ გაითვალისწინებს, შეეშვი. ის ახლა სიყვარულითაა დაბრმავებული და მის ნაკლს ვერც ამჩნევს. P.S. ორივეს „სიმპო“ ქმრის „დაჯახებას“ გისურვებთ! გკოცნით“.

**ცქნაფა:**

„რას ჰქვია, კოჭლია? თქვენ რა, უნაკლოები ხართ? მაპატიეთ, მაგრამ ამქვეყნად უნაკლო არავინაა. ადამიანი არა გარეგნობის, არამედ შინაგანი სამყაროს მიხედვით უნდა შეაფასოთ. თუ ასე გააგრძელებ, შენი დის რა გითხრა, მაგრამ შენ ნამდვილად დაიღუპები. ვიდრე რაიმეს იტყვი, კარგად უნდა დაფიქრდე. უფალი მაღალია და ის განგსჯის“.

**იზაბელა:**

„სიყვარულმა კოჭლი და ბრმა არ იცის. აცადე, იყვნენ ბედნიერად. როცა გიყვარს, რაღაცებს ყურადღებას არ აქცევ. შეყვარებულთან ურთიერთობა არ დაუშალო და გული არ ატკინო, ისიც ცოდოა“.

**ჯენიფერა:**

„ჩემს მეზობელსაც ჰყავდა შეყვარებული, რომელსაც ერთი ხელი, მეორესთან შედარებით, მოკლე ჰქონდა, მაგრამ ამის გამო არავის დაუწუნია. შენი აზრით, ფიზიკური ნაკლის მქონე ადამიანს ბედნიერების უფლება არა აქვს? იცოდე, მათ ცხოვრებაში არ ჩაერიო; თუ ერთმანეთი უყვართ, მაინც ვერაფერს გახდები“.

**სოფო 16:**

„ჩემო დაო, თავში ტვინი არ გქონია. 20 წლის გოგო ისევ გარეგნულ სილამაზეზე ლაპარაკობ? არ გეწყინოს, მაგრამ შესაძლოა, ის ბიჭი შენს დას ბევრად სჯობდეს. ადამიანი გარეგნობით არ უნდა შეაფასო. მთავარი ხასიათია, გოგო, ხასიათი და ამხელა გოგომ ეს არ უნდა იცოდე? და კიდევ, შენი დის პირად ცხოვრებაში რატომ ერევი?..“

**ფლამინგო:**

„შენი „ესემესი“ რომ წავიკითხე, ტირილი მომინდა და იცი, რატომ? თურმე სანამდე დავეცით ადამიანები! რა, კოჭლს სიყვარულის უფლება არა აქვს? გირჩევნია, ლამაზ, მაგრამ მახინჯი სულის პატრონს გაჰყვეს? თუ შენი და მართლა ანგელოზია (არა მხოლოდ გარეგნულად), მაშინ შეყვარებული სიკოჭლის გამო არ უნდა მიატოვოს. შენ კი დაწყნარდი და ეცადე, ეკლესიაში ხშირად იარო. შეყვარებულებს შეეშვი“.

**მისტერ:**

„20 წლის გოგო რეებს მოთქვამ? ადამიანს ფიზიკური ნაკლის მიხედვით არჩევ? რატომ გგონია, რომ ცხოვრებას გაიუბედურებს? შენი და არის ბოთლი, ის ბიჭი კი შესაფერისი საცობი და ბოთლს ხელს ნუ აფარებ... თუ კარგია, კოჭლი შენ ხარ“.

**სვანის ასული:**

„იდეალური გარეგნობის მქონე ბიჭებისგან გაუბედურებული ბევრი გოგოც მინახავს... რაც მთავარია, შენს დას თავად არ აკომპლექსებს, ასეთი შეყვარებული რომ ჰყავს და არც იმ ბიჭის ბრალია, ნაკლი რომ აქვს. თანაც, 18 წელი არ არის ის ასაკი, როცა საბოლოო და მყარ გადაწყვეტილებას იღებენ. შეიძლება, მალე რაღაც შეიცვალოს (თუ რა თქმა უნდა, დაქორწინებას უახლოეს მომავალში არ აპირებენ). ასე რომ, განგაშს წინასწარ ნუ ატეხ“.

**გადარეული:**

„თუ შენს დაიკოსაც უყვარს, მათი დაშორების უფლება არა გაქვს. ეჰ, ალბათ არ იცი, რა არის სიყვარული. როცა „ლოვე“ მყავდა, მისი ფანჯრის წინ ვათენებდი და ნეტავ იცოდე, როგორი სიცივე ამიტანია, მაგრამ იმ დროს სიყვარული მათბობდა. ეჰ, რა დრო იყო?!.“

**წყევლა:**

„თუ ერთმანეთი უყვართ, გვერდზე გადექი. რა, კოჭლს არა აქვს სიყვარულისა და ბედნიერების უფლება? ზოგი გონებრივადაა ინვალიდი (მაგალითისთვის მისტერიც გამოდგება), მაგრამ რა ვქნათ? სხვის აზრს და სიყვარულს პატივი ეცი“.

**მარია:**

„მგონი, შენს დაიკოს არჩევანის უფლება აქვს. გასაგებია, რომ მასზე ღელავ, მაგრამ ეგ არ გაძლევს უფლებას, მის ცხოვრებაში ჩაერიო. რადგანაც შენს დას კოჭლი შეუყვარდა, ე.ი. მასში იმდენი კარგი რამ აღმოაჩინა, რომ ფიზიკურ დეფექტს ყურადღებასაც არ აქცევს. ასე რომ, დააცადე, ჩემო კარგო“.

**იკუშკები:**

„რა თქმა უნდა, ფიზიკური ნაკლის მქონე სასიძო ან სარძლო არავის ოცნებაა, მაგრამ ჩემო კარგო ადამიანო, სიყვარულს ვერაფერს გაუგებ. ჩემი აზრით, ასეთი დიდი გრძნობა არასდროს გაფერმკრთალდება. ანასტასია, სხვის პირად ცხოვრებაში ნუ ჩაერევი, თუნდაც ეს სხვა საკუთარი და იყოს. შენს დაიკოს ბედნიერებას ვუსურვებ! ცხოვრება უცნაურია და მასთან შეწინააღმდეგებას აზრი არა აქვს, დამიჯერე!“

GRAZY GIRL:

„მშვენიერო, მესმის შენი, საყვარელი დისთვის ყველაფერი საუკეთესო გინდა (ყველანი ასე ვართ), მაგრამ სადაც ნამდვილი სიყვარულია, იქ ფიზიკური ნაკლი არაფერს ნიშნავს“.

**რუისპირი (YELLOW):**

„ვიდრე ჟურნალ „გზის“ ამ რუბრიკას წაიკითხავდი, ჯობდა, ჯერ ჟურნალის სხვა გვერდებიც გადაგეთვალიერებინა. „გზაში“ არაერთხელ დაბეჭდილა ისეთი ადამიანების შესახებ, რომლებსაც დამოუკიდებლად გადაადგილება არ შეუძლიათ, მაგრამ ბევრად წარმატებულები და შრომისმოყვარეები არიან, ვიდრე მე ან შენ... აბა, მითხარი, ქმრის მარჯვენა მოკლე ან გრძელმა ფეხმა შენს დას ბედნიერებაში ხელი როგორ უნდა შეუშალოს? თუ ის გადარდებს, ხალხი რომ იტყვის: — გოგო ჯობია, საწყალ ბიჭსო?! დამიჯერე, ტვინნაღრძობობას ანუ ისეთ მდგომარეობას, როგორშიც შენ ხარ, კოჭლობა სჯობს. P.S. პაპაჩემს ერთი ფეხი მეორეზე მოკლე აქვს, ბებიაჩემი კი იცი, ახალგაზრდობაში როგორი ქალი იყო? „მის ასპინძა 1947“ გახლდათ და მითხარი, შენი და რით ჯობია ბებიაჩემს, ჰა?“

# „თუკი გიყვარს, ცოლად მოიყვანე“

## „ჭეშმარიტი სიყვარული ყველაფერს გაუძლებს“

**„გზის“ №39-ში დაიბეჭდა 29 წლის ზურას მესიჯი, რომელიც გვწერდა: „მყავს შეყვარებული, აგერ უკვე 7 წელია. სახლში, ჩემთან ერთად, 2 ძმა, მშობლები და ბებია-ბაბუა ცხოვრობენ. სტაბილური სამსახური არა მაქვს. იმ თანხით, რასაც თვიდან თვემდე ვშოულობ, ვერც ბინას ვიქირავებ და ვერც ცოლ-შვილს შევინახავ. შეყვარებული დაშორებით მემუქრება, თუ დაქორწინებას არ დავაჩქარებ, მე კი ვთავაზობ, 1-2 წელი მაინც მოითმინოს. რა ვქნა?“**

**იკუშკები:**

„შენი შეყვარებულის ძალიან კარგად მესმის. მის ადგილას საყვარელი ადამიანის გაგება ნებისმიერ ქალს გაუჭირდებოდა. 7-წლიანი ლოდინის შემდეგ კიდევ მოცდას რომ სთხოვ, ეს სამართლიანი საქციელია? თუ საყვარელი ქალის დაკარგვა არ გინდა, მატერიალური მდგომარეობა უნდა გაიუმჯობესო. სამწუხაროდ, სხვა გონივრულ გამოსავალს ვერ ვხედავ. წარმატებებს და გამძლეობას გისურვებ!“

**ბუზუსა:**

„იმ გოგოსიც მესმის, რადგან 7 წელი ცოტა დრო ნამდვილად არაა. თუკი გიყვარს, ცოლად მოიყვანე. მერწმუნე, შვილი არავის გადაუგდია და მშობლები თქვენც დაგეხმარებიან. სჯობს მოიყვანო, თორემ მართლა დაკარგავ“.

GRAZY GIRL:

„მეგობარო, იქნებ როგორმე, სტაბილური სამსახური იშოვო... 7-წლიანი ურთიერთობის დანგრევა ძალიან ცუდია. შენიც მესმის და მისიც — უყვარხარ და შენთან უნდა. ისე, თუ ერთმანეთი მართლა გიყვართ, 1-2 წელი არაფერია. აბა, თქვენ იცით, ბედნიერებას და წარმატებებს გისურვებთ! ღმერთი გფარავდეთ“.

**ნატალი 37:**

„ორივემ იმუშავეთ და როგორმე, თავს გაიტანთ. დღეს უმუშევრობა არავის უკვირს, მთავარი გაგება და სიყვარულია. ოჯახი შექმენი, ზურა!“

**ნემო:**

„სწორად იქცევი — თუ იცი, რომ ოჯახს ვერ არჩენ, ცოლის მოყვანისგან თავი უნდა შეიკავო. მგონი, ის გოგო შენი ღირსი არ არის — ახლა თუ ვერ გაგიგო, მერე რაღას იზამს? მაინტერესებს, მას ქმარი და ოჯახი უნდა?“

**სვანის ასული:**

„აღფრთოვანებული ვარ იმ გოგოს მოთმინებით; ჩვენს დროში ასეთი რამ იშვიათად ხდება. მის ადგილას სხვა რომ ყოფილიყო, დიდი ხნის წინ მიგატოვებდა. ვინაიდან მისთვის ასეთი ძვირფასი და შეუცვლელი ხარ, უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს მუქარა შენს ასაჩქარებლად იყო გამიზნული და იმედია, მუქარას არ შეასრულებს... მისი პოზიციაც გასაგებია, ყველაფერს აქვს საზღვარი, მაგრამ შენიც მესმის, რადგან ვიცი, რომ ახლა მაღალანაზღაურებადი სამსახურის შოვნა ძალიან ძნელია. საბოლოოდ კი, შენი წერ-



ილიდან გამომდინარე, გლობალურ პრობლემამდე მივდივართ — ჩვენს ქვეყანაში უმუშევრობა ისევ სუფევს ანუ როგორც ხელისუფლების წარმომადგენლები ამბობენ, გასაკეთებელი კიდევ ბევრია!“

**წყევლა:**

„ვაიმე, იმ გოგოს თავში ჩამახედა და გამაგებინა, რა უდევს შიგ? თუმცა, ვხვდები... ამბობ, რომ არც ბინა გაქვს, არც სტაბილური შემოსავალი, თანაც — დიდი ოჯახი გყავს. ჰოდა, ვერ ხვდები?.. „ლოვეს“ თუ არ ითხოვ, მალე გაგითხოვდება. აქ სიყვარული არაფერ შუაშია, შენი შეყვარებული 100 გრამი ხორცისთვის იბრძვის (ნუ მიწყენ, კარგი?) და ცხადია, მისნაირ გოგოს ვერ ენდობი. წარმატებებს გისურვებ!“

**მარია:**

„იცი, რა, იმ გოგოსიც მესმის და შენიც. 7 წელი საკმაო დროა იმისთვის, რომ ოჯახის შექმნაზე გეზრუნა. დრო გადის, გოგო მაინც გოგოა და ქართულ სინამდვილეში, 20 წლის გოგონებს, რომლებიც გათხოვილები არ არიან, შინაბერებს ეძახიან. ასე რომ, შეეცადე, დასაოჯახებლად ყველაფერი იღონო. წარმატებები (არადა, რა არის 20 წელი?)!“

**თაკო:**

„ჩემი შეყვარებულიც შენნაირ მდგომარეობაშია, მაგრამ მის მიტოვებას არ ვაპირებ. არც ის მინდა, რომ თავისი პრობლემების გამო შერცხვეს. ჰოდა, ახლა მაგისტრატურაში ჩაბარება „ავიტეხე“ და ვუთხარი, — სანამ სწავლას არ დავამთავრებ, ვერ გამოგყვები-მეთქი. 2 წელია, მიყვარს და თუ საჭირო იქნება, კიდევ დიდხანს დაველოდები“.

**ჯენიფერა:**

„ძალიან ცუდ მდგომარეობაში ხარ. თუ სამსახური არა გაქვს, ბინას 2 წელიწადში მაინც ვერ იყიდი და იქნებ, ცოლად მოგყვანა, მასთან ერთად დაგეწყო ახალი ცხოვრება?! დაშორება გამოსავალი არაა, პირიქით, ასე ორივე დაიტანჯებით. აბა, თქვენ იცით, წარმატებები!“

**სოფია:**

„ალბათ იმ გოგოს არ უყვარხარ, თორემ აუცილებლად გაგიგებდა და მხარში ამოგიდგებოდა. ბოლოს და ბოლოს, სამუდამო ლოდინს ხომ არ სთხოვ?“

**ლუნა:**

„უფ, 7 წელი ცოტა არაა. ერთმანეთი ამდენ ხანს რომ აიტანეთ (ეს ხუმრობით, რა თქმა უნდა), ალბათ თქვენ შორის ნამდვილი სიყვარულია. ჩემო კარგო, დარწმუნებული ვარ, შენს შეყვარებულს ეშინია, ფიქრობს რომ ცოლად არ მოიყვან და ასეთ დღეში ამიტომაცაა. რა უნდა ქნა და მიეფერე, რბილად მოექეცი, ის ყველაფერი, რაც ჩვენ გვითხარი, მასაც აუხსენი და იქნებ გაგიგოს კიდეც. მიდექ-მოდექი და ეგ გოგო ცოლად მოიყვანე, თორემ შესაძლოა, მართლა გაგიფრინდეს. აბა, შენ იცი!“

**მორჩილა:**

„მესმის იმ გოგოსი — დიდხანს ლოდინი ძალიან ძნელია, მაგრამ თუ თქვენი სიყვარული ჭეშმარიტია, ყველაფერს გაუძლებთ. თქვენს ურთიერთობას ლოცვა გაამყარებს“.

**დიკა-დუკა:**

„სრულწლოვანი მამაკაცი ხარ და თუკი 7 წლის განმავლობაში შენი სიყვარულისთვის არაფერი გააკეთე, როგორ გგონია, 2 წელიწადში მოახერხებ რამეს? როგორც ჩანს, მართლა უყვარხარ და გირჩევ, დროზე შეირთო. მერწმუნე, ერთად მეტს შეძლებთ“.

■

# „2-შვილიანი კაცი შემიყვარდა“

**სალი:**

„გამარჯობა. თქვენი რჩევა ძალიან მჭირდება. მე ლანჩხუთიდან ვარ. „ტელეთი“ გავიცანი ბიჭი, რომელიც 8 თვე მელაპარაკებოდა, მერე კი ჩემი მშობლებიც გაიცნო და მხოლოდ ამის შემდეგ მითხრა, — ნაცოლები ვარ და 2 შვილი მყავსო. მოგვიანებით მისმა ცოლმა დამირეკა და შემპირდა: იცოდე, იკას ჩემი ხელით მოგიყვანო. ჰო, მე მისგან შვილს ველოდები...“

*P.S.* ***მაშ ასე, თუ სალის წერილის წაკითხვის შემდეგ, მასთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდებათ, დაგვიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 8.58. 25.60.81. მას თქვენი დახმარების იმედი აქვს.***

■



# მობილი-ზაცია

***იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მობილი-ზაციაში“ მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ: ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.***



## ქალები

1. სერიოზული ურთიერთობისთვის გავიცნობ წესიერ, ყურადღებიან, 40-50 წლამდე ასაკის მამაკაცს, რომელმაც იცის ნამდვილი სიყვარულის ფასი. ლიკა41.

2. ვარ 31 წლის, ექიმი, დასაქმებული, თბილისელი, მორწმუნე ადამიანი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 40 წლამდე ასაკის, განათლებულ დასაქმებულ, თბილისელ მამაკაცს.

3. გავიცნობ სიმპათიურ, შეძლებულ, სერიოზულ და დასაოჯახებელ, თბილისელ მამაკაცს, 30-40 წლამდე. ვინც დაინტერესდება ჩემით, გთხოვთ დამაკავშიროთ.

4. ვიცხოვრე პატიოსნად, მთელი ცხოვრება მივუძღვენი შვილს. დავაოჯახე. ახლა მეც მინდა ოჯახი, სითბო და სიყვარული. ვარ 50 წლის, მაგრამ გამოვიყურები თინეიჯერულად.



## კაცები

5. გავიცნობ 20-დან 30 წლამდე მანდილოსანს. ვისაც სურვილი გაქვთ, მომწერეთ, მხოლოდ გორელებმა ან თბილისელებმა. ლუკა.

6. ვეხმაურები მე-3 მესიჯის ავტორს, 24 წლის გოგოს. ვიმეგობროთ.

7. ვეხმაურები „გზის“ 36-ე ნომერს მე-6 მესიჯის ავტორს.

8. გავიცნობ გოგონას, 16-დან 20 წლამდე.

9. ვარ 55 წლის, უცოლო მამაკაცი. ოჯახის შექმნის მიზნით დამიკავშირდეს ასეთივე პრობლემით ქალბატონი. სასურველია, კახეთიდან.

10. გავიცნობ 22-27 წლის გოგოს, დაოჯახების მიზნით. ვარ 29 წლის. თბილისელი.

11. გავიცნობდი კარგ მანდილოსანს, თბილისში მცხოვრებს, 30-40 წლამდე.

12. ვარ თბილისელი, დასაქმებული, პატიოსანი, 46 წლის. სერიოზული ურთიერთობისთვის „გზის“ 38-ე ნომრის მე-3 სმს ავტორს გთხოვთ დამაკავშიროთ.

13. ვეხმაურები მე-40 ნომრის მე-5 განცხადების 42 წლის ქალბატონს. მე შალვა მქვია, ვარ 39 წლის. შეიძლება დაგიკავშირდეთ, ან მესიჯი მოგწეროთ.

14. გამომეხმაუროს პირველი მესიჯის ავტორი. ბექა.

15. ვარ 40 წლის, თბილისელი, სიმპათიური მამაკაცი ვეძებ ქალბატონს, ვისაც ნაღდი, წრფელი და დიდი სიყვარული შეუძლია.

16. ვეხმაურები „გზა“ №38, მე-7 მესიჯის ავტორს. გთხოვთ, დამაკავშიროთ, რადგან სრულიად ვაკმაყოფილებ მის მოთხოვნებს.

17. გავიცნობ 37 წლამდე ასაკის, სერიოზულ ქალბატონს, დაოჯახების მიზნით. დანარჩენი --— პირადად.

18. გავიცნობ განათხოვარ ან ქვრივ ქალბატონს, სერიოზული ურთიერთობისთვის და დაოჯახების მიზნით, 35-დან 38 წლამდე. დიდი შვილები თუ გყავთ, თავი შეიკავეთ.

19. ვარ 45 წლის, ექიმი, იმერეთიდან, ბინითა და სამსახურით უზრუნველყოფილი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 40 წლამდე ასაკის, თბილ, მორწმუნე, ლამაზ ქალბატონს, იმერეთიდან.

20. ვეხმაურები მე-40 ნომერში, რიგით მე-5, 42 წლის ქალბატონს. გთხოვთ, ჩემი ტელეფონის ნომერი გადასცეთ.

21. გავიცნობ შეძლებულ ქალბატონს. მსურველები შემეხმიანეთ.

22. ვარ 19 წლის, 186 სმ. სიმაღლის. გავიცნობ კარგ და საყვარელ გოგოს. სპორტსმენი.

23. გავიცნობდი 35 წლამდე მანდილოსანს, ლამაზი სიყვარულისთვის.

24. გთხოვთ მომცეთ 36-ე ნომერში, მე-5 მესიჯის ავტორის კოორდინატები. ან მიაწოდეთ ეს ნომერი... რეზი.

25. „გზა“ №39, მე-5 მესიჯის ავტორს ვეხმაურები. გთხოვთ, მომწერეთ საკონტაქტო ნომერი.

26. გეხმაურები „გზა“ №38, მე-8 მესიჯის ავტორს. გთხოვთ, მომცეთ მისი საკონტაქტო ნომერი.

27. ვისაც გსურთ, ნამდვილი მამაკაცი რომ გვერდით გყავდეთ, დამიმესიჯეთ 33 წლამდე მანდილოსნებმა. მოგხედავთ ყველანაირად.

28. ვარ 38 წლის, ვცხოვრობ მარტო, ვმუშაობ! გავიცნობ შესაფერისი ასაკის ქალბატონს, ოჯახის შექმნის მიზნით, საღად მოაზროვნეს, კეთილს და არამატყუარას! მომწერეთ 17 სთ-ის შემდეგ.

29. სერიოზული ურთიერთობისთვის და ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 30-დან 38 წლამდე ასაკის, ლამაზ, კეთილ, მორწმუნე ქალბატონს. ვარ 46 წლის, ცოლს გაცილებული, ბინითა და სამსახურით.

**ყურადღება! გთავაზობთ სიმბოლოებს, რომლის მიხედვითაც „მობილი-ზაციისთვის“ გამოსაგზავნი მესიჯის ტექსტი უნდა აკრიბოთ. ეს განსაკუთრებულად ეხება საბერძნეთში მცხოვრებ მგზავნელებს, რადგან მათი მესიჯების გაშიფვრა ძალიან მიჭირს. მესიჯი, რომელიც ამ წესის მიხედვით არ იქნება აკრებილი, არ გამოქვეყნდება!**

| | | |
|---|---|---|
| ა — a | მ — m | ღ — gh |
| ბ — b | ნ — n | ყ — y |
| გ — g | ო — o | შ — sh |
| დ — d | პ — p | ჩ — ch |
| ე — e | ჟ — zh | ც — c |
| ვ — v | რ — r | ძ — dz |
| ზ — z | ს — s | წ — w |
| თ — t | ტ — t | ჭ — wh |
| ი — i | უ — u | ხ — x |
| კ — k | ფ — f | ჯ — j |
| ლ — l | ქ — q | ჰ — h |



## სხვადასხვა

• თავი მოიკლეს ჩემმა გრძნობებმა თავი მოიკლეს, ვერ გაუძლეს უშენობას და გამეცალნენ, ფიქრიც დამთავრდა, აღარ ვიცი რაღა მოგიყვე, აღარ ვოცნებობ შენზე უკვე გათენებამდე. თავი მოიკლეს, ჩემმა გრძნობებმა, ჩააქრეს ცეცხლი, მხოლოდ კვამლია და ის მახსენებს, რომ მიყვარდა, ჩუმად ვიქნები, მე აღარაფერს უკვე არ გეტყვი, შენთვის ხომ მაინც ჩემი გრძნობები არას ნიშნავდა. თავი მოიკლა, ამ სიყვარულმაც დამტოვა მარტო, ნელა-ნელა იმედებიც იღუპება, როგორ გავუძლო, ეს ყველაფერი მე როგორ დავთმო, თავი მოიკლეს მოგონებებიც, უკვე კვდებიან. ბელურას. კლეოპატრა.

•მარ, დღეს დილას, სოფი20-მა დამირეკა, თელავში გამოვყევი ჩემი დის კლასს ექსკურსიაზე და არ მნახავო? სასწრაფოდ გავქანდი და... ბევრი ვიარეთ, აუტანელი ამინდის მიუხედავად. ერეკლეს ძეგლთან ვისხედით, როცა მუზეუმის წინ „მარშრუტკა“ გაჩერდა. მგზავრებმა ყურადღება თავიანთი ორიგინალურობით მიიპყრეს. მარ, შენმა მონა-მორჩილმა რუიმ კი, ერთ-ერთი მგზავრთაგანი შენ მიგამსგავსა, გაქანდა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, შემოეხვია. არა და, რა ახალგაზრდა ხარ, შე საცოდავოო, — ასეთი გამომეტყველება მიიღო ტურისტმა. ამინდს დავაბრალე. რუისპირი (YELLOW).

•მარ, როგორ ხარ, სიცოცხლევ? თქვენს გიჟს და გადარეულს მოენატრეეეთ! ჩიხტიკოპიანის გამონათებამ გამახარა. ლევან, ჭკუისკოლოფო, სასიამოვნოა, რომ მოგწონვართ, მაგრამ ასეთი უხეში ფორმით გამოხატვა არ იყო აუცილებელი. კეთილი ინებე და ნორმალურად გვთხოვე გაცნობა, OK? ლაკვასტ, მე კარგად ვარ, სადმე ჩემი ნომერი ითრიე და ვიმეგობროთ. ულიბკა, გაიხარე. ლუნა, მე სულ ყველა მახსოვხართ, ყოველთვის. კამ-კამ, როგორ ხარ, ჩემო პატარავ? წყევლა, მეც მომწონხარ, ოღონდ ნიკი — არა! ;) აუ, რა მინდა გთხოვოოოთ... მისტერს შეეშვით, რაა... მარ, ნანა მისირელი რომ მოვიკითხე ის (და არა მართო) სმს სად წავიდა? ჩემი ტელედან გავიდა და უგზო-უკლოდ დაიკარგა. ნუ კაი, არა უშავს... მიყვარხართ და გაკოცეთ! CRAZY GIRL.

•მახო, ქუცუნა, როგორ ხარ, გენაცვალე? იმ დღეს დედაშენთან ვიყავით გოგონები, შენზე ვიჭორავეთ, გვენატრებით. აუ, შენმა მელანომ თავი მატკინა, ნინიზე ბევრს ლაპარაკობს...

•მახო, ჩვენ კარგად ვართ, ჩვენი დარდი არ გქონდეს, მარტო უშენობა გვაწუხებს ქუცუნა და გვინდა, მალე ჩვენ გვერდით იყო. გკოცნით და გეხუტებით, გოგოები ყველა. გურია.

•მოვიკითხავ ნანა მისირიელს. ძალიან გამიხარდა, რომ მომიკითხე, ჩემო კარგო. CRAZY, მეც დიდი სიამოვნებით გაგიცნობ. :) მოკითხვა მატიტელას და ფისოს. ატარექსია.

•ძალიან მინდა, რომ აპოლონი დაბრუნდეს „გზაში“. ძალიან მიყვარხართ. CRAZI GIRL-ს: ძალიან მომენატრე. გენაცვალეთ ყველას. უზომოდ მიყვარხართ. გაკოცეთ. თქვენი ედელვაისი.

•030, გაოგნებული ვარ გუშინდელით. შენ ვინ მოგცა იმის უფლება, მასეთი იყო? როგორ ჩაიქნიე ხელი, რა, მე მოვკვდი? თუ ამდენი არ იცი შენ, რომ მე არსად დავიკარგები? სიხარულო, ნუ ნერვიულობ ასე, მე კარგად ვარ, უშენობა მართლა დალიან მიჭირს და ზუსტად ვიცი, რომ დიდხანს არ მომიწევს უშენოდ ყოფნა. გამაგრდი, გაუძელი, ჩვენ ბევრი გადავიტანეთ და ამასაც გადავიტანთ, ყველაფერი კარგად იქნება. დავიჯერო, არ გაქვს ჩემი იმედი? მეგონა, აქეთ გამამხნევებდი და შენ რას აკეთებ, ბაჩი, ჩემზე რომ ნერვიულობ, იმას არ ფიქრობ, რომ მე მჭირდები? და მერე როგორ, სიხარულო. გამაგრდი, დაანებე თავი ამდენ ნერვიულობას და იცოდე, ყველაფერი კარგად იქნება. მე ცოცხალი ვარ და ისევ ისეთი. იცი შენ, როგორიც. თუ გიყვარდე, გადააგდე ცხვირსახოცი, გაუძელი ყველაფერს, აღარ დამხვდე ისეთი რომ მოვალ. ნუ მატკენ გულს, არ გაქვს შენ ამის უფლება. მეტი აღარ დამჭირდეს ამის თქმა. გთხოვ, თუ გიყვარდე, ჩემს თავს გაფიცებ, გამაგრდი. შენ ძლიერი ხარ სიხარულო, მე გავუძლებ შენი ხათრით ყველაფერს. შენც გაუძელი ჩემი ხათრით და ყველაფერი კარგად იქნება. როგორ ჩაიარა ჩემმა დაბადების დღემ? იმედია, შემისრულე თხოვნა. მჯერა, ასე იზამდი, შენ ხომ ძალიან გიყვარვარ. სიხარულო, მეც ძალიან მიყვარხარ. არ ინერვიულო ჩემზე, მე კარგად ვარ, მთავარია, შენ იყო კარგად და ძლიერად. დათიმ არ იცის, რომ გნახე. ალბად ასე ჯობია. არ მინდა, ზედმეტად იწუწუნოს შენზე. კიდევ მომიწევს მანდ შენი ნახვა და მოგიყვან ორივე შვილს. თაკოს მოენატრე ძალიან და უნდა შენი ნახვა. შენთვისაც ასე აჯობებს. გძინავს, სიხარულო? ალბათ გვიანია უკვე, კვირა გათენდება. ხუთი თვე დავითვალე უკვე. მჯერა, რომ დავამთავრებ ასეთი დღეებისა და თვეების დათვლას. გამაგრდი, გაუძელი სიხარულო, გთხოვ. მეც მიჭირს, ხომ იცი, მაგრამ... იქნებ უფალი გვცდის. გავუძლოთ ბაჩი, მიყვარხარ სიხარულო, ჩემო სიცოცხლევ, ზოგჯერ სიკვდილამდე მენატრები. ჯერ 18 ოქტომბერი ადრეა, მაგრამ წინასწარ მოგილოცავ შვილიშვილის დაბადების დღეს. მაგარი კაცუნაა, რაც იზრდება, უფრო მემგვანება ხასიათით. მაგიჟებს ბებოს კაცი. მაგრად მსიამოვნებს, ასეთი რომ არის. ჩვენმა პროკურორმა რომ გაიგო, შვილიშვილი ამხელა გვყავდა, მაშინ დაება ენა, გადმოუცვივდა თვალები. ძლივს გადაიტანა. შენმა სიდედრმა შეახსენა, შენც რომ მყავდი და ჩაილაგა თვალები თავის ადგილზე. საცოდავი ეგა. ვიცინეთ რამდენი... ცოტა გაგამხიარულე? თუ ვერა? სიხარულო, გამხნევდი, შენ ძლიერი ხარ და მე გყავარ. ხომ იცი, არ დავეცემი. გპირდები, შენი სიცოცხლე. უამრავს გკოცნი. არ დამალალატო. გამაგრდი. მეც არ დაგალალატებ. არც მაქვს ამის უფლება.

•ღორმუცელა, ძალიან გამიხარდა, რომ წავიკითხე, ბევრიც ვიტირე, ყველა ჩანთით დამაქვს და ვინ მოთვლის, დღეში რამდენჯერ ვკითხულობ. იმედი მქონდა, მალე შენი ნახვის და შენ უარი თქვი საპროცესოზე. ჩემზე სულ არ ფიქრობ? უშენოდ ჯოჯოხეთია ცხოვრება, ძალიან ვიტანჯები და თანაც დარდით გადავიღალე, ხელფასი წინა თვეში 240 ლარი ავიღე, ახლა კი 180 ლარი, დილით მიჭირს წამოსვლა, 6-ზე გამოვდივარ და ირგვლივ სიბნელეა. უკეთესს არც ვეძებ, ვის სად შევხვდები, ვინ იცის. ზურა ვარჯიშობს. 1000 ლარი თუ ეყოფა, ვისესხებ, რომ ვუშველოო, ოქროები არ დაუკარგავს, პროცენტს იხდის, თენგოს არაფერი მოუცია, ისმაილის ბოლო დროის არაფერი ვიცი, ოპერაციისთვის პოლისს აკეთებდა, ეკა აქ ვნახე, საავადმყოფოში, მერე არ დაურეკავს და არც მე შემიწუხებია, მაგათ მარტო ერთმანეთი ახსოვთ, რაც მთხოვე, შემოგიგზავნი და ფულსაც ჩაგირიცხავ, თავს გაუფრთხილდი, მინდა, რომ კარგად იყო, წამლები რომ მიატოვე, შეიძლებოდა? მენატრები და ძალიან, ძალიან მიყვარხარ. უფალი გფარავდეს, გკოცნი.

•მადლობა ბამბუჩ! მარია, არავის უთქვამს, რომ გარეთ შენსავით უჟმური ქარია? წყევლა, შეეშვი ბანჯგვლიანი ფეხების ბაკუნებს, თორემ გადაგხრი და აგიწითლებ ტაკუნებს. მგონი ლოგიკური იქნება, თუ ჩემს თავს, ჩემივე აზრფლაყვი გამკრიტიკებლების წინაშე გავადუმილებ, რადგან ვერ ვხედავ საუბრის გასაგრძელებელ მიზეზს. მე თქვენთან უკვე პას! მისტერ.

•კლეოპატრა, 030-მა მინდა გითხრა მადლობა გამხნევებისთვის. მჯერა, სიყვარულს დიდი ძალა აქვს, ყველას და ყველაფერს ერევა. გავიმარჯვებ ალბათ, ამ ძალის იმედით. 030.

•მოვიკითხავ „გზის“ კოლორიტს და არაჩვეულებრივ ადამიანს, ო ლ ე გ ა რ ი ო ს, ჩემს ძამიკოს ბოას, სევდიანს, ემიგრანტს, CRAZY GIRL-ს, ქალ. ნანის, 9717-ს. იდუმალი-ქალი.

•მახო, გოჭი, რავა ხარ? ისე მენატრები, როგორც არასდროს... ჩემი სიხარული და სიყვარული ხარ. შენთან ყოფნას არაფერი ჯობია, სულ ტელეფონს ვუყურებ, იქნებ დამირეკო...

•დიკი ანგელ, დიდი მადლობა მოკითხვისთვის, შემეხმიანე აუცილებლად, მოვიკითხავ ლუნას და ნეტიკოს. ასევე მიყვარს ყველა მგზავნელი. გაკოცეთ. მიყვარხართ, თქვენი ედელვაისი.

•მიყვარხართ, ჩემო ტკბილო და თბილო დაიკოებო, ლაკვასტი, ფლამინგო, კლეოპატრა, ცრაზყ, ასევე მენატრება გადარეული, რუისპირი, 9717 და ყოველი მგზავნელი მახსოვს. ედელვაისი.

•აუ, როგორ მეგონა, სოფელში უფრო ჭკვიანი ხალხი ცხოვრობს-მეთქი. ტყუილია. სოფლელებზე დებილი ხალხი ჯერ არ მინახავს და თან აფერისტები.

•ვეძებ ათენში დროებით მცხოვრებ, წყალტუბოელ მეგობარს, ლამია ქაფიანიძეს, ნატო, ირინა, მზია, ბუკია, თუ რამე გაიგოთ ლამიასი, გამაგებინეთ. მაია.

•სკარლეტ და გივიკო, რა მინდა გთხოვოოოთ... ორივე ძალიან მიყვარხართ, საოცრად ინდივიდუალურები ხართ და არ მინდა, კამათობდეთ, მით უმეტეს, მთელი პლანეტის დასანახად... პირადი უთანხმოება წყნარად და ცივილიზებულად მოაგვარეთ, რააა... და საერთოდ, აქ აღარ დავინახო ერთმანეთის ჭამა-ლანძღვა (ყველას გეხებათ!), თორემ სუსტი გული მაქვს დაა... ჯერ ახალგაზრდა ვარ, შემიბრალეთ... გკოცნით უამრავს! თქვენი CRAZY GIRL.

•რაო, რაო? რედაქცია ავაფეთქოო? ტყუილებს წერთო? ნეტავი ტვინი გაგაჩნია? ბიჭოო. კლეოპატრა.

•ლაკვასტ, აღფრთოვანებული ვარ შენი ნაწერებით. ჩემი უნიჭიერესი აღმოჩენა ხარ, დაი. გაკოცე. მიყვარხარ. კლეოპატრა.

•სალამი, ჟურნალსა შინა მყოფთ! რუისპირო, მაგარი ადამიანი ხარ. რატომღაც ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებ, თითქოს ადამიანებისადმი ნდობა გაქვს დაკარგული. ქაჯების დედოფალი.

•რატომღაც მგონია, რომ წყევლა და მარია ერთი პიროვნებაა. სმსებს რომ ვკითხულობ, აშკარად იდენტურია. ფიფქიას გარდა მეთანხმება ვინმე? ქაჯების დედოფალი.

•აუ, სკოლა მენატრება, თან ნამეტნავად. არ გეგონოთ, კარგი მოსწავლე გახლდით, პირიქით, მასწი სახაზავით და ჟურნალით დამდევდა, უბრალოდ, სკოლაში მიმდინარე პონტ-რეალიზაცია მენატრება. იქ უამრავი პატარა მეგობარი დავტოვე და ძალიან მენატრებიან. დათო, რომა, ლევა, თოკო, გოგა, დაჯი, ნინო, ნინო, ქეთი, ფიქო, თეო, ეკა, რა მინდა გითხრათ: ისეთი არაფერი, მენატრებით, დასაშვებზე მეტად. ქაჯების დედოფალი.

•ძალიან მიყვარს ბრძნული აზრების კითხვა. ამას წინათ, ქორწინების შესახებ წავაწყდი მოსაზრებას. ეშენბახის (გერმანელი მწერალი) თქმით, ქორწინება არის მდგომარეობა, როდესაც ქალსა და მამაკაცს არც ერთად და არც ცალ-ცალკე ცხოვრება არ შეუძლიათ. ხომ მაგარია? ქაჯების დედოფალი.

•აუ, მარიშკა, ალბათ შეგაწყინე, მაგრამ რა ვქნა, სვანი ვარ და ლაპარაკის საღერღელი მაქვს აშლილი... ისევ ბრძნული აზრების ფრქვევის მუღამზე ვარ, ზოგიერთი რომ ამბობს, თავისუფალი ადამიანი ვარო, იცის კი, რას ნიშნავს თავისუფალი ადამიანი? კამიუს აზრით (არ შემიძლია არ დავეთანხმო) თავისუფალია ის, ვისაც შეუძლია, რომ ტყუილი არ თქვას... ჰოდა, ახლა თქვენ განსაჯეთ, არიან თუ არა თავისუფალი ადამიანები... თუ არიან, ბოდიში, მეტს აღარ ვიზამ. :) ქაჯების დედოფალი.

•მეგობარი მჭირდება, იცით თქვენ, ვინაა მეგობარი? ზოგადად ყველამ იცის, მაგრამ... მაგრამ მაინც, მეგობარია ის, ვინც შენს შესახებ ყველაფერი იცის და მიუხედავად ამისა, მაინც უყვარხარ. პლაგიატიზმში რომ არ დამადანაშაულოთ, აქვე გეტყვით რომ ამ საოცარი სიტყვების ავტორი დიდი ხაზბარდია... მეგობრობის რაობა ვინც გაიგო, მომწერეთ რაა, ძალიან ბევრი მეგობარი მყავდა, მაგრამ ახლა შევამჩნიე, რომ ისინი შარშანდელი თოვლივით გამქრალან, ცუდია, როცა ადამიანთან რაღაცის გამო მეგობრობ... ყველას არ ვგულისხმობ, მაგრამ ვისაც ვგულისხმობ, ის მიხვდება... სიმართლე ვისთვის მწარეა, ვისთვის — ტკბილი... ქაჯების დედოფალი.

•„ბუყრუმუნჯი“ ბერძნული სიტყვაა და ქართულად წყევლა-მარიას ნიშნავს... ამ სიტყვის წარმომთქმელებს თავს და ენას აჭრიდნენ... ქაჯების დედოფალი. მისტერ, დაარტყი ხელი.

•სკარლეტ, ჩემს 60 წლის ლექტორებს როდის დაუმეგობრდი? ვკითხავ ერთი მაგათ, გიცნობენ თუ არა. ვოკალზე რა გაგეგება? კარგად იცი, რომ ერთ-ერთი გამორჩეული სტუდენტი

ვარ (თავის ქება კი გამომდის, რისთვისაც ბოდიშს გიხდით, მაგრამ მართლა მასეა). რაც შეეხება კარზე დაკაკუნებას, ეს უბრალოდ, ეთიკის ნორმაა (რაც შენთვის უცხოა) და სტუდენტმა უნდა დაიცვას. რავი, შენ შეიძლება ფეხს ურტყამ და ისე შედიხარ, მე კიდევ ნერვი მეშლება ჩემს თავზე, პასუხს რომ გიბრუნებ. ეს ბოლოა ვისაც რა უნდა, ის თქვას. მე ვარ სულელი, თავს რომ გიყადრებ. ხალხო, მე ვარ თვითკმაყოფილი იდიოტი, თავში მაქვს ავარდნილი და ვარ გარეწარი ადამიანი. მაპატიეთ. სუპერსთარი.

• სალამი გზავნილეთო და მშვენიერო მარი. მგონია კი არა და მჯერა, რომ ადამიანების ლანძღვა-კრიტიკასა და მათ გამოსწორებაზე ფიქრს უნდა შევეშვათ. ჩვენ თვითონ უნდა ვიცხოვროთ უბრალოდ. სწორედ უბრალოებაში იმალება კეთილშობილება და გინდა, არ გინდა, მეტად შესაშური და სასურველია. ჰოდა, შეშურდება მავანს, მოგვბაძავს ჩვენ და გასალანძღ-გასაკრიტიკებელიც შემოგველევა. თუ ბოროტება და ძალადობა იგივეს შობს, მაშინ კეთილშობილებას სიკეთე და სიქველე მოგვივლენს. ასე ჰგონია ულიბკას.

• მარ, როგორ ხარ? მომენატრე, ჩემო კარგო, მინდა ყველა მგზავნელი მოვიკითხო. გკოცნით. LEDY.

• ფანჯარა გამოვაღე, მზე უკვე ჩადიოდა, ცხოვრებას ერთი დღე კიდევ აკლდებოდა და ჩემი ცხოვრება ასე მთავრდებოდა, მაგრამ რატომღაც ეს არ მადარდებდა, ერთ რამეს ვფიქრობდი, ერთი რამ მადარდებდა, რომ ჩემს მეტი არავინ გაფასებდა და შენ ვერ გამიგე. აი, ეს მადარდებდა, ისე მოვკვდებოდი, ვერავინ გაიგებდა, რომ შენი სიყვარული იმ ქვეყნად გამყოლოდა. ოჰ, ღმერთო ჩემო, რა იქნებოდა, ისე მოგეკალი, არავინ მყვარებოდა.

• გამარჯობა მარი, როგორ ხართ? დილით, სამსახურში რომ მივდიოდი, როგორც ყოველთვის, ვიყიდე ჩემი საყვარელი ჟურნალი. ჩავჯექი „მარშრუტკაში“, გადავფურცლე და ჩემს მესიჯს ვეძებდი. რომ ვერ ვიპოვე, ძალიან მოვიწყინე. საღამოს დაღლილი და მოწყენილი მოვედი სახლში, გავედი ჩემს ოთახში და დავიწყე კითხვა, მაგრამ რაოო, თინეიჯერი შინაბერა ვაროო, ჩემი მესიჯი, მარი! კიდევ დაბეჭდე? უნდა გამაგიჟო? ეს უკვე მეორე, მოულოდნელი სიხარული იყო ჩემთვის. დიდი მადლობა მარი, გაიხარე. ჩემი ცხოვრება პოლარულ ღამეს მაგონებს, მაგრამ იმედი მაქვს, მალე გარიჟრაჟი დადგება და გათენდება. აუცილებლად გათენდება, აუცილებლად. თინეიჯერ შინაბერას უყვარხარ, გაკოცე.

• ნეტავ პარასკევი როდის მოვა? ჩემი უტკბილესი უსაყვარლესი და ჩემი ბუხუნხულა ილინუკა რომ ვნახო, ელეე, მენატრებიიი.... კიდევ, ძალიან, ძალიან მინდა, მწვანეთვალება, ოქროსკულულებიანი რუისპირის ნახვა. ჩემი დათუნია ხარ, რუისპირო... კიდევ იცით, ვინ მენატრება? ბულვარში, როლიკებზე შემდგარი, ცეცხლისფრად მოელვარე SWEET-ი, ყველაზე, ყველაზე გიჟი ცრაზყ, ჩემი დაიკუნა აბლახანუმი, ნათლიას სიცოცხლე კოზა, უნიჭიერესი მაესტრო, კუტრინა და მუდამ დაბნეული როკო. გენაცვალეთ, თქვენ მიყვარხართ... SCARLET.

• მარორიტა, დღეს კვირაა და მინდა, ხვალ შაბათი იყოს, ზეგ კვირა და მაზეგ ისევ შაბათი. აუ, რა მაგარი იქნებოდა, არა? აუ, ხვალ ლექციები მაქვს ინგლისურის და იმდენად არ მომწონს ქ-ნი თეა, რომ კანკალიზაცია და კანკალიუსი მიტყდება, მის ლექციებზე... მიყვარხართ ძლიერ. ქაჯების დედოფალი.

• ახლა ეგრეთ წოდებულ „მარშუტკაში“ ვზივარ, გვერდით ერთი ახალგაზრდა ვაჟბატონი მიზის და მეკითხება, საიდან მეცნობიო. ახლა მკითხავთ ალბათ, რა გაცინებსო, მაგრამ... მოკლედ, ერთ მშვენიერ დღეს მე და SWEET-მა პლიაჟს მივაშურეთ. პატარა ლეკვი ვიპოვეთ და მასთან ერთად გავაგრძელეთ გზა. ჯერ ზღვაში კარგად გავრეცხეთ, მერე კი რაც ძაღლის სახელი გაგვეგო, ყველა სახელი დავუძახეთ. ამ დროს მაშველმა გვკითხა, რა ჯიშის იყო ჩვენი ცუგა. თათამაც სიამაყით უპასუხა, „დვარნიაშკაა“, სუფთა სისხლისო. მერე ჩვენ დავინტერესდით, რამდენად დამღლელია მაშველის სამუშაო. მერე მწუხარებაც გამოვთქვით — ამ ბოლო დროს ხალხი აღარ იხრჩობა და თქვენ რა უნდა ქნათ უმუშევრადო. ამ მაშველს თვალები შუბლზე აუხტა. ჰოდა, ახლა ეს მაშველი გვერდით მიზის. ჰო, მართლა, თათამ, აქაოდა მაშველია ახლოსო, თავისი წყალში ჩასვლის რეკორდი ერთი ორად გაზარდა. მანამდე კოჭებამდე წყალში შედიოდა, მაშინ კი მთელი სიამაყით, მუხლამდე შევიდა. თათუ, მიყვარხარ, ჩაგკოცნე. SCARLET.

• მე რომ შემეძლოს ამ ცხოვრებაში მეორედ მოსვლა, ცრემლად მოვიდოდი, შენს თვალებში გავჩნდებოდი, ცხოვრების გზას შენს ლოყებზე გავიდოდი და შენს ტუჩებზე მოვკვდებოდი. ნი87.

• მაგდალენა, ყველას სახელით შენ რატომ მელაპარაკები? მისტერის არაჩვეულებრივ ლექსიკას გამოვიყენებ თუ არა, ეს მხოლოდ ჩემი საქმეა... ჩემს ლექსიკას დახვეწვა არ სჭირდება... დიდი მადლობა, გულთბილი დახვედრისთვის... ქაჯების დედოფალი.

• ტივს შევკრავ და მერე ღმერთის იყოს ნება, შუა ზღვაში თუ სიკვდილსაც მოვერიე, მოგიტაცებ, დაგავიწყებ ცისფერ თვალებს, მოგიტაცებ, დაგავიწყებ ყოველივეს, ზღვა დამახრჩობს, თუ მაგ თვალთა ლურჯი რჩევა, სულ ერთია, მე გავურბი სიმარტოვეს, არასოდეს დაგღლი ჩემი სიყვარულით, თუ ბიჭი ხარ, გაიქეცი, მიმატოვე... ავტორი სამწუხაროდ, არ ვიცი.

• აი, ახლა, ამ მომენტში საშინლად გულნატკენი განადგურებული ვარ. არ მინდა ვიტირო, მაგრამ გული ვეღარ ემორჩილება გონებას. ერთდროულად 3 საყვარელი ადამიანი დავკარგე. მეზიზღება ის დღე, როცა ტკივილი გაჩნდა ქვეყანაზე. მეზიზღება ყველა მატყუარა და მოღალატე, ორპირი და თვალთმაქცი. ახალი ცხოვრების დაწყება მინდა და არ მაცდიან. დავიღალე უსამართლობით. ყველაფერს დავთმობდი, ოღონდ შენი ზიზღით სავსე თვალები არ მენახა. ნეტავ იცოდე, როგორ მიყვარხარ. დავიღალე. პეპელა.

• დღეს დიდი დღეა, დიიიიიდი... მარ, მგზავნელებო და სრულებით ქართველო ხალხო, მომილოცეთ! პირადობის დამადასტურებელი მოწმობა ავიღეეეე! რუისპირი (YELLOW).

• მინდა ყველამ იცოდეს, რომ მთავარია, მიზანი და შრომა, მის მისაღწევად. გაჭირვებაში გავიზარდე, ბევრჯერ მშიერს დამიძინია, დედაჩემს კი ღამე ტირილით გაუთენებია, ხვალ ბავშვებს რა ვაჭამოო. მიუხედავად ყველაფრისა, სტუდენტი გავხდი, ვცდილობდი ისე დავმჯდარ-დავმდგარიყავი, რომ ჩემი დახეული ტანსაცმელ-ფეხსაცმელი თვალში საცემი არ ყოფილიყო და დაუღალავად ვსწავლობდი. ფიზიკურადაც ვშრომობდი. ყველანაირი ტექნიკური პროგრესი ჩემთვის ფუფუნება და მიუწვდომელი იყო, მაგრამ მაინც არ დამიყრია ფარ-ხმალი. ახლა კი... ახლა კარგი სამსახურიც მაქვს, ლეპტოპიც და სხვა ტექნიკური სიკეთეც, ავტომანქანაც და ეს ყველაფერი მხოლოდ საკუთარი შრომითა და ფინანსებით შევძელი და არა ვიღაც გაქსუებული ბიძიების დახმარებით, რისთვისაც ღმერთს ყოველდღე მადლობას ვწირავ. ახლა ბევრი, ვინც ზედაც არ მიყურებდა, გამარჯობას არ იშურებს, რისთვისაც უფალს კიდევ ერთხელ მადლობას ვწირავ და რაც მთავარია, დედაჩემი ბედნიერია ჩემით და ყოველ ხელფასზე ჩემ მიერ მისი დაფინანსება, მისი ტირილით მთავრდება ხოლმე. :) ასე რომ, იბრძოლეთ, ჩემო კარგებო, ყველაფერი კარგად იქნება! დიდი მადლობა მარი, რომ თუნდაც წაიკითხეთ, თუ ვერ დაბეჭდავთ, არც მაგაზე იჯავროთ, მე გული არ მეტკინება. უცნობი-333.

• ადამის დროიდან მოდის გამოთქმა — სიყვარული ყველას ათანაბრებსო. სიყვარული ამაყს მოდრეკს, ამპარტავანს მოწყალებას ასწავლის, მაგრამ მისი მთავარი ღირსება ის არის, რომ ყველას აამაღლებს და აკეთილშობილებს. უფლისწულს გლეხად არ გადააქცევს, მაგრამ გლეხს ნამდვილად აქცევს უფლისწულად. თირიფი73.

• შუაღამისას 12-ჯერ ჩამოჰკრა საათმა ერთხელ, ფიქრების ქარბუქმა მიწას მოსწყვიტა პატარა სული და შორეულ ცაში აიჭრა ვარსკვლავებისკენ. თურმე, ზამთრის სუსხი შეჰპარვია და იმიტომ ქცეულა ყინულის დედოფლად. გული გაუქვავდა და გრძნობაც ფანტელებივით გასცივებია. მაინც მოუნდა სტუმრობა იმ ერთადერთთან, თუნდაც შეეშინებინა თავის სიცივით. ის მივა მძინარესთან, ვით მოჩვენება, ჭაბუკი ცეცხლის ალს შეაგებებს, მისი თვალები ყინულს დაამსხვრევს და კვლავ ნამდვილ ქალად მოავლენს ქვეყნად. ყინული გადნა, ის ცეცხლი ჩაქრა, სული ცას მოსწყდა სხეული გათბა, საათი პირველს უჩვენებს ახლა, გამქრალ ზმანებით გამთბარ დედოფალს აღარ აძინებს ფიქრი. ტირიფი73.

• რას იგესლები ან ილანძღები ერთი? ისე, ის მაგარი იყო, დორბლიანიო. ზედგამოჭრილია მისტერზე, მაგრამ ზედმეტებიც თქვი... მთლად მართალიც არ ხარ. წყევლა. ქალი ეგზოტიკა.

• უმუშევრობას სააკაშვილი უნდა ერქვას. ლაკვასტი, მოგიკითხავ. მომწონს შენი გზავნილები, ასევე ლუნასი, პარიჟანკა, გენაცვალე, რა სუფთა ადამიანი ხარ. ქალი ეგზოტიკა.

• წყველას გაუმარჯოს. მაგარი ჟილკიანი ხარ, მასე გააგრძელე, თავი არ დაღუნო. მე კიბორჩხალა ვარ და მინდა გაგიცნო. რას იტყვი?

• არ გვეგონოს, დავიბადეთ მარტო ჩვენი თავისთვის, წუთისოფლის წამისთვის მარტო დღე და ღამისთვის, ღამით დავწვეთ დილით ავდგეთ, მარტო სმა და ჭამისთვის, უნდა შევქმნათ ქვეყნად რამე, ერთობლივი ჭამისთვის, სინდის-ნამუსს მოვეფეროთ, არ გავფუჭდეთ ქრთამისთვის, მიწაში რას ჩაგვატანენ, სინდისს ვკარგავთ ამისთვის? შევიგნოთ და დავიხსომოთ, ეს ცხოვრება რთულია, ცა ხედავს და მიწა იწერს, თუ ვის როგორ უვლია. წყევლა.

• მადლობა მინდა ვუთხრა ქალბატონ თამროს, რომელმაც გულთან მიიტანა ჩემი გასაჭირი და თავისი კეთილი გულით უდიდესი პატივი მცა, ასევე დიდი მადლობა მინდა ვუთხრა საბერძნეთში მცხოვრებ ყველა ქართველ ადამიანს, რომლებმაც გულთან მიიტანეს ჩემი გასაჭირი და გვერდით მიდგანან, როგორც მორალურად, ასევე მატერიალურად. პატივისცემით, ვიტალი კუჭუხიძე.

• ლევან ცხოვრებაშვილო, გენაცვალე. „პრავას“ ავიღებ და ვიგრიალოთ, ჩემი „ტოიოტა პრადოთი“, არა პრობლემა. დედაშენს კი გამოჯანმრთელებას ვუსურვებ. ქალი ეგზოტიკა.

• დიდი ხანია, „გზას“ ვკითხულობ და ძალიან მინდოდა მომეწერა თქვენთვის და აჰა, გწერთ კიდეც. :-) ძალიან კარგები ხართ. ბუსუნა.

• საღამო მოვა, შემომაწვება დარდი ცხოვრების, ჩემგან შორსა ხარ და მენატრები, მემარტოვები, იქნებ არც ღირს, რომ აირიოს ფიქრი გრძნობების და არასოდეს აღარ იმეფოს გრძნობამ გონებით, ჟამთა სვლას გაჰყვა ნეტარებანი გულის ცხოვნების. ცაში აიჭერ, გაელვება ხარ, ჩემს გრძნობას მეფობ, მეფობ ამაყად, თავდაჯერებით, გული კი ტყვეობს, ტყვეობს მდაბალი და მიამიტი გრძნობებით ღრეობს. მას უხარია, აქვს უნარი სიყვარულისა, თუნდაც ეს იყოს ეპილოგი სინანულისა... ლაკვასტი.

• კლეოპატრა, ჩემო საყვარელო, მე შენი აღმოჩენა ვარ, შენ კი თავად პოეზია ხარ ჩემი. :) ძალიან კარგი და უნიჭიერესი ადამიანი ხარ. ფლამინგო, გენაცვალე კეთილ და წმინდა გულში, მე და შენ თითქმის ერთნაირი სულიერი კავშირი გვაქვს, არსებულ რეალურ მოვლენებთან. :) გრუზინკაააა, მართლა მაოცებს შენი სულიერი სიძლიერე, გონიერება, აზროვნება, ღმერთმა ინებოს და გამოანათოს შენს ცხოვრებაში... და მაინც მინდა, რომ გწამდეს: ცხოვრება მშვენიერია, საყვარელო. 9717, რატომ დამეკარგე? ვეღარ

მირითმავ სიტყვებს? :) გადარეული ვახუნხულ, მაპატიე, ბოლო დროს უყურადღებო ვარ მგონი, ამის მიზეზი შენც კარგად მოგეხსენება. :) ედე, გაელვებაააა მიყვარხარ, უთბილესო ადამიანო. ლუნა, მეც უძალიანმაგრესად გამიხარდა ისეთი კარგი და კეთილშობილი ადამიანის გაცნობა, როგორიც შენ ხარ. მოვიკითხავ დიიდი პატივისცემით იმ მგზავნელებს, რომლებიც ჩემს გზავნილებს კითხულობენ და მეხმიანებიან. ლაკვასტი.

• ჩემმა გულმა გარისკა, შეიყვარა და... წააგო?! კლეოპატრა.

• მარ, სალამი. ხომ ხარ კარგად? გერასიმე, ლაკვასტი, ულიბკა, ლუნა და სწეეტ გირლ, მადლობა და გაიხარეთ. ძალიან მინდა თქვენი ნახვა „ოდნოში“. თქვენი ნამდვილი სახელები დაწერეთ, თუ არ დაგეზარათ.

• დიდი მადლობა ულიბკას, ფლამინგოს, მაგდალენას, მოკითხვისთვის. ჯაყისმანელი.

• ახლები როგორ აქტიურობენ?! ძველები ფეხს ითრევენ, რა ხდება? :) ჩემო ხუჭუჭა რუი, რამ გაგაყვითლა, ბიჭო? ;) ქ-ნი ნანი დუმბაძის გზავნილზე მაგრად ვიხალისე. უჩვეულო, ხალასი და იუმორი აქვს ამ ქალბატონს. მისგან ბევრი რამის სწავლა შეიძლება. გენაცვალეთ. მე — პეპელა.

• მარი, მომენატრე. პრინცესა, როგორ ხარ? მე გაცივებული ვგდივარ ლოგინში და თავს ვერ ვამოძრავებ. ეს მონატრებაც რა ოხერი ყოფილა?! :) ჩემი ბასასუნა მენატრება და ნახე, არც კი მწერს. :( ერთი ჭიქა არაყი გამოასწორებდა ახლა ჩემს ავადმყოფობასაც და უხასიათობასაც. გკოცნი და გეფერები. პეპელა.

• ულიბკა, ულრმესი მადლობა, რომ ასე მოგწონს ჩემი გზავნილები. მე გისურვებ, მალე დაბრუნებულიყავი საქართველოში და ასევე ყველა ემიგრანტს ვუსურვებ ამას. უფალმა დაგლოცოს და გაგაძლიეროს, როგორც სულიერად, ასევე ხორციელად... მაგდალენა გაიხარე, ჩემთვის ძალიან სასიამოვნოა, ამას რომ ამბობ ჩემს გზავნილებზე. გეტყობა კეთილი და თბილი ადამიანი ხარ. გისურვებ წინსვლას და ულევ ბედნიერებას, ცხოვრებაში... ლაკვასტი.

• პოეტი ხარ ლირიკოსი, ჩემზე ცუდის მთქმელს მოხვდა ილიკოსი. :) წყევლა.

• მაარ, ყველა კომპლიმენტი, რომელსაც შენ იმსახურებ, ფურცელზე რომ დავწერო, ეს ქვეყანა ტყის გარეშე დარჩება. :) ნიჭიერი ადამიანი ხარ და ძალიან გაფასებ. ჩემი ციცქნა გულით. :) რუისპირი (YELLOW)

• ერთმა ქალღმერთმა ორი ანგელოზი შექმნა. ისინი ისეთი მშვენიერები გამოვიდნენ, რომ თავადვე შეშურდა და მიწაზე გადმოყარა. მე არაფერი მტკენია! შეენ, ციყვი? :) ძალიან მიყვარხარ, ჩემო ვიტრინის დათუნიავ... რუისპირი (YELLOW).

• სამოთხიდან დამირეკეს და მითხრეს, რომ ყველაზე ლამაზი ანგელოზი გამოექცათ. მე სწეეტი არ ჩავუშვი. :) ჩემი ნახევარქათამა, მოცუცქნული, ენერგიისმფრქვეველი მეგობარი ხარ, თააათ... რუისპირი (YELLOW).

• ჩემსავით ჩაგრულო, უცნობო მარგარეტ, მომწერე ჩელსიდან, რომიდან, პრალიდან... მეც, როცა სიგიჟე მომივლის, ვხარხარებ და მჯერა, რომ ჩემში სამყარო აყვირდა. ცუდი რამ სრულებით არაა სიგიჟე, ის ზოგჯერ მოუვლის მოცარტებს, ნიკიშებს... ხიდიდან დაგიშვებს, კოცონთან მიგიშვებს ან შიშვლად გატარებს ჭკვიანთა ხრიგინში. ფანჯრიდან ყვავილებს მიცინებს გარგარი. ჭერიდან ჩამომდის ნაკადი გველებად. შენ როგორ განიცდი, რასა გრძნობ, მარგარეტ, როცა ცას ღრუბლებში უტყდება ხველება. მომწყინდა ამდენი კაფსულა, აბი და, ნეტავი ველირსო ცხოვრების ეპილოგს! მსურს, ჩემი ექიმი გავიდეს კაბიდან, ამაზე მირტყამს და დამძახის: დებილო! ქცევით და მოპყრობით მაბრაძებს ექთანიც, ათივე თითი რომ მოუჩანს ნემსებად... ჭკვიანის ხალათს გიჟი ტანთ იცვამს, ეგ ტანი სულ ნაკლულ ბოთლს უგავს და უნდა შევსება. შენ უნდა გესტუმრო, გეფერო, გაგათბო, ის სითბო სიკვდილის ბოლომდე გეყოფა. ჭკვიანებს აშინებთ სიგიჟე — მაგათ ხომ არ უწყით, თუ გრძნობის რას ნიშნავს შეფობა... მარგარეტ, ძვირფასო, უცნობო მარგარეტ, არ მცნობ და რატომღაც მგონია, ვერ მიტან და მაინც, ვიდრე ამ კედლებში ვხარხარებ, მომწერე რიგიდან, ოსლოდან, ბერნიდან... რუისპირი (YELLOW).

• გთხოვ, მომიტანე წითელი ვარდები, ცრემლით დანამული... უცრემლოდ ვიტირებ შენს სიყვარულს, რადგან შენ უკვე გიტირია... სისხლისფრად შევღებავ ბაგეებს შენსას დავეწაფები, როგორც მწყურვალი. გიტირიაო, შენ მეტყვი ჩუმად, თავს აგარიდებ, გაგებუტები. არ გაპატიებ, რომ მიმატოვე, არ გაპატიებ, რომ შემიყვარდი. პეპელა.

• მარი, რაგორ ხარ? ძალიან მომენატრე. დეიდაჩემმა მითხრა, ჟურნალებს გამოგიგზავნიო, თითქოს მეცალოს. :-) ფიფქი.

• უნდა ვიცოდე ახლა სად დგახარ, უნდა ვიცოდე, ახლა სად მელი, რადგან დაბნელდა და სიბნელეში შენ ხელთ არა გაქვს შენი სანთელი. მე მეღვიძება და მახსენდება, რომ მძინებია თურმე რამდენი, ხელის ფათურით კედელს დავეძებ, მინდა ვიპოვო ბნელში ჩამრთველი, რომ გავანათო და გამახსენდეს, ახლა სად დგახარ, ახლა სად მელი... ვაი თუ, მართლა სიბნელეში ხარ და არ გიპყრია ხელში სანთელი, მაგრამ თანდათან ვიბრუნებ ხსოვნას და მახსენდება, აღარსად მელი და ყველა ქუჩა ცარიელია და სულ უეცრად წყდება სათქმელი... რუისპირი (YELLOW).

• ფლამინგო, იქნებ გეკითხა, რატომ ვილანძღები. ისე, ეგ ჩემი პრობლემა იყოს, OK? ქაჯების დედოფალო, ცოოტა და ჭკვიანური ილაპარაკე, რა.

• გაიხარე, SWEET, შენი რჩევა მივიღე და მივხვდი, რომ ძალიანაც ხარ სასაცილო. გაგიხარდა? გენაცვალოს თამუნია.

• სხვა მგზავნელების საყურადღებოდ: მისტერთან გზავნილებით ნუ შემაფასებთ. რა ვქნათ, ასეა, ვიღაცას მოსწონს, ვიღაცას — არა. ვიღა-



ცას მოვწონვარ, ვიღაცას — არა. წყევლა.

• სარკეში ჩაიხედე პეტუხო და იქ დაინახავ მოლაპარაკე საპირფარეშოს ან სულაც მოლაპარაკე ყელს. წყევლა.

• გადარეულო, მიახლოებით მასეა, შენა და... მართლა ისეთი გადარეული ხარ, როგორიც ჩანხარ? „ჯეოსტარი 2010“ გახდება იაგო მოდებაძე. წყევლა.

• მარორიტა, ბოდიშს გიხდი, ამ შუაღამისას რომ გწერ, მიმიღებთ „გზავნილებში“? სულ ახალი ვარ.

• აუ, მააარ, მაპატიე დეეე, ასე გვიან რომ შეგაწუხეეეე... ძალიან მიყვარხააააარ! კაი, წავე, ტკბილი ძილი. გაკოცე უმარავიიიიი! CRAZY GIRL.

• SWEET-უნია, ენად ნუ გაიკრიფე ჩემო კარგო. მე შენთან საკამათო-ასახსნელი არაფერი მაქვს. უმიზეზოდ არავის ვეხები, ასე რომ, მოდი, ყველა ჩვენს სკამებზე დავეტიოთ. მარია.

• რაც შეეხება რუისპირს, ერთ რამეს შეგახსენებ: შენთვის არავის უთხოვია, იქ ჩაერიე, სადაც არავინ არაფერს გეკითხებაო. თუ სწეეტ-ის დახმარება გინდა, გარწმუნებ, არ სჭირდება. სიტყვა-პასუხი არ აკლია და მისტერის დახმარებას მხოლოდ უფალი შეძლებს. სხვა არამკითხე მოამბეებს კი ვურჩევ (უბედური ლევანის ჩათვლით) — ყველა იმას იღებს, რასაც იმსახურებს. მისტერს: რენჯ-როვერი მეყოლება უდაოდ. შენი ლოგიკიდან გამომდინარე, იმედს ვიტოვებ, ადამიანად იქცევი ოდესმე. ბრედ პიტი იმდენჯერ ახსენე, ვგონებ შენ მოგწონს. :) მე ჰოლივუდიდან არავის ვწყალობ. ჩემს ჰორმონებსაც ნუ გადააკვდი და ნუ ღელავ, არ მაწუხებენ. მაინც რა ჯიშისა ხარ? მარია.

• ლევანიკო, მაა, :) მაგარი ნაშობა სახლში გყავს, დედის, დეიდის და დის სახით, ამ ცხოვრობის მუწუკო. წყევლა.

• მარი, აუ, ახლა გაწამაწიაში ვარ. მასწავლებელთან მივდივარ ერთ საათში, მაგრამ „გზავნილები“ არ მქონდა წაკითხული... ჰოოდა... როგორც ყოველთვის, დედაჩემი გაჰკივის, გოგო, შეეშვი მაგას, დაგაგვიანდაო. თვითონაც რომ კითხულობს, სულ, აბა? ასე ვართ მთელი ოჯახი. უნდა ნახო, „გზას“ რომ მოიტანს დედაჩემი. მე და ჩემი ძმა კივილ-წივილს ვიწყებთ. :-) აუ, მარ, იცი, ახლა რა გამახსენდა? ჩემი LOVE STORY, ჰოდა, თვალზე ცრემლი მომადგა. :-( 16 წლის ვარ ქალი და 4 წელია, მიყვარს. მოკლედ, 12 წლისა ვიყავი. ძალიან საყვარელი მეჩვენა. გამიღიმა, მე კი არა. რატომ?იმიტომ, რომ ყოველთვის უაზროდ ამაყი ვიყავი (მაშინ უფრო). მალე სკოლაც დაიწყო. ვგრძნობდი, საშინლად მაკლდა, მენატრებოდა. აღმოჩნდა, ჩემი კლასის გვერდით გადმოვიდა ისიც. იმ წელს სკოლას ამთავრებდა. დაიწყო მხიარული დღეები, მაგრამ... ვაი, რომ ჯერ კიდევ არსებობენ ინტრიგანი ადამიანები. ბევრი ინტრიგა, ბევრი ცრემლი... ახლა? ახლა ის, რომ გავიდა 4 წელი და... მაინც არაფერი. არადა, ისევ მიყვარს და ღვთის იმედი მაქვს. მიყვარხართ მგზავნელებო.. NEW MARRY.

• ქ-ნო ნანი, ეგ ამბავი, ჩემი აზრით, თემას არ შეესაბამება. როგორ ვჭამე სირცხვილი... ყველა ვერ შეძლებს გარდაცვლილი დედის ცხედართან ხუმრობას. ტირილ-სიცილი ერთად მე დამეწყო თქვენს გზავნილზე. დიდებული ხართ. მარია-მაგდალენა.

• ერთ აღგზნებულ იდიოტს (მამიკო ლევანს) მინდა მივმართო, შენა და, რომ ამესიჯებ, რას ამესიჯებ? მაგარი დაფერთხილი გეტყობა, ბალი ჩათი ხო არ გგონია აქ? რაებს წერ, ტო! ქალი არ გინახავს? გაიარე ვაგზალზე და ნახავ ქალს, სამ ლარად წყვილი მოდის. :) კარგი რაა, ამით კაიფობ თუ რას შვები? ქაჯების დედოფალი.

• გამარჯობა. პირველად გწერთ. აქამდეც ხშირად გამჩენია სურვილი, „გზავნილებში“ რაიმე კურიოზული ამბავი მომეწერა, მაგრამ ახლა აღშფოთების გამო გადავწყვიტე დაგიმესიჯოთ: ახალგაზრდა, იტალიიდან გამოთხოვილი ქალი გწერთ, რომ ის ქმარს გაშორდა, შვილს ყოფილს უთმობს, ის კი მისი ქონების ნახევარს მიიღებს, უყვარს გრიალი, რა ქნას... თან ქართველი ქალების ცხოვრებას დასცინის, ბლუებს და ბავშვების დამყრელებს ეძახის მათ... ისე, პრინციპში, ქალისგან (თუ ჰქვია ქალი საერთოდ), რომელიც საკუთარ შვილს თმობს გრიალის გამო, არც არაფერი უნდა გეწყინოს ადამიანს... მე დიასახლისი ვარ, 32 წლის. მყავს ქმარი და 2 შვილი. ისინი სიცოცხლეს მირჩევნია, მაგრამ სულაც არ ვთვლი თავს მათ მოსამსახურედ. ყველაფერს სიყვარული მაკეთებინებს, რადგან მათგანაც იგივეს ვგრძნობ და მე უზომოდ ბედნიერი ვარ ამით. მინდა მას ვუთხრა: ვერასოდეს მიიღებ მასეთი ცხოვრებისგან ბედნიერებას! ამას მე არ ვამტკიცებ, ეს ცხოვრებამ დაამტკიცა, დიდი ხანია! დუდა (ასე შვილები მეძახიან).

• მოგიწევს ხუნხულ, ატანა მოგიწევს. :) მე ვარ ყინულის დედოფალი? მე მეგონა, ეგვიპტის ვიყავიიი. :) გენათალე ხუნხულ. კლეოპატრა.

• გმადლობ ფიფქია, მხარდაჭერისთვის. მიყვარხარ. კლეოპატრა.

• ლაკვასტ, ფლამინგო, ედელვაისო და ჭრიჭინა, ულრმესი მადლობა, ამდენი სითბოსთვის. თქვენ დამიბრუნეთ მეგობრობის რწმენა და გმადლობთ ამისთვის. მიყვარხართ. კლეოპატრა.

• ეგ ის რუისპირია, გიჟპოეტას ლექსები რომ დაიბრალა? თუ ის, მისტერისნაირი ლექსების დაწერა რომ სურს? არა, ეს ისე. ნუ გეწყინება, უბრალოდ, იმდენად გოიმი მგონიხარ, რომ ვერც კი გაგიბრაზდები. წყევლა.

• პირველათ გწერთ. ესე იგი, ერთი თავმომწონე გოიმი, უშნო მეზობელი მყავდა, თავი ანჯელინა ეგონა და დიდი მკერდის გამო ბევრი ეტრფოდა. ერთ ღიპუცას გაჰყვა 16 წლის. ისე აქებდა, უჰ, ნუ იტყვით და 1 წელში ბავშვიანი დაგვიბრუნდა ჩვენი ანჯელინა. თურმე ქმარი მაგრად აჩმორებდა და ხმის ამოღების უფლება არ ჰქონდა. ასეა, მაშ, კოლხი.

• ძალიან მინდა, ბევრი მეგობარი შევიძინო. უკვე 2 წელია, საბერძნეთში ვარ და ძალიან მენატრება საქართველო. ამ ჟურნალს ხშირად ვკითხულობ და ძალიან მიყვარხართ ყველანი. გთხოვთ დამიბეჭდოთ. ჭრიჭინა.

• კვლავ განთიადის გრილი ხანძარი, როგორც ბუნების ხმა იდუმალი, ბედნიერებას ისე მაძალებს, თითქოს ოდესმე მითქვამს უარი. ტყე აბოლებულ შუქში ირწევა და მერე თვალწინ მწვანდება ჩქარა. ბედნიერება ორ ნაბიჯზეა, რომ დაფრთხეს, ხელის განძრევაც კმარა. მაგრამ განძრევას მე არც კი ვცდილობ, ვდგავარ, თანდათან იზრდება სივრცე და მოლზე ჩემი გამხდარი ჩრდილი ეცემა მთელი თავისი სიგრძით. შეფოთლილ ტოტზე ჯდება ფრინველი, გაოცებული და ოდნავ სველი და ისე უსტვენს, თითქოს პირველად დღეს მიანიჭეს უფლება სტვენის, ან თითქოს, სივრცე არ აძლევს საშველს და ლაჟვარდებში ქროლვა გიჟური და ჰა, მსუბუქად აიჭრა ცაში ვით სული, სხეულს გამოთიშული. ო, სივრცის გრძნობა და გაქროლება თავბრუდამხვევი და საკვირველი!.. მგონია, ერთვის უსაზღვროებას ფიქრები ჩემი, როგორც ფრინველი. თითქოს ხე ვიყო, ხელებგაშლილი, ამღერებული ქარში ანაზდად, ვდგავარ მიწაზე, როგორც კავშირი, როგორც თანხმობა მთელ ქვეყანასთან... ლაკვასტი.

• სალამი ყველას. გადარეულო, ისეთი შეკითხვა უნდა დაუსვა ადამიანს, რომ პასუხის გაცემის სურვილი არ დაეკარგოს, მიხვდი? თუ ვერ მიხვდი არა უშავს. ქაჯების დედოფალი.

• აუ, ეს წყევლა დააშოშმინეთ ვინმემ რა, ძალიან გთხოვთ... შენა და, რა გიშველის? ხომ იცი, მედიცინა შორს წავიდა, მაგრამ შენნაირებისთვის არ ვიცი... კრიტიკა — იცი შენ ამ სიტყვის არსი და რაობა? კრიტიკა ზოგადად ეწოდება რაიმე საკითხზე გამოთქმულ მოსაზრებას და რაც არ უნდა გაგიკვირდეს, ეს მოსაზრება არგუმენტირებული უნდა იყოს. დავიდა შენამდე? ყველას კომენტარს რომ უკეთებ, იცი შენ, რა არის ანალიტიკა? დაუკვირდი, რაღაც რაღაცებს, ყურადღების მიქცევა სხვა, უკეთესი და უფრო მოსახერხებელი გზებითაც შეიძლება... ასეთ ყურადღებას, მირჩევნია საერთოდ არ მომაქციონ. არა, რაა, მისტერზე ხმას როგორ იღებ, ვერ გამიგია. ქაჯების დედოფალი.

• უკვე დავრწმუნდი, რომ აქ თითქმის ყველას პირველობა გინდათ, მაგრამ ვერ გამიგია, თუ პირველობა გინდათ, უკანასკნელებივით რატომ ელაპარაკებით ერთმანეთს? ან პირველობას რად ჩემობთ? აქ ყველა თანასწორია და რომ გაიხეთ, ზედმეტ ყურადღებას ვერავინ მოგაქცევთ... წყევლას და მარიას მისამართით ვწერ, ვითომ რაო, მაგრები ვართო და რამე? ამ ჟურნალის ორი დიდი მუწუკი ხართ, ორი ფერიჭამია... სხვა არაფერი, უფრო სწორად, ვერაფერი... მისტერს ეჯიბრებით? ყოჩაღ თქვენ, არიქა არ გაასწროთ, თუმცა რომელ გასწრებაზეა ლაპარაკი, ჯერ ახლოს მიდით, მისტერი კინაგამ გავამტყუნე, ცუდად რომ ილაპარაკა ზოგიერთებზე, მარა ახლა? ახლა: მისტერ, ჯიგარი ხარ, შენსას რომ აწვები, ზოგიერთი ადამიანობას ცდილობს და კრისობა გამოსდის, მაგრამ არა უშავს, ყველას თავისი სიმართლით გაუმარჯოს... ქაჯების დედოფალი.

• ვეხმაურები კეთილ ადამიანს, რომელმაც გულთან მიიტანა ჩემი გასაჭირი და ამანათი გამომიგზავნა ამა წლის 19 სექტემბერს. კეთილო ადამიანო, თქვენ მიერ მითითებულ ნომერზე დავრეკე, შევხვდი მათ და მითხრეს, რომ დახურულები იყვნენ. აგვისტოს 15-ის მერე ჩვენ გზავნილები არ მიგვიღიაო. კეთილო ადამიანო, ულრმესი მადლობა ყურადღებისთვის, შენ მოიკელი, მაგრამ ის ამანათი დაიკარგა, ვერსად ვერ მივაგენი. ეს ჩემი პირადი ნომერია: 8.58.39.57.90 ან 8.55.11.53.47. პატივისცემით, ვიტალი კუჭუხიძე.

• იცით, მე ვინ ვარ? რომ არ ვთქვა ბევრი, მცირე მტვერი ვარ შოთას კალმისა, გურამიშვილის ვარ ცოტა ცრემლი და ერთი თასმა ვაჟას ქალმნისა... მე ჭავჭავაძის ვარ სისხლის წვეთი, ბარათაშვილის ვარ ერთი ოხვრა: ამიტომ მქვიან, ალბათ პოეტი და მათ მუხლებთან მიხდება მოხრა... ლაკვასტი.

• ქაჯების დედოფალს მე არც შევხებივარ, მარიმ ვიღაცის სმს შემატენა, თორემ მე რატომ უნდა დამეწერა ეგ? ოლეს ვკოცნი და მისტერის გაცნობა მინდა-მეთქი, ეგ კი, მაგრამ დანარჩენი ჩემი დაწერილი არაა. ჰმ. კამ-კამა.

• მარ ძალიან გთხოვ ეს მესიჯი დამიბეჭდე ახალი ვარ და პირველად გწერთ, იმ დღეს სკოლაში კიბეზე ჩავდიოდი და წინ ჩემი მასწავლებელი შემხვდა (საგანს შეგნებულად არ ვასახელებ). რომ შევხედე, უცებ პირი დავაღე, 60-ს გადაცილებული ქალია და იასამნისფერი თმით მოვიდა. ჩემს დაქალს რომ არ ეთქვა, პირი დახურეო, ალბათ ასე დავრჩებოდი, რამ გადარია ეს ხალხი? აქაო და, ევროპელები ვართო, ამხელა ხალხმაც თინეიჯერობა მოინდომა. ცოტაც და გავგიჟდები. SMILE AGAIN.

• გამაგრდით ერედველებო, არ ჩაიქნიოთ ხელები. წავიდეთ, რომ დავიბრუნოთ, ერედვის მინდორ-ველები. იქ ჩვენი დროშა აღვმართოთ და მის გარშემო სუყველამ, ცეკვა-თამაში გავმართოთ, ვიმღეროთ მრავალჟამიერ, რასაც მღეროდნენ პაპანი, აბა წავედით ბიჭებო, ვინც ბრძოლაში ხართ მაგარნი, ისეთი ომი ავტეხოთ, მიწას გაჰქონდეს ზანზარი, ვინც ჩვენს წინააღმდეგ იბრძოდა, სუყველას დავცეთ თავზარი. შალვა ბაციკაძე.

• სევდამორეული, ფიქრით გადაღლილი, გული დარდით სავსე დამაქვს. საკინძე აწყვეტილი, გულგადაღეღილი, ქუჩას მივუყვები, სად ხარ? ჩემთვის გაზაფხული აღარ არსებობს, უკვე შემოდგომა დადგა. ნატვრაში, ფიქრებში დაღლილი მზერით, ჩუმად გეფერები, სად ხარ? შორს ჩემგან წასულხარ, ვარსკვლავს ემსგავსები, სადღაც მთის მწვერვალზე ჩანხარ. დავდნი და დავიწვი შენი სიყვარულით, მუდამ გეძახი, სად ხარ? თვალცრემლიანი უკან მოგყვებოდი, ვერ დაგინახე,

სად ხარ? როცა მოვკვდები, ცრემლით გამიხსენებ და ატირდები ალბათ. ფიფქია.

• ბედის ირონია მწარედ ჩაგვიცინებს და აგატირებს სიჩუმის ტრფიალი. მარტოდ დარჩენილი სევდით გამიხსენებ, მაგრამ დამიჯერე, იქნება გვიანი. ფიფქია.

• ხომ შეიძლება, გაგიჟდეს ქარი და თეთრ ფანჯრიდან შფოთი და ხელი შემოაპაროს ოთახში მკრთალი, ჩუმად მოგხვიოს დაღლილი ხელი... ხომ შეიძლება, გაგიჟდეს ქარი, გამოაღვიძოს ჭაბუკი ქმარი და როცა ნელა შემოგხსნის ხელებს, თვალში ჩაგხედავს სხივები მთვარის... წაგართმევს გულს და ოთახში მერე მარტო დაგტოვებს მთვარე და ქარი, დაგტოვებს ეჭვით ავსილი ქმარიც... ხომ შეიძლება, გაგიჟდეს ქარი... ლაკვასტი.

• არ მინდა მიყვარდე მარტოს, რომ თვალებს დააწვეს ბინდი, რომ მწარე ცრემლები ვფანტო, მინდა სულ გელოდო გზიდან, ოცნებამ შეისხა ფრთები... ფიფქია.

• ისევ ვგრძნობ წვიმის ნესტიან ხელებს და გულზე მადევს ღრუბლების ლეგა, მე ავიტანდი წვიმიან დღეებს, შენ რომ არ იყო ასე შორს ჩემგან. ფიფქია.

• მაარ, დეპრესიონერას ნიშნებს ვამჩნეეევ :( ცუდად ვააარ. ფიფქია.

• დასრულდა ჩემი ამბავი, ვითა სიზმარი ღამისა. წუთისოფელმა დამღალა, სიკეთე მე არ მაღირსა. რამდენი რამის მომსწრე ვარ, რამდენი ცოდვა ბრალისა. ამდენი ავის მნახველი, ჭკუაზე შევცდე ლამისა. ღმერთსა სიცოცხლეს აღარ ვთხოვ, ნეტავ სიკვდილი მაღირსა, ისე მივდივარ იმ ქვეყნად, ჩემი ხმა არსით გაისმა... შალვა ბაციკაძე.

• დათოსა და დოლარას „გზიდან“ მოშთობით გამოწვეული სიხარული ერთნაირად ამოგვაშხამა წყევლამ. მოვიდა და დაიწო, „მობილი-ზაციაში“ ალიაქოთი. :( ასეთი რთულია, ტრ... დაყენება? ვააჰ, აღვშფოთდი. :) რუისპირი (YELLOW).

• ლევანჩოოო, მიუხედავად იმისა, რომ ყოველთვის წინააღმდეგი ვარ, მე-13 გოჭივით გამოხტომისა, ძალიან გამაღიზიანე... შემთხვევით, პორნოჟურნალში გასაგზავნი მესიჯი „გზაში“ ხომ არ გამოგექცა? SWEET, გიკბინეო... ამ მოცუცქნულ ადამიანს საკბენი ტერიტორია რომ ჰქონდეს, მე დამასწრებდი? :) SWEET, გაჩეჩილს უყვარხარ. :) რუისპირი (YELLOW).

• აჰაა, ვილაცას ჩემს პოეტობაში ეჭვი შეეპარაა. თამუნიკო, ვინც მიცნობს, ყველამ იცის, რას ვწერ და ვისზე ვწერ. შენთვის მგონი არავის უკითხავს, კლეოპატრა რას წერსო. ასე რომ, ჩუუუ. კლეოპატრა.

• ICE-LADY, მე არ ვფიქრობ, რომ შენი ლექსები ნაბოდვარია, ნაბოდვარი რომ ყოფილიყო, ჩემს ყურადღებას ნამდვილად ვერ მიიქცევდა. :) კარგი გოგო ხარ, გაიხარე შენ. JERRY.

• მარიამულ, როგორ ხარ, ჩემო ტკბილო? მე ცუდად ვარ, გავცივდი. სიცხე მაქვს. გკოცნიი. ღმერთი იყოს შენი მფარველი. ლუნა.

• 2 წელია, ათენში ვარ. ახალი ჩამოსული ვიყავი, ქართველების ოფისები სადაცაა, ომონიაზე რომ გავედი. ლამის გავგიჟდი, იმდენი ქართველი ვნახე. ჩემი თავიდან დაწყებული, ყველა მეცოდებოდა. ახლა ისინი მეცოდებიან, ვინც მანდ დარჩა და უჭირს. მია.

• ჩვენო საამაყო, ახალგაზრდა მგზავნელებო! გული სავსე მაქვს თქვენი სიყვარულით, თქვენ მიხანგრძლივებთ სიცოცხლეს, თქვენი შემოქმედებით ვხალისობ და ვტკბები, თორემ ჩემი ასაკის ქვაც აღარ გორავს. სულ იმას ვფიქრობ, არავინ გამომრჩეს უყურადღებოდ. მადლიერების გრძნობა მოზღვავებული მაქვს. ძალიან მომეწონა ულიბკას ნამდვილად ამაღელვებელი მესიჯი. ძალიან გთხოვთ, კიდევ ერთხელ წაიკითხოთ. რა ღრმა ფსიქოლოგიური კრედო-მრწარმსი ჩააქსოვა სიტყვებში: „მახარებს, რომ ჩვენს ერს ასეთი გულნათელი და შეურყვნელი შვილები ჰყავს, მათი ნააზრევის გაცნობა მომენტალურად ყველანაირ დაღლილობას მიხსნის, იმის გაფიქრებაც კი, რომ საქართველოს გადაშენება არ უწერია!“ხედავთ, რა ოქროს სიტყვებია? ახალგაზრდებო, კარგად გაისიგრძეგანეთ ეს სიტყვები, თქვენი თავი როგორ ეამაყება! ჩვენ კი, ლამის ცოცხლად შევჭამოთ ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსე ვაჟკაცი — მისტერი, რომელიც არავისზე ნაკლები არ არის. უცენზურო სიტყვებით შეურაცხვყოფთ, რატომ? რა დააშავა? პირველობა უნდაო! მერე, რა არის ამაში ცუდი? ყველა ადამიანში დევს პირველობის კოდი. ეს რომ არ იყოს, დღევენდელ წარმატებებს ვერ მიაღწევდა კაცობრიობა. ხელოვნებაში, არქიტექტურაში თუ სხვა დანარჩენ დარგებში. მისტერს კაცი ხომ არ მოუკლავს? რას მიესიეთ? თქვენ აიძულებთ მას, რომ უხეშად, უცენზურო სიტყვებით მოგმართოთ. გეყოფათ, ბავშვებო, სირცხვილია, რაც იყო, იყო, სხვა თუ არაფერი, ჩვენი საყვარელი ჟურნალი ზარალდება, ნაგვიანდება, სად აღარ კითხულობენ, ის ხომ ჩვენი საქართველოს სახეა. ჩემო თბილო, ახალგაზრდა მგზავნელებო, ძალიან გთხოვთ, გულს ნურავისატკენთ თქვენი მესიჯებით, მართლაც თქვენგან უნდა წამოვიდეს არნახული სითბო სიკეთისა და ურთიერთპატივისცემისა. იყავით სიცოცხლისადმი, ადამიანისადმი, სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულით აღსავსე. გიმეორებთ: თქვენგან უნდა მოდიოდეს საოცარი სითბო, განუზომელი ს ი კ ე თ ე, რომელიც სამშობლოს სიყვარულით, მამულიშვილობით, მეგობრობით, ადამიანთა ურთიერთპატივისცემით, სიმართლისა და კეთილის გამარჯვებითაა ნასაზრდოები. მინდა, ჩემი თხოვნა ვაჟას ლექსით დავამთავრო: „სიკეთისათვის სიკეთეს არავის დავუგვიანებ, ავის თქმით, ავის ქცევითა, გულს არვის დავუზიანებ“. ნანი დუმბაძე.



# გილოცავ!

• გილოცავ, გკოცნი, შენთან ერთად მეც მიხარია, ჩემო უგემრიელესო და უსაყვარლესო. მე მართლა თავზე მეტად მიყვარხარ. ხანგა, ჰემო ხანგუნია. გკოცნიიი, მე შენთან მინდა.

• გაბე, გილოცავ დაბადების დღეს. იყავი ბედნიერი. მე მინდა, უბედნიერესი და უსაყვარლესი იყო, თუნდაც მთელი ცხოვრება. თქვენ ამას იმსახურებთ. ჯიგარ, ხანგუნია.

• მახო, გილოცავ დაბადების დღეს! გისურვებ..... აბა შენ იცი, მაგრად იყავი! ზაზა.

• ნესტან! გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ჯანმთელობას და მიზნების ასრულებას. გვენატრები ძალიან. ჯონი და მანანა.

• ედო ჯავახია, გილოცავ დაბადების დღეს. გისურვებ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს. ძლიერი და ლამაზი ოჯახის შექმნას. ახლად შეძენილი დაიკო, ნატა.

• დედ-მამას, ნინო და გიორგი ასათიანებს გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას და სულის სიმხნევეს.

• დედიკო და მამიკო, ღმერთს ვთხოვთ, გაგეძლოთ იმ დიდი ტკივილისთვის, რაც მოგაყენათ 21 წლის შვილის, ნანას იმიერში გადასახლებამ. თქვენი შვილები.

• 6-ში ჩემს გადარეულ ვახუნხულას და 8-ში სუპერვარსკლავ გივიკოს ვულოცავ იუბილეს! ღვთის წყალობას, ჯანმრთელობას, ულევ სიხარულს, დიდ და ნამდვილ სიყვარულს და წარმატებებს გისურვებთ! გაკოცეთ ბევრი! (ისე ეგ ჩემი ნიკი „გადმოქართულებული“ იბეჭდება ხოლმე და ხომ არ გადავირქვა?) CRAZY GIRL.

• ჩემს საყვარელ ადამიანებს, საყვარელ დედიკოს და დაიკოს, იზო მეგენეიშვილს და მადონა მახარაძეს ვულოცავ დაბადების დღეს. ჯანმრთელობას, სიყვარულს და ულევ სიხარულს გირურვებთ. ღვთის მადლი გფარავდეთ მუდამ. გკოცნით და მიყვარხართ ძალიან. ქეთინო.

• ქეთინო მოისწრაფაშვილს 14 ოქტომბერს ვულოცავ დაბადების დღეს. გისურვებ ჯანმრთელობას და ჩანაფიქრი სურვილების ახდენას და მერე ლამაზ, ბედნიერ მომავალს. გფარავდეს ღმერთი. ტიკარაძე მაია.

• ნესტან ბაჯელიძე, სვანო ხონელო, გილოცავ დაბადების დღეს, 14 ოქტომბერს. გისურვებ ჯანმრთელობას და ბევრ წელს, შენს ქმარ-შვილთან და კეთილ ხალხთან ერთად. მთლად ნუ გადაჰყვები კუდრაჭას, ცოტა გარეთაც გამოდი, ხელშეტოვებულო ხონელო. ოქროს ქედი დატოვე და კუდრაჭას ვერ ტოვებ? გკოცნი. მაია ტიკარაძე.

• სამტრედიაში ჩემს ძვირფას მეგობარს, ქეთი გიორგაძეს მინდა მივულოცო ათენიდან დაბადების დღე, 6 ოქტომბერი. გისურვებ ლამაზო ძალიან დიდხანს სიცოცხლეს და ჯანმრთელობას, სულ ბედნიერი დედა და ბებია ყოფილიყავი. მენატრები ძალიან, რა კარგი იყო, აქ რომ მყავდი. გკოცნი და გეხვევი. თინიკო.

• ჩემო ბომბორა სიცოცხლევ და საყვარელო შვილიშვილო, გიორგი ჭონიშვილო, გილოცავ დაბადების დღეს. წმინდა გიორგი გფარავდეს, დედიკოსთან და მამიკოსთან ერთად. მიყვარხართ. მენატრებით. მანანა.

• ჩემს უსაყვარლეს შვილიშვილს, ილიკო (ცეროდენა) მეიფარიანს ვულოცავ დაბადების დღეს, 9 ოქტომბერს. გისურვებ ჯანმრთელობას, სიყვარულს, სიხარულს და ლამაზ ცხოვრებას, დედიკოსთან ერთად. შენ ხარ ჩვენი სიხარული და იმედი. მონატრებული ნაგო ბებო.

• საყვარელ ადამიანს, მაგული ზიბზიბაძეს ვულოცავთ დაბადების დღეს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას, ყოველივე კარგს, დაესწარი მრავალს, შენს შვილებთან და შვილიშვილებთან ერთად. გკოცნით და გეფერებით, ჟუჟუნა და ნატალია.

• ჩემს მონატრებულ და საყვარელ მეუღლეს, გივი ხამხაძეს ვულოცავ დაბადების დღეს. სიხარულო, გისურვებ ჯანმრთელობას, უსაზღვრო სიყვარულს და უღრუბლო ცის ქვეშ ცხოვრებას, შენს ლამაზ ცოლ-შვილთან ერთად. გკოცნით, გეხვევით, თქვენი ნელიკო.

**„მობილიზაციაში“ ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. საამისოდ, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა Guli გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის“ ნომერი, ტირე, მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა“ №18-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში აკრიბეთ: Guli 18-10 და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. ჟურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასია: 50 თეთრი.**

# ტაიმ-აუტი

## მსოფლიოს უნიკალური სასტუმროები

• ფინეთში ყინულის სასტუმროში მოგიწევთ დაბინავება. კეთილმოწყობილ იგლუს მინის სახურავი აქვს და თბილ პლედში გახვეულს, შეგიძლიათ, ფიფქების ბარდნას თვალი ადევნოთ. სასტუმროს მახლობლად, ყინულის რესტორანი და სამლოცველო მდებარეობს. ფინეთშივეა სასტუმრო — „ყინულის სასახლე“. ადგილობრივი არქიტექტორები და მშენებლები ყოველწლიურად აშენებენ ყინულისგან სასტუმროს, რესტორანს, სამლოცველოსა და სასრიალოს — ბავშვებისთვის. ყინულის შენობებს მეტი მიმზიდველობისთვის სხვადასხვა ფერის ნათურებით ანათებენ. შეყვარებულებს ყინულის სამლოცველოში ჯვრის დაწერას, სასტუმროში კი თაფლობის თვის გატარებას სთავაზობენ. ნომერში მინუს 5 გრადუსია ტემპერატურა. სასტუმროს სტუმრებს საძინებელ ტომრებში სძინავთ. სასტუმროს რესტორანში სტუმრები ყინულის მაგიდის გარშემო სადილობენ. სკამებად მგლის ბეწვგადაფარებული ხის მორები აქვთ.

• თუ კლაუსტროფობიით ხარ დაავადებული, ტოკიოს (იაპონია) კაფსულის სასტუმროში ვერ დაბინავდებით. ერთ ოთახში ორ სართულადაა განლაგებული პლასტმასის ათი თარო (კაფსულა სიგრძით — 2, ხოლო სიგანით 1 მეტრია). თითოეულში ერთი სტუმარი იძინებს. თაროში ტელევიზორი, რადიო და მალვიძარა გელით. ოთახს საერთო სააბაზანო აქვს. ასეთივე, კაფსულის სასტუმროს ნიდერლანდებშიც შეხვდებით. ფორთოხლისფერი ნომერი (დიამეტრით 4,25 მეტრია) სამ ადამიანზეა გათვლილი. იგი 2004 წელს არტპროექტისთვის დაამზადეს. ნომერში დაგხვდებათ, აბრეშუმის გადასაფარებლიანი საძილე ტომრები, დივიდიფლეერი, დისკები ჯეიმს ბონდის სერიებით და მცირე ბარი.

• კაპადოკიის გამოქვაბულის სასტუმროში თავს პირველყოფილ ადამიანად იგრძნობთ. „ნომერში“ შესული, თავს V-IV საუკუნეებში აღმოჩნდებით. სხვათა შორის, კაპადოკიის გამოქვაბულში გაშენებულ უამრავ სასტუმროს, მონასტერსა და ქალაქსაც კი ნახავთ. ტერიტორიას „იუნესკო“ იცავს.

• სტოკჰოლმის (შვედეთი) სტუმრებს საშუალება აქვთ, არლანდის აეროპორტის მახლობლად მდებარე თვითმფრინავი-სასტუმრო „ჯამბოში“ დაბინავდნენ. „ბოინგ 747“-ს ადრე 350 მგზავრი გადაჰყავდა. ახლა 85 სტუმარს მასპინძლობს. ნომერში ორიარუსიანი საწოლები და პლაზმურეკრანიანი ტელევიზორი დაგხვდებათ.

• ავსტრიის ქალაქ ოტენსხაიმის ერთ-ერთ პარკში სასტუმროს ოთახები დიდი ბეტონის მილებშია მოწყობილი. ორადგილიან ნომრებს მცირე გადასახადის გამო მუდმივი კლიენტებიც კი ჰყავს.

• აიდაჰოს შტატში (აშშ) ძაღლის ფორმის სასტუმრო ააშენეს. სტუმრებს პურის გამოცხობას, საპნის დამზადებას და ფოტოგრაფიას ასწავლიან.




• პარიზში (საფრანგეთი), თანამედროვე მუზეუმის სახურავზე ერთნომრიანი, ორადგილიანი სასტუმრო მდებარეობს. ნომრის დაჯავშნა რამდენიმე თვით ადრე ხდება. ოთახის ფანჯრიდან შეგიძლიათ, სენასა და ეიფელის კოშკს გადახედოთ.

• კენიის დედაქალაქის — ნაირობის მახლობლად, ჟირაფების ფერმასთან მდებარე სასტუმროში სტუმრებს ნაციონალური კერძებით უმასპინძლდებიან.

• ნიდერლანდებში ფრანგული ღვინის, ბოჟოლეს ოთხი კასრი (14500-ლიტრიანი) სასტუმროდაა გადაკეთებული. თითო კასრში თითო 2-ადგილიანი ოთახია. იქვეა სააბაზანო. ნომრის ფასი ზაფხულში — 74-119, ზამთარში — 18 ევროა. კასრში დაბინავება ძაღლთან ერთად შეგიძლიათ.

• შვედმა არქიტექტორმა — ჟან ნუველმა სამშობლოში კინოს მოყვარულთათვის სასტუმრო გახსნა. თითოეულ ნომერში (სულ 25-ია) კედლები, ჭერი და იატაკი ერთი რეჟისორის ფილმების კადრებითა და ციტატებითაა გაფორმებული. სასტუმროში არის ფელინის, ალმოდოვარის, ბერტოლუჩის, გრინუელის, ლინჩისა და სხვათა ოთახები.

• ჰოლანდიის ქალაქ ჰალინგენში სასტუმროს ორადგილიანი ერთი ნომერი პორტის ამწის კაბინაშია მოწყობილი. ამავე ქალაქშია სასტუმრო-შუქურა.

• ბრიტანეთის სანაპიროზე — „ქვიშის სასტუმრო“ მდებარეობს.

• შვედეთში, სასტუმრო გემზეა მოწყობილი.

• ფიჯიზე მსოფლიოს უნიკალური სასტუმრო წყალქვეშაა აშენებული. ნომრებიდან შეგიძლიათ, თევზებს დააკვირდეთ.

• გერმანიის ერთ-ერთ სასტუმროში ნომრები ციხის საკნებივითაა მოწყობილი.

■



რატომ გადაშენდნენ დინოზავრები?
გაიგეთ უფრო მეტი !
25 სექტემბრიდან – 1 ნოემბრამდე
დინოზავრები
ტომი №9

# „ბათა ქექია“ — მხიარული, უტიფარი და საყვარელი ქართველი გლეხის პორტრეტი

ეთო ყორღანაშვილი

„ქართული პროზის საგანძურის“ 33-ე ტომი დიდი ქართველი მწერლის — დემნა შენგელაიას რომანი — „ბათა ქექია“ გახლავთ, რომელიც მწერალმა გასული საუკუნის 30-იან წლებში შექმნა. რომანი საზოგადოების ინტერესს დღემდე ინარჩუნებს...

დემნა შენგელაიას ილია რურუა კი ასე იხსენებს: „ერთ მშვენიერ, ჩახჩახა დღეს გადავწყვიტეთ წრომის დიდებული ტაძრის მონახულება. ჩვენს განზრახვას უკვე მუხლებდამძიმებული კაცი თავშეკავებული ამოოხვრით შეხვდა, მაგრამ როგორც კი ჭიშკართან ავტობუსი დალანდა, მისებურად აბორგდა და თავისიანებს ხელიდან დაუსხლტა. მართლაც დიდებული ტაძარი აღმოჩნდა წრომი, თავისი ორიგინალური არქიტექტურული თვითმყოფადობით. სხვა დიდებულ ქართულ ტაძართა მსგავსად, იგი ცის სიმაღლეებისკენ კი არ ისწრაფვის, არამედ ამაყად მხრებგაშლილი, მტკიცედ და ნატიფად ნაგები მძლავრი კედლებით თითქოს მშობლიურ მიწას ჩაზრდია და მნახველში რაღაც განსაკუთრებულ მოწონებას აღძრავს. ჩვენი მწერლობის პატრიარქის ნათელ სახეს ნაღველი დაჰფენოდა, რათა შესაძლებლობა არ ჰქონოდა, კიდევ ერთხელ დამტკბარიყო ტაძრის დიდებულებით. ის ყველასათვის მოულოდნელად წინ გაწვდილი ხელებით კედელს მიეხალა, ლოყებით მიეხუტა, ხელისგულით მიეალერსა და ზედ უკანასკნელი ამბორი დატოვა სამუდამოდ.

გასაოცარი კიდევ ის იყო, რომ უკან მობრუნებულთ, ავტობუსის ღია კართან მხრებზე შარფმოხურული ვერიკო ანჯაფარიძე დაგვხვდა. მისი ხმის გაგონებაზე, დემნა ერთბაშად გამოცოცხლდა და ხმამაღლა მიმართა დიდ მსახიობს (წამით დადუმდა და შემდეგ რაღაცნაირი პათოსით შესძახა): — იცით, ტაძრის კედელს ვეამბორე კიდეც! ვერიკომ მოულოდნელად გაიცინა, თვალები მისებურად მოჭუტა და რაღაცნაირი ნიშნის მოგებით მიუგო; — მეც, მეც ჩემო დემნა! — და ხელი იქვე აღმართული სოფლის მცირე საყდრისაკენ გაიშვირა, — მე ხომ ამ ეკლესიაში დავიწერე ჯვარი!“

შემდეგ, ეს ამბავი ილია რურუას მოთხრობას დაედო საფუძვლად...

დემნა შენგელაია 1896 წელს, სამტრედიაში დაიბადა. მამამისი — კონსტანტინე წარმოშობით ზუგდიდის მაზრის (დღევანდელი წალენჯიხის რაიონი) სოფელ ობუჯიდან იყო. სამსახურის გამო (იგი რკინიგზელი გახლდათ), მას საცხოვრებელი ადგილის შეცვლა ხშირად უწევდა. სამტრედიაშიც ასე მოხვდა, სადაც ფარნაოზ დონდუას ასულზე დაქორწინდა. შენგელაიების ოჯახი მალე საცხოვრებლად თბილისში გადავიდა და ნაძალადევში დამკვიდრდა. მომავალი მწერალი ზაფხულის არდადეგებს ხშირად აბაშის რაიონის სოფელ საჭილაოში, ბაბუის ოჯახში ატარებდა. იქაური შთაბეჭდილებები ბავშვის ცნობიერებაში ღრმად აღიბეჭდა, რაც მოგვიანებით, კოლორიტული ფერადოვნებით მის ნაწარმოებებში, მათ შორის — „ბათა ქექიაში“ გამოიხატა. დემნა შენგელაია 1905 წლის რევოლუციის მომსწრე გახლდათ. მიტინგები მისი სახლის ფანჯრების წინ იმართებოდა. მოგვიანებით, როცა მწერალმა „ბათა ქექიას“ წერა დაიწყო, მის გონებაში ბავშვობის მოგონებები ისევ ცოცხლობდა, რომელთა მხატვრული ათვისება იყო საჭირო. მწერალს მიაჩნდა, რომ ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში ქართველი გლეხის ცხოვრების ამსახველი ნაწარმოების შექმნა აუცილებელი იყო.

დემნა შენგელაია ათეისტურ ოჯახში გაიზარდა. სანათესავოში 3 მღვდელი ჰყავდათ, რომლებსაც განსაკუთრებული გულმოდგინებით დემნას ბიძა — ენამახვილი, იუმორით სავსე ახალგაზრდა კაცი დასცინოდა. ბიძა მწერალზე ძალიან დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა. ბათა ქექიას სახეც მის მიხედვით შექმნა, რომანის ბევრი ეპიზოდი კი — მწერლის ფანტაზიის ნაყოფია.

„ბათა ქექიას“ წერისას, დემნა შენგელაია ფიქრობდა, რომ ლიტერატურაში ქართველი გლეხის სახე შესაფერისად ასახული არ იყო. მისი აზრით, მწერლებმა მთელი ყურადღება სოციალურ ამბებზე გადაიტანეს და ქართველი გლეხის პორტრეტი მხედველობიდან გამორჩათ. დემნა შენგელაიას უფრო საინტერესოდ, მომხიბვლელად ესახებოდა ქართველი გლეხი, რომელმაც შრომის, სიყვარულის, დროს ტარების ფასი იცოდა და ხალისიანი, იუმორით სავსე იყო. ბათას სახით, მწერალი რომანში სწორედ ასეთი პერსონაჟის შექმნას შეეცადა: ბათა ჭკუამახვილი, ენაკვიმატი, მოქნილი, მხიარული, ერთი შეხედვით, უდარდელი ადამიანია, ზოგჯერ — თავხედი, უტიფარი, მაგრამ მაინც საყვარელია (ყოველ შემთხვევაში, თავად დემნა შენგელაიას ასე მიაჩნდა).

**ბათა ჭკუამახვილი, ენაკვიმატი, მოქნილი, მხიარული, ერთი შეხედვით, უდარდელი ადამიანია, ზოგჯერ — თავხედი, უტიფარი, მაგრამ მაინც საყვარელია**

რომანი პირველ პირშია დაწერილი:

„ამას წინათ ჩვენმა გასაკრეჭმა კი არა, უკვე გაკრეჭილმა ხუცესმა ერთი ძველებური ხელნაწერი წიგნი მათხოვა: „თავგადასავალი იესე ოსეს შვილისა“. დავჯექ და კითხვა დავიწყე. შუამდე რომ მიველ, ერთი გადამთიელი დურგლის თავგადასავალიც მომაგონდა და, გულახდილად უნდა მოგახსენოთ, მათი ცხოვრება ისევე განსხვავდებოდა ერთურთისაგან, როგორც მათი ხელობა. საბრალო იესე, რა ულიმლამოდ უტარებია თავისი ორი დღის სიცოცხლე, რა უშნოდ მოუჭამია თავისი დღე და სოფელი! რა მექნა? ჩემს ცხოვრებასაც გადავავლე თვალი და გარდასულ დროთა მოგონებამ გული ისე ამიჩქროლა, რომ არ დაგიმალავთ — მეც შემიჩნდა ჩემი ეშმაკი. თუ იმ საწყალ იესეს თავისი ორი დღის სიცოცხლე ისე უგემურად მოუჭამია და მაინც აღწერის ღირსად მიუჩნევია, მაშინ მე უფრო აზრიანად მიცხოვრია, ბევრი მინახავს, მივლია და მინდა, ეს უჩვეულო საქმე მეც ვცადო, ჩემი ცხოვრება წვრილად დავწერო და თუ რამე ჭკუაში არ დაგიჯდეთ, მოდი, ნუ დამძრახავთ“...

ავტორის აზრით, პირველ პირში თხრობას დიდ ღირსებასთან ერთად, დიდი ნაკლიც ჰქონდა: „იმის გამო, რომ ბათა თავიდან ბოლომდე ყვება ყველაფერს, მე მას ვერ ვათქმევინე ყველაფერი ის, რის თქმასაც ვაპირებდი და რაც მსურდა, რადგან ბათას არ უნდა სცოდნოდა და არც შეიძლება, სცოდნოდა ის, რაც მე მეცოდინებოდა. ასე დამრჩა ბევრი რამ უთქმელი“... ■

რუბრიკის დასაწყისი იხ. გვ. 16

**ნოდიკო ტატიშვილი:**

— რა ვიცი, ვისთვის — როგორ. დიდ პრობლემას ვერ ვხედავ იმაში, რომ ვინმეს ჩემი გრძნობები გავუმხილო. ჟურნალისტები ხშირად მისვამთ შეკითხვას, — ვარ თუ არა შეყვარებული? — და ჩემგან უარყოფით პასუხებს იღებთ. ბევრ თქვენგანს არც სჯერა, რომ ამ დროს გულახდილი ვარ, მაგრამ ეს ნამდვილად ასეა. რომ მიყვარდეს, არავითარ შემთხვევაში არ დავმალავ და აუცილებლად ვიტყვი. მიმაჩნია, რომ სიყვარულს მოპარული ცხენივით მალვა სულაც არ სჭირდება.

**თიკო სადუნიშვილი:**

— ეს წინა საუკუნის გადმონაშთი, მითია. XXI საუკუნეში რაც უფრო დამალავ საკუთარ გრძნობებს, მით უფრო დამალული დაგრჩება. ამ საუკუნეში კაცებზე მეტად, ქალები აქტიურობენ...

— **შენ მიეკუთვნები ასეთი ქალების კატეგორიას?**

— არ მჯერა ცალმხრივი და პლატონური სიყვარულის. თუ მამაკაცისგან რაიმეს არ ვიგრძნობ და ჩვენ შორის რაღაც სულიერი კავშირი არ იქნება, ასეთი ადამიანი არ შემიყვარდება. მართალია, ჯერ ასეთი შემთხვევა არ მქონია, მაგრამ როცა ვინმე შემიყვარდება და მისგანაც იმავეს ვიგრძნობ, სიამოვნებით ვიაქტიურებ. ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ.

— **ამწუთას შეყვარებული თუ ხართ და საერთოდ, ცხოვრებაში რამდენჯერ გყვარებიათ?**

**ჯაბა კილაძე:**

— (*ფიქრობს*) შეყვარებული არა ვარ.

**ნინო ჩხეიძე:**

— რამდენიმე წელია, ჩემს მეუღლეზე ვარ შეყვარებული. ისე კი გათხოვებამდე ალბათ 3-4-ჯერ ვიყავი შეყვარებული.

— **ის გრძნობები რამდენად სერიოზული იყო?**

— მიმაჩნია, რომ ყველა სიყვარული სერიოზულია — უბრალოდ, ერთმანეთისგან განსხვავებული...

**თამთა გოგუაძე:**

— იცი, რა მგონია — ნამდვილი სიყვარულით რომ მყვარებოდა ვინმე, ახლა საყვარელი ადამიანი გვერდით მეყოლებოდა. ამწუთას შეყვარებული არა ვარ.

**ნოდიკო ტატიშვილი:**

— რამდენჯერ მყვარებია და, თითებზე ჩამოსათვლელად — ალბათ, ორჯერ-სამჯერ.

— **მგონია, რომ შენ ამ გრძნობას სიმღერით უფრო კარგად გადმოსცემ...**

— მართალი ხარ, რადგან როცა ვმღერი, ამ დროს ყველაზე გულწრფელი ვარ. სიყვარულის გადმოცემაც სიმღერით უფრო მიადვილდება. როცა მიყვარს, მართლა სასწაულად მიყვარს.

**თიკო სადუნიშვილი:**

— საერთოდ, ადამიანი სიყვარულს ყველა ასაკში სხვადასხვაგვარად აღიქვამს. 20 წლამდე თინეიჯერი ხარ და დაფრინავ; 20 წლის შემდეგ ცოტა უფრო დალვინებული ხარ და უფრო მყარად დგახარ მიწაზე... კარგა ხანია, არ მყვარებია და არ ვიცი, ახლა როგორი იქნება ეს გრძნობა. „მაგრამ სულ სხვაა სიყვარული უკანასკნელი"... ჰოდა, მეც ველოდები უკანასკნელ სიყვარულს...

— **თუ ყოფილა თქვენს ცხოვრებაში ისეთი სიყვარული, რომელიც არასოდეს დაგავიწყდებათ?**

**ჯაბა კილაძე:**

— ასეთი სიყვარული ნამდვილად მქონია, მაგრამ ამ თემაზე თქვენთან საუბარს არ ვაპირებ.

**ნინო ჩხეიძე:**

— ადამიანს არც ერთი სიყვარული არ ავიწყდება. რომ გითხრა, ჩემს ადრინდელ „სიყვარულებზე" ვფიქრობ და მახსენდება-მეთქი, მოგატყუებ. უბრალოდ, როცა მათ სადმე შევხვდები ან მათზე რაიმე ამბავს გავიგებ, მხოლოდ მაშინ მახსენდება და ეს გახსენებაც უბრალოდ, ღიმილს მგვრის. ეს ხომ ჩემი წარსულია — როგორ უნდა დამავიწყდეს?!

**თამთა გოგუაძე:**

— მიმაჩნია, რომ ადამიანის ცხოვრებაში ყველა სიყვარულს თავისი ადგილი აქვს და არავის არაფერი ავიწყდება, უბრალო სიმპათიაც კი. ეს ყველაფერი მხოლოდ ლამაზ მოგონებად რჩება...

**ნოდიკო ტატიშვილი:**

— როგორ არა?! ეს ჩემი პირველი სიყვარული იყო. ის ახლაც მახსოვს და არც არასოდეს დამავიწყდება. მიმაჩნია, რომ მას მერე ნამდვილი სიყვარულით აღარც მყვარებია, უბრალოდ, რამდენჯერმე გატაცებული ვიყავი. კაცი ყოველთვის კარგად ხვდება, როდის უყვარს და როდის არის გატაცებული. მიუხედავად ჩემი პირველი სიყვარულის წარუმატებელი დასასრულისა, ის ამბავი და ადამიანი რომ მახსენდება, ხან მეცინება და ხან უბრალოდ, მეღიმება.

— **ხანაც გეტირება ალბათ...**

— არა, მის გამო აღარ ვტირი.

— **ისე, გიტირია სიყვარულის გამო?**

— არაერთხელ. მაგრამ ეს ყველაფერი ახლა მაინც სასიამოვნოდ მახსენდება...

**თიკო სადუნიშვილი:**

— ასეთი სიყვარული ჩემს ცხოვრებაში არსებობდა. პირველი მეუღლისადმი ჩემი გრძნობა ნამდვილად არასოდეს დამავიწყდება...

■



# „თუ ავად არა ვარ, კვირაში ერთ წიგნს მაინც ვკითხულობ“



## რატომ დაიგინა სამი პრეზიდენტის მრჩეველმა

**პოლიტიკურ ექსპერტს — სოსო ცინცაძეს ეს სფერო თეორიულად აქვს შესწავლილი. პროფესიით ისტორიკოსია და უკვე 41 წელია, რაც პოლიტიკურ მოვლენებს მიმოიხილავს. 12 მონოგრაფიისა და 300-მდე პუბლიკაციის ავტორია; საქართველოს სამივე პრეზიდენტის — ზვიად გამსახურდიას, ედუარდ შევარდნაძის, მიხეილ სააკაშვილის — მრჩეველი იყო, დღეს კი დიპლომატიური აკადემიის რექტორია. ამ ყველაფრის მიუხედავად, არასდროს ცდილობს, საზოგადოებას საკუთარი თავი ყოვლისმცოდნე, შეუმცდარ ადამიანად მოაჩვენოს. განსაკუთრებული გულახდილობით გამოირჩევა.**

*ხათუნა ბახტურიძე*

### პრეამბულის მაგიერ

**— ბატონო სოსო, პოლიტოლოგიით რატომ დაინტერესდით?**

— იმიტომ, რომ სკოლაში მათემატიკა და ფიზიკა ორიანზე ვიცოდი. გულახდილად რომ გითხრათ, გამრავლების ტაბულა ძლივს შემასწავლეს.

**— რა ჟანრის ლიტერატურას კითხულობთ?**

— ყველაფერს ვკითხულობ — მხატვრული ლიტერატურიდან დაწყებული, დიპლომატიურით დამთავრებული. თუ ავად არა ვარ, კვირაში ერთ წიგნს მაინც ვასრულებ.

**— როგორ ასწრებთ?**

— თუ მოინდომებ, ჩემო კარგო, ყველაფერს მოასწრებ; მარტო წიგნის კითხვას კი არა, ქალებში სიარულსაც კი. ეს სურვილსა და შესაძლებლობებზეა დამოკიდებული. ძალიან დიდი ბიბლიოთეკის პატრონი ვარ. სახლის გარდა, წიგნები დიპლომატიურ აკადემიაშიც მაქვს. მათი რიცხვი ალბათ 7000-ს აღწევს. მთელი ცხოვრება წიგნებს ვაგროვებ. ახლახან მოსკოვიდან ძალზე კარგი წიგნი — „როგორ ემუქრება კრემლი რუსეთს და დასავლეთს“ გამოვიწერე. ძილს ცოტა დროს ვუთმობ. დღის 12 საათზე ჩემს კოლეგებს რომ ვურეკავ, იმ დროისთვის ზოგი სააბაზანოშია, ზოგიც — შუა ძილში. მე კი დილის 6 საათზე ვიღვიძებ, ერთი საათის განმავლობაში ეზოში ტრენაჟორებზე ვვარჯიშობ, შემდეგ შხაპს ვიღებ და მუშაობას ვიწყებ.

**— თქვენ მიერ შეგროვებული კოლექციიდან წიგნებს თუ ანათხოვრებთ?**

— გამორიცხულია, რომ ვინმეს წიგნი ვათხოვო. 15 თუ 20 წლის წინ ერთ ჩემს მეგობარს რუსი ისტორიკოსის, ვალიშევსკის წიგნი — „იმპერატრიცას რომანები“ ვათხოვე; „უბრწყინვალესი“ წიგნია. როდესაც უკან დაბრუნება მოვთხოვე, ურცხვად განმიცხადა, — წიგნი უკვე მოგიტანეო. ამის მერე კი არ დავიფიცე, — დავიგინე, რომ წიგნს არავის ვათხოვებ და ჩემს სიტყვას დღემდე ვასრულებ.

**— პოეზია თუ გიყვართ?**

— კი. ძალიან მიყვარს ომარ ხაიამისა და იოსებ ნონეშვილის პოეზია.

**— ნონეშვილის ლექსიდან — „არის ასეთი ქვეყანა“ ერთ ფრაზას გეტყვით და გააგრძელეთ: „ურმის ჭალებს შესეული ბავშვები,/ იგრის ჭალებს — კაკაბი და გნოლი“...**

— „...ჩვენს იმედად, მტერთა რისხვად ნაშენი —/ ძველთაძველი თბილისი და გორი“... ახლა ლექსები არ წამაკითხო, იცოდე!

**— არა, ლექსები ამით ამოვწურეთ. ვინ არის ავტორი წიგნისა — „თეთრი ბელადი“?**

— ვასილ ბარნოვი.

**— არა, ის ქართველი არ არის. მისი ნაწარმოებია ასევე — „თეთრი თათმანი“.**

— არ ვიცი.

**— მაინ რიდი.**

— ისე, სიმართლე რომ გითხრა, როდესაც „კავეენს“ ვუყურებდი, თავი ყოველთვის იდიოტად მიმაჩნდა: სტუდენტები თითქმის ყველა კითხვას პასუხობდნენ, მე — ვერც ერთს.

**— ხომ არ გადაიფიქრეთ „ერუდიტში“ მონაწილეობა?**

— არა, არ გადავიფიქრე (*იცინის*), ჯანდაბას შენი თავი!..

**— მაშინ მითხარით — რა ეწოდება მეცნიერებას, რომელიც საზოგადოებისა და სახელმწიფოს მართვის ხელოვნებას შეისწავლის?**

— პოლიტიკა.

**— დაასახელეთ პოლონური წარმოშობის ამერიკელი პოლიტოლოგი, რომელიც გახლდათ ავტორი წიგნისა — „დიდი საჭადრაკო დაფა — ამერიკის ბატონობა და მისი გეოსტრატეგიული იმპერატივები“.**

— ზბიგნევ ბჟეზინსკი.

**— საფრანგეთის რომელმა პრეზიდენტმა დაიწყო თავისი მოღვაწეობა საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობით? მეორე მსოფლიო ომის დროს ის თავისუფალი საფრანგეთის ლიდერი და დროებითი მთავრობის მეთაური გახლდათ.**

— შარლ დე გოლმა. ის ძალიან უცნაური კაცი იყო: გენერლის პენსიაზეც უარი თქვა, სახელმწიფოს საბჭოს წევრობაზეც და ყოფილი პრეზიდენტის პენსიაზეც. ჩვენს ყოფილ პრეზიდენტს კი არ ჰგავს, რომ წუწუნებს, — შემპირდნენ და არ მაძლევენ პენსიასო. დე გოლი მხოლოდ თავისი ჰონორარით ცხოვრობდა. ინგლისის პრემიერ-მინისტრის მიერ ნაჩუქარი „როლს-როისი“ გაყიდა და მის ნაცვლად, პატარა სტუდენტური მანქანა შეიძინა, რომლითაც მისი ცოლი ყოველ შაბათ-კვირას ბაზარში მიდიოდა და პროდუქტს ყიდულობდა.

**— ინგლისის რომელი პრემიერ-მინისტრი მონაწილეობდა ინგლის-სუდანის ომში? მინიშნებისთვის გეტყვით, რომ ის XX საუკუნის გამოჩენილი პოლიტიკოსი იყო და ხელისუფლებაში 6 მონარქის (დაწყებული დედოფალი ვიქტორიათი, დამთავრებული ელისაბედ მეორით) მმართველობის პერიოდში მოღვაწეობდა. მისი ფერწერული სურათები პერიოდულად, სამეფო აკადემიის დარბაზში იფინებოდა.**

— უინსტონ ჩერჩილი. ბევრმა არ იცის, რომ ლიტერატურის დარგში ის ნობელის პრემიის ლაურეატი იყო.

**— ის ჰიტლერთან დაახლოებული პიროვნება გახლდათ; შავ ჰერცოგსა და მეფე არტურსაც კი უწოდებდნენ; მან ფიურერს წარუდგინა გერმანიაში ქრისტიანობის ლიკვიდაციისა და კერპთაყვანისმცემლობის პროექტი. ვერ იტანდა ნადირობას, ამბობდა, რომ არ შეუძლია უყუროს ცხოველების ტანჯვას, მაგრამ ამავე დროს, ხელი შეუწყო მილიონობით ადამიანის განადგურებას.**

— ჰაინრიხ გიმლერი.

**— ერთმა უცხოელმა ისტორიკოსმა ასე დაახასიათა ამ ადამიანის მოღვაწეობა: „ბარბაროსული მეთოდებით მან შეძლო, გაეძევებინა რუსეთიდან ბარბაროსების უმეტესი ნაწილი, რომლითაც თავის დროზე თავადვე საზრდოობდა“.**

— სტალინი.

**— ეს ადამიანი დაიბადა შვედეთში, მაგრამ ცხოვრების უმეტესი ნაწილი რუსეთში, საფრანგეთსა და იტალიაში გაატარა. ჰიუგომ მას „ევროპის მდიდარი გარეწარი“ უწოდა.**

— ნობელი. სხვათა შორის, ამ პრემიის მიღებაზე ტოლსტოიმ უარი თქვა: დინამიტის გამოგონებით ნაშოვნი ფულით ვერ იხეირებო (ნობელმა ხომ დინამიტი გამოიგონა და ამის წყალობით გახდა მილიონერი). ნობელის ცდებს მისი ღვიძლი ძმა შეეწირა.

**— აშშ-ის პრეზიდენტებიდან რომელი არ აირჩიეს მეორეჯერ — ჯორჯ ბუში (უმცროსი), ბილ კლინტონი, რონალდ რეიგანი თუ ჯორჯ ბუში (უფროსი)?**

— ჯორჯ ბუში (უფროსი).

**— ფაქტია, რომ მსოფლიო ისტორიიდან ბევრი რამ გახსოვთ. ახლა საქართველოს ისტორიასაც გადავხედოთ. სად არის დაკრძალული იმერეთის მეფე — სოლომონი?**

— როგორც მახსოვს, ოსმალეთში გაიქცა და სადღაც უცხოეთში მოკვდა.

**— არა, ბატონო სოსო, ის სწორედ ოსმალებთან ბრძოლას შეეწირა და გელათის ღვთისმშობლის ტაძარშია დაკრძალული. რამდენი ცოლი ჰყავდა ერეკლე II-ს?**

— სამი.

**— დაასახელეთ სპორტის სახეობა, რომელიც მოხსენიებულია ქართული ლიტერატურის ძეგლში — „ვისრამიანი“.**

— ჭადრაკი.

**— გადათარგმნეთ არაბულიდან სიტყვა „ალმანახი“.**

— კალენდარი.

**— 1905 წლამდე ამ ტერიტორიაზე მოსახლეობის 90%-ს ქართველები შეადგენდნენ. რუსეთის იმპერია ამ ტერიტორიას საკურორტო ზონად მიიჩნევდა და ცდილობდა, ქართველების შევიწროების ხარჯზე, რუსები დაესახლებინა. ცარიზმი განსაკუთრებულად, ქართველ სასულიერო პირებს, მასწავლებლებსა და ვაჭრებს უშლიდა ხელს იქ დასახლებაში. რომელ ტერიტორიაზეა ლაპარაკი?**

— სოჭზე: იქ დღემდეც კი არის შემორჩენილი „იმერეტინსკაია ულიცა“.

**— დიახ. რა ჰქვია ქვეყანას დასავლეთ ევროპაში, რომელსაც ესაზღვრება — ნიდერლანდები, გერმანია, ლუქსემბურგი, საფრანგეთი? ამ ქვეყნის ოფიციალური ენებია ჰოლანდიური, ფრანგული და გერმანული.**

— ბელგია.

**— ისიც ხომ არ იცით, როგორია ამ ქვეყნის პოლიტიკური სისტემა?**

— კონსტიტუციური მონარქიის ქვეშ მყოფი ფედერალური საპარლამენტო დემოკრატიაა.

**— რომელ მდინარეზეა გაშენებული ვაშინგტონი?**

— პოტომაკზე.

**— რა ეწოდება კაპიტალის გრძელვადიან დაბანდებას რაიმე საწარმოში?**

— ინვესტიცია.

**— რომელი ქვეყნის ნაკრები გუნდი გახდა კონფედერაციის თასის პირველი გამარჯვებული 1992 წელს — ბრაზილია, ურუგვაი, გერმანია თუ არგენტინა?**

— ურუგვაი?

**— არა. გამარჯვებული ბრაზილია იყო. ამ პროფესიის წარმომადგენლებისთვის შედგენილი ტესტის პირველი კითხვა ასეთია: შეგიძლიათ თუ არა უფანჯრო ოთახში ცხოვრება? ჩამოთვლილთაგან, რომელია ეს პროფესია — ციხის ზედამხედველი, მზვერავი, წყალქვეშა გემის მეზღვაური, მაღაროს მუშა?**

— მაღაროს მუშა.

**— არა, წყალქვეშა გემის მეზღვაური. ეს ლათინური შხამი ზიანს აყენებს ადამიანებსა და ცხოველებს. რაზეა ლაპარაკი?**

— ვირუსი?

**— დიახ. რა ერქვა ძველ საბერძნეთში ორად მოკეცილ ფურცელს, რომელზეც უხუცესთა მიერ ელჩებისთვის მიცემული ინსტრუქციები იწერებოდა?**

— არ ვიცი. რა ინტრიგანულ კითხვებს მისვამ, ხათუნა?!

**— დიპლომი. კარნეგის ერთი გამოცანაც უნდა გითხრათ. „უფასოა, მაგრამ ძვირი ღირს. რასაც მეტს გასცემ, მეტს მიიღებ. წამიერია, მაგრამ ხსოვნაში სამუდამოდ რჩება. ვერსად იპოვი მდიდარს, რომელიც უმისოდ ძლებს და ვერც ღატაკს, რომელსაც ის არ გაამდიდრებს. მას ვერ იყიდი, ვერც თხოვნა-მუდარით მოიპოვებ, ვერც ისესხებ, ვერც მოიპარავ, რადგან თუ ნებით არ გაიცა, გროშია მისი ფასი“. თუ სწორად უპასუხებთ ამ შეკითხვას, აუცილებლად „გეწვევათ“.**

— ვერ მივხვდი.

**— ეს ღიმილია.**

— არ არის სწორი: ჯოკონდასა და სატანის ღიმილიც ხომ არსებობს?! სატანის ღიმილი ვინმეს გაამდიდრებს?

**— არ არის გამორიცხული, ბატონო სოსო... 25 წელია, იტალიის ქალაქ პისტოაში მატყუარების შეჯიბრება იმართება. პისტოა ტყუილად არ არის შერჩეული — სწორედ ამ ქალაქში დაიბადა, იტალიელთა აზრით, უპირველესი მატყუარა. რა დაწერა ამ მატყუარამ?**

— არ ვიცი.

**— „პინოქიოს თავგადასავალი“. იტალიელთა აზრით, უპირველესი მატყუარა — კარლო კოლოდია.**

— იმედია, დაასრულე! შეიძლება ითქვას, რომ გამაწამე, რა!..

**— მოდი, ჩვენი ინტერვიუ ზარატუსტრას ნათქვამით დავასრულოთ: „არ შეიძლება, გყავდეს მეგობარი, თუ ხარ ტირანი, და არ შეიძლება იყო მეგობარი, თუ...“**

— „...ხარ მონა“.

■

## გონების სავარჯიშო

### „გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(კითხვები)

**ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ**

„პასუხების“ სვეტისკენ არ გაგექცეთ თვალი

1. ვის ეკუთვნის სიტყვები: „სტალინმა ორი შეცდომა დაუშვა: ევროპას რუსები აჩვენა და რუსებს — ევროპა“?

2. რის შესაბამისად წერდა იოზეფ გებელსი მიტინგზე გამოსასვლელი სიტყვის ტექსტს სხვადასხვა ფერის მელნით?

3. დაასახელეთ ამერიკელი მწერალი, რომელიც კომეტა გალეას გამოჩენის წელს დაიბადა და ამავე კომეტის დაბრუნების წელს გარდაიცვალა.

4. ესპანელები ამერიკის დაპყრობილ ტერიტორიაზე ფულის ნაცვლად ვერცხლის თანაბარი ზომის ნაჭრებს იყენებდნენ. რა ერქვა ასეთ ნაჭერს?

5. ასტეროიდ №1621-ს ვალენტინა ტერეშკოვას პატივსაცემად „ჩაიკა“ უწოდეს. რატომ?

6. როდესაც კოდალები ბუდეს ნაძვში იკეთებენ, გამუდმებით ჩიჩქნიან მის მერქანს, რათა ხემ რაც შეიძლება, მეტი ფისი გამოყოს. რისთვის?

7. რატომ არ გამოჰყავდა ანტრეპრენიორ აქციანს სპარტაკი ბრძოლის არენაზე დიდი ხნის განმავლობაში?

8. ვინ გადალახა მოტორიანი თვითმფრინავით პირველად ატლანტის ოკეანე?

9. უწყლო ადგილებში გარეული ტახი არ ბინადრობს. რატომ?

10. ვის ეკუთვნის სიტყვები: „გამარჯვების მისაღწევად ბრძოლა არაერთგზის უნდა მოიგო“?

11. დაასრულეთ კლარა ნოვიკოვას ხუმრობა: „უ ვერკი მუჟიკი ტო გრუზინ, ტო უზბეკ, ტო მალდავანენ, ტო ტაჯიკ!..“ — „ანა, შტო, პრასტიტუტკა?!.“ — „ნე გავარი ტაკ! პრასტიტუტკა ტოტ, კტო სტრანნუ რაზვალილ, ა ანა...“

12. ვინ აკრიტიკებდა ყველაზე მწვავედ ანტონ ჩეხოვის ნაწარმოებებს?

13. რა ჰქვია გამოქვაბულებში სტალაქტიტისა და სტალაგმიტის შეერთებით წარმოქმნილ სვეტს?

# ანეკდოტები



* * *

ორი სვანი კროსვორდს ავსებს. ერთი ეკითხება მეორეს:

— „პროპელერიანი კაცი“, რვა ასო. ნეტა რა უნდა იყოს?

— საფრთხობელა.

— არ ეტევა.

— წვრილი ასოებით ჩაწერე.

* * *

— ექიმო, თქვენ გჯერათ, რომ მიცვალებულებს მიწაზე დაბრუნება შეუძლიათ?

— მაგის რომ მჯეროდეს, პროფესიას გამოვიცვლიდი.

* * *

განცხადება: „სამგზის ქვრივი მამაკაცი ეძებს ცხოვრების თანამგზავრს. საყვარელი საქმიანობა — სოკოს კრეფა და მომზადება.“

* * *

ჭიჭიკია ადრე გემზე ბოცმანად მუშაობდა. დგას ბირჟაზე და ამბავს ჰყვება:

— ერთხელ გემის ბორტიდან შუა ზღვაში გადავვარდი და ზუსტად სამი საათი შიშველი ხელებით რვა ზვიგენს ვებრძოდი.

— აბა, შარშანწინ რომ თქვი, ორ ზვიგენსო, — ჰკითხა იქვე მდგარმა ახალგაზრდა ბიჭმა.

— შარშანწინ, ბიძია, პატარა იყავი და ვიფიქრე, ბაღანას არ შეეშინდეს-მეთქი და ორი ზვიგენი იმიტომ ვთქვი.

* * *

მატარებელი გამოდის გვირაბიდან:

— ძვირფასო, რა ვიცოდი, ამსიგრძე თუ იყო ეს გვირაბი, თორემ რაიმეს მოვასწრებდით...

— მოიცა, ეს შენ არ იყავი?!.

* * *

ოსი მეზობელს სახლში ეპატიჟება, ის კი ცოცხალი თავით არ მიჰყვება. ბოლოს გამოუტყდა:

— იცი, ერთხელ შენს ცოლთან ვიწექი და მეუხერხულება!

— კარგი რა, სენი წირიმე! მე ჩემს ცოლთან ყოველდღე ვწევარ და მაგიტომ სახლში ველარ უნდა ევიდე?

* * *

დამტვრეული და დასახიჩრებული სვანი ექიმთან მივიდა.

— რა დაგემართა?

— ცხენიდან გადმოვვარდი.

— და ასე ძალიან დაიმტვერი?

— არა, მერე ირემი დამეჯახა, მერე ლომი და ბოლოს რაკეტა...

— სად იყავი, თუ კაცი ხარ?

— სად ვიყავი და კარუსელზე ვიჯექი.

* * *

— ეს როგორ მოგივიდა, მოშე, კაცს ათი ათასი ასესხე და ის კი შენს ცოლთან ერთად გაიპარა.

— მე სულელი კი არ ვარ, ვინმეს ტყუილუბრალოდ ფული ვასესხო.

* * *

ოსი შედის მაღაზიაში:

— ტრუსიკი გაქვთ?

— არა.

— არც გაყიდვაში?

* * *

მატარებელში:

— ჩქარა, ქალს გული წაუვიდა. ვინმეს არაყი ხომ არ გაქვთ?! — ყვირის მამაკაცი.

— მე მაქვს, — უპასუხა ვიღაც ღვთისნიერმა და სავსე ბოთლი მიაწოდა.

მამაკაცმა მოიყუდა და ნახევრამდე გამოცალა:

— უჰ, სულ ასე ვნერვიულობ, როცა ვინმეს გული მისდის.



* * *

— დღეს ვილას ეჩხუბე? — ჰკითხა ეზოდან ამოსულ შვილს დედამ.

— მეზობელს.

— იმ ბიჭს, ანგელოზს რომ ჰგავს?

— უკვე აღარ ჰგავს.

* * *

ვეტერინართან მოსაცდელში ორი ძაღლი ხვდება ერთმანეთს.

— იცი, ბიჭები ქვებს მესროდნენ და ერთ-ერთს ვუკბინე. ჩემი საქმე წასულია. ევთანაზია არ ამცდება. შენ რაღატომ მოგიყვანეს აქ? — ეკითხება ერთი მეორეს.

— როგორ გითხრა, ჩემი პატრონის ქალიშვილი აერობიკაში ვარჯიშობს ხოლმე აბსოლუტურად შიშველი. გუშინ მეტად საინტერესო პოზაში იყო და ველარ მოვითმინე...

— ჰოო, შენი საქმეც წასულია!

— აბა, რა გითხრა, მე რამდენადაც ვიცი, აქ ბრჭყალების დასაჭრელად მომიყვანეს...

* * *

ახალი რუსი ეუბნება მეგობარს:

— სპეცშეკვეთით „ბეემვე“ გავაკეთებინე. ძარა პლატინის აქვს, კარი — ბაჯაღლო ოქროსი, დისკები — ვერცხლის, საჭე ბრილიანტებით არის გაწყობილი.

— მერე, კმაყოფილი ხარ?

— არა, ძალიან ბევრ ბენზინს წვავს!

* * *

— ექიმმა მითხრა, სასმელს არ გაეკაროო! მერე 50 ლარი მივეცი და მითხრა, რაც გინდა, ის ქნიო!

* * *

ორი მოხუცი ქალი სკვერში ზის და საუბრობს:

— ნეტავ, ვინ არის ის სიმპათიური მამაკაცი, რომელიც უკვე მთელი საათია თვალს არ მაშორებს?!

— იმ ქანდაკებაზე ამბობ?

* * *

— გაიგე, ანზორიას ღვინის სმისათვის თავი დაუნებებია!

— საიდან იცი?

— აგერ, ნეკროლოგი!..

* * *

სვანი ბაზრობაზე მანქანას ყიდის:

— მანქანა ახალია? — ეკითხება კლიენტი.

— ახალია! ყველაფერი ახალია, ძარა ახალია, მოტორი ახალია, სიჩქარეების კოლოფიც ახალია, „პადვესკაც“ ახალია, „რულევოი კალონკაც“ ახალია...

— რატომ ყიდი?

— ახალი მანქანა უნდა ვიყიდო.



* * *

სვანთან მეზობლის ბავშვი მივიდა:

— დილით ქუდი ვიპოვე, აბა ნახეთ, იქნებ თქვენია!

— არა, ჩემი არ იქნება! ჩემი დავკარგე!

* * *

პატარა ბიჭს დაბადების დღეზე უზარმაზარი სენბერნარი აჩუქეს. ბავშვი გაკვირვებული უყურებს ძაღლს და თავისთვის ბუტბუტებს:

— ვერ გავიგე, ვინ ვის აჩუქეს.

* * *

მამაკაცი აფთიაქში:

— პრეზერვატივი მომეცით, ოღონდ ძალიან ლამაზი ამირჩიეთ, საჩუქრისთვის მინდა.

— აი, ეს აიღეთ, ძალიან ლამაზად არის შეფუთული.

— თქვენ ვერ გამიგეთ, საჩუქარი მე თვითონ უნდა შევფუთო... პრეზერვატივით...

## გონების სავარჯიშო

### „გზის“ ერთგული მკითხველისათვის

### (პასუხები)

1. უინსტონ ჩერჩილს.
2. იმის შესაბამისად, თუ მოცემული ფრაზით რა ემოციის გამოწვევა სურდა მსმენელში.
3. მარკ ტვენი.
4. პესო.
5. ეს სახელი კოსმონავტი ქალის სამსახურებრივი მეტსახელი იყო.
6. ეს იდეალური თავდაცვაა გველებისაგან — ქვეწარმავალი ხეზე ველარ ცოცდება.
7. აქციანს სპარტაკი ძალზე ძვირად, 12 ათას სესტერცად ჰყავდა ნაყიდი (კარგად გაწვრთნილი გლადიატორი იმ დროს ორი ათასი სესტერცი ღირდა). ძუნწი მეპატრონე თრაკიელ მონას თვალისჩინივით უფრთხილდებოდა და გლადიატორთა სკოლაში ფარიკაობის მასწავლებლად ჰყავდა.
8. ჩარლზ ლინდბერგმა.
9. ეს ცხოველი ვერ ძლებს იქ, სადაც არ შეუძლია ბანაობა და ტალახში ამოსვრა.
10. მარგარეტ ტეთჩერს.
11. „საბირაეტ ეიო კაკ მოჟეტ!“.
12. თავად ანტონ ჩეხოვი. მწერალი თავადვე დასცინოდა საკუთარ შემოქმედებას.
13. სტალაქტონი.

## ჩვენი ფოტო გალერეა



# ჰოროსკოპი

## 14-20 ოქტომბერი

### ვერძი
მეგობრებისა და ახლობლების დახმარება გაგაძლიერებთ. საყვარელი ადამიანი რომ არ გაანაწყენოთ, მის გარეშე წვეულებებზე ნუ ივლით.

### კურო
ახალი იდეების განსახორციელებლად მთელი ძალა და ენერგია მოიკრიბეთ. გახსოვდეთ, რომ თქვენი წარმატება თქვენს ახლობლებსაც სიკეთეს მოუტანს.

### ტყუპი
სწავლის მიმართ ინტერესი გაგიმძაფრდებათ. განსაკუთრებით რელიგია და ფილოსოფია გაგიტაცებთ. თავისუფალი დრო ბავშვებთან ერთად გაატარეთ.

### კირჩხიბი
თქვენს სასიკეთოდ მოაგვარებთ მემკვიდრეობის საკითხს. კარგი პერიოდია უძრავი ქონების შესაძენად. მოტყუებული რომ არ დარჩეთ, ნუ ენდობით ცბიერ ადამიანებს.

### ლომი
ახალი პროექტების განხორციელებისას დაძაბულობა იმატებს და შესაძლოა, კოლეგებთან კონფლიქტი მოგივიდეთ. ნუ ეცდებით საყვარელი ადამიანის გადაკეთებას.




### ქალწული
სამსახურში ახალი იდეების განხორციელებას შეძლებთ. კვირის მეორე ნახევარი ჯანმრთელობას დაუთმეთ. არ იფიქროთ ცუდზე.

### სასწორი
ამ პერიოდში მუსიკა და პოეზია გაგიტაცებთ, რაც სულიერ სიმშვიდესა და სიამოვნებას მოგანიჭებთ. თავადაც სცადეთ რაიმე ახალი შექმნათ.

### მორიელი
საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა გაგიუმჯობესდებათ. დაწყებულ საქმეებს შეთანხმებულად მოაგვარებთ. გაფრთხილდით, კოლეგებს ჭორაობაში ნუ აჰყვებით.

### მშვილდოსანი
დაწყებული საქმეები დაასრულეთ. ყურადღება გამოიჩინეთ დეტალების მიმართ. ოჯახის წევრებთან კონფლიქტს მოერიდეთ.

### თხის რქა
მატერიალურად წარმატებული პერიოდი გაქვთ. შესაძლოა, დიდი ხნის ვალიც დაიბრუნოთ. კვირის მეორე ნახევარში ფული გონივრულად, მომგებიან საქმეში დააბანდეთ.

### მერწყული
მეუღლის ნათესავებთან ურთიერთობა რომ არ გაიფუჭოთ, დიპლომატიურად იმოქმედეთ. დასვენების დღეები შემოქმედებით საქმიანობას დაუთმეთ.

### თევზები
დატვირთული სამსახურებრივი გრაფიკის გამო შესაძლოა, საყვარელ ადამიანთან უსიამოვნება ვერ აიცილოთ. კარგი პერიოდია დიეტისა და ვარჯიშისთვის. ■



1. დიდი ამერიკელი მწერალი
2. მგალობელი ფრინველი
3. ზრდადაუმთავრებელი ცხოველი
4. მარყუჟი
5. რაიმე ადგილის საერთო ხედი
6. პურის საცხობი
7. ცვარი
8. შაკანიანი
9. სასტუმროს მოსამსახურე
10. ქვეყანა აფრიკაში
11. ნაბიჯი ბალეტში
12. ესპანელი ფერმწერი
13. სინარნარე მიხრა-მოხრაში
14. ტეხილი ხაზი
15. ჩინეთის ფულის ერთეული
16. ქართველი პიანისტი
17. გერმანული ავტომობილი
18. მხეცი
19. შხამიანი ობობა
20. სპორტის სახეობა
21. სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრება
22. ღირებულება
23. სამკაციანი ანსამბლი
24. უბანი თბილისში
25. შვედური ავტომობილი
26. კუბის დედაქალაქი
27. ბუნების დამანგრეველი მოვლენა
28. სამშენებლო მასალა
29. მატყუარა
30. ცხენის ნაშიერი
31. იუპიტერის თანამგზავრი
32. შოტლანდიელ მამაკაცთა სამოსი
33. თევზის ძვალი
34. ჩანჩქერი ჩრდილოეთ ამერიკაში
35. თვე
36. უდიდესი სიამოვნება
37. ქვეყანა სამხრეთ ამერიკაში
38. ფულის გათამაშება ბილეთებით
39. ფეთქებადი ნივთიერება



**წინა ნომრის სკანვორდის პასუხები**

1. ტყვარჩელი; 2. ვერაგი; 3. არვე; 4. ჩალმა; 5. იენა; 6. ლოდი; 7. მარმელადი; 8. რალი; 9. ბრაზილია; 10. ბადაგი; 11. კობალტი; 12. არმია; 13. დო; 14. ბაი; 15. ბრინზა; 16. აკრიბია; 17. ატილა; 18. იარლიყი; 19. ხემი; 20. ჯორჯია; 21. ლხინი; 22. წალკოტი; 23. შილა; 24. კანადა; 25. ბესიკი; 265. კაპრონი; 27. აიაზმა; 28. პაჯერო; 29. ალბომი; 30. ოკრიბა; 31. აია; 32. საგა; 33. განა; 34. ელჩი; 35. ბაიტი; 36. ტინი; 37. კუბი; 38. არბალეტი; 39. ზოოლოგია; 40. მამა; 41. ძნა; 42. ალიტალია.
**სურათებზე:** 1. ტომი ლი ჯონსი; 2. ეშლი ჯადი.

# საფირმო კროსვორდი



**შევსების წესი:** უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის გრაფაში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრედებში ქართულ ანდაზას ამოიკითხავთ.

**ჩ**. ჩა ჰქვია დესერტს ქართულად; **ვ**. ქალის პირბადე; **ე**. ლეგენდარული პორტუგალიელი ფეხბურთელი; **ნ**. ჩანჩქერი ჩრდილოეთ ამერიკაში; **ს**. ქართული კერძი; **ჟ**. ფრინველთა გაბმული ხმიანობა; **უ**. ძველი ქართული ტრადიციული ტრანსპორტი სოფლად; **რ**. სახელგანთქმული ქართველი მოჭიდავე; **ნ**. გვამი, ცხედარი; **ა**. თამბაქოს სამშობლო; **ლ**. რიცხვი, რომელიც უნაშთოდ იყოფა ორზე; **თ**. ილია ჭავჭავაძის ტიტული; **ა**. რამაზ ჩხიკვაძის პერსონაჟის სახელი რობერტ სტურუას მიერ დადგმულ „კავკასიურ ცარცის წრეში"; **ნ**. ბიბლიური პერსონაჟი; **ე**. კუნძული, სადაც პირველად გადაასახლეს ნაპოლეონ ბონაპარტი; **რ**. აშშ-ის რიგით მეორმოცე პრეზიდენტი (ობამა რიგით 44-ეა); **თ**. სპილენძის ვიწროყელიანი ჭურჭელი წყლისათვის; **ა**. სიყვარულის ღმერთი რომაულ მითოლოგიაში; **დ**. ტაჯიკეთის დედაქალაქი; **ა**. ნახევარკუნძული, რომელზეც მდებარეობს იტალია; **რ**. რა ერქვა აივენჰოს სატრფოს; **მ**. ერთწლოვანი პარკოსანი მცენარე; **ო**. რა გვარი იყო ჟაკლინ კენედის მეორე ქმარი; **ი**. მდინარე, რომელშიც მოინათლა იესო; **წ**. ხე, რომლის ნაყოფი ეკლიან ბუძგშია მოთავსებული; **ყ**. მონღოლთა ურდოს მბრძანებელი; **ე**. გადამდნარი კარაქი; **ნ**. სპორტული ტანსაცმლისა და ინვენტარის მწარმოებელი ფირმა; **თ**. ერთდროულად მცხოვრები დაახლოებით ერთი ასაკის ადამიანები.

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**

**გ**. გურია; **ზ**. ზვარაკი; **ა**. არსენა; **გ**. გლაზგო; **ა**. ანცი; **რ**. რაინი; **თ**. თოქმაჩი; **ო**. ოქრო; **ბ**. ბლოკადა; **ი**. იალბუზი; **ს**. სმეტანა; **ს**. სიბილა; **ა**. აქსიომა; **უ**. უნიათო; **კ**. კუმისი; **ე**. ენდემი; **თ**. თხემი; **ე**. ერნესტო; **ს**. სოსელო; **ო**. ოტავა; **გ**. გორდა; **ა**. ათინათი; **რ**. რითმა; **ა**. აკორდი; **ნ**. ნევადა; **ტ**. ტყემალი; **ი**. იუბილე; **ა**. აისი; **ა**. ამონი.

**გამუქებულ უჯრედებში იკითხება:**

**რასაც იქროლებს, იმდენს არ ითოვებსო**

# იაპონური სენსაცია
# სუდოკუ

**„გზის" წინა ნომერში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | 4 | 9 | 5 | 1 | 2 | 6 | 3 | 8 |
| 1 | 3 | 6 | 8 | 7 | 9 | 5 | 2 | 4 |
| 8 | 2 | 5 | 3 | 4 | 6 | 1 | 7 | 9 |
| 9 | 5 | 1 | 7 | 8 | 4 | 3 | 6 | 2 |
| 4 | 6 | 2 | 9 | 5 | 3 | 8 | 1 | 7 |
| 3 | 8 | 7 | 2 | 6 | 1 | 9 | 4 | 5 |
| 2 | 1 | 8 | 6 | 9 | 7 | 4 | 5 | 3 |
| 6 | 9 | 3 | 4 | 2 | 5 | 7 | 8 | 1 |
| 5 | 7 | 4 | 1 | 3 | 8 | 2 | 9 | 6 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | 9 | 8 | 1 | 3 | 6 | 2 | 4 | 7 |
| 7 | 3 | 4 | 8 | 2 | 9 | 5 | 1 | 6 |
| 2 | 6 | 1 | 4 | 5 | 7 | 9 | 3 | 8 |
| 1 | 8 | 2 | 5 | 6 | 4 | 7 | 9 | 3 |
| 6 | 4 | 3 | 9 | 7 | 2 | 8 | 5 | 1 |
| 9 | 5 | 7 | 3 | 8 | 1 | 4 | 6 | 2 |
| 4 | 1 | 6 | 2 | 9 | 8 | 3 | 7 | 5 |
| 8 | 7 | 5 | 6 | 4 | 3 | 1 | 2 | 9 |
| 3 | 2 | 9 | 7 | 1 | 5 | 6 | 8 | 4 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | 3 | 9 | 1 | 2 | 8 | 6 | 7 | 5 |
| 1 | 6 | 5 | 3 | 4 | 7 | 9 | 8 | 2 |
| 7 | 8 | 2 | 5 | 6 | 9 | 3 | 1 | 4 |
| 6 | 1 | 8 | 2 | 9 | 3 | 5 | 4 | 7 |
| 2 | 5 | 4 | 7 | 1 | 6 | 8 | 9 | 3 |
| 3 | 9 | 7 | 4 | 8 | 5 | 2 | 6 | 1 |
| 8 | 2 | 1 | 6 | 3 | 4 | 7 | 5 | 9 |
| 5 | 4 | 6 | 9 | 7 | 2 | 1 | 3 | 8 |
| 9 | 7 | 3 | 8 | 5 | 1 | 4 | 2 | 6 |

* მარტივი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 7 | 3 | 5 | | 6 | 1 | | 8 |
| | 9 | | | | 2 | | | 3 |
| | | 6 | 9 | | | | 4 | |
| | | 8 | | | 7 | | | 2 |
| 6 | 3 | | 2 | 5 | | | 1 | 7 |
| 7 | | | | 8 | | 6 | | |
| | 1 | | | | 5 | 9 | | |
| 5 | | | 6 | | | | 7 | |
| 8 | | 9 | 7 | | 1 | 5 | 2 | |

** საშუალო

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | | | | | 1 | 7 | 8 | |
| 3 | | | 5 | | | | | 9 |
| 1 | | | | 8 | | | | 3 |
| | | 7 | 9 | | 6 | 3 | | |
| | 3 | | | | 2 | | 5 | |
| | | 6 | 7 | | | 8 | | |
| 6 | | | | 5 | | | | 2 |
| 8 | | | | | 3 | | | 6 |
| | 5 | 2 | 6 | | | | | 8 |

*** რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | | | | 9 | | | 4 | |
| | | 1 | | | 8 | 6 | 2 | |
| 9 | | | | | 6 | | 1 | |
| | 5 | | 8 | | | 2 | | |
| | | 2 | 4 | | 5 | 3 | | |
| | | 9 | | | 1 | | 7 | |
| | 9 | | 5 | | | | | 7 |
| | 6 | 8 | 9 | | | 4 | | |
| | 7 | | | 8 | | | | 6 |

# ფოტოკურიოზები


























ყურადღება! ყურადღება! ყურადღება! ყურადღება! ყურადღება! ყურადღება! ყურადღება!






ყურადღება! მხოლოდ 14 ოქტომბრიდან 1 ნოემბრამდე!

პრესისა და წიგნების გავრცელების სააგენტო „ელვა.ჯი“ გთავაზობთ

გამოიწერეთ ჟურნალი „გზა“ და შეიძინეთ უკვე გამოსული წიგნები, თითოეული მხოლოდ 3 ლარად!

გამოიწერეთ ჟურნალი “რეიტინგი” და შეიძინეთ უკვე გამოსული დეტექტივების ტომები თითოეული მხოლოდ 2 ლარად!

ასევე-გამოიწერეთ ჟურნალი “საბავშვო კარუსელი” და შეიძინეთ უკვე გამოსული ზღაპრების ტომები თითოეული მხოლოდ 4 ლარად!

„ელვა.ჯი“ ტელ: 38 26 73; 38 26 74 www.elva.ge